


# გზა

№39 (224) 23/IX.-29/IX.2004. ფასი 60 თ.



1168  
2004

**მოსკოვიდან  
ჩამოსული  
35 წლის ქართველი  
მილიონერი  
სასოლანს ეძებს**



**სახალსოდ ჩამკვრალი  
ბიუსტკალბერი —  
ნათია ნებერიძის  
კურიოზად ქცეული  
დაუღებრობა**

**გზავნილები — „გული მწყდება, როცა სულ 16 წელი ვიხსოვრე...“**



**სასიძო —  
ვიქასო:  
„შეხლომან აღარ  
გაუიგეოვრებ...“  
(ორი სიურპრიზი  
გოგონებისთვის)**



**თემა — მარტოდ  
დარჩენილი  
მეოცელი ანუ  
„სანდროუკა!.. მართაუ!..  
ამბაკუნა!.. ჰე-ე-ეი!..“**

პროსპერდების

უპასუხოები უყვინძლოი

# ტელევიზია

TV

## ტელევიზია

სამაგისტრო

### კანსელერი



ყველაზე ბასართობი უურნალები



**მინიატურები**

„მეჩანნიკურია, ბიკია ვარღენ“ ანუ რა სარგებლობა მოაქვს ბაეროს? 3

**ერთი კითხვა** 4

**ტექნოლოგიები**

როგორ გავხდე წარმატებული ანუ რა არის პიარი 6

**სანიშნო**

● „პიკასო: „შესდომას აღარ გავიმეორებ...“ – ორი სიურპრიზი ბოტონეაისთვის 9

● „თუ გაბიბარტელაბს, შესაძლოა, ცოლად გამოგყვამ...“ 11

**პირველი პაემანი**

თქონა თაყვართქილაკე: „ორს რომ ოცი დააკლდება – დრო, რომელიც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა“ 12

**განხილვითი დანახული**

ვინ დაუსტავს რუს ჩინოვნიკს შვილები? 14

**კრიმინალი**

● ჯიბირობის საქმეს სასამართლო 8 თვეა იხილავს 15

● 22 წლის განსახილველ საკუთარი დის სადისტურ მკვლელობაში აღნაგობა 16

**მაქანაწერი**

საპატარალოზე შეყვარებული სამამამთილო, ქალიშვილად დარჩენილი ქალბატონი და თანაშემწის კონკურსში გამარჯვებულან – ჯრისწერა 18

**ოგუდსკენი**

სოგარ სუბარი პრეზიდენტისა და ორი კალონისგან მაგიდაზე მუშტის დაკრას ელის 20

**თავადა**

თოფის ლულით ნათქვამი საღებბრკელო, ქალიშვილის ქორწილში შესული ლიტრანახავრინანი ყანწი და ევროპელი სუშრის წავრების დამორჩილების ხერხი 22

**ტესტი**

ერთბული მკითხველი 23

**თევა**

მარტოდ დარჩენილი მშობელი 24

**გზავნილები**

„მინდა, შური ვიპიო ყველაზე, ვინც მე და პაატა დაგვამორა...“ 27

**ჯანმრთელობა**

● დედიკო, მე განათლებული უნდა ვიყო! 30

● ვისი ბავშვია უფრო ჭკვიანი? 30

● მედიცინის სიახლეები 31

**ქალი საჭესთან**

მარიკა ჭიჭინაძეს „მერსედესი“ „ოქავში“ ერიკა და ყველა მარკას „ნივა“ ურჩევნი 32

**ტაქარი**

მომავლინებული ცოდვები, რომლებიც აღამიანის სულს მარადიული სიკვდილისთვის ამგადავს 34

**ანუ რა არის პიარი**



როგორ გავხდე წარმატებული? – ეს კითხვა თითოეულ ადამიანს აწუხებს. რადგან შეიძლება იყო ნიჭიერიც, შრომისმოყვარეც და მიზანდასახულიც, მაგრამ სხვამ დაგჯაბნოს. რატომ? იმიტომ, რომ არ იცი, თუ როგორ წარმოაჩინო საკუთარი უნარ-ჩვევები, ან ნაწარმი, ან მომსახურების სახეობა... მაგრამ ნუ შეშინდებით...

6

**საპატარალოზე შეყვარებული სამამამთილო, ქალიშვილის კონკურსში გამარჯვებულან – ჯრისწერა**

– ნამდვილი, თეთრ რაშზე („მერსედესზე“...) ამხედრებული უფლისწულია. თბილისში სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რომ წესიერი, მრდილი, ქართველი გოგონა შეერთოს ცოლად... მყავს კიდეც ერთი, მოსკოვში მცხოვრები ქართველი – 32 წლის მამაკაცი, რომელიც გულსისხლძარღვთა კლინიკაში ქირურგად მუშაობს...



18

**სანოღო – ოგოზა, თეფუზა – ბარაკენები და კურიზად ქმეული დაუდგებოზა**



– ლობიო მიყვარს ძალიან, რესტორანში რაღაც საჭმელი ვნახე, „ვიდზე“ ლობიო იყო. მანამდე, 2 კვირის განმავლობაში შემწვარ გარაკენებს და რაღაც საძაგლოებს გვთავაზობდნენ. ამიტომ სიხარულისგან კინაღამ გავვიყედი. მათლაფით გადმოვიდე „ლობიო“, დაფუქი და...

54

**გულწასული დედა – „...მე გასლდათ ჩემი პირველი ბოლი – ბრავადია გაპითაქაქ“**

– ეს ყველაფერი დავინახეთ. მოგვიანებით მივედი, ფული გამოვიღე და უბეში ჩავვიტენე... მეორე დღეს, ძველი ბიჭები იმ ადგილას ისევ შეიკრიბნენ. მე ფული მივეუბანე. ყველას გაუკვირდა. გაუსარდათ. თავში ხელიც წამომარტყევს და – ყოჩაღო! – მითხრეს...




52

<b>დღესასწაული</b>	
როგორ დანესლა ქვარტიამაღლების დღესასწაული?	35
<b>ანტიდაპრესენტო</b>	
ინფორმაციულ-შეფენებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან	36
<b>ნაფიქვილი ანგაჟი</b>	
უღიპლომო სასიძო და „მოკალაღე“ საპატარძლო	36
<b>პარტივი კითხვები</b>	
როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე თუ ის თანაკლასელებმა აითვალწუნეს?!	38
<b>საუხეხურთო მიწვრკეპე</b>	39
<b>სოკრტული მოზაიკა</b>	40
<b>ავტო</b>	41
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაბრკელება)	42
<b>პარსკვლავი</b>	
სიყვარულში უიღლო მეფენიერი იზაბელა	46
<b>ბომონდი</b>	48
<b>ჭაქრაჟი</b>	
ოლიმპიადა ღამთაგრლა, ოლიმპიადა იწყება...	50
<b>ჩემი თარგა</b>	
ბულნასული დედა – „...ეს ბახლათი ჩემი პირველი როლი – ტრაგედია გავითამაჟე“	52
<b>როგორ ვისვენებთ</b>	
საწოლში – ობობა, თეჟგე – ტარაკნები და სახალსოლ ჩამპრალი ლიფი ანუ კურიოზად ქნეული დაუღვრობა	54
<b>ორკული</b>	
„ბაბუ“ კვლავაც ბათუმის ქუჩებში ღადის – ასლან აბაშიძის ეგზობტიკური ორკული	56
<b>ასე უყვარტო საპარტოველო</b>	
20-წლიანი ინტერვალით ერთ კანგე ორჯერ გატხოვილი ქალბატონი	57
<b>ჰოროსკოპი</b>	
კვირის (27 სექტემბერი – 3 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
<b>სქანეოკლი</b>	61
<b>იუმორი</b>	62
<b>ტესტი</b>	
ხართ თუ არა მელომანი?	63
<b>კალენდოსკოპი</b>	
ჭრელ-ჭრელი ამბები	64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოქალაქების კვირაში ერთხელ, სუბსაბატიოპი  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ ღამაქტაჟი  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მენეჯერი: მათე კბილაძე  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლოში“

## პარტოდ დარჩენილი ეპოგელი



...მოსუეს შეეძლო ეანგმოკიდებუ-  
ლი რკინის ანჯამები დაემეტა, რათა  
უსიამოვნო ხმის მოსმენა აეცილებინა  
თავიდან, მაგრამ ამის გაკეთება აზრა-  
დაც არ მოსდიოდა. ერჩინა, ჭიშკრის  
ყოველი გაღებისას ღრჭიალი ესმინა,  
ემოში შემოსულ ადამიანს კარშივე  
რომ შეჭგებებოდა... მარტოდ დარ-  
ჩენილ 5 შვილის მამას ადამიანის  
დანახვა ენატრებოდა...

24

## სიყვარულში უიღლო მეფენიერი იზაბელა

ქორწინებაში გაგარებული რა-  
მდენიმე წელიწადი, საოცრად მიმ-  
იღველი და უცნაურობებით აღ-  
სავსე აღმოჩნდა. დევიდის მოუ-  
ლოდნელი წასვლა, რომლის დრო-  
საც მან ასეთი ფრაზით მიმართა  
მეუღლეს: „წარმოიდგინე, რომ  
მოკვდი!“ – იზაბელასთვის სერი-  
ოზული დარტყმა გახლდათ...



46

## „ბაბუ“ კვლავაც ბათუმის ქუჩებში ღადის ასლან აბაშიძის ეგზობტიკური ორკული



– პირისპირ არასოდეს შევხ-  
ვედრიყარ, თუმცა ჩემი პიროვნებით  
დაინტერესდა და მისმა უშიშროე-  
ბის სამსახურებმა დამიბარეს, გამ-  
აფრთხილეს, რამე არ დამავოთ.  
უშიშროებაში მკითხეს – ასლანი  
შენი ძმა ხომ არ არის?..

56


## მცაცენტოს ისხინქი

– დამშვიდდით!.. – გააწყვეტ-  
ინა ლანამ. – მოკვლა გეგმაში არ  
ქტონდათ, თორემ, მე და თქვენ  
ანდროზე ახლა მხოლოდ წარსულ  
დროში ვილაპარაკებდით... თუმ-  
ცა, პირადად მე, კარგა ხანია, ასე  
ვლაპარაკობ: ჩემი ყოფილი ქმარი,  
ჩემი ყოფილი საყვარელი-მეთქი...



42

# „მექანიკურია, ბიძა ვარდენ“ ანუ რა სარგებლობა მოაქვს გაეროს?



სათაურში დასმულ შეკითხვაზე, ბუნებრივია, ყველას კინოფილმი „იმერული ესკიზები“ გაახსენდება და პასუხიც იმწამსვე გაუჩნდება: „გაერო გვაძლევს ხორცს, კვერცხს და ბუნდლას“...

ღიას, სწორედ გაეროს სასურსათო პროგრამამ არ გამოგვეკვება არაერთხელ, მოშივებული ქვეყანა, ხორციითა და კვერცხით?! მართალია, ბევრი იძახდა — არ ჭამოთ, ხალხო, ეს ხორცი ცხენისაა, კვერცხი კიდეც — ნიანგისო. — მაგრამ არც აჭივივინებული კაცი გვინახავს სადმე და არც ტაფაზე გამოჩევილი ნიანგი. ხოლო რაც შეეხება „ბუნდლას“, ესეც მართალია, რადგან გაეროს რომ არ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აქამდე ჩვენი ბუნდლა არ იქნებოდა...

ზემოთ ხსენებულ კინოფილმში კიდეცაა ერთი პასუხი — „გვჩინილაგს“ — და არც ისაა მთლად მოკლებული რეალობას, რადგან გაეროს ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა განა, უგანდა, ურუგვაი... და საქართველო, როგორც საწვეროს ურჩი გადამხდელებისათვის, დამსჯელი ბერკეტიც აქვს და მას ხმის უფლების ჩამორთმევა ჰქვია. ჰოდა, ახლა საქართველო გაეროს მუნჯ წევრად ითვლება — ანუ, რომ ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს...



ალბათ გაგიკვირდებათ: ხმის უფლება თუ ჩამოგვართვეს, ჩვენს პრეზიდენტს რატომ გააკეთებინეს მოხსენებაო? მაგრამ ამ ენაჭიკჭიკა ბიჭს რომ მხოლოდ 15 წუთს დაუთმობ, ხმის უფლების წართმევა და დამუნჯებაა, აბა რაა, როცა 15 წუთი მხოლოდ „გამარჯობისა“ და შვიდენოვანი ღიმილისათვის სჭირდება. ის თხუთმეტწუთიანი მოხსენებაც წინასწარ შეუმოწმეს — ზედმეტი და არაკორექტული არაფერი თქვასო. — არადა, რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი!

ამიტომ აქაც წაიორიგინალა, რეგლამენტი და წამშობი ფეხებზე დაიკიდა და 15-ის ნაცვლად 25 წუთი ილაპარაკა. მართალია, ამით დიპლომატიური ტაქტი და ეთიკა დაარღვია, მაგრამ 200 სიტყვა/წამში სინქარით გაეროს მიაყარა ხალხის ყველა სატიკვარი: ტერიტორიული მთლიანობა რომ აღსადგენია, რუსეთი რომ ნერვებს გვიწეწავს, გაზი და შუქი რომ

ხშირად ითიშება, ლიმონათს რომ გაზი აკლია, 30-თეთრიანი სუპერწებო რომ „სიაფანდია“, „სალფეთქის“ ქაღალდი რომ თხელია და ტუჩებს ეკვრის და საცოდავ ჰადეს რომ ვერაფრით გაურკვევია, ლუკასი უყვარს თუ მისი კლონი ლეო... რომ აღფრთოვანებულმა აუდიტორიამ „ტაშნაკრავი ხელები დაიფუთა“...

გული კიდეც ერთხელ დავიმშვიდეთ — „აგერ გვყავს გაერო და აბა ერთი, კიდეც გაბედოს რუსეთმა ჩვენი შევიწროებაო!“ მაგრამ იძახე, რამდენიც გინდა: ეს შენი გაერო იმ მექანიკურ საფრთხობელას ჰგავს, ხელებს რომ იქნევს და ღრჭიალებს, მაგრამ „ჰაუ-ჰაუ“-ს ვერ იძახის და ვერც რუსულ თვითმფრინავ-ვერტმფრენებს აფრთხობს მაინცდამაინც... კი შეიძლება, ცოტა „გუჯიკოტ“ იმ ჭაღარა-

შავვერემან კაცს, გაეროს საფიზნოს რომ უზის თავში, მაგრამ მისასვლელი პირი არ გვაქვს — აქაც ვალები გვწყვეტს წელში. არადა, რა გახდა ამ საწვეროს გადახდა?! ახლა მაინც ხომ გვაქვს ბიუჯეტის პროფიციტი (მე, ბატონო, სულ არ ვიცი ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ ადრე რომ სულ „დეფიციტს“ გავიძახოდით, იმას კი უნდა სჯობდეს). ჰოდა, ან პატიოსნად ვინადოთ გადასახადი ანდა მაგაშიც მოხდეს გამრიცხველიანება და ყველამ თავისი წილი გადაიხადოს. ბოლო-ბოლო, გაზის და ღენის „სოჩიკებს“ ვუკვებებთ „ჟულიკებს“ და ამ გაეროს „სოჩიკი“ რა უნდა იყოს ისეთი, რომ ვერაფერი შევუკვებოთ?! აბა, სადამდე უნდა ვიყოთ ასე დამუნჯებულები?!

P.S. გაეროს გადასახადის ინკასატორი კარზე აკაკუნებს:

- თქვენ 15 ლარი უნდა გადამიხადოთ გაეროს საწვეროსთვის.
- ბოდიში, მაგრამ ეს 15 ლარი სულადობის მიხედვით განისაზღვრება, საცხოვრებელი ფართის მიხედვით თუ ნებაყოფლობით?
- ოჯახზე 15 ლარია.
- რა ოჯახი, თუ ძმა ხარ? ცოლი ტრაპიზონში ვაჭრობს, შვილი გაევროპელებული პიჟონი მყავს, მე კიდე სულ გავლოთდი და ოჯახია ეს?! ჩამიჭერი, ბატონო, ეს შენი გაერო და ის იქნება!

პროვოკატორი

# „ჩრდილში ყოფნას მაინც არ ვაკვირებ“

— ქალაქის პროკურორის პოსტიდან წასვლის შემდეგ, ახალ თანამდებობაზე დანიშნა თქვენთვის დაინაშურებაა თუ დაქვეითება?

**ვალერი ბრიგალაშვილი,** ქალაქის ყოფილი პროკურორი:



— მე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი ქვეყნის ჯარისკაცი ვარ და რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყო, ჩემს მოვალეობას შევასრულებ. დაწინაურებას ან დაქვეითებას ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ვფიქრობ, ახალ თანამდებობაზე უფრო მეტი და საინტერესო საქმე მექნება შესასრულებელი. საზოგადოების ყურადღებას დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტიდანაც მივიტოვე. ჩრდილში ყოფნას და მოღუწებას არ ვაპირებ. ქალაქის პროკურორობიდან ჩემს გათავისუფლებას მართივი მიზეზით ვხსნი: ალბათ ხელმძღვანელობას ამ ეტაპზე, გენერალურ პროკურატურაში ვჭირდები. ჩემთვის ეს, დაქვეითებას სულაც არ ნიშნავს, მთავარია, ყოველთვის ისეთი პრინციპული პოზიცია დავიკავო, როგორც თბილისის პროკურორობის დროს მეკავა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, საზოგადოების მხარდაჭერას ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ რასაც ვაკეთებდი, ხალხის და ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. ახალ თანამდებობაზეც იმავე განწყობით მივდივარ.

# „24-საათიან ენერგომომარაგებაზე საუბარი ადრეა“...

— ნიკა გილაურის განცხადებით, ზამთარში ენერგომომარაგება ალარ იქნება. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია 24-საათიან ენერგომომარაგებაზე გადასვლა?

**ალგერტო სოლისი,** საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი:

— მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები იმ პრინციპებს, რომლებიც ნიკა გილაურის მიერ არის გაცხადებული, ვფიქრობ, რომ 24-საათიან ენერგომომარაგებაზე საუბარი ჯერ ადრეა. ალბათ, ენერგეტიკის მინისტრს აქვს გეგმა, რომლის შესრულების შემთხვევაშიც, ეს შესაძლებელი გახდება. ახლა მთავარია, თავი მოვუყაროთ ქვეყნის

შიდა და გარე რესურსებს, რათა ზამთარში რაც შეიძლება კარგი ენერგომომარაგება გვქონდეს. თუმცა, ამის მიღწევაც მეეჭვება. მთავრობას არ შეუძლია, მთელი რესურსები ენერგეტიკის პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენოს. აქედან გამომდინარე, ზამთრის პერიოდში გარკვეული სირთულეები აუცილებლად შეიქმნება. სავარაუდოდ, თბილისში მსუბუქი გრაფიკი დაწესდება, რეგიონებში კი, ღენის მიწოდება უფრო პრობლემატურად მესახება. მომავალში, თუ ენერგეტიკის იმუშავა, თუ იმპორტის განსორციელების საშუალება გაჩნდა, დენზე შეზღუდვებიც მოიხსნება და ენერგომომარაგების საკითხიც გადაწყდება.

# „კოკოითის ხელისუფლება ნარკოზონისთვის დაკავებული“

— მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალთან დამაკავშირებელი შემოვლითი გზები ჩაკეტილია, ნარკოტიკული ნივთიერებების შემოღინება მაინც ვერ აღიკვეთა. რა არის ამის მიზეზი?

**გივი უზულაშვილი,** უშიშროების მინისტრის მოადგილე:

— შემოვლითი გზების დიდი ნაწილი ჩაკეტილია. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში კრიმინალები ფარული გზებით ნარკოტიკების შემოტანას მაინც ახერხებენ. საერთოდ, კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად დაძაბულია. დე ფაქტო ხელისუფლების ხელშეწყობით, ნარკოტიკული ნივთიერებებით, გატაცებული მანქანებითა და ყალბი ფულით ვაჭრობა კვლავ გრძელდება. უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, კოკოითის რეჟიმის ერთადერთი შემოსავალი სწორედ ეს გახლავთ. ამ ბიზნესში ჩაბმულია იქაური შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროება, საბაჟო და სასაზღვრო უწყებები, გარდა ამისა, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტიც. კოკოითის მთავრობას საბრძოლო მოქმედებების



წარმოება ძალიან ძვირი უჯდება, ამიტომ ცდილობს, მწირი სახსრები კრიმინალური საქმიანობით შეავსოს. კონფლიქტის ზონაში შექმნილი უმართავი სიტუაცია საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ნარკოტიკების შემოღინებას უწყობს ხელს. ეს პრობლემა საქართველოში კვლავ გადაუჭრელი რჩება. მაგრამ ნარკოტიკების გავრცელების დონე მკვეთრად შემცირდა. ხელისუფლება ამ კუთხით ინტენსიურ მუშაობას განაგრძობს. კონტრაბანდული ტვირთისა და ნარკოტიკების შემოღინება დღითი დღე მცირდება. თუმცა, პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ ხელის ერთი მოსმით მისი გადაწყვეტა ვერ ხერხდება.

# „ჩემთან დაპირისპირებით, ხელისუფლების კათილგანწყობის მოპოვება სურთ“



— თქვენ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ პოლიტსაბჭოს წევრები პარტიიდან გარიცხეთ. მანამდე, თანაპარტიელები ანტიქართული განცხადებების გაკეთებაში გადაწეულხდნენ...

**ზვიად ძიძიგური, პარლამენტის წევრი:**

— მათი განწყობების მიზეზი მართლაც: ძალიან უნდოდათ პარლამენტში მოხვედრა. მაგრამ პარტიის პოლიტსაბჭოს ყველა წევრი საკანონმდებლო ორ-

განში ხომ ვერ მოვიდოდა?... მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ადამიანების გაკეთებული საქმე პარტიაშიც კი არავის უნახავს... მათი გაღიზიანება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მშვენივრად გამოიყენეს. ისინი სწორედ სახელისუფლებო პარტიის მიერ არიან მართულნი. ამ ადამიანების მიერ გაუღერებული უსაფუძვლო ბრალდებები წინასწარაა შეკვეთილი. მათი მიზანია, ჩემთან დაპირისპირების გზით ხელისუფლების კეთილგანწყობა მოიპოვონ, რადგან იციან, რომ სწორედ ამგვარად შეიძლება თანამდებობის მიღება. არ გამოვირიცხავ, რომ მომავალში, ოპოზიციური აზრისა და მისი გამტარებლების წინააღმდეგ უფრო სერიოზული ზეწოლა განხორციელდეს. „ნაციონალური მოძრაობა“ კარგად მუშაობს, მაგრამ ამით შედეგს ვერ მიღწევს. „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ პოლიტსაბჭოს წევრები არც რევოლუციამდე ყოფილან ჩემ გვერდით და არც მას შემდეგ, ამიტომ მათთვის პარტიიდან გარიცხვა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ■

# „ახალი კანონპროექტით ხელისუფლება კერძო ტელეკომპანიებს გააპონტროლებს“

— „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, ეძლევა თუ არა ხელისუფლებას საშუალება, მისთვის არასასურველი ტელეკომპანიები დახუროს? **ფიქრია ჩინრაძე, „მემარჯვენე ოპოზიცია“:**

— ახალი პროექტით, ხელისუფლებას კერძო მედიასაშუალებების კონტროლის სერიოზული ბერკეტები ჩაუვარდება ხელში, რაც ლიცენზირებისა და საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის ანძის გადაცემის საკითხსაც ითვალისწინებს. კანონპროექტის მიხედვით, სპეციალური კომისია გასცემს საზოგადოებრივი, სათემო და კერძო მაუწყებლობების ლიცენზიას 10 წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, ახალი კონკურსი ჩატარდება. ეს მუხლი უდავოდ კერძო კომპანიების გაკონტროლების საშუალებად იქცევა. გარდა ამისა, ტელეკომუნიკაციების სერიოზული ქსელის ერთი კონკრეტული მაუწყებლობისთვის გადაცემა იმის საშიშროებას ქნის, რომ ხე-



ლისუფლებამ ტექნიკური საშუალებებით მოახდინოს სერიოზული ზეწოლა კერძო მაუწყებლობებზე. ზოგადად საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობა ცუდი არ არის. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველზე, რომელიც ტელევიზიის განვითარებას დაასაშრებს. თუ კანონპროექტში მნიშვნელოვანი შესწორებები არ შეიტანეს, ჩვენი ფრაქცია მას მხარს არ დაუჭერს. ■

# „პარლამენტში ჩემი ყოფნა აუსილაბელია“

— რატომ გადაწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვების შემთხვევაში, რომელ ოპოზიციურ ძალასთან აპირებთ თანამშრომლობას?

**ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი:**



— არჩევნებში მონაწილეობას ყოველთვის აქვს აზრი, თუნდაც იმისთვის, რომ გაიგო, თუ ვის რა ინტერესები აქვს და რა მეთოდებით დავიპირისპირდება. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ პარლამენტში საჭიროა, იყოს ჩემი შეხედულებების მქონე პოლიტიკოსი. ეს ნიშნავს არა ოპოზიციონერობას, არამედ — კონსტრუქციულ თანამშრომლობას მმართველ ძალასთან. ოპოზიციონერობა უფრო მიზანშეწონილად პარლამენტის გარეთ მიმაჩნია, საკანონმდებლო ორგანოში კი, კონსტრუქციული დიალოგია საჭირო. ვიცი, პარლამენტში ჩემი ერთი ხმა ვერაფერს გადაწყვეტს, მაგრამ კრწანისის რაიონის მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მექნება პარლამენტარის სტატუსი, რითიც შევძლებ, დაუპირისპირდე იმ ძალებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ შეიქმნას „სამხრეთ ოსეთი“, ქონება გავასხვისოთ უცხოელებზე, ხელი შევუწყოთ რუსი სამშვიდობოების საქართველოში ყოფნას და ა.შ. ჩემი მთავარი მიზანია, პარლამენტარები გავფართოვილო, რომ საბედისწერო შეცდომები არ დაუშვან, რომ თითოეული მათგანი საქართველოს მოღალატის პოზიციაზე არ დადგეს. ჩვენი პარლამენტარების გონებრივ მონაცემებზე მაღალი შეხედულებების არ ვარ, მაგრამ მწვავე პოლემიკის პირობებში პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების იმედი მაინც მაქვს. ■

# „საბუღისხეობა, რომ რუსეთიდან დაბრუნებული კოკოითი უვანისთან შეხვედრაზე თანხმდება...“

— სექტემბრის ბოლო რიცხვებში, ზურაბ უვანისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა უნდა შედგეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ეტაპზე, შეხვედრის ინიციატორი რუსული მხარეა, კონკრეტულად რა შედეგები შეიძლება ვივარაუდოთ?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— ამ შეხვედრის დროს, პრემიერ-მინისტრი ზურაბ უვანია პირველ საკითხად სტატუსის თემის განხილვას წამოსწევს. ეს არის მთავარი საკითხი, რომლის გარეშეც არანაირ შეთანხმებას აზრი არ ექნება. რამდენიმე დღის წინ, კოკოითი აცხადებდა, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთი ერთი ქვეყანაა და ერთი პრეზიდენტი ეყოლება. თუ ამ ფორმულამ რეალური კონტურები შეიძინა, მაშინ საქართველოს ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად, ომის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩება, რაც ამ ეტაპზე რუსეთის ინტერესებში არ შედის: კავკასიური ომის დაწყება რუსეთისთვის დამანგრეველ ძალად შეიძლება იქცეს — მით უმეტეს, რომ ჩრდილო კავკასიაში დაიძაბა ურთიერთობა ოსებსა და ინგუშებს შორის, რაც შეიძლება, ნამდვილ ომში გადაიზარდოს... საგულისხმოა, რომ რუსეთიდან დაბრუნებული კოკოითი უვანისთან შეხვედრაზე თანხმდება. როგორც ჩანს, მოსკოვს იმედი აქვს, რომ ამით სამშვიდობო პროცესის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. უვანიამ კოკოითს უნდა შესთავაზოს ერთიანი პოლიტიკური ძალების შექმნა, რომელიც კონფლიქტის ზონას იმ ხალხისგან გაათავისუფლებს, ვისაც კოკოითიც ვედარ აკონტროლებს. ეს ერთობლივი ნაბიჯები კი, ცხინვალის რეგიონში ჩვენი იურისდიქციის აღდგენის დასაწყისი იქნება.

როგორ გაგხდებ წარმატებული? — ეს კითხვა თითოეულ ადამიანს ანუხებს. მასზე პასუხიც მრავალნაირი არსებობს. რადგან შეიძლება იყო ნიჭიერიც, შრომისმოყვარეც და მიზანდასახულიც, მაგრამ სხვამ დაგვკაბნოს. რატომ? იმიტომ, რომ არ იცი, თუ როგორ წარმოაჩინო საკუთარი უნარ-ჩვევები, ან ნაწარმი, ან მომსახურების სახეობა... მაგრამ ნუ შეშინდებით — ამის გამოსწორება შესაძლებელია. საამისოდ PR-ხერხებს უნდა დაეფუძლოთ. ოღონდ არ იფიქროთ, რომ რეკლამაზე ვსაუბრობთ — პიარი მისგან საკმაოდ განსხვავდება.



## როგორ გავსდ წარმატებული პიარი

### შეა ტუხიაშვილი

ნიკო მჟარიაში, პარკომპანია PR policy-ს დირექტორი:

— სიტყვასიტყვით პიარი (PR, Public relation) საზოგადოებასთან ურთიერთობას ნიშნავს. პიარის რამდენიმე განმარტება არსებობს, მაგრამ მარტივად პიარის ფუნქცია შესაძლოა შემდეგნაირად გავიგოთ: დაეხმარო კლიენტს (ბიზნესსტრუქტურა იქნება ეს, პოლიტიკური პარტია თუ კერძო პირი) მისი პოზიტიური იმიჯის ფორმირებასა და სტაბილურად შენარჩუნებაში. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ საქართველოში პიარის ცნება საკმაოდ დამახინჯებულიად დამკვიდრდა, სიტყვა „პიარის“ ხსენებაზე, საზოგადოებას უფრო ხშირად, ე.წ. „შავი პიარი“ ახსენდება, მაშინ, როცა, თანამედროვე კლასიკური გაგება პიარის ამ ცნებას საერთოდ არ ცნობს. აღნიშნულ გარემოებას ბუნებრივია, თავისი მიზეზები აქვს: მოგეხსენებათ, საქართველოში პიარის გაგება უფრო, პოლიტიკური სფეროდან შემოვიდა. სამწუხაროდ, პოლიტიკაში „თეთრ“ ტექნოლოგიებზე მეტად, „შავი“ პროპაგანდა, ე.წ. „შავი“ ტექნოლოგიები ჭარბობს... ამ „ცოდვას“ მარტო პოლიტიკოსებს ვერ დავაბრალებთ. პიარბაზარზე (იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით) „შავი“ პროპაგანდის აკრძალვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ამგ-

ვარი პრაქტიკა მაინც არ მოშლილა... ბუნებრივია, პიარზე ასეთი წარმოდგენის გამო, PR-ბიზნესს თავისებური სირთულეები დასვდა ჩვენს ბაზარზე, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თანდათანობით ეს მდგომარეობა შეიცვლება.

— მკითხველისთვის საინტერესო იქნება პიარისა და რეკლამის, პიარისა და მარკეტინგული საქმიანობის შედარება...

— პიარი არც რეკლამაა და არც მარკეტინგი. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ხშირად თავად დამკვეთებსაც კი ერევათ ხოლმე ერთმანეთში. პიარის კონსულტანტებისთვის ათვლის წერტილია საზოგადოების დაკვეთა, მისი მოთხოვნილებები, მოლოდინი და განწყობა იმ სფეროს მიმართ, რომელსაც კლიენტი წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ვახდენთ იმ ინფორმაციის თავმოყრას და ორგანიზებას, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ დამკვეთთან დაკავშირებით არსებობს. ამაში იგულისხმება, როგორც კლიენტის, ასევე მისი კონკურენტების რეალური იმიჯის შესწავლა, მათ ურთიერთმიმართებაში განხილვა. საამისოდ ვატარებთ კვლევებს, ვანალიზებთ მოპოვებულ ინფორმაციას. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება კლიენტისათვის შესაფერისი PR-სტრატეგიის შემუშავება, განისაზღვრება ძირითადი მესიჯი და იგვე-

მება ყველა ის ღონისძიება, რომელიც კონკრეტული იმიჯის ფორმირებისთვისაა საჭირო. არის შემთხვევები, როცა კლიენტის თავისებურებიდან გამომდინარე, ისე იგეგმება PR-სტრატეგია, რომ არც ერთი სარეკლამო საშუალება (ბილბორდი, კლიპი, ბუკლეტი და ა.შ.) არ არის გამოყენებული. პიარში მნიშვნელოვანია არაპირდაპირი რეკლამირება და აქცენტი უფრო მეტად კეთდება ისეთი საინფორმაციო საბაბების შექმნასა და PR-ღონისძიებების დაგეგმვაზე, რომლებიც თავისთავად განაპირობებს კლიენტისათვის ხელსაყრელი იმიჯის ფორმირებას. რასაკვირველია, პიარში ხშირად ვიყენებთ სარეკლამო საშუალებებსაც, მაგრამ ჩვენს საქმიანობაში მათ უფრო საიმიჯო ხასიათი აქვს.

**PR-სტრატეგიის შემუშავებასა და კამპანიის წარმართვაში მასმედიის როლის შესახებ რას გავტყვი?**

ბუნებრივია ეფექტური PR-კამპანიის წარმართვისათვის უდიდესი როლი ენიჭება მედიამხარდაჭერას. ამ კუთხით თითოეულ მედიასაშუალებას თავისი უპირატესობა აქვს. თითოეული კლიენტის შემთხვევაში, საინფორმაციო სივრცელ, ტელევიზია იქნება გამოყენებული, რადიო,



ამომრჩეველი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს იმ პოლიტიკურ ლიდერს, რომელსაც „თავისიანად“ აღიქვამს

ჟურნალ-გაზეთები თუ ყველა ერთად, — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წარმოადგენს მიზნობრივ სეგმენტს, ე.ი. ვისთვისაა გათვლილი მისაწოდებელი ინფორმაცია. ამას პიარში ეფექტური საკომუნიკაციო გზების განსაზღვრას ვეძახით. რაც შეეხება მარკეტინგს, როცა კომპანიას აქვს დადებითი, მყარი, სტაბილური იმიჯი ბაზარზე, ნებისმიერი მარკეტინგული სვლა (ახალი პროდუქტის შემოტანა თუ მომსახურების სახეობის შემოთავაზება ბაზარზე, გამოფენა-გაყიდვის

PR-კომპანიების კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს. ამას ანტიკრიზისულ PR-ს ვეძახით. ამ დროს, PR-სტრატეგია ცოტა უფრო სპეციფიკურია და შედარებით მოკლე ვადებზეა გათვლილი.

**როგორი დამოკიდებულებაა პიარის მიმართ თვით ბიზნესწრეებში, რამდენად ხშირად იყენებენ ჩვენი საქმიანი წრეების წარმომადგენლები?..**

**ინო მამუკალაშვილი, კომპანია „ლალიძის წყლების“ დირექტორი:**

მოწყობა თუ სხვაგვარი აქტიუობა) ხდება მყარ ნიადაგზე, და ამის შედეგი ეფექტურად აისახება რეალიზაციის მოცულობაზე... ერთ მაგალითს მოვიყვან. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი ცნობილი, კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის იმიჯი შეილახა და გარკვეულ ხანს, შემცირდა მისი პროდუქტის რეალიზაცია, მაგრამ კარგად დაგეგმილი მარკეტინგული სტრატეგიის წყალობით, მან მალე შეძლო რეპუტაციის აღდგენა. ანალოგიური სიტუაციების განეიტრალება, ბუნებრივად,

— საკმაოდ რთულია, დღევანდელ ბაზარზე დაიკვიდრო ადგილი პიარისა და რეკლამის გარეშე. „ლალიძის წყლებს“ მყარ ტრადიციებზე დამყარებული საფუძველი აქვს, ამიტომაც ყოველგვარი პიარის გარეშე, ჯერ კიდევ სარგებლობს პოპულარობით. მართალია, მზარდი კონკურენციის პირობებში, ბიზნესის გაფართოება, თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა კიდევ უფრო დიდი წარმატების საწინდარი იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ გაზრდილი კომუნალური გადასახადების გამო, ეს ფაქტორებიც, შეუძლებელია. თუ საკმაოდ მზარდი კაპიტალი არ გაგაჩნია, ვერც ბიზნესს დაიწყებ და შესაბამისად, ვერც პიარკონსულტანტების მომსახურებით ისარგებლებ. ვფიქრობ, რომ პიარს საქართველოში ძირითადად, მსხვილი ბიზნესმენები მიმართავენ. ბიზნესისთვის საშიშ მოვლენად კი, შავი პიარი მიმაჩნია, რომლის ხელშიც მდია საუკეთესო იარაღად შეიძლება მოგვევლინოს.

**ლამა მთაბერი, კომპანია „სანტეს“ გენერალური დირექტორი:**

— შემიძლია ვითხრა, რომ კარგად გაკეთებული პიარი, საქმის ნახევარია. ჩემთვის პიარი არის რაღაც ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია

## ფსილუმ - ბალზამი ბაღი

**ალერგიის საინფორმაციო პაკეტი**

- ➔ სხვადასხვა მარკეტინგის ქვეპროექტი
- ➔ მხარის ნაგებობაზე ალერგიული რეაქციები
- ➔ ალერგიის კანონმდებელი ბაზრის მონიტორინგი
- ➔ მხარის სივრცე, ეფექტურობა
- ➔ მხარის ბაზრის მონიტორინგი
- ➔ პირველი ხარისხის მონიტორინგი
- ➔ მხარის მონიტორინგი

**ფსილუმ - ბალზამი ბაღი**  
მომხმარებლისთვის და მხარის მონიტორინგისთვის

STADA



პიარია ისიც, როდესაც შენს თანამოქალაქეებს აცნობ, თუ რას აკეთებ, რით ცხოვრობ, რომ შემდეგ, „შავი“ პიარის მსხვერპლი არ გახდე

ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად, ხოლო ჩვენ მიერ წარმოებული ახალი პროდუქციის გასაცნობად, რეკლამას მივმართავ ხოლმე. თუ პიარი კარგადაა წარმართული და სამიზნე სწორად არის გათვლილი, მომხმარებელი სწრაფად რეაგირებს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, გვსურდა, აგვეგორებინა ძლიერი პიარი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ვინაიდან ეს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ საერთოდ ყველა მეწარმის პრობლემაა... შესაბამისი პიარი ესაჭიროება ასევე არალეგალური იმპორტის პრობლემას. მინდა ასევე გითხრა, რომ პოლიტიკური პიარისგან განსხვავებით, დღეს საქართველოში არაპოლიტიკური პიარი არცთუ ისე ხშირია, რის უარყოფით შედეგებსაც ვიშვებ ადგილობრივი მეწარმეები.

— ვფიქრობ, დადგა დრო, პოლიტიკურ პიარს შევეხოთ. მით უმეტეს, რომ როგორც თქვენც აღნიშნეთ, თვით პიარის ცნება თავდაპირველად, პოლიტიკასთან იყო ასოცირებული.

**ინო ქვარიაძე:**

— მართალია. საქართველოში ადრე პიარი უფრო პოლიტიკაში იყო მოღერი. დღეს სურათი ნელ-ნელა იცვლება და ბიზნესიც მოიცავს. თუმცა, ჯერ კიდევ მაინც მცირეა იმ კომპანიათა რიცხვი, რომელთაც ბოლომდე აქვთ გაცნობიერებული პიარის აუცილებლობა. ალბათ მიაქცევდით ყურადღებას იმას, რომ ფინანსურად ძლიერი კომპანიები საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ ფესტივალების, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების დასასპონსორებლად. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ისინი ფულს იმიჯისთვის ხარჯავენ. ასეთი აქტივობის გამოჩენა ნამდვილად უწყობს ხელს მათი კეთილგანწყობილი ადამიანების რიცხვის გაზრდას. თუმცა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფათვის ეს ზოგიერთ შემთხვევაში გამაღიზიანებელიც კია... დადებითი იმიჯი რომ ძნელად მისაღწევი და ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ეს განსაკუთრებით კარგად ესმით უცხოეთში. მაგალითად, ცნობილია, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შევი-

ცარიული კომპანია „ნესტლე“ გაიყიდა (2.5 მლრდ გირვანქა სტერლინგად), მისი საერთო ღირებულების მხოლოდ მეხუთედს შეადგენდა კომპანიის მატერიალური ღირებულება – დანარჩენი მის იმიჯზე მოდიოდა... თუ შედარებაზე ვილაპარაკებთ, უნდა ითქვას: პიარის სქემა (კვლევები, ანალიტიკური სამუშაო, PR-სტრატეგიის შემუშავება, კომუნიკაციური აუდიტი, საინფორმაციო უზრუნველყოფა, სწორი მედიაშედეგები) როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში თითქმის ერთნაირია. მაგრამ ბუნებრივია, გარკვეული სპეციფიკა არსებობს, რადგანაც ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის მიმართ საზოგადოებრივი დაკვეთა სხვადასხვაგვარია. პოლიტიკურ პიარში ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის პროფული ნიშან-თვისებები, მით უმეტეს ჩვენს რელობაში, სადაც პოლიტიკური პარტიის წარმატებას მისი ლიდერის იმიჯი განაპირობებს. პოლიტიკოსის იმიჯი საზოგადოების დაკვეთაზე აიკვება. ბუნებრივია, ყველა ის თვისება, რომელიც ელექტორატს სურს, აღმოაჩინოს პოლიტიკურ ლიდერში, მას არ ექნება. მაგრამ შესაძლებელია, მთავარი ღირებულების „გავარჯიშება“ და მათი წინ წამოწევა. ამომრჩეველი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს იმ პოლიტიკურ ლიდერს, რომელსაც „თავისიანად“ აღიქვამს – ანუ რომლის პოზიციაც ყველაზე ახლოსაა მის შეხედულებებთან. სწორედ ელექტორატის და პოლიტიკური ლიდერების პოზიციების ამგვარმა თანხვედრამ ითამაშა უდიდესი როლი ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“.

**მისილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

— პატოსნად წარმართული პიარი პოლიტიკოსისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. პოლიტიკოსმა ზომ უნდა გააგებინოს ადამიანებს, თუ რას აკეთებს, რით სჯობია სხვას?! მხოლოდ იმის იმედად ყოფნა, რომ აი, მე რაღაცას გავაკეთებ, აგურს აგურზე დავდებ და ამას ვინმე დაინახავს, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის.

**— უფრო ხშირად, რაში ვლინდება პოლიტიკოსის პიარი?**

— პატოსანი პიარი – გაკეთებული საქმეების ჩვენებაში, „შავი“ პიარი კი – სხვების ლანძღვა-გინებაში. პიარია ისიც, როდესაც შენს თანამოქალაქეებს აცნობ, თუ რას აკეთებ, რით ცხოვრობ, რომ შემდეგ, „შავი“ პიარის მსხვერპლი არ გახდე.



**ფრანკო ადამიანებს არ შეუძლიათ, მიანიჭონ ძალა სამართალს, ამიტომ სამართალი ძალის სამსახურში ჩააყენეს.**

**ბლემ პასკალი**

**ბენიალური**

ჩვენი დღევანდელი „სასიძო“ — ირაპლი ნოზაძე, იგივე ბიკასო გახლავთ. ის „ქუჩის ბიჭების“ ყოფილი წევრია, ახლა კი სოლო კარიერის გაკეთებას ცდილობს. ირაკლის ჰყავდა მეუღლე, რომელსაც გაეყარა. ახლა ისეთი ადამიანის გამოჩენას ელის, რომელთანაც კვლავ შექმნის ოჯახს და ადრინდელ შეცდომებს აღარ გაიმეორებს... აქვე გეტყვით, რომ მის თავყვანისმცემლებს ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი ელით. თუმცა, ეს ბოლოსთვის გადავდოთ. ახლა კი, ჩვეული თანმიმდევრობით მივყვებით და თავდაპირველად, ირაკლის ოჯახს გავეცნოთ.

# „შახლეთაჲს აღჲს შაჰთაჲთჲს...“ — ოკი სიუჲჲიჲი შიჲთიჲთიჲთიჲს

## მარი ჯაშარიძე

— მამა — თემურ ნოზაძე, დედა — ნანა თოფურია. მყავს ერთი და, რომელიც სამწუხაროდ, ქმართან გაყრილია და ჰყავს შვილი. კიდევ მყავს უმცროსი ძმა, რომელიც 21 წლის გახლავთ. მე შუათანა შვილი ვარ. ყველანი ერთად ვცხოვრობთ ერთ დიდ სახლში.

— ახლა შენ შესახებ გვითხარი რამდენიმე სიტყვა. ბევრი ნაკლი გაქვს?

— რა თქმა უნდა, მთლად იდეალური ადამიანი არ არსებობს და მეც მაქვს კარგი და ცუდი მხარე. არ ვარ ბოროტი ადამიანი, ძალიან მიყვარს მეგობრები... ძალზე რთულია, საკუთარ თავზე საუბარი. ვარ ჩვეულებრივი, ტრადიციების მოყვარული, მართლმადიდებელი ადამიანი. არ ვიცი, რამდენად გამოძის, მაგრამ ყოველთვის ცდილობ, ისე მოვიქცე, რომ გარშემო მყოფების სიყვარული დავიმსახურო. ძალიან მინდა, მყავდეს ჩემი, საკუთარი ოჯახი, სადაც თავს უზომოდ ბედნიერად ვიგრძნობ. საერთოდ, წუწუნია არ მიყვარს, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ იძულებული ხარ, იბუზღუნო და ასეთ დროს, უფრო ხშირად, იმას „ვიმსხვერპლებ“, ვინც ჩემ გვერდით აღმოჩნდება — ქოქოლას დაყავრი ხოლმე.

— ხშირად ბრაზდები?

— არც ისე ხშირად. მაგრამ თუ გავბრაზდები, ყოველთვის „საფუძვლიანად“. აი, კიდევ ერთი ცუდი თვისება — გაბრაზებისას ვივინები და ვბილწისტიყვარ.

— ნასვამი როგორ ხარ?

— ფანტასტიკური სიმთვრალე მაქვს. ამ დროს, შეუძლებელია ჩემი გაბრაზება. სულ ვხუმრობ და სიყვარულის ხასიათზე ვდგები. როდესაც ქეიფს ვამთავრებ, მაშინვე საწოლისკენ მივდივარ. საკმარისია, ბალიში დავინახო, რომ მაშინვე მისკენ მივიწვევ, ვწვები და ვიძინებ. არ მიყვარს უაზრო ხეტიალი და აქეთ-იქით წანწალი.

— ახლა შენს გემოვნებაზე ვისაზრობთ. როგორი გოგონები მოგწონს?

— იცი, საქმე რაშია? ბუნებრივია, რომ ქალი უნდა იყოს ლამაზი, მაგრამ მის მოხდენილ ტანსა და სახის ნაკეთებს იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რამდენსაც მის ხასიათსა და თვისებებს. ხშირად ყოფილა ჩემ გვერდით ლამაზი მანდილოსანი, რომელსაც ჩემთვის მიუღებელი თვისებები ჰქონია. ყველაზე მთავარია ის, რომ ძალიან ვუყვარდე, ჩემი მინუსებითა და პლუსებით. პირველ რიგში, უნდა შეიყვაროს ჩემი „ცული“. ყოფილა შემთხვევა, რომ ქალთან თავს ძალზე კარგად ვგრძობდი, ფანტასტიკური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ჩემმა ერთმა უარყოფითმა თვისებამ ყველაფერი გადაწონა... ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ უარყოფითსკენ მაქვს მიდრეკილება და ვითხოვ, რომ ქალმაც ასეთი შემთხვევარს. შესაძლოა, დროდადრო ჩემში რაღაც ცუდმა თვისებამ იმძლავროს, მაგრამ შემდეგ, ამას აუცილებლად დავაღწევ თავს.


— შენ თუ შეიყვარებ ქალს, რომლის უარყოფით თვისებებსაც დაინახავ?

— რა თქმა უნდა, შევიყვარებ. როდესაც მისგან დიდ სიყვარულს ვიგრძნობ, შეუძლებელია, რომ ეს უპასუხოდ დავტოვო. ეს ხომ ტკივილს მიაყენებს. მე კიდევ, არ მინდა, რომ ვინმეს გული ვატკინო...

— რა უნდა მოჰყვეს მზითვად პატარძალს?

— მე მხოლოდ გული მჭირდება — გული, რომელიც ჩემთვის ძვერს. სხვა, მისი არაფერი მინდა. მე მამაკაცი ვარ და ვაღივლებელი ვახლავართ, რომ ჩემ გვერდით მყოფი ქალი თავს დაცულად, ლამაზად და ლაღად გრძნობდეს. მზითვი არ მაინტერესებს. თუ რაიმე ექნება, ხომ ორივეს მოგვხმარდება?.. თუ არა და, ამის გამო უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩები.

— განათხოვარ ქალს თუ მოიყვან ცოლად?



— განათხოვარს?... ალბათ მოვიყვან, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დავინახავ, რომ ჩვენი ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ. რა თქმა უნდა, ძალზე დიდი ბარიერის გადალახვა მომიწევს...

— ბარიერში რას გულისხმობ? ოჯახის მხრიდან განეულ წინააღმდეგობას ხომ არა?

— არა, ოჯახის წევრები ჩემი სურვილის წინააღმდეგ არ წავლენ. მათთვის მთავარია — მე რა მინდა, რადგან ცოლი მე უნდა მოვიყვანო. რასაკვირველია, ინერვიულელებენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არც მე და არც ჩემს მეუღლეს ამას არ გვაგრძობინებენ. შესაძლოა, მართლაც რომ დარჩებიან, თქვენ — ასე არ უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ავგობდით, — და მსგავსი რაღაცები, მაგრამ ჩვენი თანდასწრებით ამას არ გააკეთებენ. თქვენ იცით, რომ მე მყავდა მეუღლე, რომელსაც რაღაც სისულელეების გამო გავყვარე. გამოცდილება მაქვს, ამიტომ იმავე შეცდომას ნამდვილად აღარ დავუშვებ. იყო პერიოდი, როდესაც ჩემს მეუღლეს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი, გულს ვტკენდი. მსგავს რაღაცებს ნამდვილად აღარ გავიმეორებ.

— ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობა ისევ გაქვს?

— არა. გვქონდა იმის მცდელობა, რომ გვემეგობრა, მაგრამ არ გამოვივიდა. სამწუხაროა, მაგრამ ასეა... ზოგჯერ ღმერთი უშვებს ასეთ რამეს... რომ გეტკინება, მერე მიხვდები, რა არის ცუდი და რა — კარგი. მე არ ვამბობ, რომ მხოლოდ მე მეტკინა... ჩემი მაგალითიდან გამომდინარე,

ყველას ვურჩევ, რომ გაუფრთხილდეს საყვარელ ადამიანს, თორემ მერე, მთაც რომ გადადგას, აზრი აღარ ექნება. მე ძალზე ბევრი ვეცადე, რომ სიყვარული გადამერჩინა, მაგრამ ამან უფრო უარყოფითად იმოქმედა. შესაძლოა, არ ვარ ის ადამიანი, რომ ვიღაცას გონის დაკარგვამდე ვუყვარდე, მაგრამ არც ისეთი ცული ვარ, რომ ვეზიზღებოდე... 4 წელი ვიცხოვრეთ ერთად. სამწელიწად-ნახევარი ძალზე კარგად ვიყავით. ფანტასტიკურად ვვრძობდით თავს ერთად. სულ რამდენიმე თვეში ყველაფერი დაიწერა. როგორც იტყვიან ხოლმე, დადგა ცხოვრების „მავი ზოლი“ და მაშინ მივხვდით, რომ თურმე, ყველაფერი კარგად არ გვექონია. ვერ გადავლახეთ ცხოვრებისეული ბარიერი ერთად. იმ პერიოდში, რაღაც სულიერ დისკომფორტს განვიცდიდი და ამის გამო ბევრი რამ გავაფუჭე. ძალზე ვატკინე გული ჩემს მეუღლეს. ამას ვაღიარებ. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი „მაგრამ“: როდესაც ადამიანს რაიმე ეშლება, თუ გიყვარს, უნდა შეძლო მისი პატიება. მით უმეტეს, როცა ის ადამიანი თავის შეცდომას ნანობს და ცდილობს, გამაასწოროს, რაღაც დათმობაზე უნდა წახვიდე...

**— ბავშვობაში როგორი იყავი?**

— ცელქი, ჯოუტი, ურჩი... როგორც მასწავლებლები ამბობდნენ — ძალზე ნიჭიერი. ერთი სული მქონდა, ეზოში როდის ჩავიდოდი, რომ რაც მინდოდა, ის მეკეთებინა... მაგრამ კარგი თვისება ის მქონდა, რომ მასწავლებელს ვუსმენდი და გაკვეთილს იქვე ვსწავლობდი. შინ საერთოდ არ ვმეცადინებოდი...

**— რას გვეტყვი შენს თავყანისმცემლებზე? თავს ხომ არ გაბეზრებენ?**

— ის ტიპი არ ვარ, რომ ვთქვა — აუ, თავყანისმცემლებს ვერ ავუღივარ, თავს მამებრებენ-მეთქი!.. გოგონები სიმპათიას პატარა საჩუქრებით გამოხატავენ ხოლმე. მიძღვნიან თავიანთ ლექსებს, ჩანაწერებს, სათამაშოებს. ამ ყველაფერს ვინახავ და ვუფრთხილდები. თავყანისმცემლებთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ. „ქუჩის ბიჭები“ ახალი ჩამოყალიბებული იყო და თბილისში პირველ კონცერტებს ვმართავდით. ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი სიმპათიური და განსხვავებული განსაზღვრებით მოვიპოვეთ გოგონების კეთილგანწყობა. მე ძალზე კონტრაქტური ვარ. დანარჩენი ბიჭები ამჯობინებდნენ, რომ თავყანისმცემლებთან ასე თუ ისე რაღაც დისტანცია დაეცათ. ჩემთან ნებისმიერ გოგონას შეეძლო, დაერეკა და სათობით ესაუბრა. ამის გამო, ჩემ გარშემო უამრავი ლამაზი გოგო ტრიალებდა. დავუნიშნავდი პაემანს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... შემდეგ, რომ გადავწყვეტიდი, რომ საჭირო დროს, საჭირო, გაზეპირებული, გულის ამჩუყებელი ტექსტი მეთქვა, გოგ-

ონა მომიბრუნდებოდა და მეტყვოდა: იცი, მე ზურა (ხაჩიძე) მომწონს, მიღი, რა, გამაცანი!.. ასე ბევრჯერ მომხდარა. ვგოყდებოდი ხოლმე, ვბრაზდებოდი და ვნატრობდი, რომ ზურა ჩემი ძმაცაი არ ყოფილიყო — რომ ან მეცემა, ან სხვანიარად გავსწორებოდი, მაგრამ რა უნდა მექნა?.. გაებრაზდებოდი და ძორჩა. ძმაცაი რომ არ ყოფილიყო, ვიცოდი, რასაც ვიზამდი...

**— „ქუჩის ბიჭებთან“ ისევ მეგობრობ?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ საქმიანობაში დავემორღეთ ერთმანეთს, თორემ, ძმაცაი-ბა ისეთი რამ არის, რასაც ვერაფერი დაანგრევს...

**— ჯგუფიდან წამოსვლამ შენს პოპულარობაზე როგორ იმოქმედა?**

— ვაღიარებ, რომ ჩემი პოპულარობის დონემ დაიწია. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს დროებითია. ჯერ ღირებული არაფერი გამიკეთებია — მხოლოდ ერთი სიმღერა (და კლიბი) ჩავწერე. მინარია, რომ ეს სიმღერა ხალხმა შეიყვარა. მომავალში — ვნახოთ... ასე მუშაობა გაცილებით იოლია. წინათ, 4 ადამიანის აზრი უნდა გამთვალისწინებინა. ახლა კი, მხოლოდ ჩემი გემოვნების „მუსიკაზე“ ვიმედობ. სამაგიეროდ, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ...

**— პროფესიით ვინ ხარ?**

— თურისტი. დავამთავრე საერო ინსტიტუტ „თორის“ ოურიდიული ფაკულტეტი. შემდეგ მქონდა შემოთავაზება — მეპუმავა საკმაოდ სოლიდურ ადგილზე სპეციალობით, მაგრამ მივხვდი, რომ სათანადო ცოდნა არ მქონდა. ამიტომ, გადავწყვიტე ჩემი სპეციალობა საფუძვლიანად შემესწავლა და ჩავაბარე უნივერსიტეტში, იმავე ფაკულტეტზე. თუმცა, არ დამიმათავრებია — მესამე კურსიდან, სწავლას თავი დავანებე. ახლა ახალ „პროფესიას“ ვითვისებ: გადავწყვიტე, დიდი კონცერტი გავმართო. ბოლო დროს, საქართველოში ყველაფერი შეიცვალა, ცხოვრება უკეთესობისკენ მიდის, კანონმა დაიწყო მოქმედება... თბილისში კი შეინიშნება

გასართობი ღონისძიებების ნაკლებობა. ამიტომ გადავწყვიტე, მოვაწყო ისეთი კონცერტი, რომლის მსგავსიც ჩვენს დღეა-ქალაქს არ ახსოვს. პირველი ოქტომბერი გვიჩვენებს, რამდენად კარგად გავართმევ თავს ამ საქმეს.

**— თუ შეგიძლია, რომ მარტო იცხოვრო და ყოველმხრივ მოუფარო საკუთარ თავს?**

— კი, როგორ არა?! ამისთვის ჩემი მშობლების მაღლიერი ვარ, რადგან დამოუკიდებლობას მიმაჩვიეს. 13 წლიდან, საკუთარ თავს მატერიალურადაც კი უზრუნველყოფდი. ვმუშაობდი აკომპანიატორად, ვუკრავდი გარმონზე და მქონდა ჩემი ხელფასი, რომელსაც საჭიროებისამებრ ვხარჯავდი. როდესაც „ქუჩის ბიჭები“ შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, თბილისში გადმოვსულიყავით, ჯიბეში სულ 18 ლარი მქონდა. ამ თანხით დავიწყე და ბოლოს, ღვთის მადლით, რაღაცას მივაღწიე... შემძლია გავიმზადო კერძი, გავირეცხო არ დავიკერო ტანისამოსი... სხვათა შორის, მიყვარს კიდევ ამის კეთება. როდესაც ცოლი მყავდა, ხანდახან მე ვაკეთებდი კერძს და მეუღლეს ვეპატივებოდი ჩემს მომზადებულ ვახშამზე ან სადილზე.


**— შიმშილი შენს სასათბო უარყოფითად ხომ არ აისახება?**

— საერთოდ, ისეთი მჭამელი არ ვარ, რომ ერთ ჭამაზე ერთი ცხვარი შეეჭამო. მაგრამ შიმშილი მაინც უარყოფითად მოქმედებს, თუმცა ცულ განწყობაზე არ მაყენებს. შესაძლოა, ხუმრობით გამოვხატო და დავიყვირო — მშიააა! — ან რაიმე მსგავსი. ამის გამო არასოდეს ვვჯუჯლუნებ. თუ 3 დღე მამშობილეს, რაღა თქმა უნდა, ვიჩხუბებ, აბა, რას ვიზამ?

**— თუ დაინტერესდები, ვინ გამოემთავრება შენს ინტერვიუს?**

— აუცილებლად დავინტერესდები. მინდა, ჩემს თავყანისმცემლებს ვუთხრა, რომ იჩქარონ, რადგან ამ ბოლო დროს, ძალზე დავესვდიან და თითქოს სიცარიელეს ვგრძნობ. დავიღალე მარტობით და შესაძლოა, მართლა გამოჩნდეს ის, ვისაც მე ველი. მეტსაც გეტყვი: იმ ორ გოგონას, ვისი მეისივიც მომწონებ, სიურპრიზი ელის...

ვისაც „პიკასოსთან“ დაკონტაქტება გსურთ, შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მე კი გული არ მითმენს, რომ სიურპრიზი არ გავიმხილოთ: იმ ორ გოგონას, რომელსაც ირაკლი ამოირჩევს, მომღერალი საჩუქრად მიართმევს ბილეთს, პირველ ოქტომბერს მის კონცერტზე დასასწრებად, კონცერტზე მისულებს კი, მათ „სახიდოსვან“ სამახსოვრო საჩუქარი გადაეცემა...



ყველას ვურჩევ, რომ საყვარელ ადამიანს, თორემ მერე, მთაც რომ გადადგას, აზრი აღარ ექნება



„გზის“ წინა ნომერში ამ რუბრიკით გიორგი ირავილიძე წარმოგიდგინეთ. ბუნებრივია, რომ 17 წლის „სასიძოს“ სულ ტინეიჯერი „საპატარძლოები“ გამოეხმაურნენ. ცხადია, მათ მისოვებს გაგაცნობთ. მაგრამ მანამდე, რედაქციაში მოსული სტუმრის შესახებ გიამბობთ.

ნათია ქარელიძე 17 წლის გასლავთ. წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სტუდენტიც გასდა. ის და გიორგი ბავშვობის მეგობრები ყოფილან. ნათიას სურს, რომ გიოსთან ძველი მეგობრობა აღადგინოს. გოგონამ ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათიც მოგიტანა, სადაც გიოსთან ერთადაა გადაღებული. იქ ისინი სულ 2-2 წლისანი არიან. როგორც ჩანს, გიო მოუსვენარი ბავშვი ყოფილა. მარცხენა თვალთან თავს გადახდენილი რომელიღაც ორთაბრძოლის კვალიც ეტყობა— ახლა კი „სასიძოს“ სახელზე მოსულ გამომხაურებებს გავეცნოთ.

# Tu gagimarTlebs, Sesazloa, colad gamogyve...

## მარი ჯაფარიძე

„გიორგი, ძალიან დამეკასე. თან, არც სუჭუჭი თმა მაქვს. ვარ 180 სმ სიმაღლის. მარი“.

„გიო, ძალიან სიმპათიური ხარ. ვიცი, უზროდ ვოცნებობ და მანც ვცდი ბელს — ცლა ხომ ბელის მონახევრეა. ბედნიერი იქნე“.

ბა გოგონა, რომელიც შენ გვერდით იქნება. ვისურვებ საუკეთესო მომავალს“.

„გიო, ძალიან სიმპათიური ბიჭი ხარ. მეც შენსავით ჯიუტი ვარ და ამ სიჯიუტის გამო ბევრჯერ მოვიტეხე კისერი. არც დაბალი ვარ და არც შეუხედავი. კარგი იქნება, თუ შევხვდებით და ვიმეგობრებთ. თუმცა, ამის იმედი არ მაქვს. ეთო“.

„გიორგი, მართალი რომ ვითხრა, არასოდეს დავინტერესებულვარ შენით, მაგრამ როგორც ინტერვიუდან ჩანს, ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ. რაღა დამჩენია, მინდა წარმატება ვისურვო. აბა, შენ იცი! სალი“.

„გიო, შენ რა ჩემნადი „ჯართი“ ხასიათი გქონია? მარი“.

„გიოს შორიდან ვიცნობ და მისი ავტორაფიც მაქვს. მაგრამ ჩემი შესაფერისი არ არის, რადგან მასზე გაცილებით დაბალი ვარ. „ისტერიკა“.

„გიოს „პრივეტები“. არც დაბალი ვარ და არც თმასუჭუჭა. თან განათლებულიც ვარ. მაგრამ 5 წელი ლოღინი? თუმცა

# სოხო პრობლემად ხომ ახ გვექცევს . . .

ზაფხულის შუა მდობს აერებს და ჩვენი იტხეხის და ვარაობისკენ ვარწმუნებს გული. მაგრამ ზაფხულის დადგომისთან ერთად თავს იტებს. ერთი ზეხვევით, ძაბვით, მაგრამ საცხოდ სერაილული პრობლემს — სოკოვანი დაავადება. ამ დაავადების განვითარების ხელშეწყობის ფაქტორებია ტენიონობის მომატება, ქარში ოფლიანობა, არაღამსკნოფილური სეზონური პაროტიზი და სხვა. ამასთან, ზამთრის შემდეგ პერიოდში ორგანიზმის იმუნური სისტემის ინტენსიური დასუსტებულია და შესაძლებელია „პრობლემის“ სოკოვანი დაავადების და გააქტიურების ამის შედეგად კი ზამთრის არა ერთი ორგანო, მათ შორის ფრთხილდება, ფეხის ტერფები, სოკოვანი კანი და რაც შეეძლება მანტილოვანია, სოკო დაავადება აღწევს სისტემის ორგანოების ლორწოვანში და იტყვის ვადილურ კანდიდოზს.

ლოკალიზაციის მიხედვით სოკოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ულუჯივანობის შემთხვევაში — გამწვანება, ქველი წყარო ტერფის სოკოვანი დაავადების დროს — ფეხის თათვიშეუ კანის დაზიანება, ქველი, ზეწი ფრთხილუბის მკოხეხის დროს — ფრთხილუბის ზედაპირის დაზიანება, ატრეცია, ფეხის შუადა მტარეალობის და სხვა.

თველით ამან კი შეიძლება გადგეხის იტეხი ამოღებული განყოფილება, ვერც მიაღლი და ღამში ფრთხილუბის იამბეოთ, ვერც ზეფური იტხის ქსტეხშით და ვარაუდით, უღარც ზეფურელ აფამინთან ერთად ვაატარიოთ სინამოხეოდ ვრო.

რე შემწვებთან სოკოვანი დაავადების პრობლემის მოგვარებაში პრესტატე „პრობლემის“ (ფლუკონაზოლი) დეგებრეხია. ძალი თაობის სისტემაური მოქმედების პრესტატე „პრობლემის“ სერაოდ და უდეტურიად მოქმედებს სედასიზე ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კონსტუტ გამოვლიტეხზე „პრობლემის“ შილიოდ ერთი კოხელი (150მგ) ვერაში ვარხელ (თხის კარის მანძილზე) უბრუნედელოდ სოკოვანი დაავადებისკენ განკურნებას.

სოხო სოხოვანი ობ რეკლამა, სოხო სოხოვანი ობ რეკლამა  
სოხოვანი სოხოვანი ობ რეკლამა



ღირს! მერე თუ გინდა, ავეჯი ერთად გადავაადგილოთ ხოლმე. ქრისტი“.

„გიო, გამოძეხმურე. ძალიან მომწონებ მეც ხელოვნებას ვეძიებ. ფერმწერი ვარ, 15 წლის. დამიკავშირდი. მეონი ერთმანეთს გავუგებთ. გელოდები. ნათია“.

„ეპ, არადა, რა კარგი ტიპი ხარ! მაგარი რთული ხასიათი და არარეალური მოთხოვნები გაქვს. ვერაფრით შევეწყობით ერთმანეთს, თორემ, ჩვენზე უკეთესი წველი ღუნიაზე არ იქნებოდა“.

„გიო, საკმაოდ კარგად მსჯელობ. ვაფასებ განათლებულ ადამიანებს, წარმატებებს ვისურვებ და შენი ცხოვრება შენი სურვილისამებრ წარმართულიყოს. ნათია“.

„გიო, არც დაბალი ვარ, არც თმახუჭუჭა. ვარ 1,75 სმ სიმაღლის, 55 კგ შეგვეგრძემანი და ეშხიანი. დიდი სურვილი მაქვს, რომ გაგიცნო. თუ არ დამირეკავ, პირადად მაინც გაგიცნობ. ნინო“.

„გიო, შესაძლოა, ჩემი მესიჯი არც წაიკითხო, მაგრამ მე მაინც მოგწერ. ვარ 15 წლის, ვსწავლობ „უცხო ენებზე“, კერძოდ, ინგლისურსა და იტალიურს შევისწავლი. მეც წელს ჩავაბარე... გელოდები. ციცი“.

„ახლა არ დაგიწყებ, ძალიან მიყვარხარ და დამირეკე-მეთქი. ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, ძალიან ჯიუტი. მეც დავდივარ მაღაზიებში, მეგობრებთან, ვსეირნობ, ვჭამ და მძინავს... აი, ინიციტიავაც გამოვიჩინე, თუმცა, ჩემი სტილი არ არის. არ გეტყვი, შემიფარე-მეთქი. თუ გინდა, მეგობრები ვიყოთ. თეა“.

„არც მსუქანა ვარ, არც ხუჭუჭითიანი. არც შენაირი ტიპებზე ვგოფდები. თუმცა შესაძლოა, რაღაც გამოგვივიდეს. ვიცი, ამაყ ხარ. მეც ასევე. P.S. ისე, 5 წელი არც მე ვაპირებ გათხოვებას. ლანკა“.

„გიორგი, შენთან საქმიანი წინადადება მაქვს. ვარ მომავალი მსახიობი. გარეგნობით ვერ დამიწუნებ. თუ გაგიმართლებს, შესაძლოა, ცოლად გამოგყვე, ოღონდ – არა იმიტომ, რომ შენზე ვგოფდები. უბრალოდ, რეჟისორი ქმარი მაწყ-

ობს. შენ კი, მარტო ჩემი სილამაზით შეგაყვარებ თავს. გაწყობს?“

„ეპ, გიო, სანამ შენი ოჯახი შენთვის საცოლეს შეარჩევს, 5 წელი კი არა, ალბათ მარადისობა გაივლის“.

„გიო, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ დაღინება გაკლია. ნეტავ, მამაშენი შენნაირი იყო, როცა 17 წლის იყო? ან შენ თუ დაემსგავსები მამას, რომ გაიზრდები?.. თუ ასეა, ძალზე სიმპათიური იქნები და შესაძლოა, ბევრი ქალის გულიც მოიგო“.

„გიო, როგორც ჩანს, თმასუჭუჭა გოგოების გშურს, რადგან შენ სწორი თმა გაქვს. ხვეული თმა მაქვს, მაგრამ ვერაფრით დამიწუნებ. რომ მნახო, გეფიცები, აზრს შეიცვლი და მერე იტყვი, მარტო თმასუჭუჭები მომწონს“.

„გიო, ისე მიყვარხარ, ისე, რომ სიტყვები არ მყოფნის, გამოვხატო. ერთ საიდუმლოს გაგიმხლო. ჩემს დაქალებს ვუთხარი, გიოს კარგად ვიცნობ და საღამოობით ერთად დავსეირნობთ, მთელი ღამე კი, ტელეფონით ვსაუბრობთ-მეთქი. იცი, როგორ შურთ ჩემი? ლამის შუაზე გასკდნენ... ერთხელ ისეთ ღროს დამირეკე, როცა მათთან ერთად ვიქნები და მერე ნახე მათი გაგიუება“.

„გიო, შენ პაწია „სასიძო“ ხარ, მე კი ციცქნა „საპატარალო“. სიამოვნებით გაგიცნობდი ახლოს. მაღალი, გამხდარი, შავთმიანი გოგო ვარ, დიდი, ცისფერი თვალებით. მეტსახელად „ხატულას“ მეძახიან. ისე კი, ცირა მქვია“.

„ამას წინათ, დიდი ცისარტყელა დაგინახე და მითხრეს – თუ ცისარტყელას გადაახტები და სურვილს ჩაიფიქრებ, აუცილებლად ავიხდებო. აბა, როგორ გადაავახტებოდი? არადა, ისე ძალიან მინდოდა, რომ ლამის ვიტირე. ჩაიფიქრებდი, რომ შენი შეყვარებული გავმხდარიყავი“.

„შენ ისეთი კარგი ხარ, სხვისთვის მენანები, ფარული ოცნება ღრუბელმა შენისლა, აღარ შემიფარდე, დახუჭე თვალები, კაცისა კი არა, დამფრთხალი შევლისა. გიო, მიყვარხარ უზომოდ. იცი, რა კარგი ხარ? არა, შენ ნამდვილად არ იცი“.



# «ორს რომ ოცი დააკლებს – დრო, რომლის მთელი სსოვნება დაემახსოვრება»

**ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმარია თეონა თავართქილაძე. მისი გულისთვის თავგანისმცემლები თურმე, უამრავ სიცილს სჩადიოდნენ და ქურდობაზეც კი არ იხევედნენ უკან. ახტაჯანა და მოუსვენარი თეონა სიყვარულს სხვაგან დასხვანაირად გამოსახტავდა. გადაამწყვეტ მომენტში კი უჭირდა იმის აიღარება, რომ შეყვარებული იყო...**

## მერი კობიაშვილი

– ბავშვობაში ძალიან ახტაჯანა და მოჩხუბარი გოგო ვიყავი. ჩემს დას სოფიკოს და მამიდაშვილებს ვერეოდი კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ასაკითაც და აღნაგობითაც მათზე პატარა ვიყავი. პირველ-მეორე კლასში სიყვარულსაც ჩხუბით გამოვხატავდი. ერთი ბიჭი მიყვარდა. მისმა მშობლებმა სკოლაში იჩიველეს: თეონა ჩვენს შვილს სცემს, სულ დალურჯებულაო. ამას სკოლაში ჩემი მშობლების დაბარება მოჰყვა. მოსთხოვეს, იმ ბიჭს ახლოსაც აღარ გაგკარებოდი. რამდენიმე წლის მერე, ცოტა დავნაზდი. 12-13 წლისა, თავგანისმცემლებთან ერთად ძირითადად, ვაკის პარკში მივდიოდი ხოლმე. ოღონდ – ჩემი დაქალების თანხლებით. ამ გასეირნებებს, პაემნებსაც ვერ დავარქმევ. აი, 14 წლისას კი, სერიოზულად შემიყვარდა. პირველად პაემანზე მასთან წავიდი. ორივემ ვიცოდით, რომ ერთმანეთისთვის უნდა გვეოქვა – მიყვარხარო;



ნათია ქარელიძე, 17 წლის



ნათიას სურს გიორგისთან 15 წლის წინანდელი მეგობრობა აღადგინოს (ნათია და გიორგი 1989 წელს)

ამისთვის სერიოზულად ვემზადებოდი. ფუნქციონირებ აველით. იმ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა და მკითხა — შენ თუ გიყვარვარო? მე ძალიან სერიოზული სახით ვუთხარი: რა სისულელეა?! არამეთქი... ფუნქციონირებოდი რომ წამოვედი, სახე ჩამოტიროდა, ის ბიჭიც მამშვიდებდა, — კარგი, ნუ მოიწყინებ, არა უშავს, თუ არ გიყვარვარო, — მეუბნებოდა... შინ რომ მოვედი, სოფიკომ და მაკამ (ასათიანმა. — ავტ.) მკითხეს — როგორ ჩაიარა პაემან-მაო? მოუთქვამდი და ისე ვუყვებოდი, რაც ჩავიხსენებ. ორივენი გაცვივდნენ სახლიდან; მოძებნეს ის ბიჭი და უთხრეს — რაც თეონამ გითხრა, ტყუილია, ძალიან მაგრად უყვარხარო... ასე გაიგო იმ ბიჭმა, რომ მიყვარდა. მას საკმაოდ დიდხანს ვხვდებოდი. ხშირად ვხვდებოდი და ვრიცხავდი ხოლმე. სხვათა შორის, ეს წლები — 13-დან 17 წლამდე — ძალიან კარგად მახსენდება. ეს ის პერიოდია, როცა აღმინანს ვერ არაფერი ცუდი არ შეგხვებია და ყველაფერი ამ ცხოვრებაში ცისფერად და ვარდისფერად გეჩვენება...

**— პაემანზე წასასვლელად როგორ ემზადებოდი ხოლმე?**

— მასსოვს, ერთი მოკლე კაბა მქონდა, წითელი და შავი ზოლებით. ძალიან მიყვარდა. პირველ პაემანზე ის კაბა ჩავიცვი. იმ პერიოდში დედაჩემი მოსკოვში წავიდა. დავაბარე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩამოეტანა ჩემთვის. ახლა შეიძლება, აღარავის გაუკვირდეს, 14 წლის ბავშვს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი რომ აცვია, მაგრამ ჩემს დროს, ეს წარმოუდგენელი იყო. თან, მე, 14 წლისას, კიკინები მქონდა და მთლად ბავშვს ვგავდი. მაგრამ ისე მინდოდა, პაემანზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით წავსულიყავი, რომ დედაჩემს სცენები მოუწვევდეს და მანაც ჩამომეტანა. კარგად მახსოვს, შავი ლაკის ფეხსაცმელი იყო, პატარა ქუსლით, მაგრამ ქუსლის სიდიდეს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც მთავარია, ხომ ბაკუნობდა?! ამ ფეხსაცმელში გამოწყობილი პირველად, ფილარმონიაში წავიყვანი კონცერტზე, სადაც ჩემი შეყვარებულიც იყო. მოკლედ, მთელი საღამო ვიბაკუნე და უბედნიერესი ვიყავი... ერთხელ კი, დედაჩემის თვალის ფანქარი ჩემად ავიღე და თვალი ქვემო-დან შევიღებე. რატომღაც ვიფიქრე, ზემოდან რომ არ მქონდა შეღებილი, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ფანქარი მესვა. პაემანიდან დაბრუნებული, დედაჩემმა თვალეჩა-შავებული რომ მჩანხა, გადართია, მაგრამ მე ბოლომდე ვუმტკიცებდი: რა სისულელეა?! ფანქარი არ მისვია-მეთქი!..

**— სიყვარული შენზე როგორ მოქმედებდა?**

— დავიწყე ლექსების წერა, რომლებსაც რა თქმა უნდა, არავის ვაკითხებდი. სწავლა, რასაკვირველია, კარგად არ დამი-

წყია, მაგრამ ცუდადც ვერ ვისწავლიდი. რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და საშინელი სიმკაცრე იყო. მე და ჩემი და ერთ კლასში ვსწავლობდით და დავალებებს მას ვაწერინებდი ხოლმე. სოფიკო, რომ იტყვიან, ნამდვილი ფრიალოსანი იყო. სკოლის კომკავშირის მდივანად დანიშნეს. თითქმის ყოველთვის ვხვდებოდი იმ ბავშვებს შორის, ვისაც სიტყვების გამო სჯიდნენ. ჩემი და ყოველთვის წითლდებოდა ამის გამო და სულ მეჩხუბებოდა ხოლმე.

**— თავყვანისმცემლებისგან გან-ბივრებული იყავი?**

— რადგან რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, ძირითადად, სომეხი და რუსი თავყვანისმცემლები მყავდა. ის ბიჭიც, რომელზეც ვითხარით — პირველ-მეორე კლასში მიყვარდა და ცვემდი-მეთქი, — სომეხი იყო. არტური ერქვა. ბებიჩემი იტყოდა ხოლმე — ჩვენს ქერა თეონას, სკოლიდან სულ შავი სომხის ბიჭები აცილებდნენ. ამის გამო, მას თავის მოკვლა უნდოდა...

**— ბიჭები სიყვარულს როგორ გიმტკიცებდნენ ხოლმე?**

— ერთმა თავყვანისმცემელმა დაბადების დღეზე ძალიან დიდი სათამაშო გნომი მომიტანა. როგორც აღმოჩნდა, ვაკის პარკიდან ფოტოგრაფისთვის მოუპარავს. რაც მთავარია, პოლიციამ მიაგნო მის კვალს და სთხოვდა, უკან დაებრუნებინა, მაგრამ ის ამაზე ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა, ეუბნებოდა — მირჩევნია, დამიჭიროთ, ვიდრე უკან დავებრუნო... ბოლოს, მეც გავიგე, რომ გნომის გამო, ის ბიჭი ციხეში მიდიოდა. მისგან მაღულად დაუბრუნე ფოტოგრაფს. შეიძლება, იმ ბიჭს ახლაც ჰგონია, რომ ის გნომი მე მაქვს.

**— იმ ბიჭს ასეთი თავგანწირვა როგორ დაუფასდა?**

— ძალიან დიდი ხნის ამბავია. მას სერიოზული გაგრძელება არ მოჰყოლია. ისე, ჩვენ დღემდე ვემგობრობთ.

**— მომავალ მუფლესთან პირველმა პაემანმა როგორ ჩაიარა?**

— კარგად მახსოვს, პირველად, რეზიმ დამით, ორს რომ ოცი წუთი აკლდა, მაშინ მომაკითხა. ეს ჩემს ოჯახში წარმოუდგენელი ამბავი იყო. ტელეპროგრამა „ვრემისა“ „ქულის“ მუსიკა რომ იწყებოდა, შინ მაშინ უნდა ყვოფილიყავი. ვინმეს დაბადების დღეზე მაქსიმუმ თერთმეტ საათამდე შექმელო დარჩენა. ამ დროს კი, რეზიმ დამის საათებში მომაკითხა!.. ბიჭები სადღაც ყოფილან. დამირეკა, მითხრა — გამოვივლიო. მეც ისე მინდოდა მისი ნახვა, რომ დავთანხმდი. მოდი-მეთქი, — ვუთხარი, მაგრამ სახლიდან გასვლა ხომ უნდა მომეხერხებინა?.. მერე ბებიჩემი სულ მეუბნებოდა — ის ბიჭი კიდევ, ორს რომ ოცი წუთი დააკლდა, მაშინ უნდა

მოვიდესო?.. ამიტომ ეს დრო მთელი ცხოვრება დამამასსოვრდა.

**— პაემანზე რაიმე კუროზო თუ გადაგხდენია თავს?**

— ერთხელ ბიჭმა, რომელთანაც ვემგობრობდი, სიყვარული ამიხსნა. წყნეთში ავტობუსის გაჩერებასთან ვიდექით და მაშინ მითხრა, რომ ასეთი რამ დაემართა... ისე დავაბინე, რომ მთელი პარკი მზესუმზირა შევყავარე სახეში, ოღონდ, რატომ — არ ვიცი... ის ბიჭი ძალიან გაბრაზდა ჩემზე. ჩემს მემგობრებს ეკითხებოდა — რა ვუთხარი ისეთი, რომ მთელი



თეონა თავართქილაძე ქმარ-შვილთან ერთად

პარკი მზესუმზირა დამაცალა თავზეო?.. ალბათ, ასეთი რეაქცია იმიტომ მქონდა, რომ იმ ბიჭისგან სიყვარულის ახსნას არ მოველოდი.

**— როგორ ფიქრობ — პაემანთან დაკავშირებული რაიმე წესები არსებობს?**

— არანაირი კანონები არ არსებობს. გოგონებსაც ვურჩევდი, რომ პაემანზე თავდაჯერებული წავიდნენ. სარკემი რომ ჩაინედავენ, თვითონვე უნდა მოეწონოთ საკუთარი თავი და ყველაფერი კარგად ჩაივლის. არ არის აუცილებელი, ძალიან ძვირფასი ტანსაცმელი ჩაიცვან და პაემანზე დაავიანონ.

**— თუ გოგო პირველი მივიდა პაემანზე, სომ ცუდია?..**

— რატომ?.. ხომ შეიძლება, ბიჭი სადმე შეყოვნდეს, ამის გამო შეგვიანდეს?.. თუ ადრე მიხვდები პაემანზე, ამით არაფერი დამავდება. გოგოს შეუძლია, სადმე კეკლუცად ჩამოჯდეს. ბიჭი შორიდან დაგინახავს, რომ ელოდები და ამან შეიძლება, უფრო კარგი ეფექტი მოახდინოს. ასე რომ, გოგონებო, რაღაც უაზრო წესებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას და იმოქმედეთ ისე, როგორც გული ვიკარნახებთ.

# პირი დახსნობს რას ჩინოვნიკს შეილება?

## ახახუნდოვანი ძმების მკვლელობაში ჩეხეთიოხებთან ერთად მომავად პედაგოგზეც აიღეს ეჭვი



თუმცა, „ოპერების“ ეჭვის ობიექტად პირველსავე დღეებში იაროსლავლის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველკურსელი – ალექსანდრ პრიშინი იქცა. მის შესახებ გამოძიებას ექთანმა აცნობა. ექთანის თქმით, პრიშინი მან მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე შემთხვევის ადგილზე – ბინაში ნახა, მაშინ, როცა ავადმყოფს – 12 წლის სერგეის (ერთ-ერთი მოკლული ძმა) ანალიზებზე დანიშნულება მიუტანა შინ.

მოგვიანებით პრიშინმა გამოძიებას ჩვენება მისცა. მისი თქმით, იმ დღით, ძმებთან ბინაში ის აუდიოკასეტის წამოსაღებად მივიდა. კასეტა წინააღმდეგ მისთვის მეგობარს – პაველს გამოუერთმევია. ჩვენების მიხედვით, ბინაში მისულ პრიშინს პაველი შინ არ დახვდა, იმ დროს ის სკოლაში იყო, ამიტომ მას კარი უმცროსმა ძმამ – სერგეიმ გაუღო. ამ დროს იქ ექთანიც მივიდა. მისი წასვლის შემდეგ, ალექსანდრმაც დატოვა იქაურობა, თუმცა დაახლოებით 15-20 წუთში, ისევ მიბრუნდა: კასეტა დავიწყნია. კარი მაშინვე გაუღეს, მაგრამ – არა სერგეიმ... ამჯერად მის წინ უცნობი მამაკაცი იდგა. იგი სანახევროდ კარს ეფარებოდა. უცებ სტუდენტს ხელი ჩააგლო და ბინაში შეათრია. ბავშვების ოთახიდან მორე უცნობი, შუახნის მამაკაცი გამოვიდა, პრიშინს მიუახლოვდა და აიბუღა, ხელში აეღო პისტოლეტი, თუმცა ნამდვილი კი არა – სუვენირი. „ვეფირობ, სწორედ იმ პისტოლეტით მიყენებული დარტყმებით მოკლეს ძმები“, – აღნიშნა სტუდენტმა ჩვენებაში.

უცნობებმა პრიშინს მხოლოდ ამ დავალების პირნათლად შესრულება არ აკმარეს. აიბუღეს, თავისი ქურთუკი იატაკზე დაღვრილ სისხლში ამოესვარა, გასისხლანებული ხელები კი, პირსახოცზე შეეწმინდა... ბოროტმოქმედებმა მისი მისამართიც ჩაიწერეს, დეტალურად გამოჰკითხეს ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების ვინაობა და დაემუქრნენ, რომ თუკი ის ჩადენილ დანაშაულს საკუთარ თავზე არ აიღებდა, მის ნათესავებს სას-

**რუსეთის ქალაქ იაროსლავლში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ საზოგადოება აღაშფოთა: დღისით-მზისით, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში 2 არასრულწლოვანი ძმა დახოცილი იპოვეს. ორივეს თავის არეში პქონდა სასიკვდილო დაზიანებები მიყენებული. ეს დანაშაული იმის გამოც ძლიერ გახმაურდა, რომ მოკლული ბიჭების მამა იმ დროს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჩინოვნიკი გახლდათ. ამიტომაც, მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ ეს „ურჩ მოხელეზე“ განაწყენებული რევეტიორების ჩადენილი სისასტიკე იყო...**

ტიკად გაუსწორდებოდნენ...

ბინიდან სამივენი ერთად გავიდნენ. შავ, უცხოური მარკის ავტომანქანაში ჩასხდნენ და ქალაქის ცენტრის მიმართულებით წავიდნენ. პრიშინი უცნობებმა სწორედ ცენტრში ჩამოსვეს.

მუქარამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. ალექსანდრ პრიშინს, მისივე ჩვენების თანახმად, მართლაც შეეშინდა ბოროტმოქმედთა მხრიდან მის ნათესავებზე ანგარიშსწორებისა და ამიტომაც, გარკვეული ხნის მანძილზე, გამოძიებას სიმართლეს არ უმეფლავებდა. მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა ჩვენების მიცემა, რაც მისმა ახლობლებმა ქალაქი დატოვეს და სხვაგან გაემგზავრნენ...

სტუდენტის ჩვენებამ სამართალდამცავები დააფიქრა. დაადგინეს, რომ იგი აწ გარდაცვლილ პაველთან წლების მანძილზე მეგობრობდა, ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ და ამის გამო, ერთმანეთის ოჯახებსაც ხშირად სტუმრობდნენ. პრიშინი ძალზე ხშირად დადიოდა ძმებთან სახლში და ლამის, მათი ოჯახის წევრად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, სამარ-

თალდამცავებს უჭირდათ მასზე, როგორც დანაშაულებზე ეჭვის მიტანა. ამასთანავე, ყმაწვილის, რომელსაც მომავალში პედაგოგობა გადაეწყვიტა, ცივისსხლიან ბოროტმოქმედად წარმოადგენა რთული იყო. თანაც, პრიშინის მონათხრობი საკამოდ რეალისტური ჩანდა და ასეთი ვერსიის ჩარჩოებშიც თავსდებოდა: ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს, „ჭკუა ესწავლებინათ“ ოჯახის უფროსისთვის – უკომპრომისო და დაუმორჩილებელი ჩინოვნიკისთვის. მისი დაშინება კი ბავშვების ამოხოცვით გადაწყვიტეს. თუმცა, უცნაური იყო ის ფაქტი, რომ მიზნის მისაღწევად ორმა ზრდასრულმა კრიმინალმა პისტოლეტის სუვენირი წაიღო და არა სერიოზული, ნამდვილი ცეცხლსასროლი იარაღი. აქვე გაჩნდა კითხვა: რატომ გადაწყვიტეს ბოროტმოქმედებმა ორი არასრულწლოვნის მოკვლის შემდეგ, დანაშაულის უშუალო მოწმე ცოცხალი დაეტოვებინათ?

მათ ზომ არანაირი გარანტია არ ჰქონდათ, რომ თუნდაც მუქარის შემთხვევაში, სტუდენტი სიმართლეს არ გაამხელდა; უფრო მეტიც, პრიშინის ჩვენების თანახმად, უნიბლო დანაშაულებმა მას რამდენიმე წუთით საუბარიც კი გაუტეს, მიუხედავად იმისა, რომ ამით დიდი რისკის ქვეშ აყენებდნენ თავიანთ თავისუფლებას. ასეთ დროს, დანაშაულისთვის ყოველი წამი მნიშვნელოვანი და ძვირფასია, რადგან ნებისმიერ მომენტში ელის გაუთვალისწინებელ მოწმეს ან პოლიციას. ასევე საინტერესოა, რისთვის, რა მიზნით წაიყვანეს სტუდენტი ქალაქის ცენტრში, მაშინ, როცა ეს ნაბიჯიც მათ გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა.

ამ კითხვების შემდეგ, პრიშინის ჩვენება ლოგიკის მიღმა რჩებოდა და აშკარად მოგონილს ჰგავდა. ამას ისიც დაერთო, რომ გამოძიებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გაარკვია: არ შეიძლებოდა, ბინის შესასვლელ კარს ზრდასრული ადამიანი თუნდაც ნახევრად ამოჰფარე-

ბოდა, რადგან კარის გაღებისას შესასვლელში ძალზე ცოტა ადგილი რჩებოდა. ასევე შეუძლებელი იყო, ბავშვების ოთახის კარი დაკეტილი ყოფილიყო, რადგან ბავშვის გვამი, რომელიც პრიშინის ჩვენების თანახმად, არავის გადაუადგილებია, ზღურბლთან ევლო და კარის დაკეტვის საშუალებას არ იძლეოდა. საეჭვო გახლდათ ის ფაქტიც, რომ ყოველთვის ფრთხილმა სერგეიმ ბინაში უცხო მამაკაცები შეუშვა. ამის თაობაზე ის შშობლებისგან მკაცრად იყო გაფრთხილებული და სპეციალურად, კარს მის სიმაღლეზე მჭიდროდ საჭვრეტეც კი გაუკეთეს. საკეტს კი გატეხის კვალი არ ეტყობოდა.

პრიშინმა ჩვენებისას კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა – თქვა, რომ დამნაშავეებმა ბავშვს თავის არეში, მარცხენა მხარეს ჩაარტყეს პისტოლეტი. ასეთ წვრილმანს ბოროტმოქმედები მას ნამდვილად არ ეტყობოდა.

საქმეში პრიშინის ადვოკატის ჩართვის შემდეგ, მეორე ვერსიაც გაჩნდა: სტუდენტი ამჯერად მკვლელობას არ უარყოფდა, მაგრამ სამაგიეროდ, აფექტურ მდგომარეობაზე აკეთებდა აქცენტს. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტებმა და გამოძიების მასალებმა აფექტი კატეგორიულად გამორიცხეს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოძიებამ ეს თავსატეხი ამოხსნა და დანაშაულის რეალური სურათიც გამჟღავნა:

...პრიშინმა უკვე წასვლა გადაწყვიტა და სერგეის უთხრა, რომ კასეტასაც წაიღებდა თან. სერგეიმ უპასუხა, რომ კასეტა მისგან ბავშვმა ითხოვა, ამიტომაც ის დაუბრუნებდა. ამის გამო ბიჭებმა ჩხუბი ატეხეს. პრიშინი ჯიუტად არ იშლიდა თავისას, სერგეიმ კი ძმის მეგობარს ჩუსტი ესროლა. გაბრაზებულმა პრიშინმა მას ხელი ჰკრა, რის შედეგადაც სერგეი ფანჯრის რაფას მიენარცხა და ძირს დავარდა. სწორედ ამ მომენტში, პრიშინმა ხელი დაავლო იქვე, ახლოს დადებულ პისტოლეს და ძირს დაცემულ სერგეის თავში, კისრისა და გულმკერდის არეში რამდენჯერმე ზედიზედ ძლიერად ჩასცხო (ექსპერტებმა გარდაცვლილი სერგეის სხეულზე თორმეტამდე დარტყმის კვალი დააფიქსირეს).

ბიჭი უკვე მკვდარი იყო, როცა პრიშინმა შემოსასვლელში ხმაური გაიგონა. ის ბავშვების ოთახის კარის უკან დაიმალა და იქ შესულ ბავშვს მოულოდნელად ძლიერად ჩასცხო თავში მძიმე პისტოლეტი. ბავშვი მაშინვე დაეცა, პრიშინმა კი დარტყმების მიყენება განაგრძო. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, მკვლელმა ბავშვს საგანი თავში ცხრაჯერ ჩაარტყა. როცა დარწმუნდა, რომ ორივე მძა

მკვდარი იყო, პისტოლეტი პარკში ჩალო და ბინიდან გავიდა...

ჩადენილი მკვლელობის სისასტიკემ და დანაშაულის უმნიშვნელო საბაბმა არა მარტო მოსახლეობა, სამართალდამცავებიც აღაშფოთა. ყველა შეძრწუნდა იმის გამო, რომ ორი არასრულწლოვნის სიცოცხლე უბრალო, იაფფასიანმა აუდიოკასეტამ შეიწირა. როგორც სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, ალექსანდრ პრიშინს არაჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდა, ის ადვილად იზიანდებოდა, აგრესიული და მტრული ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას არ ემორჩილებოდნენ. როდესაც მასზე გაცილებით უმცროსმა სერგეიმ კასეტის წაღებაზე უარი უთხრა, სტუდენტმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ჩათვალა, რომ მისი ავტორიტეტი შელახეს, რომ მას სათანადოდ არ აფასებდნენ და ამით გაღიზიანებულმა აგრესიას გასაქანი მისცა. მისი ძალადობა კი საღიზმში გადაიზარდა...

ექსპერტების ნათქვამი ყველაფერს ნათელს ჰფენდა, მაგრამ სტუდენტს ნამდვილად არ ამართლებდა. სტუდენტის დადებითი დანასიათებები, რომლებიც გამოძიების პროცესში საქმეში ჩააკერეს, მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტებად დარჩა. განაჩენზე, განსასჯელის სასიკეთოდ, ამ საბუთებს გავლენა არ მოუხდენია. სამაგიეროდ, ყველამ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ პრიშინმა ჩადენილი სისასტიკე გულწრფელად არ მოინანია და დაზარალებული ოჯახის – მოკლული ძმების განადგურებული და გაუბედურებული შშობლების წინაშე თავი დამნაშავედ არ ცნო.

დაცვის სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული განსასჯელის არასრულწლოვანება, სასამართლო სჯდომაზე ნაკლებდამაჯერებლად ჟღერდა. ბრალდების მხარდამჭერმა – პროკურატურის წარმომადგენელმა, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ალექსეი მატვეევმა ადვოკატს ასე უპასუხა: „ამ კატეგორიის დამნაშავეების მიმართ კანონი ისედაც ჰუმანურია. არასრულწლოვნების მიმართ უმკაცრესი ზომის – სიკვდილით დასჯის გამოყენება აკრძალულია და უმაღლეს სასჯელს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ ასეთ პირობებში სასჯელის შემსუბუქება მეტიმეტი იქნება“.

საბოლოოდ, ალექსანდრ პრიშინს სასამართლომ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა. პირველი ორი წელი, განაჩენის თანახმად, მან საპყრობილეში უნდა დაყო, სასჯელის დანარჩენი ვადა კი, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხადოს.

# ჯიბიროვის საქმეს სასამართლომ 8 თვეა იხილავს

## როგორ მუშაობს პოლიციის აგენტურა

**შარშან 25 დეკემბერს, თბილისში, დიდუბის ბაზრობის ტერიტორიაზე მომხდარი კრიმინალური ფაქტი ძალზე ხმაურიანი სასამართლო პროცესის საგნად იქცა. საქმე ჯიბის ქურდობას (დაზარალებულის დანაკარგს 25 ლარი შეადგენდა) ეხება. ამ, ერთი შეხედვით მარტივ საქმეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო უკვე 8 თვეა იხილავს და პროცესი ჯერ მხარეების კამათამდეც კი არ მისულა.**

განსასჯელის – 30 წლის სევერიან ჭითავას ადვოკატი აცხადებს, რომ პროცესის გაჭიანურების მიზეზი, მოსამართლის ტენდენციურობა და საქმეში არსებული გაყალბებული მტკიცებულებები, ასევე ყალბი მოწმეების ჩვენებებია. მეორე მხარე ამას უარყოფს და მიზეზად, სასამართლოში მოწმეების გამოცხადებლობას ასახელებს. თუმცა ფაქტია, რომ ამ ხნის განმავლობაში, პროცესზე ოთხჯერ შეიცვალა სახელმწიფო ბრალმძებელი. მოტივი საკმაოდ ბუნდოვანია. გაირკვა ისიც, რომ გამოძიების მასალებში დაზარალებული, სხვა გვარით იყო დაფიქსირებული. ასევე გამჟღავნდა, რომ მისი ამ სტატუსით პროცესზე გამოცხადება, თანაც ჯიბის ქურდობასთან დაკავშირებით, პირველი შემთხვევა არ გახლავთ. და რაც ყველაზე საინტერესოა, ის დღეს სრულიად კატეგორიულად აცხადებს, რომ ადამიანი, რომელიც პოლიციამ აღნიშნული დანაშაულისთვის დააკავა და თითქმის ერთი წელია, პატიმრობაში იმყოფება, უდანაშაულოა.

დაზარალებულად ცნობილი ნანა იოსებიძე პოლიციის თანამშრომლებს – თბილისის შს მთავარი სამმართველოს

მე-5 განყოფილების უფროს ინსპექტორს, პოლიციის მაიორ გელა გრიგოლაშვილს, აგრეთვე, სამხედრო ინსპექტორებს – ლევან მაჭავარიანს, ელგუჯაა ჯღარკავასა და ელიზბარ ჩიკვაძეს – ფსიქოლოგიურ ზეწოლაში ამხელს.

**ნანა იოსელიანი:**

„ახალი წელი ახლოვდებოდა და ბაზრობაზე სხვადასხვა ნივთის შესაძენად წავედი. სწორედ იმ მომენტში, როცა სასურველი ნივთის შეძენას ვაპირებდი, ვნახე, რომ ჩანთა გახსნილი მქონდა, შიგნით კი საფულე აღარ იყო. მაშინვე ყვირილი დაიწყო – ფული მოპარეს-მეთქი. ქურდი არ დამინახავს, არც მოპარვის მომენტი მიგრძნია. რამდენიმე წამში, ახალგაზრდა მამაკაცებმა დამიბახეს. მათ თავი პოლიციის თანამშრომლებად წარმომიდგინეს და იქვე მიმითითეს პიროვნებაზე, რომელზეც მითხრეს, რომ სწორედ ის იყო, ვინც მაშინ საფულე ამოძაცალა. ის დაკავებული ჰყავდათ. შემდეგ ყველანი ერთად წავედით განყოფილებაში. იმავე პოლიციელებმა მიკარნახეს, რაც უნდა დამეწერა. თან კატეგორიული ტონით მოითხოვდნენ, ყველაფერი ისე დამეფიქსირებინა, როგორც მკარნახობდნენ. მეც ვერ ვეწინააღმდეგებოდი. თანაც, იმ მომენტში მჯეროდა კიდეც, რომ მათ მიერ დაკავებული პიროვნება ნამდვილად დამნაშავე იყო. მაგრამ მოგვიანებით ამაში ეჭვი შემაპარა. პოლიციელები სახლში მირეკადნენ და მეტყუებოდნენ – ჩვენება არ შეცვალა, თორემ, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალო.“

ახლა დაზარალებული აღნიშნავს, რომ ამჯერად, პოლიციელთა მუქარის მიუხედავად გადაწყვიტა, სიმართლე თქვას და უდანაშაულო ადამიანი არ გაწიროს. რაც შეეხება სევერიან ჭითავას ადვოკატს – ალექსი გაბუნიას, ის მიიჩნევს, რომ დაზარალებული ბოლომდე გულწრფელი არც ახლავს. ადვოკატის ვარაუდით, სინამდვილეში ის განსაკუთრებით პიროვნება, რომელსაც პოლიცია, განსხვავებული საქმეების სტატიისტიკური მონაცემების გაზრდის მიზნით, შესაფერისი ობიექტის – მაგალითად, წარსულში ნასამართლევი, თუმცა იმ მომენტისთვის უდანაშაულო პიროვნების გასასამართლებლად იყენებს.

„მაშინ, როცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო, გაირკვა, რომ ჩვენთვის მანამდე ცნობილი ე.წ. „დაზარალებული“ ნანა ჯემალის ასული ბერიძე არარსებული პიროვნება გახლდათ. სინამდვილეში ის იყო ნანა იოსელიანი, დაბადებული 12.02.1975 წელს. მალე აღმოჩნდა ისიც, რომ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის

რაიონული სასამართლო ჯიბის ქურდობის ფაქტზე დაკავებული ვინმე გ. შახბაზიანის საქმეს განიხილავდა. ამჯერად ფაქტს 2003 წლის პირველ სექტემბერს ჰქონდა ადგილი და ამ შემთხვევაშიც დაზარალებული, ნანა იოსელიანი იყო. მაშინაც, თურმე, დაახლოებით 25 ლარი ედო საფულეში და უეცრად დაიწყო ყვირილი, რომ წაართვეს საფულე. საქმის მასალების მიხედვით, საფულის ამოღების მომენტი დაინახეს ესკალატორზე რამდენიმე საფეხური ზემოთ მდგომმა თბილისის შს მთავარი სამმართველოს ინსპექტორებმა გელა გრიგოლაშვილმა და ლევან მაჭავარიანმა, ზუსტად იმ პირებმა, რომლებმაც ჭითავა დააკავეს. შახბაზიანმა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში კატეგორიულად უარყო ზემოთ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა.

როგორც ჩანს, „დაზარალებულს“ – ბერიძეს თუ იოსელიანს ყოველთვის ჰპარავენ ან აშკარად ართმევენ საფულეს, რომელშიც ყოველთვის დევს ფული, 20 ან 25 ლარის ოდენობით. თანაც, ყოველთვის ამ ქურდობის თუ ძარცვის ფაქტს ამჩნევენ პოლიციის თანამშრომლები გრიგოლაშვილი, მაჭავარიანი და სხვები. ამასთანავე, საქმეში მოწმის სტატუსით ფიგურირებს პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად პოლიციის აგენტი – ლომენტი ფანჩულიძე. მან ჭითავას პირად ჩხრეკაში დამსწრედ მიიღო მონაწილეობა. პოლიციელთა მხრიდან მსგავსი დარღვევები აღიარებულია იუსტიციის საბჭოს მიერ და ამდენად, ჭითავას მიმართ საქმე ცრუბრალდებითაა აღძრული.“

მოსამართლე ლილი მსხილაძემ მოწმე ფანჩულიძე დაჰკითხა, მაგრამ მან პოლიციის აგენტობა უარყო. სამაგიეროდ დაადასტურა, რომ წლების მანძილზე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციაში მუშაობდა და თანამშრომლებთან საკმაოდ ახლო და კარგი დამოკიდებულება აქვს. სხვათა შორის, პროცესზე, მაშინ, როცა უკვე ჩვენებების მიცემა დაასრულა, მოსამართლემ, განსასჯელის ადვოკატის დაჟინებული მოთხოვნით, მას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა მოსთხოვა. ფანჩულიძემ ლამინირებული ასლი წარმოადგინა, მაგრამ მოსამართლემ ეს ჩვეულებრივად მიიღო და განაცხადა, რომ საეჭვოს ამ პიროვნებასთან დაკავშირებით ვერაფერს ხედავდა. ამ ფაქტს პროცესზე განსასჯელის მხარის პროტესტი მოჰყვა. ადვოკატის მტკიცებით, ყოველივე ეს კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ მუშაობს „საქმების გასასხნელად“ პოლიციის აგენტურის ქსელი.

# 22 წლის განსასჯელს საკუთარი დის საღისებურ მეკლერობაში აღსაშუალებენ

**თავად განსასჯელი კი 13 წლის გოგონას სიკვდილში „ბარიგა“ დედინაცვალს სდებს ბრალს**

**უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია გასულ ზამთარს თბილისში მომხდარი შემზარადი მკვლელობის დეტალებს განიხილავს. განსასჯელის სკამზე თბილისელი, 22 წლის შოთა ყველაშვილი ზის. პროკურატურა მას უშიშმეს დანაშაულში — საკუთარი დის მკვლელობაში სდებს ბრალს.**

13 წლის გოგონას დასახინრებული და ცხოველებისგან ნახევრად შეჭმული გვაში ერთ-ერთმა მოქალაქემ სრულიად შემთხვევით იპოვა ნაგავსაყრელზე და მაშინვე პოლიციას შეატყობინა. ეს მკვლელობიდან ოცდამეექვსე დღეს მოხდა, გარდაცვლილის ამოცნობა შეუძლებელი იყო, თუმცა სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ გვაში 2004 წლის 10 თებერვლის შემდეგ უზგო-უკვლოდ დაკარგული თეონა ყველაშვილის იყო. მალე სამართალდამცავებმა დანაშაულში ეჭვმიტანილის ვინაობაც გაარკვიეს. როგორც თავად აცხადებენ, ეს მათ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნივთმტკიცებების შემეგობით მოახერხეს. პროკურატურის ინფორმაციით, ის შოთა ყველაშვილი — გარდაცვლილის ნახევარძმა იყო.

შოთა ყველაშვილმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა. ჩვენების მიხედვით, ადგილი ჰქონდა ვერაგულ მკვლელობას — ძმამ დას წამებით ამოხადა სული, გვაში კი ნაგავსაყრელზე მიაგდო... ჩადენილი დანაშაული გამოძიების დასასრულს პროკურატურამ საბრალდებო დასკვნაში ასახა:

2004 წლის 10 თებერვალს, დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის, შოთა ყველაშვილი სოფელ გლდანის ტერიტორიაზე შეხვდა დას და სთხოვა, ახლომდებარე ნაგავსაყრელზე წაჰყოლოდა. გოგონამ უარი უთხრა, რის გამოც

შოთა ყველაშვილი ძალზედ გაბრაზდა და დას დაემუქრა – უპატრონო ბავშვთა სახლში ჩაგაბარებო. ამ გზით მან მისი დაყოლიება მოახერხა და ეკლიან ტყე-ბუჩქნარში შეუძღვა. ტყის გავლის შემდეგ ისინი ნაგავსაყრელსაც მიაღწენენ. სწორედ იქ, დაძმა კვლავ შელაპარაკდა. ჩხუბის დროს თეონა შოთას პოლიციაში გათქმითა და დაპატიმრებით ემუქრებოდა. როგორც ჩანს, შოთა ყველაშვილმა დისგან ამ მუქარის აღსრულებების რეალური საფრთხე იგრძნო, განრისხებულმა მას სახეში გაშლილი ხელი გაართყა, შემდეგ უბიძგა და მიწაზე დააგდო. უშუალო გოგონას ესეც არ აკმატა: შარვლიდან ქამარი მოიხსნა, ყელზე შემოუჭირა და მოგუდა. მოკლეულის გვამი იქვე, ტყეში მიატოვა, თავად კი მიიძალა.

ამჟამად შოთა ყველაშვილი დანაშაულს კატეგორიულად უარყოფს. აცხადებს, რომ მას და არ მოუკლავს, ასეთი განზრახვა არასდროს ჰქონია და ამ საშინელებას ვერც ჩაიდენდა, რადგან თეონა თითქმის მისი გაზრდილი იყო და ძალიან უყვარდა. განსასჯელი ასევე არ ადასტურებს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას. ამბობს, რომ სამართალდამცავებმა აღიარება მისგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოიპოვეს. თუმცა, პროკურატურის გარდა შოთა ყველაშვილის დანაშაულში ეჭვი არ ეპარება დაზარალებულსაც.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე, **ძრისტინა ტურახოვას** ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„ამჟამად მე დეიდასთან – ბარბარე ტურახოვასთან ვცხოვრობ. დედა მამას დიდი ხანია დაშორდა, მეორედ გათხოვდა და ცოლად გაჰყვა ჯემალ ყველაშვილს (განსასჯელის მამას. – ავტ.). მასთან დედაჩემს სამი შვილი გაუჩნდა, მათ შორის თეონა. სამივეს ვიცნობ, მაგრამ არც ერთთან არ მქონია ახლო ურთიერთობა. არ მქონდა ახლო ურთიერთობა არც დედასთან. ორწლიან ბავშვის ასაკიდან მე გამზარდა ბებიამ და პაპამ.

2004 წლის 18 მარტს თბილისში ჩამოვედი. როცა სახლში მივედი, მეზობლებმა მომიხსახიბრეს და მაშინ გავიგე, რომ თეონა იყო მოკლული. მე ვიცნობ ჯემალის შვილებს – ჭაბუკას, შოთას და ეთერის (პირველი ქორწინებიდან. – ავტ.). როგორც კი ეს ამბავი გავიგე, მითხრეს – მისმა ძმამ მოკლაო – ჩემთვის გავიფიქრე, ეს შოთა იქნებოდამეთქი, რადგან ვიცო, რომ ის არის უვარგისი პიროვნება და მან შეიძლება ყველაფერი იკადროს.

მარტის თვეში გავიგე, რომ დედაჩემი – ზოია ტურახოვა დაჭერილი იყო ნარკოტიკების გამო... დანაშაულის შესახებ ვერაფერს გეტყვით, თუმცა ძველად, რომ თეონა შეიძლება შოთას მოკლა, რადგან ის ცუდად ექცეოდა მას, ასევე მის ძმებსაც. მე მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი: გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში მე და დედაჩემს (ზოია ტურახოვას. – ავტ.) ბინა გვქონდა. იქ ცხოვრობდა ჯემალი, ზოიასთან და შვილებთან ერთად. ერთხელ, როცა შინ მივედი, იქ შოთა, სოლომონი, თეონა და ილია (სოლომონი, თეონა და ილია – ჯემალ ყველაშვილისა და ზოია ტურახოვას საერთო შვილები. – ავტ.) დამხვდნენ. მარტო იყვნენ და მათ შოთა სკოლაში არ უშვებდა. როცა ვიკითხე – რატომ არ მიდიხარ სკოლაში-მეთქი? – ბავშვებმა მიპასუხეს, შოთას კარტში ფული აქვს წაგებული და გვეუბნება, სადაც გინდათ, მიშოვეთ. რამდენადაც ვიცო, შოთას სულ ასეთ მდგომარეობაში ჰყავდა თეონა და სხვა ბავშვები. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით, ან სხვა უბრალო მიზეზით მოკლა თეონა“.

სასამართლო კოლეგიას ჩვენება მისცა მოკლულის დედამ, ამჟამად პატიმარმა, 42 წლის **ზოია ტურახოვამ**. ქრისტიანე ტურახოვას მსგავსად, მომხდარში ისიც გერს ადანაშაულებს:

„ამ ამბის შემდეგ ცუდად გავხდი, გული დამიავადმყოფდა და ამიტომაც ამჟამად ციხის საავადმყოფოში ვარ გადაყვანილი. მომხდარის შესახებ გვიან შევიტყვე. თურმე, მთელმა ციხემ იცოდა, მე კი ვანგებ არ მიმხელდნენ. სწორედ იმ პერიოდში ჩემი პროცესი დასრულდა, სასამართლომ განაჩინიც გამომიცხადა, თეონა კი, რომელიც სასამართლო სხდომებზე ყოველთვის დადიოდა, არ მოსულა. ძალიან გამიკვირდა, მეზობლებს ვურეკავდი ამბის ვასაკებად, მაგრამ არაფერს მეუბნებოდნენ. ზოგი ამბობდა – სოფელში ვარ და არაფერი ვიციო, ზოგიც – ამწუთას ვერ დაგელაპარაკებო, არ მცალიაო... თურმე, ყველა მატყუებდა. სინამდვილეში, ჩემი შვილი მოკლული და უკვე დაკრძალულიც ყოფილა... ჩემს ადვოკატს უნდოდა თურმე, გასვენებაში წავეყვანე, მაგრამ ვეღარ მოუხერხებია...“

თეონა ჯერ ცამეტე წლისაც არ იყო. დაბადების დღე მკვლელობიდან ერთ კვირაში – 17 თებერვალს უნდა ჰქონოდა... შოთა მას ყოველთვის ცუდად ექცეოდა. ფულს სთხოვდა და როცა თეონა არ აძლევდა, სცემდა. მამამისსაც ჰპარავდა ფულს, ბავშვებს ატერორებდა. აღბათ, ამ მიზეზით მოკლა ჩემი შვილი...“ თავად განსასჯელი კატეგორიულად

უარყოფს ზოია ტურახოვას სიტყვების სისწორეს. პირიქით, დის სიკვდილში სწორედ მას ადანაშაულებს. **შოთა ყველაშვილის** თქმით, გაჭირვების გამო ზოია ტურახოვამ ნარკოტიკებით ვაჭრობა დაიწყო. „ამ ბიზნესში ის ერთმა ყოფილმა პოლიციელმა ჩაითრია. ის კაცი ჩვენთან უბანში ამოდიოდა და პროდუქტებით ვაჭრობდა. სწორედ მაშინ გაიცნო ზოიამ. ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ნარკოტიკებისთვის ცხინვალში დაიწყეს სიარული. ის პოლიციელი კანონიერ ქურდებთანაც იყო შეკრული, საერთოდ ცუდ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. ამ წრეში ზოიაც გაითქვიფა, ბოლოს კი – თეონაც. მას ძალაუვნებურად უხდებოდა ნარკობიზნესში მონაწილეობა და ამ წრის ხალხთან ურთიერთობა. როგორც ჩანს, სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებით მოხდა რაღაც უსიამოვნება და თეონაც ამ ამბავს შეეწირა“, – განაცხადა განსასჯელმა პროცესზე. თუმცა, უფრო დეტალურ ჩვენებას ის სასამართლოს მოგვიანებით მისცემს.

ზოია ტურახოვა „ბარიობას“ უარყოფს. მისი თქმით, პოლიციამ ის შეცდომით დააკავა, მაშინ, როცა ქუჩაში, მისთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა რამდენიმე წუთით ჩანთის დაჭერა სთხოვა. მანაც შეუსრულა თხოვნა, ამ დროს კი პოლიცია წამოაღდა თავს. „თურმე, ჩანთაში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება იყო“, – ამბობს ტურახოვა. მიუხედავად თავის მართლებისა, მას დანაშაული დაუდასტურდა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 4 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარებისთვის შოთა ყველაშვილიც გახლდათ ნასამართლევი. 2002 წელს ამ მიზეზით ის თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა თბილისის საოლქო სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელი 2 წლამდე შეუმცირა. მანამდე, შოთა ყველაშვილი ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა. მაშინ ყველაშვილს სასჯელის ზომად 3 წელი და 6 თვე განუსაზღვრეს, რაც მოგვიანებით ზემდგომი ინსტანციის მიერ 1 წლამდე იქნა შემცირებული, თუმცა, ყველაშვილს ბოლომდე ეს სასჯელიც არ მოუხდია, რადგან განჩინებიდან სამი თვის შემდეგ მას პრეზიდენტის შეწყალება შეეხო.

# საკატაიძროზე შეყვარებული სამამამთირო, ქარიშვირად რაიჩენილი ქარბატონი რ თანაშემწის კონკუისში გამაიქეებიდან - ქეიისწეიამრე



მაქანკალობა საკმაოდ ძველი პროფესიაა. ამ საქმის მიმდევრები მუდამ დაფასებული და პატივცემული ხალხი იყო. მათ სიხარულით ეგებებოდნენ ყველგან. ვინ იცის, რამდენ იმედგადასურულ საპატარძლოს გაუხსნეს ბედი... მაქანკლის სსენებაზე, თვალწინ ალბათ, ხანუ-მას მსგავსი ასაკოვანი ქალი წარმოგიდგათ. ნურას უკაცრავად! დღეს, მალალი ტექნოლოგიების ეპოქაში, ძველმა და თითქოსდა ყავლგასულმა პროფესიებმაც იცვალა სახე და ახლა, თქვენს გაბედნიერებაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფირმები იზრუნებენ. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის (დაოჯახებისა და გაცნობის ცენტრი) ხელმძღვანელი, 29 წლის **დავით სიზანიშვილი** გახლავთ, რომელსაც ახალგაზრდების გაცნობისა და დაწყვილების გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა.

## ელენე ხირსელი

— როგორ შეიქმნა თქვენი ცენტრი?

— 1997 წელს გამოვეცემდი ვაზეთს — „სისხლიანი სიყვარული“. ვაზეთში გვექონდა რუბრიკა „პაემანი“, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მკითხველები ერთმანეთს შეხვედრებდნენ. მერე ვაზეთი გადაკეთდა ჟურნალად და დაერქვა „პაემანი“. თუმცა, ყოველივე ეს მაინც არ მაკმაყოფილებდა, რაღაც ახალ ფორმას ვეძებდი, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი, კლუბის დაფუძნება გადავწყვიტე. 2002 წელს, ჩემ მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ორგანიზაცია „მოქალაქეთა კავშირის“ ბაზაზე ჩამოვყალიბე გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი. საქველმოქმედო ორგანიზაციამ თავდაპირველად უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა, მათთვის თავშესაფრის აშენება დაიხატა მიზნად. ამ საქმეს საკმაო სახსრები სჭირდებოდა, ამიტომ ვერ გავწვდით. ვიფიქრე, ისეთი საქველმოქმედო საქმიანობისთვის მომეკიდება ხელი, რომელიც დიდ ხარჯს არ მოითხოვდა. ვანა, ადამიანების გაბედნიერება ნაკლებად მადლიანი საქმეა?!

— განეწვება როგორ ხდება?

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენთან ანონიმურობა გარანტირებულია. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი იმდენად დაკომპლექსებულია, რომ კატეგორიულად მოითხოვენ ხოლმე ამ გარანტიას. დაოჯახების შემდეგაც არ სურთ გამაზილონ, თუ ვისი დახმარებით გაბედნიერდნენ და ამას უახლოეს ადამიანებსაც კი უმაღავენ. კლუბში

გაწვევების მსურველმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ფოტოსურათი, შეავსოს სარეგისტრაციო ანკეტა, სადაც მიუთითებს პირად მონაცემებს: ასაკი, სიმაღლე, წონა, სამუშაო ადგილი, ასაკი, სიმაღლე... იქვე აღნიშნავს, თუ რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მისი მომავალი მეუღლე. მე ვცნობი ანკეტებს და ვარჩევ შესაფერის წყვილებს. წვევს რამდენიმე კანდიდატურას შევთავაზებ, ის კი მისთვის ყველაზე მისაღებს აირჩევს. ამის შემდეგ ვუწყობთ შეხვედრას. წვევებისთვის აუცილებელი პირობაა, დაიცვან წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატურად ირიცხებიან კლუბიდან.

— მერე როგორია თქვენი წესები?

— ჩვენს კლუბში საყვარლის ან ერთგვარადი პარტნიორის გასაცნობად ნურავინ მოვა. გასართობად უამრავი დაწესებულება არსებობს. ჩვენი მიზანია მხოლოდ და მხოლოდ დაოჯახების შექმნა და კიდევ ერთი პირობა: სასურველი კანდიდატურის გაცნობიდან 3 თვის განმავლობაში უნდა დაქორწინდეს.

— რატომ მაინცდამაინც 3 თვეში?

— თუ ამ ხნის მანძილზე ვერ მიიღე გადაწყვეტილება, ესე იგი, ვერც ვერასდროს მიიღებ...

— იქნებ, 3 თვე არ არის საკმარისი მომავალი მეუღლის კარგად გასაცნობად?

— ამგვარი ურთიერთობები შეუძლიათ, რამდენ ხანსაც უნდათ, იმდენ ხანს გააგრძელონ, ოღონდ — ჩვენი კლუბის მიღმა. ხანდახან კი, ისეც ხდება, რომ 3 თვის

მანძილზე, 10, 20 და კიდევ მეტ კანდიდატს ხვდებიან — გამოდის, რომ თითქმის ყოველდღე, სხვადასხვა ადამიანთან აქვთ პაემანი — ეს უკვე არასერიოზულია და ცოტა სხვა რაღაცას ჰგავს.

— ძირითადად, რა კატეგორიის ადამიანები მოდიან თქვენთან?

— დავიწყებ ასაკით: 18-დან 65 წლამდე; გვყავს ბებიები და ბაბუებიც. თუმცა, ძირითადი ასაკი 30-დან 50 წლამდეა. უფრო მეტად ქალები გვეხმარებიან, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცებს ნაკლებად აქვთ ოჯახის შექმნის სურვილი, პირიქით — მართლხელა მამაკაცი უფრო დაუცველი და უმწეოა. მაგრამ კაცები დაკომპლექსებული არიან, ჰკონიათ, რომ თუ მაქანკალით დაიჭვირენ საქმეს — ამით მათი ღირსება შეილახება. ჩვენი კლუბის წევრები უფრო მეტად, მაინც რომანტიკული, მეოცნებე ადამიანები არიან. ასეთი ადამიანები კი არაპრაქტიკულობით გამოირჩევიან და მკაცრ რეალობასთან შეგუება უჭირთ. მატერიალური მხარით დაინტერესებულთათვის საყურადღებო განცხადებას გავაკეთებ: კანდიდატთა სიაში გვყავს მოსკოვში მცხოვრები, 35 წლის ქართველი კაცი, მლიონერი, რომელიც უძრავი ქონების ბიზნესით არის დაკავებული. აქვს რამდენიმე ბინა მოსკოვსა და თბილისში. ჰყავს „მერსედესი“, „აუდი“... ბევრს აღარ გავაგრძელებ, ერთი სიტყვით, ნამდვილი, თეთრ რაშზე („მერსედესზე...“) ამხედრებული უფლისწულია. თბილისში სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რომ წესიერი, ზრდილი, ქართველი გოგონა შერ-

თოს ცოლად. იმედია, „უფლისწული“ ჩვენი კლუბის საშუალებით იპოვის თავის კონკრეტულ რეგისტრირებულ მყავს კიდევ ერთი, მოსკოვში მცხოვრები ქართველი – 32 წლის მამაკაცი, რომელიც გულ-სისხლძარღვთა კლინიკაში ქირურგად მუშაობს... უნდა გითხრათ, რომ სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა: დღეს თბილისში 22 წელს გადაცილებული ახალგაზრდების 60% დასაოჯახებელია, 20-30 წლის წინანდელ მღვთმარეობასთან შედარებით ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და რა თქმა უნდა, მატერიალური პრობლემებითა განპირობებული.

**— დაოჯახების შემდეგაც თუ აგრძელებთ კლუბის წევრებთან ურთიერთობას?**

— იმდენად განვიცდით მათ ყველა წარმატებას თუ წარუმატებლობას, ისე ვგულშემმატკივრობ, როგორც ძალიან ახლობელ ადამიანებს. ისინი გრძნობენ ამას და სიყვარულითვე მპასუხობენ. სანამ დაქორწინდებიან, ყოველდღე ძირეკავენ და მიყვებიან, თუ როგორ მიდის მათი ურთიერთობები, დეტალებშიც კი მიყვებიან, სად იყვნენ, რა გააკეთეს, კაფეში რა ჭამეს — იმასაც კი!.. ქორწილის შემდეგაც არ მივიწყებენ.

**— რაიმე ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი თქვენს მუშაობაში?**

— ჩვენ მოვამზადეთ პროექტი „ახალი ოჯახები და ძლიერი საქართველო“, რომელიც მიზნად ისახავს 12 თვის განმავლობაში 3000 ადამიანის დაოჯახებას. ახლა გვინდა, გავხსნათ დახურული კლუბი. ასაკის მიხედვით დავაკომპლექტებთ ჯგუფებს და კვირაში ერთხელ მათთვის კაფე-სადამოს მოვაწყობთ. რომანტიკული ატმოსფერო მათ უკეთ გაცნობაში დაეხმარება; ასეთ ვითარებაში უფრო უშუალოები და გასწილები ხდებათ.

**— თუ ქორწინებამ არ გაამართლა, ყველაფერი მაჭანკალს ჰბრალდება — განტყვევების ვაცი ხდება ხოლმე...**

— ეს საკმაოდ უმადური საქმეა. უსამართლობაა, ამის გამო მაჭანკალს წაუყენო ბრალი. ჩვენ არ ვახასიათებთ, რეკლამას არ ვუკეთებთ სასიძოსა და საპატარძლოს — უბრალოდ, ვაცნობთ ერთმანეთს, დანარჩენი კი მათი გადასაწყვეტია. ჩვენი დახმარებით შექმნილმა ყველა ოჯახმა გაამართლა. ჯერჯერობით, უკმაყოფილებს არავის გამოუთქვამს.

**— თქვენი პრაქტიკიდან საინტერესო შემთხვევებს ხომ არ გაიხსენებდით?**

— რამდენიმე თვის წინ, შუახნის მამაკაცი მოვიდა და თავისი 40 წლის ვაჟის სახელით დაგვიტოვა განცხა-

დება. ერთ კვირაში შესაფერისი კანდიდატურა შეგურჩიეთ. ქალის დანახვაზე, სამამამთილო აღფრთოვანდა: ეს სწორედ ის არის, ვისაც ვეძებდითო. რამდენიმე დღეში, ქალი მასთან სტუმრად სოფელში მიიპატიჟა. საპატარძლო ოჯახში ყველას მოეწონა. სასიძოც კმაყოფილი იყო. ისეთი სუფრა გაშალეს, ჩიტის რბეც არ აკლდა. შუა ქეიფში, შეზარხოშებული ქერივი სამამამთილო, ქალს გამოუტყდა: ძალიან მომეწონე და ცოლად მე გამომეყვიო. ასე ჩაიშალა თითქმის შემდგარი ნიშნობა. გემოვნებაზე არ დაობნო, — ამბობენ და მართალიც არის. ერთისთვის, უხეირო და უვარგისი კაცი, მეორისთვის, შესაძლოა, ღირსეული და სასურველი იყოს. 6 თვის წინ, ჩვენთან 36 წლის ქალბატონი მოვიდა. მოვუძებნეთ კანდიდატურა, რომელიც სავესებით პასუხობდა მის მოთხოვნებს. სიმპათიური, წარმოსადგეი კაცი იყო. ქალი მისით პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა. ეს პირველი (და უკანასკნელი) შეხვედრა ვერის ბაღში შედგა. დიდიდან დადამებადღე, ბაღში ისხდნენ (ზამთრის სუხიანი დღე იყო). მთელი ამ ხნის მანძილზე, სასიძო თავის „საგმირო საქმეებს“ ჰყვებოდა. საუბარს მოაყოლა — ნამდვილ მამაკაცს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს საკმარისი თანხა, რომ ქალს პატივი სცესო. თავისი სიტყვების დასადასტურებლად, ვიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო, ხელში შეათამამა და ისევ შეინახა. საუბრის დროს, კიდევ რამდენჯერმე ამოიღო ფული... ამასობაში ქალს მოშივდა და „საქმროს“ უთხრა — მოშივდა და შინ უნდა წავიდეთო. კავალერმა მეტრომდე მიაცილა და

**ხომ გაგიგონიათ — ეკლესია რომ აშენდება, პირველი იქ მღვდელი შედისო. ასე რომ, ჯერ თავად გაგებდნენ და ახლა სხვებს ვაბედნიერებ (დავით ხიზანიშვილი მეუღლესთან ერთად)**



გზად გამხმარი, გაფიჩხინებული საჭკაპური უყიდა... მეორე დღეს საპატარძლო მოგვივარდა და გავვლანდლა — ეს ვინ გამაცანით, ჩემი აბუნად აგდება გინდოდათო?! — და განცხადება გამოიტანა. ის კაცი ერთი კვირის შემდეგ, სხვა ქალს შევახვედრეთ; თქვენ წარმოიდგინეთ, მათი ურთიერთობა კარგად აეწყო და ძალიან მალე იქორწინეს. დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ... ერთ ტრაგიკომიკურ სიტუაციასაც ვაგისხენებ. 2000 წლის მარტში, 40 წლის თბილისელი ქალბატონი 46 წლის რუსთაველ მამაკაცზე დავაქორწინეთ. ერთმანეთი ძალიან მოეწონათ და რამდენიმე დღეში შეუღლდნენ კიდევ. 1 წლის შემდეგ კი, ეს ქალბატონი გვესტუმრა და გვითხრა, რომ ხელმეორედ სურდა განცხადების შემოტანა: თურმე, 1 წლის თანაცხოვრების შემდეგ, ისევ ქალიშვილი იყო. მისი ქმარი პლატონური სიყვარულის მიმდევარი იყო... ისე, ჩვენი „საქონელი“ „დახლზე“ დიდხანს არ ჩერდება. თუ თვალი დაადგით ვინმეს, მამინევე უნდა სტაცოთ ხელი, თორემ, ერთი ჩვენი წვერი ყმაწვილივით პირში ჩალაგამოვლებული დარჩებით... 24 წლის გოგონა 6 წლით უფროს კაცს გავაცანით. ერთმანეთი მოეწონათ. ბიჭი დატრიალდა: კონიაკი და ნამცხვარი მოიტანა... ქალს უთხრა, რომ ორ კვირაში დაქორწინდებოდნენ. გოგონა სოფელში დაბრუნდა, მაგრამ ბედის ირონით თანასოფლეულმა მოიტაცა და მასზე გათხოვდა... ბოლოს, ერთ კურიოზსაც ვაგისხენებ. შემოვიდა 27 წლის გოგონას განცხადება. შეგურჩიეთ შესაფერისი კანდიდატურა. დავნიშნეთ შეხვედრა. ბიჭი რომ შემოვიდა ოთახში, მას გული წაუვიდა: თურმე, მისი ყოფილი ქმარი ყოფილა, რომელსაც 2 წლის წინ გაჰყვია. ამ უცნაური დამთხვევის წყალობით, მათი ურთიერთობა განახლდა და კვლავ ერთად არიან...

**— დათო, თავად როგორ შექმენით ოჯახი?**

— პროფესიით ავტონინჟინერი ვარ, ახლა მეორე პროფესიას ვეუფლები — ოურიდიულზე, მესამე კურსზე ვსწავლობ. 2000 წელს, როცა კავშირი დავაფუძნე, თანამემწის თანამდებობაზე კონკურსი გამოვაცხადე. კონკურსში 100-ზე მეტი გოგონა მონაწილეობდა. გამარჯვებული, მერე ჩემი მეუღლე ვაჩნდა. ხომ გაგიგონიათ — ეკლესია რომ აშენდება, პირველი იქ მღვდელი შედისო. ასე რომ, ჯერ თავად გაგებდნენ და ახლა სხვებს ვაბედნიერებ. ჩემი მეუღლე მომავალი ოურისტია, გვყავს ორი შვილი — 2 წლის ბიჭი და 6 თვის გოგონა.



**ემა ტუხიაშვილი**

— მესტიის რაიონში სოფელ ჭუბერში დავიბადე და სკოლაც იქ დავამთავრე. სხვათა შორის, მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც პირველად ვნახე ქალაქი, ეს იყო ზუგდიდი. დედაჩემი პედაგოგი გახლდათ, მამა კი ექიმი მყავდა. სწორედ მან მასწავლა, თუ როგორი უნდა იყოს კარგი ადამიანი. ხშირად თავად ყოფილა შეუძლოდ, მაღალი ტემპერატურა ჰქონია, მაგრამ სოფლიდან სოფელში ავადმყოფების მოსანახულებლად დადიოდა ხოლმე. ვერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როდესაც ყოველ ზაფხულს ჭუბერში ჩამოსულ არქეოლოგებთან ვატარებდი. ძალიან გამიტაცა ამ სფერომ, მაგრამ პირველი ცდით უნივერსიტეტში მაინც ვერ ჩავირიცხე. თბილისში მუშაობა დავიწყე არქეოლოგიური კვლევის ცენტრში და უკვე მეორე ცდით სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. სწავლის პერიოდში, ეთნოგრაფიამ გამიტაცა და 5 წლის მანძილზე, ყოველ ზაფხულს ექსპედიციაში ვატარებდი. ერთი წლის განმავლობაში, დავითგარეჯში ვიყავი მედავითნედ, სადაც კომუნისტების მიერ დანგრეული პირველი სენაკი მე აღვადვინე. შემდეგ დმანისის სკოლის დირექტორად ვიმუშავე 2 წელი, ხოლო პარალელურად მედავითნეობას ვაგრძელებდი დმანისის სიონში, სადაც მნათე იყო გიგი უგულავა — ახლანდელი უშიშროების მინისტრის მოადგილე.

**— ფურნალისტური საქმიანობა როდის დაიწყო?**

— ძალიან ჩავიკეტე ეკლესიურ სივრცეში და ასე ვთქვათ, „თვალის გასახველად“, მუშაობა დავიწყე გაზეთ „კავკასიონში“. მაგრამ ისე გამიტაცა ამ საქმემ, რომ ვეღარ მოვწყდი. სწორედ აქედან იწყება ჩემი დაინტერესება ადამიანის

წარსულში ეთნოგრაფი, სკოლის დირექტორი, მედავითნე, ფურნალისტი, ახლა კი სახალხო დამცველი საკუთარი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. როგორც ჩანს, რეორგანიზაციას ვერც ომბუდსმენის აპარატი გადაურჩება, რადგან სოზარ სუბარი თავის უწყებაში საკადრო წმენდას გეგმავს და არ გამოირიცხავს, რომ ადამიანის უფლებების სადარჯოზე მისი მეგობარი კოლეგებიც ვიხილოთ. მთავრობის წევრების მეგობარი ომბუდსმენი არ უარყოფს, რომ მოვალეობის პირნათლად შესრულებაში შესაძლოა, ამ მეგობრობამ გარკვეული უხერხულობებიც წარმოშვას, თუმცა გეპირდება, რომ უსამართლობაზე არასდროს დახუჭავს თვალს.

**სოზარ სუბარი პრეზიდენტისა და ორი ძალოვნისგან მამიდაზე მუხტის დაკვირვებას ელის**

უფლებებით. ვინაიდან სამართალდამცავ სტრუქტურებზე მასალების მომზადება მეველებოდა, საკმაოდ მალე გავიცანი ყველა თანამდებობის პირი პოლიციასა და პროკურატურაში, მაგრამ ასევე მალე დაიხურა მათი ყველა კარი ჩემთვის. შემდეგ ჩავატარე რამდენიმე ფურნალისტური გამოძიება, რომლებმაც საკმაო რეზონანსი გამოიწვია და ამის შედეგად, მიმიწვიეს პრაღაში რადიო „თავისუფლების“ ტრენინგებზე.

— სოზარ, ხელისუფლების წარმომადგენლები არც მალავენ, რომ თქვენდამი სიმპათია აქვთ, ამიტომ მოსალოდნელიც იყო, რომ პარლამენტი უპრობლემოდ დაამტკიცებდა თქვენს კანდიდატურას.

— ყოველთვის ამ გუნდს ვუჭერდი მხარს, მაშინაც, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობას შეადგენდნენ სააკაშვილი, ჟვანია, დავითაშვილი და ა.შ., რეკოლუციის დროსაც... ახლა ხელისუფლებაში მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ჩემი თანამებრძოლები და მეგობრები იყვნენ. მეგობრები არც ახლანდელ ოპოზიციაში მაკლია. ყოველივე ამის მიუხედავად, ხელისუფლების მხრიდან გადადგმულმა ამ ნაბიჯმა ცოტა გამაკვირვა, რადგან მთავრობას ყოველთვის ურჩევნია, რომ კომფორტულად გრძნობდეს თავს, მათ კი იციან, რომ მე ძალიან პრინციპული ადამიანი ვარ. ხელისუფლებამ კრიმინალთან ბრძოლის კურსი აირჩია და გამოირიცხული არაა, რომ ამ ბრძოლისას იმ ზღვარს იქით გადახვევა მოხდეს, რომელიც სწორედ ადამიანის უფლებების პრობლემაზე გადის...

— კონკრეტულად მითხაროთ, ყველაზე მეტად სად ირღვევა ახლა ადამიანის უფლებები და ვინ იქნება თქვენი პირველი სამიზნე?

— ადამიანის უფლებები ყველგან ირღვევა, უბრალოდ, არის სფეროები, სადაც შედარებით იოლია შედეგის მიღწევა — მაგალითად, იმისათვის, რომ ადამიანთა წამების ფაქტები საბოლოოდ აღიკვეთოს, საჭიროა სააკაშვილის, მერაბიშვილის და ადგიშვილის მხრიდან მაგიაზე მუშტის დარტყმა და მკაცრი განცხადება, რომ დაისჯება წამების თითოეული ფაქტის ჩამდენი. მაგრამ ძნელია, ერთი ხელის მოსმით 300 ათასი დევნილის უფლებების დაცვის პრობლემა მოავგარო.

— როგორც მახსოვს, ადრე სუბელიანი იყავით, რატომ გადაიკეთეთ გვარი?

— გვარი არ გადამიკეთებია, პირიქით — ჩემი ძველი, ისტორიული გვარი დავიბრუნე. გვაქვს ყველა დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ 1933 წლამდე ჩვენ ვიყავით სუბარები, ხოლო იმ დროს, 2 გვარის „გაერთიანება“ მოხდა. ახლა ეს გვარი ათამდე სუბარმა დაიბრუნა, ხოლო პირველი ბავშვი, რომელიც ამ გვართ დაიბადა, ჩემი შვილი ნინია.



# უძრავი ქონების საზონი დაიწყო



ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

**ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა**



თამადობის ნიჭი ღმერთს ბევრი ქართველისთვის უბოძებია და თამადობის ინსტიტუტი ჩვენში უკვე თაობებს ითვლის. ზოგი თამადა თავისი ორატორული მონაცემებითაა ცნობილი, ზოგმა კარგი ლექსითა და სიმღერით მოისვენა კარგი თამადის სახელი, ზოგს კი მოსწრებული სიტყვა-პასუხით იცნობენ. როგორც ამბობენ, პროფესორ აბშული სოსხაძის (მომღერალ ირმა სოსხაძის მამას) ყველა ეს თვისება ახასიათებს. სწორედ ამიტომ უწოდებს მეგობრებმა მას თამადების თამადა.

# თოფის ლულით ნათქვამი საღვებქელი, ქალიშვილის ქორწილში შესმული დოცრანახევრიანი ყანწი და ევროპელი სუფრის წმკრების ღამოჩრილვის ხმჩხი

## ნეა ტხნიაშვილი

— „თამადა“, ისევე, როგორც „ქეიფი“ — აღმოსავლური სიტყვაა. ქართველებს გვაქვს „ლხინი“ და „ლხინის უფალი“ გვყავს ხოლმე. მაგრამ „თამადაშ“ საკმოდ ღრმად გაიდგა ფესვები და ახლა ამ სიტყვას უცხოეთშიც იყენებენ ხოლმე. მამაჩემი კოტია სოსხაძე ცნობილი მეღვინე გახლდათ და ამბობდა: ღვინის დაღვეის უფლება უნდა მოიპოვო წესიერი შრომით, განათლებითა და კარგი კაცობით. სხვათა შორის, მამაჩემიც საკმოდ ცნობილი თამადა გახლდათ და როდესაც 1961 წელს, თბილისში ნიკიტა ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო ჩამოვიდნენ სტუმრად, ვასილ მჭავანაძემ მამას სთხოვა, რომ ეთამადა სუფრაზე. მამა უხერხულ მღვომარეობაში აღმოჩნდა და მჭავანაძეს უთხრა: მხოლოდ პირველ საღვებქელზე მომეხმარე, რადგან არ ვიცი, ვერ ჩვენი პირველი კაცი — ხრუშჩოვი ვადღერებელი, რომ არ ეწყინოს, თუ წესისამებრ, სტუმარი, — რაზეც მჭავანაძემ უარი უთხრა: მე მაგის თავი არა მაქვს... მოულოდნელად, ხრუშჩოვმა სიტყვა მოითხოვა და ფიდელ კასტრო ადღერებელა, შემდეგ მამაჩემთან მიიბრინა და უთხრა: Ну что, Петрович, я тебя выручил-ო...

### — თამადობა მამისგან ისწავლეთ?

— მამაჩემისგანაც ბევრი რამ ვისწავლე და თავად ცხოვრებამაც მასწავლა. მამას ისეთი მეგობრები ჰყავდა, როგორებიც იყვნენ: ვანიჩკა კახიძე, სერგო ბაქრაძე, პეტრე ბოკერია, ტუპია იაშვილი, დათიკო ჯანელიძე და ა.შ. სიმღერაც მათი მოვლილი იყო, სუფრაზე და იუმორიც, ამიტომ ასეთ ხალხში თამადობის სწავლა ძნელი არ არის. კახიძეებს განსაკუთრებულად პურმარილიანი ოვჯახი ჰქონდათ. მასსოვს, ერთხელ მათთან გავშალეთ სუფრა, რომელსაც თაობათა დაპირისპირება ვუწოდებთ: ერთ სუფრასთან მამა და მისი მეგობრები ისხდნენ,

მოპირდაპირე მაგიდასთან — მე, ვანო კახიძე და ჩვენი თაობის სხვა წარმომადგენლები. მამები და შვილები საღვებქელოებს რიგრიგობით ვამბობდით. მამინ მიხვდნენ მამები, რომ ჩვენი აზრი უკვე ანგარიშგასაწევი იყო.

### — ვაზის მოვლა და ღვინის დაყენება თუ განსავალთ მამამ?

— სამწუხაროდ, ამ საკითხში ცოტათი მოვიკოვლებ. მეღვინეობას მოწოდება უნდა, მე კი ასეთი მოწოდება რომ მქონოდა, იწინერი კი არ გამოვიდოდი. ბავშობაში იმერეთში ბებიასთან დამიწურავს ღვინო საწინახელში.

### — ვიცი, რომ ბევრი უცხოელი მეგობარი გყავთ. ქართველებისნაირი თამადობა თუ იციან სხვაგანაც?

— წლების წინ თბილისში სტუმრად ბულგარელი მწერალი, სამი „ოქროს კალმის“ მფლობელი ვასილ ცონევი მოვიწვიე. სუფრაზე, რომელსაც მე თამადობდი, ცონევი ნოდარ ღუმბაძეს შევავებდრე. მოგვიანებით, ბულგარელმა მწერალმა გამოსცა წიგნი — „მოგზაურობა ვეროპაში“, სადაც საქართველო ქართული სუფრისა და თამადობის წესის მეშვეობით აღწერა. ცონევი წერს: როდესაც თამადა ჩემი საღვებქელი დალია და მჭო და მადიდა, სიამაყისგან ისე გავიბრუნე, რომ კნაღამ გავსკდი, მაგრამ ბოლოს დააყოლა — ამდენს იმიტომ გაქვბ, რომ ასეთი უნდა იყო!.. საღვებქელი ავანსივით არის, მასში სურვილებს აქსოვ და ადამიანთან მიგაქვს. ამიტომ ხშირად ვსვამ



საღვებქელის საღვებქელი, რადგან მიმჩნია, რომ თვით საღვებქელიც „ღვებქელოების“ ღირსია. უცხოელებზე მოგახსენებთ კიდევ: დიუმა რომ იყო საქართველოში სტუმრად, საფრანგეთში ჩასულმა, გულბათ ჭავჭავაძეზე უფრო მეტი დაწერა — რომელმაც წინანდალში ჭინჭილებით და ლიტრიანი ყანწებით დაჯაბნა დიუმა, ვიდრე ქართველ მწერლებსა თუ პოეტებზე. დიუმაზე ერთი ანეკდოტიც გამახსენდა და უნდა გითხრა. წინანდალის შემდეგ, ქართველებმა იფიქრეს — მოდი, დიუმა ვასიამოვნოთ და წიგნების მალაზიაში შეიყვანეს, სადაც სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი მისი ნაწარმოებებით სავსე იყო დახლები. გადართა თურმე დიუმა და იკითხა: კი, მაგრამ სხვა მწერლების წიგნები არ გაქვთო? — სხვა წიგნები გაიყვადო, — მიუგეს ქართველებმა...

### — მსმენია, თამადების თამადას გინოღებენ...

— გელა მუხამაგია ხომ იცით, ცნობილი პროქტოლოგი? ჩემი დიდი მეგობარია. ჰოდა, 66 წელი რომ შეუსრულდა, ანდერძის წერა დაიწყო. იმდენი წერა ეს ანდერძი, რომ ბოლოს მიხვდა — დისერტაცია დაუწერია; გამოიტანა, დაიცვა და გადართა ხალხი. მისი სადოქტორო სუფრის თამადა მე გახლდით და საღვებქელიში მოგახსენე საზოგადოებას გელას დისერტაციის შექმნის ამბავი. ამის შემდეგ მიწოდა გელამ თამადების თამადა.

### — ღვინოს ბევრს სვამთ?

— ახალგაზრდობაში უფრო ვეტანებოდი ღვინოს. ახლა კი ძალიან ცოტას გვახლებით ხოლმე. თამადა არ უნდა დათვრეს სუფრასთან. არ მოგატყუებთ და ღვინის მოპარვის რამდენიმე ხერხიც მაქვს, რომელიც, სხვათა შორის, ამართლებს.

### — თამადობისას განსხვავებულ სასმისებს თუ იყენებთ?

თუ კაცმა საუბარი იცი, კარგი იუმორი გაქვს და სიმღერის ნიჭი მოუცია ღმერთს, სუფრა ერთ დიდ შოუს ემსგავსება



— შინ დიდი არაფერი ქონება მაქვს, ჭიკები მაქვს მხოლოდ საინტერესო. თითოეულ ჭიკას კი სუფრაზე თავისი დანიშნულება აქვს. ცხონებულ მამაჩემს ფეხმოტეხილი ჭიკები უყვარდა: ჭიკას ფეხს შეგნებულად ამტვრევდნენ, ჭირვეულ სუფრის წვერს ღვინით გაუვსებდნენ და მიაწვდიდნენ ხოლმე და თან, იმასაც დააყოლებდნენ: თუ არ გინდა, ნუ დაღვევო... მაქვს კიდევ ჭიკები, რომლებსაც შიგნით ზანზალაკი აქვს და როდესაც დაცლი, ახმაურდება... ჩემმა მეუღლემ სტუდენტობის დროს 2 ყანწი მაჩუქა და იმ ყანწებით ოქროს ქორწილი გადავიხადეთ.

— თუ გახსოვთ, ყველაზე ტყვადი ყანწი როდის დალიეთ და რამდენი ღვინო ჩადიოდა შიგ?

— ირმას ქორწილში თამადამ სიძის მხრიდან იერიში მოიტანა ჩემზე — ხან რომელ სასმისს მომასწავლიდა და ხან — რომელს. რა თქმა უნდა, თადარიგი წინასწარ დავიჭირე და თან მახლდა ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი კათედრის გამგე დემურ დანელია, რომელსაც ღუდის სმაში გერმანიაში სპეციალური ჯილდოებიც აქვს მიღებული. როდესაც გამიჭირდა, თემურს თვალთ ვანიშნე და მან სუფრაზე, უკვე წინასწარ გამზადებული ლიტრანახვერიანი ყანწები შემოიტანა. დემურმა ყანწი შეავსო, სადღევრძელო წარმოთქვა, შესვა და ალავერდს იმ თამადასთან გადავიდა. თამადამ ბევრი ილაპარაკა სადღევრძელოს ირგვლივ, ყანწის დაღვევაც დაიწყო, მაგრამ რომ იტყვიან, „კისერი მოეგრიხა“. მე კი სვენებს სვენებით, მაგრამ რაკი ირმას ქორწილი იყო, ეს ყანწი მაინც გამოვცალე.

— გამორჩეულად საყვარელი სადღევრძელო თუ გაქვთ?

— ლხინის სუფრაზე ძალიან მიყვარს სადღევრძელოს წარმოთქმა. ამ ფენომენის ასსნა მეცნიერებსაც კი უჭირთ, მე კი ასე ვამბობ ხოლმე: „სიყვარულია ის, როდესაც გვერდით გყავს ადამიანი და გინდა რომ სულ უყურო, როდესაც ფიქრობ მასზე და მაინც გინდა, რომ იფიქრო, როდესაც ეხუტები და კიდევ გინდა ჩაეხუტო!“ საერთოდ კი, საყვარელი სადღევრძელო სუფრაზე უნდა დაიბადოს. აბა, ის რა თამადაა, სადღევრძელოებს შინ რომ მოიფიქრებს და ისე მივა სუფრის გასაძლილად!.. სხვათა შორის, მე და ჩემი მეგობრები თემატურ სუფრებს ვაწყობთ ხოლმე: მაგალითად, გვექონია სუფრა, სადაც სადღევრძელოები მხოლოდ გალაკტიონის ლექსებით გვითქვამს; ერთხელ მოვაწყვეთ სადამო, სადაც მხოლოდ ანატომიურ სადღევრძელოებს ვამბობდით. ერთ-ერთ ფრანგ მწერალს აქვს დაწერილი „ანატომიური რომანი“, სადაც აღწერილია,

თუ როგორ ვერ დატკბა ვაჟი თავისი საყვარელი ქალის აღერსით, რომელიც მოტაცებული ჰყავდა და შემდეგ გოგოს მშობლებმა წაართვეს. ამ რომანის მიხედვით, ჩვენც ვსვამთ ხოლმე თვალბის, ფეხების და მკერდის სადღევრძელოებს.

— თუ გახსოვთ, ყველაზე უცნაური სასმისი, რომლითაც სადღევრძელო შეგისვამთ?

— მონადირეების სადღევრძელო მაქვს დაღვეული თოფის ღულლიდან. ხოლო ლამპის შუშას და ქალის ფეხსაცმელს რაც შეეხება, ახალგაზრდობაში ბევრჯერ დამიღვევია ასეთი „სასმისით“.

— ალბათ არის შემთხვევები, როდესაც სუფრა უმართავი ხდება,



ლხინის სუფრაზე ძალიან მიყვარს სადღევრძელოს წარმოთქმა. ამ ფენომენის ასსნა მეცნიერებსაც კი უჭირთ, მე კი ასე ვამბობ...

სუფრის წევრები აღარ გისმენენ. ამ დროს რას მოიმოქმედებთ?

— საერთოდ, ასეთი შემთხვევები არ მქონია, რადგან თუ კაცმა საუბარი იცი, კარგი თუმორი გაქვს და სიმღერის ნიჭიც მოუცია ღმერთს, სუფრა ერთ დიდ შოუს ემსგავსება. თუმცა, იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ავსტრიაში ვიყავი სუფრის თამადა, სადაც ერთ მხარეს ჩვენი რექტორი (ტექნიკური უნივერსიტეტის) რამაზ ხუროძე, მეორე მხარეს კი — ვანო ბაგრატიონი, „ციციური ტრიო“ მღეროდნენ და რა თქმა უნდა, ჩემი ირმაც ჩემთან იყო. ძალიან დიდი სუფრაა გაშლილი, ვსვამ შვილიშვილების სადღევრძელოს და სუფრის წევრები — იტალიელები, ფრანგები, ჩეხები და სხვანი ყურს არ მივდებენ. თავაზიანად ვთხოვე, რომ შეესვათ შვილიშვილების სადღევრძელო, მაგრამ აინუნმათაც კი არ ჩამაგდეს. გული მომივიდა და ხმამაღლა ვუთხარი: ახლა ჩემს სამ შვილიშვილს შემოგიყვანთ, სამ ვაჟკაცს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ღვინო ჰიტლერის სისხლი აქვთ (ჩემი რძალი გერმანელია), მამით კი — სტალინის-მეთქი. ამის მერე როგორც კი ფეხზე წამოვდებოდი, იმ წამიდან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე...

# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი ტყვია ეს-როლენ მკვლელობა ილია ჭავჭავაძის?



- ა) ხუთი;
- ბ) ერთი;
- გ) ცამეტი.

2. გალაკტიონ ტაბიძე სოფლის მასწავლებლის ოჯახში დაიბადა, ტიტინა ტაბიძე აი...



- ა) ექიმის ოჯახში;
- ბ) მღვდლის ოჯახში;
- გ) სკოლის დირექტორის ოჯახში.

3. შავ ცხენს არაბები ან კლავდენე, ან უცხოელს მიჰყიდდნენ სოფში, რადგან ის მიაჩნდათ...



- ა) უბელურების მომტანად;
- ბ) ურჯულთების „მიკრიკად“;
- გ) უჯიშო ცხენად.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



# მარტო დარჩენილი მშობელი

...მისი ეზოს ტიშკარი ღრჭიალით იღებოდა, მოხუცს შეეძლო უანგმოკიდებული რკინის ანჯამები დაეხეთა, რათა უსიამოვნო ხმის მოსმენა აეცილებინა თავიდან, მაგრამ ამის გაკეთება აზრადაც არ მოსდიოდა. ერჩივნა, ტიშკრის ყოველი გაღები-სას ღრჭიალი ესმინა, ეზოში შემოსულ ადამიანს კარშივე რომ შეგებებოდა... მარტოდ დარჩენილ 5 შვილის მამას ადამიანის დანახვა ენატრებოდა...

## ლელა ჭანკოტაძე

რაჭის ულამაზესი სოფლების მონახულებისას ურდულდალეული ბევრი სახელი შევაძინე. შემოდგომის დადგომასთან ერთად, იქაურები ქალაქში მიეშურებინან. სოფლები თითო-ორიოლა მოხუცის ამარა რჩება. თოვლით დაფარულ მიდამოს ადამიანის ნაფეხური ენატრება, მხოლოდ იშვიათად გაისმის რაჭული ვადაძახილი: „მართაუ, ჰე-ე! სანდროუკა, ხომ ჯანზე ხარ?“

ქალაქში კი სიცოცხლე ჩქეფს. მაღალმთიან რაიონებში მარტოდ დარჩენილი მშობლების მონატრება თვეები გრძელდება. უმეტესობა წუხს, დედა რომ ვერ დაიყოლია თბილისში გამოეზამთრებინა; ზოგი მამის გამო ღელავს – ვაითუ, სასმელს მიეძღოს, ვაითუ, ნასვამს ჭრახვი გადაუბრუნდეს, ვაითუ, პური შემოაკლდეს... რას ფიქრობენ თავად მოხუცები, ჯიუტად რომ არ ტოვებენ ქვითკირის სახლებს, მამაპაპეულ კარ-მიდამოს და მთელ ზამთარს შვილების მონატრებაში ატარებენ?.. ჩემი რესპონდენტების ვინაობას მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ ჰკონიათ, შვილები ითაკილებენ, ვერ გაიკებენ მშობლების სატკივარს.

### აბზაჟო, 80 წლის:

— ჯერ არც ერთი ზამთარი არ გამიტარებია რაჭის მიღმა. ზამთარ-ზაფხულ ჩემი სოფლის ჭირისუფალი ვარ. ლაბადას რომ მოვიხურავ და დათოვლილ მთებს თვალს გადავავლებ, თავი ყოვლისშემძლე მგონია. სად უნდა წავიდე?! ჩემი შვილი ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. წარმოვიდგენიათ, ორ ოთახში ექვსი ადამიანი?! საკუთარ თავთან მარტო ვერ დარჩები. შენს სულს სხეულიდან ვერ გამოიხმობ და ვერ გაესაუბრები. ვერ დაიქუხებ — მეზობელი შეწუნდებ;

ბა; ბანს ვერ იტყვი — მეზობლის მიმართ ბევრს გააღვიძებ, გამჩენსაც ვერ შეაგინებ ვინმე მოძულეს, რადგან ამას ყველა გაიგონებს... აქ კი შეგიძლია, თავი მთელი სამყაროს მბრძანებლად იგრძნო. სიმღერაც დააგუგუნო და მთის ბანიც მოისმინო...

### — მარტო არ გიჭირთ?

— მიჭირს. ხმის გამცემი არავინ მყავს. სოფელში ზამთრობით 20-30 მოხუცი მანც ვრჩებოდი ხოლმე. შარშან ხუთმა გამოვიზამთრეთ. წელს ოთხნი ვაპირებთ პირქუშ ამინდებთან გამკლავებას. მთელი კვირა ისე გავა, ერთმანეთთან ვერ მივდივართ. მხოლოდ შეგძახებთ ხოლმე: ნინაუკა! ამაკუნა! მართა!.. დღე ისე თუ გავიდა, რომელიმეს სახლიდან ბოლი ვერ დავინახეთ, მაშინვე იქით მივდივართ. სულ ცუდის მოლოდინში ვართ, ვინ იცის, როდის გვესტუმრება მიქელგაბრიელი?.. მე მარტობას იცით, როგორ ვებრძვი?.. ვწერ. ღმერთის შეწევნით, მოსაგონარი ბევრი მაქვს. ვზივარ და ფურცელზე გადამაქვს, რაც გამიგონია, რაც მომისმენია და წამიკითხავს. იქნებ, ჩემი შვილიშვილებიდან რომელიმემ წაიკითხოს. თუ არც ერთი არ დაინტერესდება, იმ ქვეყნად გამატანენ უკვე გაყვითლებულ ქაღალდის ფურცლებს...

### — რამდენი შვილი გყავთ?

— ერთი ბიჭი მყავს. ერთიც ყმაწვილკაცობაში დამეღუპა... კარგი რძალი შემახვედრა განგებამ. ისიც რაჭველია, მთის ტუბუ აქვს ნაწილი. უფროსის პატივისცემა არავისგან ესწავლება, მაგრამ მე მანც ჩემთვის, მარტო მირჩენია. სულ მსაყვედურობს, მთხვავს: მხოლოდ ერთი ზამთარი გაატარე ჩვენთან, ნახავ, როგორ მოგეწონებაო. რა უნდა მომეწონოს, ხალხო, ბორჯალოზე (მდინარე რაჭაში) უფრო მეტად?!

### მართა, 78 წლის:

— 16 წლის ვიყავი, ამ ეზოში ჩიხტიკობითა და თეთრი კაბით რომ შემომიყვანეს. უკან ურმით ჩემი მზითვეი მოჰქონდათ. იმ დღიდან, ეს არის ადგილი, სადაც ჭიანჭველასავით ვშრომობ და ვმრავლდები.

### — რამდენი შვილი გყავთ?

— ღმერთმა შვილი არ მარგუნა. 10 წელი რომ გავიდა და არ დავორსულდი, საგონებელში ჩავვარდი. ჩემი ქმარი ისეთი ვაჟკაცი იყო, ყველას თვალი რჩებოდა მასზე. უშვილიძიროდ როგორ უნდა გადაშენებულიყო?! რადგან შვილს ვერ ვუჩენდი, ისეთი ქალის ძებნა დავიწყე, რომელიც ჩემს გულისტკივილს გაიზიარებდა და დამიჯერებდა. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ქმრისთვის ცოლი შემერთო...

### — ქმარმაც გაიზიარა თქვენი სურვილი?

— ჩემი ტანსაცმელი შევავროვე, საბძელში გადავიტანე და ვთქვი: დღეიდან ეს არის ჩემი სასახლე-მთქი. განზრახვაზე ხელი ვერ ამაღებინა. როგორ არ მეხვეწა — ჭკუას მოუხმე, სისულელე არ ჩაიდინო, ოჯახს ნუ დაანგრევო. მანც არ დავიშალე და მთელ ღუნისა გაგაგებინე, რომ ქმარს გაგზორდი. მერე სოფელ-სოფელ მისთვის ცოლის ძებნა დავიწყე. ღმერთმა პირმშენიერი ობოლი გოგო აღმოგვჩინე. მან ჩემს დათიკას ერთ წელიწადში ვაჟი გაუჩინა.

### — მაგრამ მანც როგორ მოაყვანიეთ ცოლი საკუთარ ქმარს?..

— მე ის მიყვარდა და ვერ შევეგუებოდი, უმემკვიდროდ რომ დარჩენილიყო. მის ორსულ ცოლს ფეხსაც ვბანდი და ღელასავით გვერდში ვედექი. მთელ სოფელს უკვრდა, ვერ ხვდებოდნენ, ასე რატომ ვიქცეოდა... მერე იმ კარგმა ქალმა

მეორე შვილიც გააჩინა, მესამეც და... მეოთხე შვილის გაჩენის დროს გარდაიცვალა. ბავშვიც დაიღუპა და დედაც. დარჩა დათიკა სამი ობლით. უფროსი 7 წლის იყო, უმცროსი – სამის. იმ დღიდან მოყოლებული მე მათ დედად ვიქეცი. არ ვიცი, უფრო მეტად როგორღა უნდა შემეყვარებინა ისინი. ალბათ, ბავშვი მუცლითაც რომ მეტარებინა, ჩემში უფრო დიდ სიყვარულს ვერ გამოიწვევდა... რამდენიმე წელში, დათიკა ნადირის მსხვერპლი გახდა. სანადიროდ წავიდა, უკან კი მკვლარი მოასვენეს. ასე რომ, 3 ობლისათვის დედაც მე ვიყავი და მამაც... ახლა მათ უკვე შვილიშვილები ჰყავთ. ქალაქში ცხოვრობენ. ყოველ ზაფხულს მნახულობენ. მათგან ყურადღება და ალერსი არ მაკლია. ისინი ხომ ჩემი შვილები არიან, მე ხომ მათი დედა ვარ!

**— რატომ არ მიდინართ მათთან გამოსახამთრებლად?**

— განა, დათიკას კერაზე ცეცხლს ჩაუქარებ?! სანამ პირში სული მიღვას, ამ სახლ-კარის დარაჯი და ბატონ-პატრონი ვიქნები. რომ მოგვკვდები, კერაც გაცივდება. ასეთები ვართ მთიელები. შარშან ჩვენი სოფელი კაცი გარდაიცვალა. რომ მიხვდა, ცუდად იყო, სახლის ფანჯრები გააღო, ცეცხლი ჩააქრო და მაგიდაზე ღვინო დადგა. იცოდა, სოფელში დარჩენილი რამდენიმე მოხუცის გარდა, ვერავინ გაიგებდა მისი დაღუპვის შესახებ. აღარ გვაწვალა. დოქით ღვინოც კი დაგვიდგა, მისი შესანდობარი რომ გვეთქვა. შვილები 2 თვის შემდეგ ჩამოვიდნენ...

**— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ შვილებს ანერვიულებთ?**

— ჩემი უმცროსი შვილი განსაკუთრებით განიცდის ხოლმე, მარტო რომ ვრჩები, მაგრამ იცის — ვერ დამიყოლიებს. ახლა მპირდება — მეც შენთან ერთად გავატარებ ზამთარსო. არ მიხარია. ვტუქსავ ამის გამო. შვილი მარტოობისთვის



არ მემეტება... განსაკუთრებით გაზაფხულობით მიჭირს. თვალი სულ ჭიშკრისკენ მიჭირავს, როდის გაიღება და შემოვლენ ჩემი შვილიშვილები. ჟრიაშულით აავსებენ მიდამოს და ჭირნახულს მუსრს გაავლებენ.

*რატომ ურჩევნიათ მათ სოფელში დარჩენა? რატომ ამბობენ უარს შვილებთან ყოფნის სიამოვნებაზე? ნუთუ, მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ კერიის გაცივება არ უნდათ და ჭიშკარზე ურდულის დაღებასაც ერიდებიან? ფსიქოლოგებს ამ კითხვებზე განსხვავებული პასუხები აქვთ.*

**ლია ანდლუშაძე:**

— როცა ამ პრობლემაზე ვსაუბრობ, საჭიროა გავერკვეთ, თუ პირველად როდის რჩებიან მშობლები მარტო? ჩემი აზრით, მაშინ, როცა მათ შვილებს განსხვავებული ინტერესები უჩნდებათ. როცა ვაჟი დაქორწინდება, კარს მიიხურავს და ცოლთან ალერსს იწყებს, დედა უკვე თავს მარტოდ გრძნობს...

**— ე.ი. მშობლები მარტო რჩებიან, როცა შვილები ოჯახდებიან?**

— ხშირად შვილებიც სცოდავენ. როცა ერთ ოჯახად ვცხოვრობთ, აუცილებელია, ოჯახის ყველა წევრის ინტერესები გავითვალისწინოთ. თუ ინტერესთა თანხვედრა არ არის, ოჯახის ერთიანობაც ინგრევა. ასეთია დიდ ოჯახებში ცხოვრების წესი. თუ უსიამოვნებები ღრმავდება და ახალგაზრდა ცოლქმარი ოჯახიდან მიდის, სწორედ მაშინ ცვივდებიან მშობლები სასოწარკვეთილებაში. საქმეში ნათესავები ერევიან. იმის მაგივრად, რომ რეალურად შეაფასონ მდგომარეობა, წლების განმავლობაში ცდილობენ, რძალი და შვილი „შემოირიგონ“ და ოჯახში დააბრუნონ. ერთ ჩვეულებრივ კარგ ქართულ ოჯახში მოხდა მსგავსი რამ. ასაკოვანი ცოლ-ქმარი თითქმის განადგურდა: კაცმა სმას მიჰყო ხელი, ქალმა — გაუთავებელ ტირილს. ისინი თვლიდნენ, რომ რძალმა შვილი წაართვა, ოჯახი დაუნგრია. სინამდვილეში მათ ვაჟს ცხოვრებასთან დამოუკიდებლად შეჭიდება უნდოდა. უკვე 8 წელია გასული, მოხუც ცოლ-ქმარს კი მაინც იმედი აქვს, რომ შვილი და რძალი მათთან დაბრუნდებიან, გონს მოეგებიან და ისევ ერთად ბედნიერად იცხოვრებენ.

**— მაგრამ არიან მშობლები, რომლებიც შვილებთან ცხოვრებას თავად არ თანხმდებიან; რატომ?**

— ასეთი მშობლების რიცხვი არც ისე დიდია. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ: მათ შვილები ეხვეწებიან, ემუდარებიან — ჩვენთან იცხოვრეთო, ხშირად უკავშირდებიან ტელეფონით, წერილებს უგზავნიან, წამალს და ფულს არ აკლებენ; ამბობთაც არ გრძნობენ,

რომ მიტოვებულები არიან. მათთვის მართლობა სასჯელი კი არ არის, რომელიც შვილებმა დააკისრეს — უბრალოდ, მათ ასე უნდათ. მართლობაზე არჩევანი თავად შეაჩერეს...

**ზაინა კორკობაძე:**

— მშობლებისა და შვილების ურთიერთობა საქართველოში უფრო რთულად რეგულირდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამას ჩვენი ტრადიციები განაპირობებს. ოჯახის ინსტიტუტი ჩვენში იმდენად ძლიერია, რომ ძნელია, ადამიანებს აუხსნა, რომ ჯობს, მშობლები და შვილები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ეს აუცილებელია, რადგან როგორი მყარი და შეხმატკბილებულიც არ უნდა იყოს ოჯახი, მაინც ღებება კრიზისის პერიოდი. შვილები სხვა სამყაროში ცხოვრობენ, რომელიც მშობლების სამყაროსგან რადიკალურად განსხვავებულია. მათ უჩნდებათ ინტერესის განსხვავებული სფეროები, სხვა პრიორიტეტები აქვთ და მოვლენებზეც განსხვავებულად რეაგირებენ. ეს კანონზომიერია. სხვანაირად არც შეიძლება, რომ იყოს. ამას მშობლები მტკივნეულად აღიქვამენ, განსაკუთრებით, თუ ისინი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ეწევიან. თავს გარიყულებად გრძნობენ. ამ დროს ისმის ფრაზებიც: მე ზედმეტი ვარ, აღარავინ ვჭირდები, თქვენც მოიყრებით ჩემი ხნისო... — და ა.შ. ხშირად შვილები დათმობაზე მიდიან და ცდილობენ, ისე მოიქცნენ, თითქოს მშობლების გარდა, არავისი აზრი არ აინტერესებთ...

**— როგორ უნდა მოვიქცეთ, მშობელმა თავი მიტოვებულად რომ არ იგრძნოს?**

— ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ფსიქოლოგები ხშირად, ჩვენს ახლობლებსაც ვერ ვუმტკიცებთ, რომ მათ წინაშე მხოლოდ ფსიქოლოგიური პრობლემა დგას და სინამდვილეში, ისინი სულაც არ მიუტოვებიათ, არ უარუყვიათ. სერიოზული მუშაობა საჭირო დებებთან, რომლებიც დაჟინებით ამტკიცებენ, რომ შვილებს მათთვის აღარ სცალიათ. არადა, მათ შვილებს მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობა სურთ — მეტი არაფერი.

**საბითუმან კონრაძე:**

— როცა ჩემი საბუშაო ოთახის კარს აღებს ქალი და მეუბნება, რომ შვილებმა არ გაუმართლეს, მაშინვე ვხვდები — ის მარტოობის გრძნობას ვერ უმკლავდება. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, რაც ძირითადად, მწვავე სოციალური ფონითაა განპირობებული და ხშირად, მშობლებს საჭირო ყურადღებას ვერ ვუთმობთ. მყავდა პაციენტი, რომელიც საკუთარ თავს ადანაშაულებდა მამის

სიკვდილში და ამბობდა, რომ მამამისი თვითმკვლელობამდე თავად მიიყვანა. ის კასპიდან იყო. ახალგაზრდა, ჯან-ღონით საკვებ მამაკაცი დებრესიდიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა.

— თავს დამნაშავედ რატომ მიიჩნევდა?

— როცა ცოლი შეურთავს, თბილისში წამოსულა საცხოვრებლად. ცოლი დედისერთა იყო და არ მოისურვა მშობლებთან დაშორება. ერთი სიტყვით, ირაკლიმ ცხოვრება მოიწყო. კასპში მისი მშობლები დარჩნენ. დედა უკურნებელი სენით იყო ავად და მალე გარდაიცვალა, მამამ კი სმას მიჰყო ხელი. ცხადია, შვილს შეეძლო, დამწუხრებულ მამას მხარში ამოსდგომოდა. დროის რალაც მონაკვეთი მის გვერდით გაეტარებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ფეხშიძემ ცოლის მარტო დატოვებას, მამის პრობლემებისთვის თავის არიდება არჩია. თურმე, მამამისი ხშირად ურეკავდა და სთხოვდა, ჩამოდიო. თავიდან მის თხოვნას ასრულებდა, მაგრამ მერე, შვილი რომ შეეძინათ და საზრუნავი მოემატა, კასპში ჩასვლას სულ უფრო უკლო. უფრო მეტიც — მამას სთხოვა: იქნებ, ცოლი შეერთო, მარტო რომ აღარ იყო და შენ გამო მეც აღარ ვინერვიულოო. ამაზე, კატეგორიული უარი მიიღო... გავიდა წლები. ერთ ავბედით დღეს, ირაკლის მეზობლებმა შეატყობინეს, რომ მამამისმა მარანში თავი ჩამოიხრჩო. შვილმა მამის სიკვდილი მეცხრე დღეს შეიტყო: მეზობლებმა მოხუცი ეზოში რომ ვეღარ დანახეს, მხოლოდ მაშინ დაუწყეს ძებნა... ძნელი სათქმელია, თუ რატომ მოიქცა ასე, მარტოობის გრძნობამ გადაადგმინა ასეთი საშინელი ნაბიჯი თუ სხვა მიზეზებიც ჰქონდა. ერთი რამ ცხადია — ამ ამბავმა ირაკლი სასოწარკვეთილებაში ჩაავლო. საათების განმავლობაში იჯდა ჩემ წინ და იმეორებდა: ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია...

რას ფიქრობენ ცნობილი ადამიანები ამ მწვავე საკითხთან დაკავშირებით? ცხოვრების რომელ ეტაპზე ივრძნეს თავი მარტო? როგორ გაუმკლავდნენ მარტო-


ბის გრძნობას და შვილებთან დაახლოების რა გზები მონახეს?

**წინაუ გაზუნია:**

— თუ შვილმა სითბო არ იგრძნო მშობლისგან და მასში მეგობარი არ დანახა, ის აუცილებლად საკუთარ თავში ჩაიკეტება. ჩვენ ხომ ასეთი ანდაზა გვაქვს: შვილი მტრად გაზარდე და მოყვრად გამოვადგებაო. მგონია, რომ როცა მშობელი თავს მარტო გრძნობს, ამაში დამნაშავე თავად არის: ე.ი. შვილს ვერ დაუმეგობრდა. თუ მშობელი და შვილები მეგობრები არიან, მათ შორის ხიდი არასდროს ჩატყდება და ურთიერთობა არ გაფუჭდება. მე მამა აღრე გარდამეცვალა. დედა აქტიურად იყო ჩაბმული ჩემს ცხოვრებაში. ის ჩემი დიდი მეგობარი გახლდათ. მას ყველაფერს ვუყვებოდი, ყველა საიდუმლოს ვუმხელდი. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ მას თავი მარტო არ უგრძნია. სამაგიეროდ, ვიცნობ დედებს, რომლებსაც მარტოობის გრძნობა აწუხებთ. ალბათ, ამის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ შვილებს ვერ უგებენ. ამბობენ, რომ ვაჟების დედები მარტოობის შეგრძნებას უფრო მწვავედ განიცდიან, ამის შესახებ ბევრი წამიკითხავს. მე ქალიშვილი მყავს, ჩვენ მეგობრები ვართ და მარტოობის გრძნობა არ მეტუქრება.

**ძეთივან კიხიანი:**

— როცა შვილები იზრდებიან, ოჯახდებიან და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, მშობლები მარტო რჩებიან. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ბავშვები, როცა განსხვავებული ინტერესები უჩნდებათ, ვეღარ ახერხებენ მშობლებთან ნორმალურ ურთიერთობას. ჰგონიათ, რომ ყველაფერში მართლები არიან და ცხოვრებას უკეთ იცნობენ. ასეთი ურჩი ბავშვები მშობლებს დიდ ტკივილს აყენებენ. მშობელს კი, თანდათან იპყრობს მარტოობა. ეს გრძნობა აუტანელია. ჩემს ქალიშვილებს შორის განსხვავება თოთხმეტი წელია. შესამე ქალიშვილი სწორედ იმიტომ გავაჩინე, რომ საკუთარი თავისთვის სულიერი



საზრდო მიმეცა და მარტოობის განცდა ამეცილებინა... მარტოდ დარჩენილი მშობელი ჩვენი ყოფის რეალობაა. ალბათ, არა აქვს მნიშვნელობა, ვაჟი ჰყავს თუ ქალიშვილი. თუმცა, მეც გამიგონია იმის შესახებ, რომ ქალები მარტოობას ვაჟიშვილის დაქორწინებისას უფრო მწვავედ გრძნობენ, ვიდრე ქალიშვილის გათხოვებისას. მაგრამ ჩემი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ როცა გოგონები დედები ხდებიან, უფრო უკეთ უგებენ თავიანთ დედებს, უფრო მეტად ცდილობენ მშობლებთან დაახლოებას და უხილავი კედელი, რომელიც წლების მანძილზე შენდებოდა, მაშინვე ინგრევა. მშობლები ხომ შვილების მიმართ ძალიან მიმტყეველები ვართ.

**ზინა კვიციანი:**

— მშობელი მარტო რჩება, როცა შვილები ოჯახდებიან. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნებით. მე ქალიშვილი არ მყავს. რომ მყოლოდა და გათხოვილიყო, არ ვიცი, რა იქნებოდა. თუმცა მგონია, რომ როცა გოგონა თხოვდება, ის უკვე ქმარს და შვილებს ეკუთვნის და არა დედას და მამას. საუკუნეების მანძილზე ასე ხდებოდა. მეც ხომ ვიყავი გათხოვილი. მთელი ყურადღება ქმარ-შვილზე გადაქონდა. იცით, დღემდე რამდენ რამეს ვერ ვინებლებ?... დედას უფრო მეტი ყურადღება, სითბო და მოფერება უნდოდა. ამას ყველაფერს მაშინ ვგრძნობთ და ვაცნობიერებთ, როცა მშობელი აღარ გვყავს. ალბათ, ჩვენი შვილებიც მაშინ მიხვდებიან იმას, თუ რა დაგვაკლეს, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით... შვილის დაოჯახებას მე ვადარებ ბარტყის ბუდიდან გაფრენას. იმ ბარტყს მშობელი შეიძლება, კიდევ შეხვდეს, ერთადაც ივრინონ, მაგრამ ბუდეში ვეღარ დააბრუნებს. გულში სიცარიელე რჩება...



ს  
რ  
ა  
ქ  
ე  
ბ

ადამიანთა უმრავლესობა იმდენადაა ბედნიერი, რამდენადაც გადაწყვიტა, რომ იყოს ბედნიერი.

აბრაამ ლინკოლნი

ბენიალური

# შურისძიება



„გზაჯინალების“ თემად „შურისძიების“ შემოთავაზებამ მკითხველთა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მათი მესიჯებიდან ჩანს, რომ თურმე, სამაგიეროს გადახდის სურვილია შესაძლოა, ღამით ძილი დაგაკარგინოს, დღისით — მოსვენება, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაგატაროს და სანადელს მიგაღწევინოს. „შურის მაძიებელმა“ მკითხველებმა ათასგვარი საინტერესო ამბავი დამიმესიჯეს, მე კი მათ შორის ყველაზე გამორჩეულები ამოვარჩიე და თქვენც გაგაცნობთ.

საქართველოს ზოგიერთ მთიან მხარეში დღემდეა შემორჩენილი სისხლის ალების ტრადიცია. ასეთი რამ წინათ არავის უკვირდა, მაგრამ ვაი, რომ მას ზოგან დღესაც მიმართავენ ხოლმე...

## „მინდა, შური ვიძიო ყველაზე, ვინც მე და პაატა დაგვაშორა...“

### მარი ჩაშარიძე

„გული მწყდება, რომ სულ 16 წელი ვიცხოვრე...“

„ვინაიდან ასეთ თემას შეეხეთ, მინდა ჩემი გულისტიკივილი გაგიზიაროთ. კერძოდ ის, რომ ჩემი ძმა გახდა შურისძიების მსხვერპლი... ეს ამბავი 12 წლის წინ მოხდა. ერთ დღეს უბანში ხმა გავარდა, რომ მეზობელ კორპუსში მცხოვრებმა 16 წლის ბიჭმა ჭადის კაუჭზე ჩამოკიდებული თოკით თავი ჩამოიხრჩო. ყველა შეძრული ვიყავით ამ ამბით. მართლა გულით დაეიტირეთ ჩვენ თვალწინ გაზრდილი ბიჭი. ზუსტად მისი გარდაცვალების წლისთავზე კი, ჩემი ძმა მოკლეს. ამ ორ ამბავს შორის უშუალო კავშირია. მინდა ციტატა მოგიყვანოთ 16 წლის ბიჭის იმ წერილიდან, რომელიც სიკვდილის წინ დატოვა და რომლის ასლიც ჩემს მოკლულ ძმას გულის ჯიბეში ვუპოვეთ: „ძალიან მწყდება გული, რომ სულ 16 წელი ვიცხოვრე. დედა და მამა, არ უნდა ყოფილიყავით ასეთი მკაცრები. მაშინ უშიშრად გაგიხვედით, როგორ მიჭირდა... სხვასაც ვერავის გაუუძილე, რომ დათო ნ-მ ფული „შემასწერა“. უკვე სამი თვეა, უბნის ბიჭები მეტუქრებიან, რომ თუ არ მივიტან, ჩემს დას გააუპატიურებენ და დედას მოკლავენ... თქვენს გადასარჩენად ეს ხერხი მოვიფიქრე. ყველა ძალიან მიყვარხართ...“ ეს მხოლოდ ერთი ნაწყვეტია იმ წერილიდან. თავიდან

ბოლომდე რომ წაიკითხოთ, მერწმუნეთ, თქვენი გონებიდან ვერასოდეს ამოშლით იმ სიტყვებს, რომლებიც იქ წერია. ამ ნაწყვეტში ხსენებული დათო ნ. კი ჩემი ძმა გახლავთ. იმ ბიჭს ნიკუშა ერქვა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული. მის მშობლებს არ გაუხმაურებიათ, რომ ნიკუშამ სიკვდილის წინ წერილი დატოვა. თუ ვინმე ჰკითხავდათ თვითმკვლელობის მიზეზს, მხრებს იჩქინდნენ. ნიკუშას მამას გადაუწყვეტია, რომ შური ეძია ჩემს ძმაზე. შემდეგ ისიც თქვეს, რომ დაკრძალვის დღეს შეილის ცხედართან ფიცი დაუდვია, შენი სიკვდილის მიზეზზე შურს ვიძიებო. შემდეგ ჩემს ძმას დაუახლოვდა, საერთო ნაცნობებმა ისიც თქვეს, რომ ერთხელ ეს საქმე გაურჩევიათ კიდევ. ჩემი ძმა პასუხისმგებლობას თავიდან იცილებდა, უმტკიცებდა, არაფერ შუაში ვარო, მაგრამ როგორც ჩანს, არ დაუჯერეს... იმ დღეს კი ნიკუშას მამას დათოსთვის უთქვამს, წლისთავისთვის საფლავის პროექტი უნდა მოვიტანოთ და შინ იყავი, მონძარება დამჭირდებაო. შემდეგ უცხო ბიჭებმა დაუძახეს. დათო მათთან ჩავიდა, მანქანაში ჩავჯდა და იმის შემდეგ გაქრა. ორი დღის შემდეგ, ქალაქის მივარდნილ ადგილზე აღმოაჩინეს დათოს უსულო სხეული, რომელსაც ჯიბეში ზემოთ ნახსენები წერილი ედო. ბუნებრივია, პოლიციელებმა წერილი ნახეს და მაშინვე ნიკუშას მამაზე იეჭვეს. მას არ უარუყვია, პოლიციას ჩაპარდა და ახლაც სასჯელს

იხდის... ჩემს ძმას კი ამით არაფერი ეშველება“.

წინათ, ვაჟაკისთვის ქალზე აუვის თქმაც კი სირცხვილად ითვლებოდა, შურისძიებაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. თუმცა, ჩვენს რესპონდენტს სულაც არ მიაჩნია, რომ ასე მოიქცა და სიამაყით გვიამბობს, თუ როგორ გადაუხადა სამაგიერო ღალატისთვის საყვარელ ქალს.

### მსმელი ქალის სისუსტე და შურისმაძიებელი კურო

„ვარ 31 წლის მამაკაცი, სახელად კაკო, მაგრამ მეტსახელად გიჟუას მეძახიან. ჩემი დღე და მოსწრება სულ აქეთ-იქით დავდივარ, ხან ალთას ვარ, ხან ბალთას. არც ცოლის მოყვანაზე ფიქრობ. რად მინდა, რა?.. ქალები არ მაკლია და რამე... კახეთის ერთ სოფელში ვცხოვრობ... დილით ავღებები, რაიონში წავალ, იქ დავაღამებ, მერე ან მივალ შინ, ან — არა... ერთი ქალის ამოჩემა ვიცი. რამდენიმე ხნის განმავლობაში მასთან ვარ, სხვისკენ არ გავიხედავ. ეს შესაძლოა, გავრძელებდი ერთი თვე, შესაძლოა — ერთი წელი... ერთი ნაშა მყავდა, გარეგნულად კარგი გოგო იყო, ხასიათიც მშვენიერი ჰქონდა, მაგრამ ერთი უარყოფითი თვისება ჰქონდა — თუ სასმელს დალევა და შეთვრებოდა, მისთვის ყველა კაცი ერთი იყო, უარს არავის ეუბნებოდა. ამიტომ, თუ ძმაკაცებთან ერთად საქეიფოდ წავიდოდი და ანას თან წავიყვანდი, რომ დალევა,

სულ კულში დავდევდი. საკმარისი იყო, თვალი მომერიდებინა, რომ უკვე ვიღაცას კალთაში ეჯდა... მისი სისუსტე ჩემმა ძეგობრებმაც მშვენივრად იცოდნენ. ამიტომ, როდესაც ჩემს ძმაცაც მისი მოწონებული გოგო თვალწინ ავაცალე, გადაწყვიტა, შური ეძია ჩემზე. ანა შინ მიიტყუა დაქალთან ერთად, იქ დალიეს, შემდეგ კი უკვე თქვენც ხვდებით, რაც მოხდებოდა. ეს ამბავი ჩემს ყურამდე მოვიდა, რადგან მიზანი სწორედ ეს იყო... უზომოდ გაკბრაზდი, მაგრამ არაფერი შევიძინე. ერთხელ რაინის ცენტრში ვიდექი და შემხვდა ძველი ნაცნობი, რომელიც პიროვნულად გადასარევი ბიჭია, მაგრამ გარეგნობით – ძალზე შეუხვდავი: დაბალი, შავი, ელამი, ფეხბოლდრეცილი (იმედია, რომ წაიკითხოს, არ ეწყინება). თავში ისეთმა აზრმა გამიღვია, რომ მე თვითონ აღტაცებული დავიჩინე. ზვიადს კვითხე: ქალი გინდა-მეთქი? გახარებულმა დამიქნია თავი. ჰოდა, მისი მანქანით ქალაქგარეთ საქიფოდ წავიდით და თან ანა წავიყვანე. ზვიადს დარიგებული მყავდა – ანა რომ დათვრება, მე ტყეში წავალ, შენ კი შენი საქმე მოავგარე-მეთქი. მართლაც ასე მოვიქციე. მაგრამ თურმე ტყეში ვიხეტიალე მთელი საათი. ანა არაფრის დიდებით არ დათანხმდა... იქიდან წამოსული ავტოცი, შინ პირველი მე მიმიყვანეთ-მეთქი. მანქანიდან გადმოსვლისას კი ზვიადს უთხარი: ისე მიიყვანე გოგო სახლში, რომ თმის ღერიც არ შეურხიო-მეთქი, თან თვალი ჩაუკარი. ანამ კარიდან წიხლი მომყოლა და – უნაბუსო! – მომამახა, რადგან მიხვდა, რაღაცას ვუჩალიჩებდი. გავუჩალიჩე კიდევც... ასე ვიძიე მეც შური...“

ფილმი „მონანიება“ და საფლავიდან უამრავჯერ ამოთხრილი ვარლამ არავიძე უეჭველად ვემასხვრებათ... ჰოდა, ალბათ ასეთი შურისძიება ჯობს, ვიდრე ის, რაც ჩვენმა შემდეგმა რესპონდენტმა, ახალგაზრდა მანდილოსანმა მოაზრა.

**„შურისძიება და მხოლოდ შურისძიება!“**

„შური ვიძიე იმ კაცზე, რომელიც წლების წინ უზომოდ მიყვარდა. მოხდა ისე, რომ მე და ვამა ერთმანეთი ქუჩაში გავიცანი. მე გაჩერებაზე ვიდექი, ის კი მოვიდა და პირდაპირ მითხრა: მომეწონე და შენი გაცნობა მინდაო. ძალზე ბანალურია, მაგრამ საუბარზე უარი არ მითქვამს. მერე ყავაზე დამპატიჟა, მერე სახლამდე მიმაცილა და ტელეფონის ნომერი გამომართვა. შემდეგ ერთმანეთი უზომოდ შეგვიყვარდა. მომავალზე ვოცნებობდით და საერთო გეგმებს ვაწყობდით. ვგრძნობდი, რომ მართლა უზომოდ

ვუყვარდი. ჩემმა ოჯახმაც საკუთარი შვილივით შეიყვარა... გარკვეული პერიოდის შემდეგ შევინშნე, რომ ძველებურად აღარ მიცქერდა ანთებული თვალებით და აღარც ძველებურად მეძახდა – ჩემო ცუცქნაო. საგონებელში ჩავვარდი. ვგრძნობდი, რომ რაღაც ხდებოდა. ერთ დღეს დავიმართლებლე, კუთხეში „მივიმწყვდიე“ და ვათქვივე, რომ თურმე სხვა გოგო შეუყვარდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი განცდაა, როცა საყვარელი ადამიანის ბავთავან ამ სიტყვებს ისმენ. თითქოს დამბლა დამეცა, სუნთქვა შემეკრა და ყელში ბურთი გამეჩხირა... უნძოდ გავცილდი, ზედმეტი სიტყვაც არ მითქვამს. ერთხელაც არ დამირეკავს მისთვის. ჩემს გულში ვიკლავდი დარდსა და ბოლმას, თუმცა, მის ცხოვრებას თვალყურს ვადევნებდი... ის ახალი შეყვარებული გაექცა, მერე სხვა გოგოს დასდევდა. შემდეგ კიდევ სხვას... ამასობაში მთელი 7 წელი გავიდა. შურისძიების წყურვილი არ მასვენებდა. ველოდი, ცოლს როდის მოიყვანდა, რომ მისი ცხოვრება აქრია, მაგრამ ვერ ვეღირსე მის დაოჯახებას. ვა უზომოდ მეზიზღებოდა. მე თვითონ მიკვირდა, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა, ასე ძალიან გვეყვარებოდეს ადამიანი, რომელიც ერთ დროს უზომოდ მიყვარდა. გულწრფელად გეტყვით, რომ ნებისმიერი მისი მარცხი გამახარებდა და მისი ბედნიერება დამამწუხრებდა... მან კი, თითქოს ჩემს ჯიბრზე, უამრავი ფული იშვია, ნაირნაირი მანქანით დადიოდა და აღარ იცოდა, ფული სად დაეხარჯა. ცხოვრება აიწყო, მაგრამ ცოლი არ მოჰყავდა. გადავწყვიტე, აღარ დავლოდებოდი მის დაქორწინებას და შური მანამდე მეძია. გავიგე მისი მობილურის ნომერი და დაუუქსივე. არ დამიძალავს, რომ მე ვიყავი. ისეთი სიტყვები მივწერე, რომ ქვასაც აატრებდა. მაშინვე დამირეკა. თბილად მესაუბრა და შემპირდა, ამ დღეებში გინახვლებ და ძველი დრო გავიხსენოთო. პაქნისთვის საგანგებოდ მოვეშხადე და შევხვდი. მის მკერდზე მიგრძობილი ვტიროდი, ცრემლებს ვადვარდვარებდი – ისევ მიყვარხარ, ვერ დავივიწყე-მეთქი, – ვუბნებოდი. ის თავზე ნახად მეფერებოდა და – ჩემი დატანჯული გოგო, – მეუბნებოდა, მე კი მისი ქვევა და სიტყვები ზიზღს მეგრიადა, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდი. ბოლოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ და მთელი დამე მესივების წერაში გავათენეთ. მეორე დღეს უკვე მიმტკიცებდა, რომ ძველებურად ვუყვარდი. მეც ბედნიერი ქალის როლს ვთამაშობდი. რამდენიმე თვეში კი ვიქორწინეთ კიდევ. ეს ქორწილი 10 წლის წინ მართლა დამახვევდა თავბრუს ბედნიერებისგან, მაგრამ ახლა უკვე სულერთი იყო. შურისძიება და მხოლოდ შურისძიება!

იება! ეს იყო ჩემი მიზანი. ახლა უკვე 3 წელია, ცოლ-ქმარი ვართ. შვილს არ ვუჩენ. გაუთავებელი საყვედურებითა და პრეტენზიებით გულს ვუწყალებ. მთელი დღე დაქალებში დავლივარ, ვერთობი... გათხოვებიდან რამდენიმე თვეში კი, საყვარელიც გავიჩინე. ლამაზი, მომხიბვლელი, მაგრამ ღარიბი ბიჭი, რომელსაც ჩემი ქმრის „ფულებით“ ცხოვრება ავუწყვე; სახლი ვუყიდე, ჩავაცვი, დავაზურე; ჩემს სახლზე ბანკში კარგა მოზრდილი თანხაც დავაგროვე. ახლა ჩემს საყვარელს მანქანას ვუყიდი და ქმარს გავცილდები. აი, ასე ცუდად მოვექციე ჩემს ქმარს. სამაგიეროდ, ძალზე კმაყოფილი ვარ და პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებული მაქვს“.

*ფშაურ ხინკალს რა სჯობს, მაგრამ ვიდრე ხინკლის მოხარშვის მოლოდინში ტურებს ილოკავთ და ხელებს იფშენეთ, კარგად გაიხსენეთ, ახლომანკლო მტერი ხომ არ გყავთ ჩასაფრებული და სწორედ ხელსაყრელ მომენტს ხომ არ ელის, რომ კემრეილი ვახშმის გარეშე დაგტოვოთ?..*

**„ონის ავტორი მე ვიყავი...“**

„ამ ზაფხულს ფშაურში ვისვენებდი, ჩემს მეგობარ გოგოსთან. მოვიხიბლე ამ კუთხის სილამაზითა და ხალხის სტუმართმოყვარეობით. იქვე, მეზობლად თბილისელი ბიჭი იყო, ბებიასთან ჩამოსული. ერთმანეთი მოგვექონა, მაგრამ არც მე ვიმჩნევდი და არც ის. პირიქით, თითქოს ერთმანეთის მიმართ აგრესიულებიც კი გავხდით. ხელიდან არ უშვებდა მომენტს, ჩემთვის რომ არ დაეცინა. მეც სულ მის გაკილვაში ვიყავი. საღამოობით „ჯოკერს“ ვთამაშობდით ხოლმე. სულ „მხიშტავა“, თამაშის დროს ჯიბრში მეღვა, მაგრამ მაინც მოგებულნი მე ვრჩებოდი. ამის გამო ხომ სულ ცოფებს ყრიდა. ერთხელ კარტის თამაში დავიწყეთ და დავთქვით, რომ წაგებული ხინკლისთვის საჭირო მასალას იყიდდა, გუგას ბებია კი ხინკალს მოგვიხვევდა. თანაც, პირობა ისეთი იყო, რომ წაგებული, იმ ხინკალს ვერ შეჭამდა. გუგამ იმდენი ქნა, რომ წავაგე. მეორე დღეს ბაზარში წავიდი, ყველა საჭირო პროდუქტი შევიძინე და გუგას ბებიას მივუტანე. ისეთი დაბოლმძილი ვიყავი, აღარ ვიცოდი, შური როგორ მეძია. ხინკლის მოხვევა საღამოს დაიწყეს. ბოლომდე იმედი მქონდა, რომ დამიძახებდნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით... ფშაურში ხინკალს უზარმაზარ ქვაბში ხარშავენ, თანაც – ეზოში დანთებულ ცეცხლზე. შორიდან, საქანელაზე ჩამოძვლარი ვადევნებდი თვალყურს, თუ რა ხდებოდა გუგას ეზოში. ახალგაზრდები ჟრიაბულობდნენ, ქალები კი ხინკალს აკეთებდნენ. ამასობაში დაღამდა

და ყველამ სახლში გადაინაცვლა. ღაფინანხე, სამზარეულოდან როგორ გამოიტანეს მოხვეული ხინკალი (ასე, 200 ცალი იქნებოდა) და ქვებში როგორ ჩაყარეს. მოვიფიქრე, რა უნდა გამეკეთებინა. მოზრდილი ქვები წავიდე და გუგას ეზოში დავიმალე. ქალები დროდადრო გამოდიოდნენ, რომ ქვებისთვის დაეხედათ. მე მოვიპარე 40 ხინკალი, შემდეგ ქვები, რომელიც ცეცხლზე იდგა, ნელა-ნელა გადმოვყარა და ხინკალები ბურთებივით სულ მიწაზე გამოვყარე. იქიდან შემქმნეველად გამოვიპარე და გულბანად მოვუღებინე... რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რომ ამ ოინის ავტორი მე ვიყავი, მაგრამ ისე ვიუარე, რომ დამიჯერეს. ახლა კი, წყენა უკვე გაუვლიდათ და თუ წაიკითხავთ ჩემს მესიჯს, სულაც აღარ მენაღვლება. გუგა, ბებიაშენს მართლა დიდებული ხინკლის გაკეთება სცოდნია. გოცნი. ნათია“.

**„ძალზე „სტერვა“ ვარ?“**

„შესაძლოა, ძალზე სასტიკად მოგეჩვენოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ შეყვარებული ქალი ძუ ლომზე უფრო საშიშია, თუ მას წინ ვინმე ელობება. მე და გოგას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და ოჯახებიც ხელს გვიწყობდნენ, რომ ბედნიერები ყოფილიყავით, მაგრამ თანდათან შევნიშნე, რომ გოგას ოჯახი ძველებურად აღარ მიღებდა. ბოლოს, მამამისმა კატეგორიულად მითხრა – ჩემს ოჯახში ვერ შემოხვალ. ბევრი ძიების შემდეგ, როგორც იქნა, გავიგე, რომ ჩემი უახლოესი დაქალი ჩემზე საზიზღარ „გარყვნილობებს“ უამბობდა. ამის შემდეგ რისი იმედი უნდა მქონოდა?... დაქალისთვის არაფერი მითქვამს, მის კალთაშიც კი მიტირია, მაგრამ გულში დავიფიქრე, რომ საშინლად ვიძიებდი შურს. მალე ის გათხოვდა და ბედნიერიც იყო. ნელ-ნელა დავიწყე მის ქმართან ფლირტი და ერთ წელიწადში, ქალწულობაც ჩავაბარე მას. სიყვარულზე ვუყვარდი და მზად იყო, ჩემი გულისთვის ოჯახიც მიეტოვებინა, მაგრამ მარტო ქმრის წართმევა ვერ დააცხრობდა ჩემს ბოლმას. მისივე ქმრის „ფულებით“ ერთი ლამაზი ბიჭი დავიქირავე და დავავალე, ჩემი დაქალისთვის სწორედ იმ პოზებში გადავლო სურათები, რომლებსაც თავის დროზე საკუთარი „ფანტაზიებით“ ჩემზე თხზავდა... ერთ თვეში სურათები ხელში მქონდა. მის ქმარს გაუგზავნე და ჩემს ძვირფას დაქალს დედობაც ჩამოართვეს. რას იტყვით, ძალზე „სტერვა“ ვარ?... ნუ დაგაფიქვლებათ, რომ მან მე უდიდესი სიყვარული დამაკარგვინა და თუ მაშინ თავი არ მოვიკალი, მხოლოდ იმიტომ, რომ შურისძიების წყურვილი მკლავდა“.

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე გზაჯინალებს გავეცნოთ. *საინტერესოა, რომ შურისძიება მკითხველთა უმეტესობისთვის რატომღაც სასიყვარულო ურთიერთობებს უკავშირდება, ზოგი მათგანი კი, მას უბრალოდ, რჩეულოთნ ნებისმიერ ვართულებასთან აიგივებს...*

**„ბომბი მყავს ცოლად და ძალზე მიყვარს...“**

„მარშან ზაფხულში, წყნეთში გავიცანი ერთი გოგონა, რომელსაც ანკა ერქვა. ძალიან შემეყვარდა, მაგრამ ის ჩემზე 5 წლით უფროსი იყო და ჩემს გრძნობებზე ხმაძალა ვერ ველაპარაკებოდი. მეგობრის რჩევით გავუშვილე სიყვარული. ჩემდა გასაკვირად, ანკამ სიყვარულზე სიყვარულითვე მიპასუხა. თავიდან ძალზე გახარებული ვიყავი, მაგრამ ანკა კისერზე მეკიდებოდა, რამდენჯერმე სექსიც გვქონდა... ანკა ცოლად შევირთე. სულ ახლახან კი გავიგე, რომ ის ერთ-ერთი საუნის მემპრეი ყოფილა. როგორ მოვიქცე, არ ვიცი. ისე, სახელი ანკა თავიდანვე არ მომეწონა. ეს ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ ანკა მემპრის სახელია. ბოზი მყავს ცოლად და ძალზე მიყვარს. მართლა სიყვარულზე მიყვარს. რა ხერხს მივმართო, ვერ გამოვიცა...“

„იკა შ-შვილი, თუ გამამწარებ, იცოდე, რომ შურს ვიძიებ და ისე გავაკეთებ, რომ მიელი ცხოვრება ჩემს დაკარგვას განიცდიდეს. ასე რომ...“

„არ ვიცი, ღირს თუ არა, რომ ჩემი 2 წლის წინანდელი სიყვარულის შესახებ მოგიხსნათ, რომელმაც გული ძალზე მატკინა... მას შემდეგ ძალზე უკარება და ცივი გავხდი. ჩვენ ორივეს ძალზე გვიყვარდა ერთმანეთი. არასოდეს მითქვამს მისთვის სიტყვა „მიყვარხარ“, მაგრამ არც იყო საჭირო. მოულოდნელად, ახალგაცნობილმა ვითომ დაქალმა ამბები მომიტანა, თითქოს ის ბიჭი შეყვარებოდა. ალბათ, მასაც ჩემზე იგივე უთხრა... საბოლოოდ ჩემი შეყვარებული ჩემი დაქალის მკლავებში აღმოჩნდა. გული მომიწურა. არ უნდა დამეჯერებინა მოტანილი ამბები. შურისძიების წყურვილი მკლავდა, მაგრამ ეკლესიაში ჩემ გვერდით მლოცველად აღმინაში ჩემი „დაქალი“ ამოვიცანი... მეორე დღესვე გადავულოცე ჩემი შეყვარებული. თურმე დამცინა...“

„ჩემს კუდიან დედამთილზე მინდა შურისძიება. მან მხოლოდ იმისთვის ამითვალწუნა, რომ მის უქონელ ოჯახში „4 მანქანა მზითვი“ არ მივიტანე... მე და ჩემი მეუღლე ჩვილი ბავშვით ქუჩაში გამოვგავდით. ახლა კი, როცა ფეხზე დავდექით და ყველაფერს ჩვენით მივადწიეთ, შურით სკდება და ცდილობს, როგორმე

გვავნოს. მე კი მინდა, რომ შევაჩერო. ინგა“.

„2 წელია, ერთ ბიჭს ვუყვარვარ, მე კი ვეკაიფებოდი. ახლა მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა, ის კი მეკაიფება. ხომ მაგრად იძია შური?... კახა, მიყვარხარ! ირინა“.

„შური მშობელ დედაზე ვიძიე. მან გამაშვილა, ახლა კი უნდა, რომ დამიბრუნოს, მაგრამ უკვე გვიანია. შვილის უარმყოფელი ქალი არ მჭირდება. მე გამზრდელი დედა მიყვარს. ხ. 17 წლის“.

„შურს მაიკოზე ვიძიებ, იმიტომ, რომ ჩემი ერთადერთი სიყვარული წამართვა. მაია, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ერთმანეთს მაინც დაგაშორებთ. გაიგე? უნდა იცოდეს, ვინ შეგეყვარება“.

„ბიჭმა, რომელიც მომწონდა, მითხრა – არ მიყვარხარო. რამდენიმე კვირის შემდეგ, სიყვარული სულ სხვა ბიჭმა ამიხსნა. შურისძიების მიზნით დავიწყე მასთან შეხვედრები. ამასობაში წელიწადზე მეტი გავიდა. ის არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა. უზომოდ შემეყვარდა და თავს ბედნიერად ვგრძნობ. შოთიკო, მიყვარხარ, სალომე“.

„შენ წახვედი... უკვალოდ არაფერი ქრება. მარტო დავრჩი?... ამაზე უარესიც ხდება. ჯაკი, მაგრად მიყვარხარ და მენატრები. ჩემი სიცოცხლე ხარ და გელოდები. ბათუმი“.

„ერთხელ მასწავლებელმა უმნიშვნელო რამის გულისთვის დირექტორთან ჩამიყვანა. მეორე დღეს სკაშზე „სუპერწებო“ დავუსხი. თვალის შეგლება სიცოცხლედ ღირდა. „ჯოჯოხეთის ბიჭუნა“.

„ბესო, შე ცისფერთვალეა მახინჯო, იცი, როგორ ვიძიებ შენზე შურს? ცოტაც და გაიგებ... შენი ბრალია“.

„მინდა, შური ვიძიო ყველაზე, ვინც 16 წლის წინ მე და პაატა დავკამოდა. მე კი მის გზას დღესაც მივტყობ. ვერ დავივიწყე, ისევ ძალიან მიყვარს. პაატა, დამიბრუნდი. ირმა“.

„შურისძიება არ მიყვარს და არც შემიძლია. როცა გულს მტკენენ, ცრემლი ყელში მქნხნება. შემდეგ, როცა მარტო ვრჩები, ცრემლები დღიურის ფურცლებზე გადმოინაცვლებს და... ირინა“.

„ერთმა ჩემმა მეგობარმა ის ბიჭი „დამაწერა“, რომელიც 2 წელი მიყვარდა. ახლა ისე ვარ გაბრაზებული, რომ... ანი ხუხუ... მე, შურს ვიძიებ! გაიგე, ქალბატონო? „ბუა“.

ამჯერად „გზაჯინალებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ – დავუწიყარი მოგზაურობა ავტომანქანით. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. კვლავილობებით მომავალ სთუმბათამდე.

## დედიკო, მე განათლებული უნდა ვიყო!

### რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

**რომელ ასაკში ვასწავლოთ ბავშვს  
კითხვა? როგორ ვასწავლოთ წერა?  
მოდი, გავერკვეთ!**

თანამედროვე სკოლა ითხოვს, რომ სკოლაში წასვლისას ბავშვმა იცოდეს ასოები და ციფრები, შეეძლოს კითხვა. ბავშვები ახლა 6 წლის ასაკში მიდიან სკოლაში, თუმცა ითვლება, რომ ფიზიკურად ასეთი პატარა, სასწავლო დატვირთვებისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად: იგი ძალიან მალე იღლება, არ

შეუძლია ხანგრძლივად ყურადღების კონცენტრირება, ხშირად ავადმყოფობს, აცდენს გაკვეთილებს. შედეგი კი მასალის აუთვისებლობა და დაბალი ნიშნებია. ზოგჯერ ძნელია მშობლების დარწმუნება იმაში, რომ არ არის საჭირო სკოლაში ბავშვის ნაადრევად შეყვანა — უმჯობესია, შესაფერისი მომენტს დაელოდონ. დედა და მამა დარწმუნებული არიან, რომ თუკი პატარამ 5 წლის ასაკში ისწავლა კითხვა, იგი აღარ უნდა ივდეს სახლში ან საბავშვო ბაღში. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კითხვის ნაადრევად სწავლა სასიკეთოდ არ მოქმედებს წერის შესწავლაზე. ამას ორი მიზეზი აქვს:

1. როგორც კი ბავშვი დამოუკიდებლად იწყებს კითხვას, უფროსები შვებით ამოისუნთქავენ ხოლმე და წყვეტენ მისთვის ხმამაღლა წაკითხვას. სულ ტყუილია! ზღაპრის ან მოთხრობის მოსმენისას პატარას შეუძლია გაგონილის წარმოსახვა. მის წარმოსახვაში ყველაზე დაუჯერებელი და ლამაზი სურათები იქმნება.

2. ამ ასაკში ბავშვს არ შეუძლია, ერთდროულად წაკითხოს და აითვისოს კიდევ წაკითხული. წერისათვის კი აუცილებელია, რომ კითხვისას მან ვიზუალურად დაიხსომოს სიტყვები. პატარა ბავშვებისთვის ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. წერისას ბავშვი ერთმანეთში ურევს მსგავს სიტყვებს, ასოებს სიტყვაში.

ეს რომ არ მოხდეს, უკითხეთ პატარებს ხმამაღლა 6, 7 და 8 წლის ასაკშიც. 5-7 წლის ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხმამაღლა მიღება. კარგი იქნება, თუ იგი არა მხოლოდ

აღიქვამს მოსმენილს, არამედ შეძლებს ტექსტის მოყოლასაც. ძალზე სასარგებლოა ლექსების ამგვარადვე სწავლება. შეარჩიეთ ლექსი, რომელიც ბავშვს მოსწონს, წაკითხეთ ხმამაღლა, გამოთქმით, განიხილეთ წაკითხული: მთავარი გმირები, ბუნება, ფერები და ა.შ. მოიფიქრეთ გამოსახულებები და ყოველი სტროფის შესაბამისი ნახატები დახატეთ. თქვენ შეგიძლიათ ეს ლექსი ყოველდღიურად უკითხოთ, როგორც საყვარელი ზღაპარი, ვიდრე ბავშვი მას არ დაიხსომებს.

ლექსის სწრაფად დასამახსოვრებლად, წაკითხეთ ხოლმე მისი ორ-ორი სტრიქონი და სთხოვეთ პატარას, გაიმეოროს. კარგი იქნება, თუ გზადაგზა ბავშვი გაიხსენებს თითოეული სტროფის შესაბამის ნახატს. თუ პატარა ამ ვარჯიშების შემდეგ მაინც ვერ შეძლებს სხაპასუხობით ლექსის თქმას მთლიანად, დაამშვიდეთ და უთხარით, რომ ხვალ მას ეს აუცილებლად გამოუვა. და ეს მართლაც ასე იქნება.

სასარგებლოა არა მხოლოდ ლექსების, არამედ სიმღერების სწავლებაც. სიმღერის სიტყვები მუსიკასთან ერთად უნდა ასწავლოთ. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ფონემატიკური სმენა აქვთ დარღვეული.

მეტად კარგი ვარჯიშია სიტყვის ბგერებად წარმოთქმა. უთხარით ბავშვს 3-5 ბგერისგან შემდგარი სიტყვა და ჰკითხეთ, რამდენი ბგერაა მასში, რომელია პირველი და რომელი — ბოლო, მოიგონეთ სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ ბგერით იწყება.



## ვისი ბავშვია უფრო ჭკვიანი?

უკვე მრავალი წელია, არ ცხრება დავა იმის შესახებ, თუ სად მდებარეობს ადამიანური შესაძლებლობების წყარო.

თანდაყოლილი ნიჭიერების მომხრენი ამტკიცებენ, რომ ინტელექტუალური მშობლების შვილები საუკეთესო უნარის დემონსტრირებას ახდენენ (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ ბევრი საპირისპირო შემთხვევა — ნიჭიერი შვილები ჰყავთ ხოლმე საშუალო გონებრივი შესაძლებლობების მქონე მშობლებს და ისეც ხდება, რომ პროფესორის შვილი რის ვაი-ვაგლასით სძლევს სკოლის პროგრამას). უნდა ვაღიაროთ, რომ ნიჭიერი ბავშვები, როგორც წესი, კულტურულ ოჯახებში იზრდებიან. თუმცა ეს არგუმენტიც შეიძლება სადავო იყოს. მაგრამ უეჭველია, რომ ოჯახის ცხოვრების ატიმოსფერო მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ბავშვის უნარზე. და მთავარი ამ შემთხვევაში აღმზრდელითი ზემოქმედება და განსაკუთრებული სწავლება კი არა, ოჯახში ბავშვებისა და მშობლების ფასეულობებისადმი დამოკიდებულებაა.

### აღზრდის სტილი

მოსკოველმა ფსიქოლოგებმა ცოტა ხნის წინ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც მშობლები და ბავშვები ერთად მონაწილეობდნენ. ოთახში, სადაც ბევრი სხვადასხვაგვარი საინტერესო სათამაშო და წიგნი იყო, იწვევდნენ დედა-შვილს და სთხოვდნენ, ცოტა ხანს იქ შეეცადათ, თანაც, რაც სურდათ, ის ეკეთებინათ. მათ ქცევას კი ფსიქოლოგი აკვირდებოდა ასეთი პრაქტიკისთვის მეთად ხელსაყრელი ცალმხრივი სარკიდან.

ბავშვები და მშობლები სრულიად განსხვავებულად იქცეოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი ქცევის ოთხ ძირითად სტრატეგიაში შეიძლება გავაერთიანოთ.

პირველი პირდაპირი აღმზრდელი ბიითი შემოქმედებაა. ასეთ დროს ყოველგვარი აქტიურობა დედისგან მოდის და იგი ენერგიულად ახდენდა ბავშვის სტიმულირებას: „მოდი, წავიკითხოთ ეს წიგნი, ვითამაშოთ ეს თამაში“...

სხვა დედები ირგვლივ მიმოიხედავდნენ და ჩქარობდნენ ექსპერიმენტატორის მოწვევას, რათა მას მოეთხრო, მაინც რა უნდა ეკეთებინათ ამ ოთახში. ასეთი კატეგორიის არსი პასუხისმგებლობის გადაბარებაა.

● ზოგიერთი დედა ოთახის დათვალიერებისას აღმოაჩენდა ისეთ წიგნს ან თამაშს, რომელიც თავად მასში იწვევდა ინტერესს. იგი ბავშვს აძლევდა საშუალებას, ეპოვა გასართობი და თვითონ შემეცნებითი საქმიანობით იყო დაკავებული. ეს თვითგანვითარების სტრატეგიაა.

● მეოთხე სტრატეგია – მარტივი, პასიურია. დედა მხოლოდ ელოდა ექსპერიმენტის დაწყებას და შეილსაც იმავეს აიძულებდა. ზოგი დედა მუჯღუგუნსაც კი წაჰკრავდა ხოლმე პატარას, თუ იგი რაიმეს ხელს მოჰკიდებდა („გატეხავ“, „დახე“). თუმცა დედა-შვილს ექსპერიმენტატორისგან მიცემული ჰქონდა არაორაზროვანი ნებართვა, რაც

სურდათ, ის ეკეთებინათ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მეოთხე სტრატეგია ყველაზე უვარგისია შემეცნებითი უნარის გასავითარებლად. აღმოჩნდა, რომ ასეთ დედებს ყველაზე ხშირად ჰყავთ არასაკმარისად განვითარებული ბავშვები, რომელთაც ინტერესების სუსტად გამოხატული სისტემა აქვთ.

რომელი სტრატეგიაა ყველაზე ხელსაყრელი? შეიძლება მოულოდნელი მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაზე უკეთ განვითარებული ბავშვები ჰყავთ იმ დედებს, რომლებიც საკუთარ განვითარებას უფრო ჩაუღრმავდნენ და თითქოს ყურადღებას არ აქცევდნენ შვილს. ასეთი ბავშვები მშობლებისთვის დამახასიათებელი ნათელი შემეცნებითი ინტერესების ატმოსფეროში ცხოვრობენ, რაც გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი აღმზრდელი ბიითი ზომები.

საინტერესო აღმოჩნდა მეორე სტრატეგიის მქონე დედების განწყობა (მათი, ვინც დახმარებისთვის ექსპერიმენტატორთან გარბოდნენ). ისინი მიიჩნევენ, რომ მათი ბავშვი პროფესიონალებმა უნდა აღზარდონ. სწორედ ასეთი ბავშვები შეადგენენ წრეების, სტუდიებისა და განმავითარებელი ჯგუფების ძირითად კონტინენტს. რა თქმა უნდა, ეს მეც-



ადინებები სასარგებლოა, მაგრამ არა როგორც ოჯახური აღზრდის შემცველი, არამედ როგორც მისი დამატება.

ბავშვი დამოუკიდებელ პიროვნებად მხოლოდ მშობლების პიროვნებასთან ურთიერთობით ყალიბდება. ხშირად გაიგონებთ: „მე ჩემი თავი შვილებს მივუძღვენი“... უნდა აღვთოვანდეთ ასეთი თავგამოდებით. თუმცა მოზარდობის ასაკში ბავშვები იშვიათად თუ რჩებიან მშობლების მადლიერი ასეთი მსხვერპლისათვის. ბავშვს სჭირდება ყურადღება და ზრუნვა, მაგრამ მისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მისი მშობლები საინტერესო აღამიანები იყვნენ. ესეც ხომ მათი კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი.



## მედიცინის სიახლეები

### როცა მზა მბარი აი არა, მეგობარია

არსებობს მედიკოსთა რეკომენდაცია, რომ მზეზე ხანგრძლივად ყოფნა მავნებელია. ზოგი ადამიანი ითვალისწინებს ამ რეკომენდაციას და საერთოდ გაურბის მზის სხივებს. ბოლო დროს ექიმები გაუძღმებით გვახსენებენ, რომ გაურჯვა უსაფრთხო არ არის, გვირჩევენ სხვადასხვა დამცავი კრემის გამოყენებას და უმეტესად ჩრდილში ყოფნას. თუმცა უკიდურესობაში ჩავარდნა საჭირო არ არის: D ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში, ულტრაიისფერი სხივების სიჭარბეზე ნაკლებსაშიში როდია, არადა, ამ ვიტამინის ძირითადი ნაწილი მზის სხივების გავლენით სინთეზირდება. მზის აბაზანებზე სრული უარის თქმა შესაძლოა, გამოიწვიოს ძვლების



დარბილება, ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და ფსიქიკური დაავადებებიც კი – გვაფრთხილებენ ბრიტანელი ექიმები.



### ღვიძლი – ცალა, ჰაციენტი – ცალა

იშვიათი ოპერაცია ჩაატარეს ფლორიდის უნივერსიტეტის საავადმყოფოს ექიმებმა: მათ მილიანად ამოიღეს კიბოსაგან დაზიანებული ღვიძლი ორგანიზმიდან, მოაშორეს მას სიმსივნე და შემდეგ მოახდინეს ორგანოს თავის ადგილზე რეიმპლანტაცია. ოპერაციის შემდეგ პაციენტი სწრაფად მომჯობინდა. ასეთ ოპერაციას ექიმები მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა სიმსივნის მოშორება მუცლის ღრუს საზღვრებში შეუძლებელია. „2-3 საათია საჭირო ღვიძლის ამოსაღებად, 2 საათი – სიმსივნის მოსაშორებლად და სისხლძარღვთა რეკონსტრუქციისათვის და კიდევ 2 საათი რეიმპლანტაციისთვის“ – ამბობს ექიმი ჰემინგი. მისივე თქმით, ყველაზე რთული, ღვიძლის ხელახლა, თავის ადგილზე „ჩაკერება“.

**სარეკლამო სკოლა**

**ს მ ს**

მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის

ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ ჩვენები.

ტელ: 22 69 15

www.sts.caucasus.net



ქართველი მამაკაცების უმეტესობა ფიქრობს, რომ საქე ქალის საქმე არ არის. თუმცა, მძღოლი ქალები საპირისპიროს ამტკიცებენ. მსახიობი და სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას მეუღლე მარია ჭიჭინაძე კი, რომელსაც საქესთან ჯდომის დაახლოებით 15 წლის გამოცდილება აქვს, მიიჩნევს, რომ ქალები მამაკაცებზე უკეთ მართავენ მანქანას, უფრო მობილიზებული არიან და ირწმუნება, რომ ამას სტატისტიკაც ადასტურებს.

გავხდი, მათთვის მეცქირა, მათ დავლოდე... ასეთი რამ საზღვარგარეთ არასოდეს მოხდება. ქართველები უწესრიგობები ვართ.

— თქვენ თავად როგორი მძღოლი ხართ?

— მე ძალიან წესიერი მძღოლი ვარ. მართალია, რაღაცები დამირღვევია, მაგრამ სერიოზული არაფერი.

— პოლიციას თუ გაუჩერებიათ?

— აღრე უფრო ხშირად მაჩერებდნენ ხოლმე, მაგრამ პრობლემა არასოდეს მქონია. ეტყობა, ბევრჯერ აქვთ ნანახი ფილმი „ხარება და გოგია“: მცნობდნენ და მიშვებდნენ.

— არასოდეს გადაგიხდიათ მათთვის ფული?

— ფული ერთხელ გადავიხადე. აღრე არ ვიხდიდი, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მეგონა, რომ ყველა და ყველაფერი უცბად შეიცვალა, შეიცვალა ადამიანთა მენტალიტეტი... პეროვსკაია გადაკეტილი იყო და მოძრაობის წესი ჩემდა უნებურად დავარღვიე. პოლიციამ გამაჩერა. აღრე ვაკაპასდებოდი, დაუწყებელი ჩხუბს — რატომ გამაჩერეთ-მეთქი? — მაგრამ იმ დღეს, ჯარიმის ფურცელი გამოვაწერიე და 10 ლარი გადავიხადე. ამით იმდენად კმაყოფილი ვიყავი, სახეგაბრწყინებელი დაუბურუნდი საქეს. ვფიქრობდი, რომ ის ფული სახ-

# მარია ჭიჭინაძეს „მეხსიერი“ „ოჯალში“ მკვება და ყველა მკვებას „ნიშა“ უჩვენებია

ლიკა ქაჩაია

— რამდენი ხანია, რაც ავტომანქანას მართავთ?

— საქესთან პირველად 1989 წელს დავევექი. თავიდან გოგა მასწავლიდა მანქანის მართვას, მერე კი სპეციალურ სასწავლებელში მიმიყვანა. ამის შემდეგ, ყველანაირი ოჯახური საქმე მე გადმომბარა — ბავშვის წაყვანა-წამოყვანა, ბაზარში სიარული და ათასი რამ. მოკლედ, მძღოლი ვარ.

— როგორც ვხედავ, საქესთან ჯდომა სიამოვნებას არ განიჭებთ...

— ზოგჯერ მანქანას მართლა ვერ ვიტან. სიამოვნებით მიუჯდებოდი სხვას გვერდით. ბევრი ისეთი ქალი შემხვედრია — ოღონდაც საქესთან დაჯდეს და სხვა არაფერი უნდა. მე კი — პირიქით, არ მიყვარს. ხანდახან საცობებს ვიძიხეზებ, მანქანას სადმე ვაჩერებ ხოლმე და გზას ფეხით ან ტაქსით ვაგრძელებ. ერთხელ, მანქანა გამიფუჭდა, მეგობრის სახლს ტაქსით მივადექი, გახარებული გადმოვედი და მასაც ვახარე — მანქანა გამიფუჭდა-მეთქი... მეჩხუბებიან ხოლმე — თავს რატომ იკლავ? თუ არ გინდა, ფეხით იარეო.

— თუ ასე გიმშლით ნერვებს, რატომ ჯდებით საქესთან?

— ორთაჭალაში ვცხოვრობთ. მარიამი კი ვაკეში დაგვყავს — ფრანგულ სკოლაში. იქ უნდა წაიყვანო, წამოიყვანო, მერე ხან იქით უნდა გაიქცე, ხან — აქეთ. თანაც, როცა იცი, რომ მანქანა გყავს, ძალაუნებურად საქესთან ჯდები. თითქოს მიჩვევაც იცის.

— პირველი ავტომანქანა რომელიც თქვენ გყავდათ, რა მარკის იყო?

— პირველი ავტომანქანა სწორედ ის „ნივა“ იყო, რომელიც დღეს მყავს. სხვა მანქანას ვერ ვეუბები. ახლობლები ამის გამო დამცინიან კიდევ.

— როგორ ფიქრობთ — აქ უფრო იოლია მანქანის ტარება თუ საზღვარგარეთ?

— მართალია, უცხოეთში საქესთან არასოდეს ვმჯდარვარ, მაგრამ მეონი იქ უფრო იოლი იქნება, იმიტომ, რომ იქ მეტი წესრიგია ქუჩაში, ვიდრე აქ. თბილისის ქუჩებში მანქანის ტარებისას იმაზე ფიქრობ და მარჩიელობ, თუ ვინ სად ვაჩერებს მანქანას, ვინ სად გადაუხვევს. აი, ამ დღეებშიც, მოვდიოდი და ვხედავ — ჩემ წინ 2 ავტომობილი გაჩერდა. საქესთან გოგონები ისხდნენ. ერთმანეთს დაუწყეს ლაპარაკი. მე კი იბულებული



დიდი სიამოვნებით ვაგინებდი „მარშრუტების“ მძღოლებს...

ქალაქი/კახეთში	კედლის მანდალი	აგმოსფერული მოვლა: ჩრდილოეთის ...	ზღ., ... გან, ღონ	... ყველაზე ბოლოს კვდება	სატელეფონო სიტყვა-პაროლი	ექსკურსია-მძღოლი	ცვარე
თბილისი	31	სინდნი	ბენი	მედი	ანომბი	ფინ	ანგლი
ხის ჯიში	რსევა	სახელმწიფო აზრში	პირის ნაცვალ-სახელი	საუბარი ორ პიროვნებას შორის	ფეთქებადი ნივთიერება		

გოგა ხაინდრაფა და მარიკა ჭიჭინაძე  
შვილთან და რძალთან ერთად



ელმწიფო ბიუჯეტში შევიდოდა, ხალხს მოხმარდებოდა და ვამაყობდი — მოძრაობის წესი დავარღვეე და ამისთვის ფული გადავიხადე-მეთქი...

— საცობების დროს როგორ იქცევით ხოლმე?

— დიდი სიამოვნებით ვაგინებდი „მარშრუტკების“ მძღოლებს... მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ნახევარზე მეტმა უბრალოდ არ იცის მანქანის მართვა, არ გაუვლია მართვის შემსწავლელი კურსები და ამის გამო ავარიული მდგომარეობის საშიშროებას ყველაზე მეტად ისინი ქმნიან ხოლმე.

— გიყვართ თუ არა მანქანის მოვლა?

— მანქანის მოვლა არ მიყვარს. სალონში ხან ბავშვების მიერ დაყრილი კანფეტები ყრია, ხან რაღაც ნამცეცები... ბოლოს, როცა უკვე გაუსადლის, საშინელ მდგომარეობაშია, მაშინ ვარეცხვინებ ხოლმე მანქანას.

— ოდესმე თუ გაუძარცვავთ თქვენი მანქანა?

— როგორ არა!.. მაგნიტოფონს მპარავდნენ ხოლმე.

— უსმენთ თუ არა მანქანაში მუსიკას და როგორ მელოდირებთ ანიჭებთ უპირატესობას?

— ამ ბოლო დროს მაგნიტოფონი არ მქონდა, რადგან მომპარეს. ახლა კი ჩემი მანქანის „ექიმმა“ — ბიჭმა, რომელთანაც მანქანა შესაკეთებლად დამყავს, იაფფასიანი მაგნიტოფონი მაჩუქა და „ნივაში“ დამიმონტაჟა... ძირითადად, ნაზს და წყნარ მუსიკას ვუსმენ.

— თქვენ უკეთ დაგყავთ მანქანა თუ თქვენს მეუღლეს?

— გოგას უფრო ვენდობი. დიდ გზებზე საჭესთან არ ვვადები.

— თქვენ თუ გენდობიან მეგობრები?

— ვფიქრობ, რომ კარგი მძღოლი ვარ და მანქანაშიც მისხდებიან. მაგრამ წლები რომ მომემატა, უკვე იმაში მეპარება ეჭვი, თუ რამდენად გამართულია მანქანა. ხელოსნებს არ ვენდობი, იმიტომ, რომ ერთხელ, შუა გზაში მუხრუჭის „კალტკა“ ჩამივარდა და ძლივს გადავურჩი ავარიას. იმ დღიდან მეშინია — ხომ შეიძლება, ასევე მოულოდნელად „ტორმუზმა“ არ დაიჭიროს და ა.შ. თუმცა, მერე ასეთი შემთხვევაც მქონდა და შინის გრძნობა ნელ-ნელა შემეპარა. ადრე კი ამაზე არ ვფიქრობდი. უფრო ჩქარა დამყავდა მანქანა, ვიდრე დღეს დამყავს ხოლმე.

— ავარიული შემთხვევა თუ გქონიათ?

— ავარიული შემთხვევა ერთხელ მქონდა, თუმცა — არა ჩემი მიზეზით. თითქმის უძნიშვნელო ინციდენტი მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ გაუანტული ყურადღება მაქვს, საჭესთან ჯდომისას აბსოლუტურ მობილიზებას ვახერხებ. თანაც, სიჩქარე არ მიყვარს. ყველას ვეუბნები — მე თუ ვისწავლე მანქანის ტარება, ამას სხვებიც იოლად შეძლებენ-მეთქი.

— მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, რას იზამთ?

— მანქანის გაფუჭების შემთხვევაში, უცებ ჩნდებიან ხოლმე მამაკაცები, რომლებსაც ამ საქმისა რაღაც გაგებათ და რაღაცას მიხერხებენ. არის შემთხვევები, როცა შუა საცობში მიფუჭდება მანქანა. ამ დროს შვილს ვურეკავ, მაგრამ მას

ამისათვის არ სცალია და ისევ ადგილზე ვპოულობ ვინმეს, ვისაც დახმარება შეუძლია. ჩემი მანქანა საკმაოდ მოძველდა და ხშირად ფუჭდება. ახლა სულ ვცდილობ, მანქანა ხშირად მივიყვანო ავტოპროფილაქტორიუმში, რათა დავრწმუნდე, რომ ის წესრიგშია.

— ამბობენ, რომ საჭე ქალის საჭმე არ არის. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე ვფიქრობ, რომ ქალები მამაკაცებზე უკეთ მართავენ მანქანას და ეს სტატისტიკურადაცაა დამტკიცებული. ოღონდ, ლაპარაკია იმ ქალებზე, რომლებმაც მართვის სწავლების სრული კურსი გაიარეს და არა მათზე, რომლებსაც მამიკობმა უყიდეს მანქანები და სახელდახელოდ დაეუფლნენ საჭეს. ასე შესწავლილ მართვას სავალალო შედეგამდე მივყავართ. როცა დავინახავ, რომ საჭესთან ქალი ზის, რომელიც მანქანას ვერ იძორჩილებს, მეც ვერიდები — ვფრთხილობ მის სიახლოვეს მოძრაობისას. მამაკაცები ქალებზე მეტად დაბნეულები არიან ხოლმე საჭესთან და მათ მიერ შექმნილი ავარიული შემთხვევაც თავისთავად, მეტია. ქალი კი საკუთარ თავს ასე თუ ისე მობილიზებას უკეთებს.

— რა მარკის ავტომანქანაზე ოცნებობთ?

— ავტომობილებში კარგად ვერ ვერკვევი. შემოდელია ვთქვა — კარგი „მერსედესი“ ვნახე-მეთქი, — და ეს „ოპელი“ აღმოჩნდეს... ერთადერთი, რასაც ვცნობ — „ნივაა“. ვიცი ასევე, რომ არის რაღაც ჯიპები, რომლებიც სხვებისგან სიმალლით გამოირჩევა. დიდი სიამოვნებით გადავვადებოდი ახალ „ნივაზე“...

«დ ე ლ ტ ა»  
მეტალოკლასტმასის  
პარ-შანჯრებისა და  
ლაბინირებული აპეჯის  
დამზადება  
ბრტყელი გადასურვები  
მის: მ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ქან-კლოდ ...	გომპოფელი კლაუდია ...	მიწის საზომი ერთეული ინგლისში	გრიპის გამომწვევი მიკროორგანიზმი	... და რა ყოფილა	გამრავლების ცხრილი	არგენტინული სამეჯლისო ცეკვა	გამის ნოტი
მაგიეროს გადახდა	კეთილი ჯაღრქარი	სპორტის სახეობა	არხი	შუადღის შესვენება ესპანეთში	პოეტი ... ოქჯაგვა	სახელმწიფო აფრიკაში	

# მომაკვდინებელი ცოდვები, რომლებიც ადამიანის სულს მარადიული სიკვდილისთვის ამზადებს

**ეკლესიური მოძღვრებით, მომაკვდინებელი ცოდვები, რომლებიც მოუწინააღმდეგებელია შემთხვევაში, ადამიანის სულს საუკუნო სატანჯველს უმზადებს, განიყოფება ორ ნაწილად: პირველშობილ და ნებაყოფლობით (თავისუფალი ნებიდან გამომდინარე) მომაკვდინებელ ცოდვებად. ნებაყოფლობითი ცოდვა თავის მხრივ შეიძლება დაიყოს სამ**

**გვარად: პირველ გვარს მიეკუთვნება უმთავრესი მომაკვდინებელი ცოდვები ანუ ისეთი, რომელთაგანაც სხვა ცოდვებიც აღმოცენდება; მეორე გვარს მიეკუთვნება ცოდვები სულიწმიდის წინააღმდეგ — ანუ სულიწმიდის მგმობელი ცოდვები; მესამეს, ის ცოდვები, რომლებიც ზეცას შეპლალადებენ შურისძიებისთვის.**

## შორენა მერკვილაძე

**რომელია პირველშობილი მომაკვდინებელი ცოდვა?**

პირველშობილ მომაკვდინებელ ცოდვად იწოდება პირველი ადამიანების — ადამისა და ევას მიერ ჩადენილი ცოდვა, რომელიც ღმერთის მიერ აკრძალული — კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხის ნაყოფის გასინჯვაში გამოიხატა. პირველშობილი ანუ პირველქმნილი ცოდვა მემკვიდრეობით გადადის ყველა ადამიანზე: „ეს პირველშობილი ცოდვა, ადამიანისგან მთელს კაცობრივ ბუნებაზე გადავიდა, რადგან ჩვენ ყველანი მასში ადამში ვგვიბადეთ და ამგვარად ერთი ადამის მიერ ჩადენილი ცოდვა ყველა ჩვენგანზე გავრცელდა. ამიტომაც ჩვენ ჩავისახებით კიდევ და ვიშვებთ კიდევ ამ ცოდვით, როგორც ამას წმინდა წერილი გვასწავლის: „ერთისა მის კაცისათვის ცოდვაი სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძალით — სიკვდილი და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომლითაც ყოველთა კაცთა შესცოდეს“ (რომ. 5, 12)“ — განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“. პირველშობილი ცოდვა შეუძლებელია, რაიმე სინანულით იქნას გამოსყიდული, ეს ცოდვა ადამიანს მიეტევება მხოლოდ ნათლისღების ჟამს — ე.ი. პირველშობილი ცოდვისგან ადამიანი განიწმინდება ნათლობის საიდუმლოს საშუალებით. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ადამიანს უფლისგან პირველშობილი ცოდვა მიეტევოს და ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ, ეს ცოდვა მისი მოკვდინების — ე.ი. მარადიული ტანჯვის მიზეზად არ იქცეს, აუცილებლად

უნდა მოინათლოს მართლმადიდებლური წესით, რადგან ნათლობის გარეშე ადამიანი ზეციური სასუფეველის მკვიდრი ვერ გახდება.

**რომელია უმთავრესი მომაკვდინებელი ცოდვები?**

უმთავრეს მომაკვდინებელ ცოდვებად იწოდება რვა ძირითადი მომაკვდინებელი ცოდვა. ეს ცოდვებია: ამპარტაუნება, ვერცხლისმოყვარეობა (ფულის სიყვარული), სიძვა, კემოთმოყვარეობა (ნაყოფიანება), მრისხანება, მოწყენილობა, სასოწარკვეთილება და ცუდმედილობა (კაცობრივი დიდების წყურვილი). ეს ის ცოდვებია, რომლებიც ადამიანის სულს საუკუნო წარწყმედას უქადის. ამის შესახებ მიუთითებს ყველა წმინდა მამა.

**რომელია სულიწმიდის მგმობელი ცოდვები?**

სულიწმიდის მგმობელი ცოდვაა ღმერთზე მეტისმეტი სასოება — ანუ როდესაც ადამიანი შეგნებულად აგრძელებს ცოდვების ჩადენას იმის იმედით, რომ ღმერთი აუცილებლად მიუტევებს. ადამიანი ვერ გრძნობს საკუთარი ცოდვების სიმძიმეს და არც სინანული გააჩნია ჩადენილი ცოდვების გამო. სულიწმიდის მგმობელი ცოდვაა სასოწარკვეთილებაც, როდესაც ადამიანს მიაჩნია, რომ ღმერთი მას არ შეუნდობს ცოდვებს და არ მიაგებს საღმრთო მადლს იმის გამო, რომ ის ცოდვილია. სასოწარკვეთილებაში მყოფ ადამიანს ზოგჯერ საერთოდ ავიწყდება ღმერთის არსებობა, ავიწყდება, რომ ღმერთი ყოველგვარ ვითარებაში შეეწევა და აპოინინებს გამოსავალს. გარდა ამისა, სულიწმიდის მგმობელი ცოდვაა შეუვალი ურწმუნობა, რომელსაც ჭეშმარიტების ვერავითარი გამოვლენა (მტკიცება) ვერ არყვეს, აშკარა სასწაულიც კი.

**რომელი ცოდვები შეპლალადებენ ზეცას შურისძიებისთვის?**

ეს ცოდვებია: განზრახ მკვლელობა (ამ ცოდვად ითვლება აბორტიც), მკვლელობა, სოდომური ცოდვა (ნათესავებს შორის ზორციელი ვნება); ღარიბ-ღატაკთა და საერთოდ, უმწეო ადამიანთა ჩავკრა; მშობლებისთვის გულის ტკეპა, მათი შეურაცხყოფა და მშობლებზე ხელის აღმართვა.

**რატომ იწოდება ეს ცოდვები მომაკვდინებელ ცოდვებად და რას ნიშნავს მომაკვდინებელი ნებაყოფლობითი ცოდვა?**

მომაკვდინებელი ნებაყოფლობითი ცოდვა არის ის, რომელსაც ადამიანი ჩაიდენს ნათლისღების შემდეგ, საკუთარი სურვილითა და განზრახვით, ზრდასრულ ასაკში. მომაკვდინებელი კი იმიტომ ეწოდება ამ ცოდვებს, რომ მათ გამო ადამიანი მოაკლდება საღმრთო მადლს, რომელიც ნათლისღების საიდუმლოს დროს მიიღო და შეიქმნება საუკუნო სიკვდილის ტყვედ — ე.ი. ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, რადგან მომაკვდინებელ ცოდვათა საგზალი არის სიკვდილი, როგორც ამას „წმინდა წერილი“ ამოწმებს. მაგრამ თუკი ადამიანი ამ ცოდვებს მიწიერი ცხოვრების დროს გულწრფელად მოინანიებს და განიწმინდება სინანულის საიდუმლოს (აღსარების) გზით, როგორი მომაკვდინებელი ცოდვაც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, ღმერთი უეჭველად შეუნდობს და მიუტევებს, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც ღმერთის გულმოწყალებას აღემატება. მაგრამ თუკი ადამიანი არ მოინანიებს ცოდვებს და არ მიეცემა გლოვას საკუთარ ცოდვათა გამო, მისი სული ვერ ცხოვდება.

# როგორ დაზუსტა ჭეშარიამაღვლების დღესასწაული?

**ჯვართამაღლება — ანუ მსოფლიო ამაღლება პატიოსანისა და ცხოველმყოფლისა ჯვრისა, ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია, რომელსაც მართლმადიდებლური სამყარო ყოველწლიურად 27 სექტემბერს აღნიშნავს. ეს დღესასწაული დაწესებულია პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის პონის აღსანიშნავად. ჯვართამაღლების დღესასწაული IV საუკუნიდან — იმპერატორ კონსტანტინე დიდის ხანიდან აღინიშნება.**

## მორენა მერკვილაძე

მოციქულთა სწორი კონსტანტინე, რომის იმპერატორთაგან პირველი იყო, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა ღვეწა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამის მიზეზი იყო სასწაული, რომელიც მის ცხოვრებაში მოხდა: 312 წელს, ერთ-ერთი ბრძოლის დასასრულს, როდესაც კონსტანტინე დიდი იბრძოდა ავეუსტუს მაქსენციუსის (რომის ტანტზე თვითნებურად ასული მეფე, რომელიც რომაელებს სასტიკად ეპყრობოდა) წინააღმდეგ, კონსტანტინე დიდმა და მისმა მეომრებმა დაინახეს ცაზე ვარსკვლავებით გამოსახული ჯვარი წარწერით: „ამით სძლეე!“ მეორე ღამით, იმპერატორს თვით უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და აუწყა, რომ მტერს ჯვრის ძალით სძლედა, თან უბრძანა — ჯვარი ბრძოლის დროს წინ წაემძღვარებინა მეომრებისთვის. „გააკეთე მსგავსი ამისა და უბრძანე, რაზემელებმა წინ გაიძლონ, მაშინ დაამარცხებ მთელს შენს მტერს“. კონსტანტინე დიდმა აღასრულა ყოველივე, რაც უფალმა უბრძანა და მართლაც სძლია მაქსენციუსს. ეს მოხდა 312 წელს, 28 ოქტომბერს. გამარჯვებულ იმპერატორ კონსტანტინეს რომის მოსახლეობა დიდი სიხარულითა და პატივით მიეგება. მაღლიერმა იმპერატორმა ნიშნად იმისა, რომ ჯვრის ძალით დაამარცხა მტერი, რომის შუაგულში, მაღალი ქვის სვეტზე ჯვარი აღამართინა წარწერით: „ამ მხსნელი ნიშით ქალაქი ესე განთავისუფლებულია მტარვალის უღლისგან“.

მაქსენციუსთან გამარჯვების შემდეგ, კონსტანტინე დიდმა (ჯვრის ძალით) კიდევ ორგზის სძლია მტერს (ორივე ბრძოლის წინ, საღამო ხანს დაინახა უკვე ნანახი, ვარსკვლავებით გამოსახული ჯვარი და მის ირგვლივ წარწერა — „ამ ნიშით სძლეე!“ რამაც იმპერატორი საბოლოოდ დაარწმუნა ჯვარცმული მაცხოვრის ყოვლისშემძლეობაში — იმამ, რომ ისაა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და თავის დედასთან — ელენე დედოფალთან ერთად ქრისტიანული წესით მონათლა.

როცა ირწმუნა ჯვრის ცხოველმყოფელობა, კონსტანტინე დიდმა გადაწყვიტა, ეპოვა პატიოსანი ჯვარი, რომელზეც მაცხოვ-

ვარი ევნო, კაცობრიობის ცოდვის მონობისა და მარადიული სიკვდილისაგან დასახსნელად. ამ მიზნით, მან იერუსალიმში წარეზაენა მოციქულთაწერი, დედოფალი ელენე, რომელმაც იერუსალიმში ჩასვლისთანავე ყველა იუდეველი იხმო და თხოვნით მიმართა, გაეშვილათ უფლის ჯვრის ადგილსამყოფელი. მაგრამ იუდეველებმა დედოფალს ჯვრის შესახებ არაფერი გაუშვილეს. მაშინ, ელენე დედოფლის ბრძანებით იუდეველები დაამინეს. ისინი იძულებული გახდნენ, ელენე დედოფლისთვის გაეშვილათ, რომ ჯვრის ადგილსამყოფელი იცოდა მოხუცმა იუდეველმა — თუღამ და დედოფალი მასთან წაიყვანეს. თუღა დიდხანს არ ამხელდა ჯვრის ადგილსამყოფელს, მაგრამ როდესაც დედოფალმა ელენემ თავის თანმხლებ პირებს ღრმა ორმო ამოთხრევინა და თუღა შიგ ჩაავადებინა, ის იძულებული გახდა, გაეშვილა, თუ სად იყო დაფლული ჯვარი...

იმ ადგილზე, სადაც უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი იყო დაფლული, კერპთა ტაძრები იყო აგებული, რომლებიც ელენე დედოფლის ბრძანებით დაანგრეს და აღმოაჩინეს მაცხოვრის სამარხი და გოლგოთა, შორიანხლოს კი, სამი ჯვარი იპოვეს. როგორც ცნობილია, მაცხოვრის ჯვარცმისას ჯვარს აცვეს ორი ავაზაკიც, ამიტომ არაფერ იცოდა, რომელი იყო უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი. ამის გასარკვევად, პატრიარქმა მაკარმა სამივე ჯვარი ცალ-ცალკე შეახო მიცვალებულს, რომელსაც იმ დროს დასაკრძალად მისვენებდნენ. უფლის ჯვრის შეხებისას მიცვალებული მკვდრითი აღდგა. ელენე დედოფალმა და მისმა მხლებლებმა თავიანთი სვეს უფლის პატიოსან და ცხოველმყოფელ ჯვარს. ბერმა ადამიანმა ჯვართან მიახლოება ვერ მოახერხა, ამიტომ ელენე დედოფლის თხოვნით, პატრიარქმა ჯვარი ამაღლებულ ადგილზე აღმართა, რათა ყველა ადამიანს მოეხერხებინა ცხოველმყოფელი ჯვრის ხილვა. ეს მოხდა 326 წელს. ცხოველმყოფელი ჯვრის გვერდით. ასევე აღმოაჩინეს სამჭვალეობიც (ლოურსმენი), რომლებითაც უფალი ჯვარზე იყო მიმსჭვალული.

ელენე დედოფალმა პატიოსანი ჯვრის



ნაწილი თავისთან შეინახა, ნაწილი კი პატრიარქ მაკარს გადასცა. იმ ადგილას კი, სადაც უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი იპოვეს, დედოფალმა ქრისტიანული ტაძრების, პირველ რიგში — აღდგომის ტაძრის აგება ბრძანა, თვითონ კი კონსტანტინეპოლში ჩავიდა და თან წაიღო ნაწილი ცხოველმყოფელი ჯვრისა და სამსჭვალეობა...

10 წლის შემდეგ დასრულდა უფლის აღდგომის ტაძრის მშენებლობა — ეს მოხდა 335 წელს. ამავე წლის 13 სექტემბერს, ტაძარი ქრისტიანულად იკურთხა. მეორე დღეს კი — 14 სექტემბერს (ძველი სტილით) იზეიმეს და დაწესდა დღესასწაული, უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის მსოფლიო ამაღლებისა. იმ დროიდან მოყოლებული, მართლმადიდებლური სამყარო დღემდე, ყოველწლიურად დღესასწაულობს ჯვართამაღლების დღესასწაულს, რათა განდიდებულ იქნას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა — მსოფლიო ამაღლება პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარისა. ამ დღესასწაულით, წმინდა ეკლესია მორწმუნეებს ასევე უქადაგებს ცხოველმყოფელი ჯვრის ძალას, მაღლსა და მნიშვნელობას, რომელიც ადამიანთა ყოველგვარ ბოროტებაზე ძლევის იარაღია. სწორედ ჯვრის ძალით შევძლებთ, ვძლიოთ ბოროტ ძალას და დავამარცხოთ ყოველგვარი საცდური.

ჯვართამაღლების დღესასწაულის დღეს, წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია მძიმე მარხვა. ჯვართამაღლების საღმრთო სასწაულო მსახურებაზე ტაძარში სრულდება ჯვრის საღმრთო სასწაულოდ გამოტანა და თავიანთსცემა.

ინფორმაციული-მედიაციური კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკრები:

- 1. ათენა ზევსის თავიდან დაბადა.
- 2. ღარადე და ასხმულა სინონიმებია.
- 3. ჩერჩილს უინსტონ ლეონარდ სპენსერი ერქვა.



4. დათო გომართელი განათლებით ოკეანოლოგია.

5. მიქელანჯელომ დავითი 26 წლის ასაკში შექმნა.

6. გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია 1967 წელს გააკეთეს.

7. ღუმის ან ქონის გადანობის შემდეგ დარჩენილ ნახრაკს ხიწიწი ჰქვია.

8. წერის დროს ჟიულ ვერნი უპირველეს მიზნად დედამიწის აღწერას ისახავდა.

9. საგზაო წესების დამრღვევ მძღოლებს ფინეთში ორ მანქანას შორის გაჭიმული ბადით იჭერენ.

10. ილია ჭავჭავაძის მეუღლეს ოლია გურამიშვილს საბჭოთა მთავრობამ უარი უთხრა პენსიის დანიშვნაზე.

11. „კარგი ფილმის შესაქმნელად სამი რამ არის საჭირო: კარგი ამბავი, კარგი ამბავი და კიდევ ერთხელ კარგი ამბავი“, – ამბობდა ჟან გაბენი.

12. ჩინელი მხატვარი ხანგ ერნანი საღებავებს პირში იგუბებდა, აზავებდა და საკუთარი ენით ქმნიდა ფერწერულ ტილოებს.

13. ბესლანის ტრაგედიაში დაღუპულ მსხვერპლთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ ახალი სასაფლაო გახსნა.

14. „მე არ მინდა ისეთი მოსამართლე, რომელიც კანონზე მაღლა დააყენებს თუნდაც ჩემს სიტყვას“, – განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა.

15. აკადემიკოსი ვასილ გორიაჩკინი იმდენად ფიცხი ადამიანი იყო, რომ კოლეგებმა მას მამის სახელი შეუცვალეს და „პროხოროვიჩის“ ნაცვლად „პოროხოვიჩის“ ეძახდნენ.

16. ჯონ კენედის დაღუპვის შემდეგ, მისმა მეუღლემ ჟაკლინ კენედიმ თანაგრძნობის გამოხატულები 2 მილიონი წერილი მიიღო.

17. XII საუკუნეში იაპონიის იმპერატორი 3 წლით გადაასახლეს. ღმერთის გულის მოსაგებად გადასახლებაში იგი საკუთარი სისხლით წერდა ბუდისტურ ტექსტებს.



# „მომავალი“ სახეობა

## ინბა ჯაყელი

ერთი განუმეორებელი თანაკლასელი მყავდა. მერაბი ერქვა, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი კარგა ხანია, დაივიწყეს სოფელ-ქალაქში და ყველა, თავიანთ ეძახის...

მიხვლით ალბათ – ასეთ მეტსახელს დინჯ და სერიოზულ კაცს არავინ შეარქმევდა...

თავლია კარგა ხანს, მუნჯი ეგონათ, რადგან 4 წლამდე, ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს – არც მშობლების ხვეწნამ გაჭრა და არც ცნობილი ექიმ-პროფესორების „მუქარამ“ – თუ არ დაილაპარაკებ, ენას მოგაჭრით – შენ მკურნალობა კი არა, დასჯა გჭირდება! – რადგან ყველა გამოკვლევის თანახმად, ბიჭი ჯანმრთელი იყო და „ჩაყლაპული“ ენაც „ორ მეტრზე მეტი“ ჰქონდა.

4 წლისამ კი, ყველასთვის მოულოდნელად... პირდაპირ გინებით „ამოიდგა ენა“ თურმე, თან – არც მეტი, არც ნაკლები, – მშობელ დედას შეუკურთხა „მამაპაპურად“, რომელსაც სადილის გამზადება დაჰვიანებოდა: მოკვდი შიმშილით! რას ზოზინებ?! შენი გამოძინოვებელიცო!..

მოულოდნელობისგან გაოგნებულ ეთო ძალოს ჯერ შეუკვივლია, მერე გასცინებია და ბოლოს, ქოქოლაც დაუყრია ქმრის სანათესავოსთვის: ყველანი ეგეთი აყვიები და მყრალები არიან, ეს რა, გამოწაკლისი იქნებოდაო?!

მოკლედ, როგორც იქნა, აიღვა ენა თავლიამ და მართლაც, ისეთი მყრალ-მყრალი გინება დასცხო, ბავშვებს მის

სიახლოვეს გავლასაც გვიმლიდნენ – კარგს არაფერს გასწავლითო! – მაგრამ მერაბმა გინების გარდა, იმდენი კარგი რამ იცოდა და ისეთი მოხერხებული იყო, რომ მის გარეშე ვერც წარმოგვეგინა ჩვენი ყოველდღიურობა – თამაში და გართობა თავისთავად, მაგრამ იმასაც ყველაზე ადრე იგებდა, თუ ვის ეზოში დამწიფდა საადრეო ყურძენი, ჭყინტი ტარო თუ თხილი... გაგვიძღვებოდა წინ და ისე მოხერხებულად შეგვაძგრევინა სხვის ყანა-ვენახში, მიუხედავად მცდელობისა, ერთხელაც ვერავინ მოგვიხელთა...

მეორე დღეს ატყდებოდა ერთი ამბავი, წიოკი და გინება, მაგრამ თავლიაზე ეჭვი არავის მიჰქონდა, რადგან თავად, ყველაზე მეტს და ყველაზე მწარედ იგინებოდა: ქურდის თავიცა და დედაცო! – რითიც გვაოცებდა და რის გამოც ვერხუბებოდათ კიდევ, მაგრამ ხელს აიქნევდა: გულით კი არ ვივინები, ისე, გულს გარეთო... – და დღემდე ვერ გამიგია და ვერც სხვას აუხსნია, თუ რა სხვაობაა „გულით“ გინებასა და „გულის გარეთ“ გინებას შორის...

ასე იზრდებოდა თავლია და იზრდებოდა მისი ბილწისიტყვაობის დედაცოცო. სწავლა არ უყვარდა და განსაკუთრებით სკოლას „ამკობდა“ – მასწავლებლების ტვინიცაო... წიგნის მოძვონის დედაცოცო... დირექტორის ცოლ-შივიციო... – მოკლედ, 8 კლასი, როგორც იქნა, დაამთავრებინეს და პროფტექნიკურ სასწავლებელში უკრეს თავი. მძღოლის პროფესიას დაუფულა და სრულწლოვანიც არ იყო, მამამისმა ადამ და ევას დროინდელი, ჯერ კიდევ კოლმეურნო-

ბის ჟამინდელი მანქანა რომ „გადაუ-  
ლოცა“ – ბავშვობიდან შოფერივით  
ივინები და სხვა ვინ უნდა გამოუსულიყავი?  
ამიტომ ვინახავდი აქამდე მანქანას, ახლა  
მიხედე და შენ იცოდელი..

მოკლედ, მოაჯდა მაშისეულ „ბე-  
დაურს“ ჩვენი თავლია და მალე საჭირო  
კაციც გახდა სოფელში – ხან რის  
გადაზიდვას სთხოვდნენ, ხან – რისას,  
ნეტყეც ბლომად ჩაუხილია ფოთში თუ  
იმის იქით და ქვა-ლორდიც... რაც არ  
უნდა აკრძალული ტვირთი წაელო, ერთხ-  
ელაც არავის შეუჩერებია, რასაც თავისე-  
ბურად ხსნიდა: გამაჩერებენ და ცოლებ-  
საც დაუვორსულებო!..

– ისე ივინება, ეგ გამჩენდალი, ჰერში  
მერალ სუნს აყენებსო! – ამბობდნენ  
მასზე, ჰოდა, ისე მოიყარა 3 ათეული  
წლისა, რომ არც თავად მოუნდომებია  
და არც ვინმეს მოუსურვებია მასზე  
ქალის გათხოვება: რაღა თავლიას გავა-  
ტანოთ? – რიონს გავატანოთ გოგოს,  
ფოთს მაინც ნახავსო!.. – იტყოდნენ  
გასათხოვარი ქალების პატრონები და  
მაშვლად მისულს სიახლოვეს არ  
იკარებდნენ, რამდენიც არ უნდა ემტკი-  
ცებინათ: კარგი მშრომელი ბიჭია, ოჯახის  
მუჭუჭკითო!..

არადა, სიყვარული ხომ ყველას უნდა  
და თავლიაც რა გამოინაკლია იქნებოდა,  
რომ მისი გული არ გაეტოკებინა ამ  
ღვთაებრივ გრძობას?!.. ჰოდა, გასულ  
ზაფხულს რომ ჩავედი სოფელში სტუმ-  
რად, მაშინ მითხრეს: არც მეტი, არც  
ნაკლები, ჩვენი „ნათავმჯდომარალის“ –  
მილიონერი შავლეგოს ორინსტიტუტ-  
დამთავრებული და უკვე ასპირანტი თინია  
შეუყვარდაო!..

თავიდან, გამიკვირდა, მაგრამ მერე  
თავად შემრცხვა ნაფიქრის – სიყვარულ-  
მა რა იცის დიპლომი და ასპირანტურ-  
ა, მით უმეტეს, თავლიას სიყვარულმა-  
მეთქი?!

მოკლედ, როგორც შემედლო, თანა-  
გუგრძობდი და თუ სოფელში თოფის  
სროლა და ძაღლების გნისა ატყდებო-  
და, ვიცოდი, რომ შავლეგო ძია მოსდევდა  
ან მერაბს, ან მის გამოგზავნილ მამ-  
ვალს... წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ,  
როგორ გამიკვირდებოდა, წელს სოფელ-

ში ჩასულს რომ მომახარეს – თავლიას  
და თინიას ბიჭი შეეძინათო?! – როგორ?  
ძია შავლეგომ თავლიას ქალი გაატანა-  
მეთქი?! – შევიცხადე. – ზურგზე კი არ  
აჰკიდაო?! – ჩაიქირქილეს და აი, რა  
მიამბეს.

ბევრი ეხვეწა თავლია სასიამოროს,  
მაგრამ მამამ სიახლოვეს არ გააკარა და  
მოკვლითაც დაემუქრა თურმე: ჩემს სიძ-  
ეს ზურგზე მყარალი ენა კი არა –  
დიპლომი უნდა ჰქონდეს გადებულო!..

გამწარებულა თავლია და დაუქაღინა:  
მე მოვკვდე, თუ აქეთ სახვეწრად არ  
გავიხადო საქმეო!.. – და სექტემბრის  
ერთ ბნელ ღამეს გადასულა შავლეგოს  
გალავანზე, პირდაპირ კაკლის ხის ტოტებს  
დაჰკიდებია და იმ ფანჯრამდეც მისულა,  
რომელიც თინიას საძინებლისკენ უმოკ-  
ლეს გზას წარმოადგენდა. თურმე, ცხ-  
ელოდა და ფანჯარა ღია დაეტოვებინა  
გოგოს, რომელსაც იმ დროს, ღრმა ძილით  
სძინებია... გაუხდია თავლიას ტანზე და  
ღეღიშობილა ჩასწოლია გოგოს ლოგ-  
ინში... დილით, ქალის კვიცილს რომ  
გაუღვიძებია, უცებ ვერც მოსულა გონს,  
სად იყო და რა ხდებოდა...

თინიას დილის ძილი ჰყვარებია და  
თურმე, დედა აღვიძებდა ხოლმე. იმ დილ-  
ითაც შესულა და კვიცილიც მოურთავს,  
ღეღიშობილა თავლიას მკერდზე მისვენებ-  
ული ქალიშვილის დანახვისას...

ცალკე თინია აკვებულა და თავის  
მართლებაც უცდია, მაგრამ ვინ აცა-  
ლა?... – თოფმომარჯვებული შავლეგოს  
დანახვაზე, შეშინებულ თავლიას იქით  
შეუტეგვია გოგოსთვის: შენი გამზრდე-  
ლი დედაც!.. წუხელ, ფანჯრიდან შე-  
მოსვლაში მიშველე და მთელი ღამე  
სიყვარულს მეფიცებოდი, ახლა სასიკე-  
დილოდ მიმეტეო?!

ამასობაში მეზობლებიც შეკრებილან  
და თავლაფდასხმულ შავლეგოს თოფი  
შვილისთვის მიუშვერია: თავიდან მომწ-  
ყდი! ეგაა შენი სწავლა და განათლება?  
ეგ ისწავლე ქალაქშიო?! – და გოგოც  
ღამის პერანგის ამარა გაჰკიდებია თურ-  
მე, თავის საშველად გაქცეულ თავლიას...

– მერე, დღემდე არ აღიარებს ძია  
შავლეგო სიძეს? – კვითხე ამბის მოხრო-  
ბელს.

– ისეთი ბიჭი გაუგორეს, შვილიშ-  
ვილის დანახვამ ყველაფერი დაავიწყა  
და შეურიგდა ორივეს. დიდი ძეობაც  
გადაიხადა! – მიპასუხა მან.

მეც რა მომათმენინებდა და ბავშვო-  
ბის მეგობარს ვესტუმრე. სწორედ იმ  
დროს შევედი, ორიოდე თვის პატარა,  
მამას ტახტზე რომ დაეგორებინა და  
ასე „ეფერებოდა“: ხმა ამოიღე, შე  
კეთილბადლო, „აღუ“ მაინც მითხარა,  
შენი დედაცაო!..

ინფორმაციული-შეფხვნილი კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკდან:



18. ინგლისელ დონა გრიფიტს 1981  
წლის 13 იანვარს დააწყებინა ცემინება.  
იგი 614 დღის მანძილზე არ გაჩერებუ-  
ლა. ამ ხნის განმავლობაში მან მილ-  
იონზე მეტჯერ დააცემინა.

19. სადღეისოდ ბიოლოგთა შორის  
არსებობენ მეცნიერები, რომლებიც უარყ-  
ოფენ თეორიას, მაიშინისაგან ადამიანის  
წარმოშობის შე-  
სახებ და ამტკი-  
ცებენ, რომ პირი-  
ქით, მაიშინი  
წარმოიშვა ადამი-  
ანისაგან.



20. კამჩატ-  
კის მცხოვრებთ  
სჯეროდათ, რომ  
მოკლულ დათვის იმ ქვეყნიდან დაბრუნება  
და მკვლელისთვის სამაგიეროს გადახ-  
და შეეძლო. ამის თავიდან ასაცილებ-  
ლად მონადირეები მოკლულ დათვის  
თვალებს სთხრიდნენ და ნესტოებში  
თოფის წამალს აყრიდნენ.

21. 1991 წელს ჟურნალი „ზა რუ-  
ლიომ“ რჩევას აძლევდა მძოლოებს, შორეუ-  
ლი მგზავრობისას რამდენიმე ბოთლი არაყი  
წაელოთ თან: იმ პერიოდში ეს რუსეთში  
ყველაზე მყარი „გალუტა“ გახლდათ.

22. მდიდარმა პარიზელმა ქალმა  
მადამ დე ბრიზმა მთელი თავისი ქონება  
– 125.000 ფრანკი ქალაქს უანდერძა,  
რათა უკანასკნელ მოღაზე შეემოსათ  
ზამთარში ბავშვების მიერ დამზადებუ-  
ლი ყველა თოვლის კაცი.

23. IV საუკუნეში ჩინელმა პრინც-  
ესამ თავის საქმროს, მცირე ბუხარის  
პრინცს აბრეშუმის ჭიის კვერცხები  
გადასცა საჩუქრად. იმ დროს, აბრეშუმის  
დამზადების წესი ჩინეთის სახელმ-  
წიფო საიდუმლოება იყო, რის გამოც  
პრინცესას საკუთარ თმამში რუკინფას-  
ესი საჩუქრის დამალვა მოუხდა.

24. ერთხელ ვერგილიუსმა უზარმაზ-  
არი თანხა გადაიხადა ბუხის დასამარხ-  
ად. ეს მას ახირებულობით არ მოსვლია,  
უბრალოდ ეშინოდა, რომ მიწებს ჩამოართ-  
მევდნენ და ვეტერან მეომრებს დაურიგებ-  
დნენ; სასაფლაოსთვის გამოყოფილი მიწა  
კი, კონფისკაციას არ ექვემდებარებოდა.

25. როდესაც ალექსანდრე მაკედონელს  
მინისაგან დამზადებული უამრავი ნაკეთობა  
მართვეს, მან მათი დამტვერვა ბრძანა. ამით  
მხედართმთავარმა ის უამრავი საძოვლო  
გულისტკენა აცილა თავიდან, რომელსაც  
დაუღვარი მსახურების მიერ ყოველი მინ-  
ის ნაკეთობის გატენა მოუტანდა.

**ნობის ტელეფონი**  
**ფსიქოლოგიური**  
**კონსულტაციები**  
☎ 822 009 005  
ზარი ფასიანია, 18 წლიდან  
დაკავშირება შესაძლებელია  
ტელეფონ-პარათომითაც

# როგორ უნდა მოიქცას მოსწავლე თუ ის თანაგონებებს ზითჯივონებს?!

ახალი სასწავლო წელი დაიწყო და ბავშვებიც განახლებული ძალებითა და ემოციებით უბრუნდებიან სკოლას. ზოგიერთისთვის ეს პირველი სასწავლო წელია, ზოგისთვის — მორიგი, თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც გარემოებათა გამო, სხვა სკოლაში გადაიყვანეს მშობლებმა. არადა, ხშირად, კლასში ახალმოსულ ბავშვს თანატოლები ეჭვის თვალით უყურებენ და ერთგვარ გამოცდასაც უწყობენ იმის დასადგენად, თუ რამდენად იმსახურებს ახალბედა, კოლექტივში მიღებას. როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე, თუ ის თანაკლასელებმა აითვალნენ? აი, რას ურჩევენ ქართველი შოუბიზნესის წარმომადგენლები ამგვარი პრობლემების წინაშე მდგარ ტინეიჯერებს...

## სოფო ყარალაშვილი

### თავუნა ამონაშვილი:

— მე ძალიან შეკრული კლასი მყავდა და რატომღაც ვპირველობდი კლასში, ყველა მასწავლებელი მენდობოდა. ერთხელ ჩვენი კლასი გაკვეთილებიდან გაიპარა. ღირეპტორთან დაგვიბარეს. მე სიტყვით გამოვედი და საშინელი ტყუილი ვთქვი. ღირეპტორმა დამიჯერა და კლასი გადავარჩინე. ასე რომ, ასეთი შემთხვევა — რომ კლასელებს ავეთვალწუნებინე — მე არ მქონია, მაგრამ ვიცი, როგორ უნდა მოიქცე: თუ შინაგანად კარგი პიროვნება ხარ, კლასელები აუცილებლად დაინახავენ ამას, დამტკიცება საჭირო არ არის, იმიტომ, რომ როცა ამტკიცებ, რატომღაც ვერ იგებენ.

### დათო ევაგანიძე:

— პირველ რიგში, მოსწავლე უნდა დაფიქრდეს, რატომ აითვალწუნეს თანაკლასელებმა. თუ ვერ მიხვდა, მშობლებს ჰკითხოვს, მერე — თვითონ კლასელებს: რატომ ვერ მიტანთ? თუ დაჯერებული პასუხი ვერ მიიღო, მაშინ უნდა გააქანოს და ლეწოს.



### ზუკა მანანაძე:

— ასეთი შემთხვევა მე არ მქონია, მაგრამ ვეცდები, გიპასუხოთ. მოსწავლე უნდა დაელაპარაკოს კლასელებს და კონფლიქტის მიზეზი გაარკვიოს. მერე შეეცადოს, დაარწმუნოს მეგობრები თავისი საქციელის სისწორეში. მან უნდა გაითვალისწინოს მეგობრების პრეტენზიები



და რაც მთავარია, კონფლიქტი დაივიწყოს, რათა შემდგომში ამან ხელი არ შეუშალოს მათ ურთიერთობას.



### ზუკა სუცივიშვილი:

— ცუდი ბავშვი არავის მოსწონს და უნდა შეეგუოს ამას. თუ კარგი ხარ, არ ავითვალწუნებენ. აი, მე მაგალითად, ახალ სკოლაში გადავედი, მაგრამ ასეთი შემთხვევა არ მქონია, ამ დროს, შენი კარგი მხარე უნდა დაანახო.



### თეონა თაყარაშვილიძე:

— მოსწავლე უნდა შეეცადოს, ცალ-ცალკე დაამყაროს კონტაქტი ყველა ბავშვთან. რამე სასაცილო უნდა მოიფიქროს და თანაკლასელები გააცინოს. ისინი იფიქრებენ, რომ საინტერესო აღმინა. ყველაზე ბრაზიან მასწავლებელს წყლით სავესე ბუშტი სკამზე დაუდოს ან გაწუწოს, კლასელებს ესეც მოეწონებათ. ალბათ, კლასში ეყოლებათ ვინმე „ბუნტის“ თავი. ჰოდა, ათვალწუნებულმა უნდა გაარკვიოს, ამ „ბუნტის“ თავს რა ნივთი უყვარს და აჩუქოს. ის თუ გადაწყვეტს, რომ კარგი ხარ, ჩათვალე, რომ მთელი კლასი დაგიმეგობრდება. კიდევ, შეიძლება, მშობლებმა „ფართი“ მოუწყონ, სადაც ყველა კლასელს დააპატიუებს. ეს ყველაფერი თუ გააკეთა მოსწავლემ, აუცილებლად შეიყვარებენ კლასელები.

### ვანიაო თარხნიშვილი:

— ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება: პირველ რიგში, მოსწავლე უნდა დაწუნარდეს და მეორე დღიდან ცალ-ცალკე დაამყაროს ყველასთან ურთიერთობა. მთავარია, არ ინერვიულოს, ცუდი არაფერი ხდება.



### ვახტანგ ჯაფარიძე, ფსიქოლოგი:

— ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, თუ თვითონ როგორ აღიქვამს საკუთარ თავს ეს მოსწავლე. ის პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა სცემდეს პატივს — ანუ უნდა იპოვოს თავისი ინდივიდუალობა. იცოდეს, რომ ის ერთადერთია და განუმეორებელი. როცა საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის, მაშინ კლასელებსაც გაუწინდებათ მის მიმართ პატივისცემა.

### ნედვადი ნაარხში რჩება

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა პაველ ნედვედმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი ეროვნული გუნდის დატოვებას აპირებს. ჩეხეთის ნაკრებიდან „ბებერი კონტინენტის“ საუკეთესო ფეხბურთელის წასვლის შესახებ მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც მან „ვერო-2004“-ზე მიღებული ტრავმის გამო, გუნდის ბოლო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო. „მუხლის ტრავმამ მწყობრიდან გამომიყვანა, – ამბობს პაველი, – სწორედ ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობის გამო ვერ დავეხმარე ნაკრებს. მწვრთნელებთან თუ ექიმებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება რომ მცირე პაუზა გამეკეთებინა და მხოლოდ „იუვენტუსში“ მეთამაშა. არასოდეს მითქვამს, რომ ჩეხეთის ეროვნული გუნდის დატოვება მსურს“.



### ჯულა ბაჯო დიდი ფეხბურთიდან წავიდა

ღეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო გადაწყვეტილებას არ შეცვლის და კარიერას აღარ გააგრძელებს. ასეთი განცხადება „ბოლონიის“ მწვრთნელმა კარლო მაცონემ გააკეთა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა წლების წინ კულა. აღსანიშნავია ისიც, რომ კარლო მაცონე ბაჯოს უანლოესი მეგობარია. „ბაჯო სიტყვის კაცია და ყოველთვის გულწრფელია. მას კარგად ვიცნობ და ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნაკრების შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარა, ვიცოდი, რომ კარიერის დასრულებას აპირებდა. ის მინდორზე აღარ დაბრუნდება“, – აცხადებს კარლო მაცონე. რობი მ დიდი ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება გასული სეზონის დასრულების შემდეგ მიიღო. მან სერია A-ში შეანარჩუნებინა ადგილი „ბრეშიას“ და ჩათვალა, რომ ამით კლუბის წინაშე საკუთარი ვალი მოიხადა. იტალიელი ვარსკვლავის თქმით, მას მეტიხმეტად აწუხებს ტრავმები, რის გამოც თამაშს ვეღარ შეძლებს. შეგახსენებთ, რომ თავისი კარიერის მანძილზე ბაჯო „ფიორენტინის“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „ინტერის“, „ბოლონიისა“ და „ბრეშიის“ ღირსებას იცავდა. „სკუადრა აპურას“ მაისურით კი 1994 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, სერია A-ს მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, იტალიური საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც კულა კვლავ დაუბრუნდებოდა დიდ ფეხბურთს.




### ვირთხამ ინდოელს მატჩი წაგებინა

ვის და რას აღარ შეუშლია ხელი საფეხბურთო მატჩის მსვლელობისთვის?.. გვინახავს მინდორზე შევარდნილი ნუდისტები, ძალღები, კატები თუ ქათმები. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ფეხბურთელები, მსაჯები და მაყურებლები მოთმინებით ელიან ხოლმე, რომ წესრიგის დამცველებმა დაუპატიჟებელი სტუმრები მოედნიდან მიაბრძანონ. ცოტა ხნის წინ, ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კალკუტის 110-ათასიან სტადიონ „სოლტ ლეიკზე“ მისული ქომაგები, რომლებიც ინდოეთისა და იაპონიის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრას ადევნებდნენ თვალს. თუმცა, მატჩი არა ჭკუამხიარული ნუდისტისა ან ადამიანის ოთხფეხა მეგობრის აქტიურობის შედეგად შეჩერდა, არამედ იმის გამო, რომ სტადიონზე შუქი ჩაქრა. თამაშის განახლება მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოხერხდა, როდესაც შესაბამისმა სტრუქტურებმა კვლავ შეძლეს „სოლტ ლეიკის“ განათება. 2 დღის შემდეგ კი, დასავლეთ ბენგალის შტატის პრემიერ-მინისტრმა მრინალ ბანერჯიმ სპეციალური განცხადება გააკეთა ინციდენტის გამოძიების დეტალებზე. „მოკლე ჩართვის მიზეზი, ჩვეულებრივი ვირთხა გამხდარა, რომელიც სტადიონის ენერგოკვების წყაროში მოხვდა. მღრღნელის დამწვარი სხეული ელექტრიკოსებმა იპოვეს“, – დასძინა მან. მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ ამით ვერ დაამშვიდა ინდოეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტივენ კონსტანტინი, რომელმაც თავისი გუნდის მარცხი მილიანად საბრალო ვირთხას გადააბრალა (მასპინძლებს ის შეხვედრა 0:4 წაუგიათ): „შუქის გამორთვით გამოწვეული პაუზის დროს ჩვენი ფეხბურთელები მოდუნდნენ და კონცენტრაციის დაკარგვამ სამი ქულით გვაზარალა“, – თქვა მან.



### დაჩრდილავს თუ არა შევა ვან ბასტენს?



ცოტა ხნის წინ, სილვიო ბერლუსკონიმ ანდრეი შევჩენკო ჰოლანდიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას მარკო ვან ბასტენს შეაღარა. ამ მოსაზრებას ეს უკანასკნელიც ეთანხმება, რომელიც წლების წინ, თავადაც იცავდა „მილანის“ ღირსებას და გუნდთან ერთად დიდი გამარჯვებებისთვისაც მიუღწევია. „ჩემსა და შევჩენკოს შორის რაღაც მსგავსება მართლაც არის. გოლის გატანისკენ ლატოლვა ორივეს ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, – ამბობს 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის გამირი. – სამწუხაროდ, მე 28 წლის ასაკში მომიხდა კარიერის დასრულება, რაც ძალიან ადრეა. შევჩენკო კი, კიდევ 10 სეზონის ჩატარებას შეძლებს. ის კიდევ უფრო ფანტასტიკური მოთამაშე გახდება და ჩემს მიღწევებსაც დაჩრდილავს“.

## ბერდი ყველაზე სასურველი გოგონაა

აშშ-ისა და კანადის მკვიდრნი ყველაზე მიმზიდველ ქალად ამერიკელ მოცურავე ამანდა ბერდს მიიჩნევენ. სწორედ ამ ათლეტის სახელი ფიგურირებს ყველაზე ხშირად იმ მსხვილ



საძიებო ინტერნეტსაიტებზე, რომლებითაც ოკეანისგადმელები სარგებლობენ. ესოდენ დიდი პოპულარობა 22 წლის გოგონამ ათენის ოლიმპიურ თამაშებში ბრწყინვალედ ასპარეზობის შემდეგ მოიპოვა. როგორც ცნობილია, მან საბერძნეთში ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და მსოფლიო რეკორდიც გააუმჯობესა. თუმცა ცხადია, ამანდას არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემები რომ არა, მხოლოდ სპორტული მიღწევებით იგი მილიონობით მამაკაცის საოცნებო გოგონად ვერ იქცეოდა. როგორც ცნობილია, პროფესიონალ მოცურავე ქალებს მამაკაცებივით განიერი მხრები აქვთ, რასაც ამანდა ბერდზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. ამასთან ერთად, თურმე სპორტი სწავლა-განათლებაში სულაც არ უშლის მას ხელს. ოლიმპიური ჩემპიონი არიზონის უნივერსიტეტის სტუდენტია, სადაც იგი საბუნებისმეტყველო დისციპლინებს ეუფლება, თანაც – საკმაოდ წარმატებულად. ბერდის მასწავლებელთა თქმით, გოგონა დიდი ნიჭით გამოირჩევა. თავად მოცურავეს კი არაერთხელ განუცხადებია, რომ დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, აპირებს, რომ სამეცნიერო საქმიანობას უნდა მიჰყოს ხელი.

## ტრანსვესტიტები სპილოებზე ამხედრდნენ

ვიდრე მსოფლიო იმაზე დაობს – დაუშვას თუ არა ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა დიდ სპორტულ ღონისძიებებზე ტრანსსექსუალები, ტაილანდში სპილოთა პოლოს წარმომადგენლებმა ეს საკითხი სექსუალურ უმცირესობათა სასარგებლოდ გადაჭრეს და ტრანსვესტიტებს ყოველწლიურ ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მისცეს. ამასთან, ქალის ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცები ტურნირში მთელი გუნდით ჩაებნენ. ისინი პირველსავე მატჩში დამარცხდნენ, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ, ორგანიზატორებმა და გულშემატკივრებმა ერთხმად უსვამდნენ ხაზს ტრანსვესტიტთა ბრძოლისუნარიანობასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას.



## ჯგუფური სექსი ჩობბურთის ბაკვეთილების საფასურად

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობთ თურქეთის ძალოსან ქალთა მწვრთნელის სახელის გარშემო აგორებული სექსუალური სკანდალის შესახებ. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ინგლისშიც, სადაც უკვე სასამართლო სხდომაზე შედგა, ოღონდ ერთი განსხვავებით – ამჯერად სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში ჩობბურთის წარმომადგენლები მოექცნენ. 26 წლის მწვრთნელი მარკ ლუისი 15 წლის მოსწავლე გოგონაზე ძალადობაში ამხილეს. როგორც ჩანს, ლუისმა თავისი შრომის საფასურის, სექსობრივი კავშირით ანაზღაურება მოინდომა და გულის წადილი აისრულა კიდევ. ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ იგი თავის აღსაზრდელს ჯგუფურ სექსში მონაწილეობასაც აიძულებდა. სასამართლოზე მარკ ლუისმა განაცხადა, რომ მას გოგონა 18 წლისა ეგონა, მაგრამ 4 წლით თავისუფლები ის აღკვეთას თავი მაინც ვერ დააღწია.



## ოლიმპიელს ოქროს მედალი ჩამოართვეს

რუსი ბადროს მტყორცნელი ირინა კორჟანენკო მზადაა, დააბრუნოს ოქროს მედალი, რომელიც მან „ათენი-2004“-ზე მოიპოვა. „ირინას ვესაუბრე და მან მითხრა, რომ მედალს სოკს დაუბრუნებს“, – ამბობს ათლეტის მწვრთნელი ვალერი კულიჩენკო. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე კორჟანენკოს ღობინგის გამოყენებისთვის მიუსაჯეს დისკვალიფიკაცია. „ჩემთვის ჯილდოს უკან დაბრუნება საკუთარი დანაშაულის აღიარება და გამყიდველობა იქნებოდა. მე კი თავს უდანაშაულოდ მივიჩნევ“, – ამბობდა თავდაპირველად ირინა კორჟანენკო. მოგვიანებით კი, იგი დარწმუნდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ურჩობა კიდევ უფრო დაამძიმებდა მის მდგომარეობას...



## ფითებშესხმელი Opel

„ოპელის“ მარკის ავტომობილების ტიუნინგში დოსტატე-ბულმა გერმანულმა ფირმა Irmischer-მა მომხმარებელთა სამსჯავროზე წარმოადგინა Vectra GTS i500, რომელიც პოპულარული სერიული მანქანის სპორტული ვერსიის – Opel Vectra GTS-ის ბაზაზე შეიქმნა. ამ ფირმის სპეციალისტებმა პირველ რიგში, დინამიკურობა შემატეს აღნიშნულ მოდელს: წინ ახალი კონფიგურაციის სპილერი დაურთეს, უკან კი – ეწ-ანტიფორთა. შეცვლილია მანქანის სალონიც. სავარძლები და კარების შიდაპანელები ნატურალური ტყავითაა გაწყობილი, სადგომი მუხრუჭის ბერკეტი და პედლები კი ალუმინისგანაა დამზადებული. Irmischer-ის ინიციატივით „ოპელის“ ძრავაზეც იმუშავეს: მისი სიმძლავრე სტანდარტული 211-დან 231 ცხ.ძ-მდეა გაზრდილი, თუმცა 6-ცილინდრიანი აგრეგატის სამუშაო მოცულობა უცვლელი დარჩა – 3,2 ლ. Vectra GTS i500 20-ლედიანი, ჩამოსხმული საბორბლე დისკებითაა დაკომპლექტე-



ბული. აღწერილი ტიუნინგური პაკეტი მომხმარებელს სულ 13.453 ევრო დაუჯდება. თუ მყიდველი აღნიშნულ დისკებსა და სპეციალურად დამზადებულ საბურავებზე იტყვის უარს, ეს თანხა 11.331 ევრომდე შემცირდება. ყველაზე იაფფასიანი პაკეტი კი, რომელშიც შეტანილია მხოლოდ გარეგნული აქსესუარები (ძრავასა და ახალი საკიდრის გარეშე) სულ 7.471 ევრო ღირს.



ფრანგულმა კომპანია „რენო“ ავტომოწყარულთათვის კიდევ ერთი სიახლე მოამზადა. ეს გახლავთ მიკროავტობუსი Traffic Generation, რომელიც 7 მგზავრისთვისაა გათვალისწინებული და არა მარტო აქტიური დასვენებისა და მოგზაურობისთვისაა გამოსადგენი, არამედ ნამდვილ მოძრავ ოფისსაც წარმოადგენს. მისი წინა 2 რივის სავარძლები 180 გრადუსით ბრუნავს; სალონში არის დასაკეცი მაგიდა, მოძვრო მაგივარი,

## „სახლი“ Renault-ისგან

უამრავი თარო, უჯრა და სათავსი, ელექტრონელსაწყობებისთვის განკუთვნილი 12-ვოლტიანი ჩასართავები.

Trafic Generation 2ლ მოცულობის ბენზინის (120 ცხ.ძ.), 1,9 ლ მოცულობის დიზელის (119 ცხ.ძ.) ან ასევე დიზელის, 135 ცხ.ძ-იანი ძრავით აღიჭურვება. ახალ მიკროავტობუსს 2 კომპლექტაცია აქვს: პირველ – Expression-ს – ფრონტალური და გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, ელექტროპაკეტი და კონდიციონერი ერთვის თან; მისი ფასია 30.450 ევრო; მეორეს – Privilege – მოწყობა: კლიმატ-კონტროლი, ბურუსის საწინააღმდეგო მამუქები, სალონის დამატებითი გამათბობელი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული საბორბლე დისკები და აუდიოსისტემა; ის მომხმარებელს პირველზე 3.016 ევროთი ძვირი დაუჯდება. სპეციალისტთა შეფასებით, ახალ მიკროავტობუსს ბაზარზე დამკვიდრების საუკეთესო შანსი აქვს: ის საშუალოდ, 3 ათასი ევროთი იაფი ღირს, ვიდრე მისი მთავარი კონკურენტი – Volkswagen Multivan.

## გეხმანელები შეყვარებული ახიან Toyota-ზე

იაპონური ავტომანქანები პირველ ადგილებზე აღმოჩნდნენ ტრადიციულ რეიტინგში, რომელსაც სისტემატურად ადგენს გერმანიაში ამერიკული მარკეტინგული სააგენტო J.D. Power. მისმა ექსპერტებმა 24500 გერმანელი ავტომოწყარული 28 მწარმოებლის მიერ გამოშვებული 119 მოდელის შესახებ გამოკითხეს და ამის შედეგად, „ტოიოტას“ პროდუქციამ 1000 შესაძლებლიდან 844 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე გერმანულმა ასევე იაპონური კომპანია – „მაზდა“ გაიყვანეს (816 ქულა), მესამეზე – „სუბარუ“ (815), ხოლო მეოთხეზე – „ჰონდა“ (811). საუკეთესო გერმანული ავტომწარმოებელი – „ბემ-ვე“ – მეხუთე ადგილზე გავიდა; „აუდი“ მერვეს დასჯერდა, „მერსედესი“ – მეთერთმეტეს, ხოლო „ოპელი“ – მეთორმეტეს. კონკრეტული მოდელების მიხედვით, აბსოლუტურ ჩათვლაში პირველობა ასევე იაპონელ ავტომწარმოებლებს

ხვდა წილად. მცირე კლასში გამარჯვებულად Honda Jazz დაასახელეს, კომპაქტურ კლასში – Toyota Corolla, საოჯ-ანო ავტომობილებში – Toyota Avensis, ვენებში – Mazda Premacy, ყველაგანმალებს შორის კი – Toyota RAV4. რევანშის ალება გერმანელებმა სპორტულ მანქანებში მოახერხეს: საუკეთესოთა შორის დაასახელეს Porsche 911, BMW Z3 და Mercedes CLK. საინტერესოა, რომ წარმომადგენლობითი და ბიზნესკლასის ავტომანქანებს შორის პირველობა წილად ხვდა Peugeot 607-ს, რომელმაც მე-5 და მე-7 სერიების BMW დაჯაბნა. ფრანგული მანქანის წარმატებას, მის მიხედვით ღიზინს მიაწერენ.



აშშ-ში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგად გამარჯვებულად ასევე Toyota ცნეს: ამერიკელებმა პირველობა მიაკუთვნეს Lexus-ს, რომელიც იაპონური ავტოგეგმვის პრესტიჟულ ბრენდს წარმოადგენს. მეორე ადგილი ამერიკელმა მომხმარებლებმა General Motors-ის პროდუქტს – Buick-ს მიაკუთვნეს.



(დასაწყისი იხ. „ბზა“ № 26-38)

# მცაცენლოს ინსცინქსი

## რუსულან ბერიძე

რესტორანში მომხდარი სროლის დროს დაღუპული კაცის მკვლელობას ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს აბრალებენ. ამ ამბავში რაღაც იდუმალი როლი მის ბიზნესპარტნიორ შალვა ოშერელს აკისრია. ანდროს თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე მის დაცვას თავის ყოფილ დაქალს, ადვოკატ მეგი ლალიძეს სთხოვს. მისი ერთერთი დაქალის, ლიკას მეუღლე ვახო, მეგის ანდროს წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — მას კახეთში მინის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

საქმის შესწავლის პროცესში მეგი შეიტყობს, რომ ანდროს „ჩაძირვით“ წარსულში მისი შეყვარებული კახაცა და ინტერესებული. მეგის დედამისთან შეხვედრაც მოუხდება. მომაკვდავი მარკა მას მწარე სომართლეს გაანდობს: მეგისა და კახას შვილი, რომელიც მკვდრად შობილად იყო გამოცხადებული, ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდება...

საუბრისას მეგი და კახა (რომელმაც თავისი შვილის არსებობის შესახებ არაფერი იცის) შეკამათდებიან, ქალი მას ოშერელთან კავშირში დაადანაშაულებს და გაბრაზებულს ისიც წამოსცდება, — თუ მართალი ხარ, შენი შვილი დაიფიცეო...

იმავ დღეს, მეგის აცნობებენ, რომ ანდრო სვანიძე ციხეში კომინალუბმა დაჭრეს ამას კახას დედის სიკვდილი მოჰყვება. მეორე დღეს, მეგი ანდროს ცოლყოფილს ლანას უნდა შეხვედეს და შესაძლოა, ცხოვრებაში პირველად, საკუთარი შვილიც ნახოს. ლანასთან მისვლამდე, მას ქუჩაში ხანდაზმული ქალბატონი გამოელაპარაკება და ბოლოს იმასაც ეტყვის — მალე შენს ბიჭს ჩაიკრავ გულშიო, — შემდეგ კი, ერთერთი სახლის სადარბაზოში გაუჩინარდება...

— ეს რა მითხრა?! — ხმაძლია იკითხა გაოგნებულმა მეგომ, რომელსაც მოხუცისთვის ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი კარგა ხანს ისევ ჰაერში დარჩა გაშეშებული. — შენს ბიჭს მალე გულში ჩაიკრავო?! საიდან იცის, რომ...

„თუმცა, რას ვსულელობ?.. — ახლა უკვე გულში შეუძსა მან საკუთარ თავს. — მე თვითონ არ ვუთხარი, ბიჭი მყავს-მეთქი?! მაგრამ სახელი?.. — გული ხელახლა გადაუქანდა შემდეგ. — ჩემი სახელი ხომ ქალისთვის ნამდვილად არ მითქვამს!.. მან კი გარკვევით მითხრა — ჩემო მეგო...“

ამ აღმოჩენით საბოლოოდ დაფრთხალი მეგი მაშინვე სადარბაზოში შევარდა, მაგრამ ქალი აღარსად ჩანდა. „შორს ვერ წავიდოდა!“ — თავი დაიძვინკა მან, კიბეს ეცა და სახლის სამივე სართული კისრისტეხით აირბინა, მაგრამ — კვლავ უშედეგოდ. იმედგაცრუებული, სვენებ-სვენებით ჩაუყვავა კიბეს და ის-ის იყო, ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ შენიშნა — სადარბაზოს მეორე გასასვლელიც ჰქონდა. „იქიდან გავიდოდა!“ — თავში ელვავავით გაურბინა მას, სასწრაფოდ მეორე გასასვლელთან გაჩნდა და საკმაოდ მოვილი, საერთო ეზოში ამოყო თავი...

თავიდან ეზო საეჭვოდ ცარიელი მოეჩვენა, მაგრამ შემდეგ, ფართოვარჯიანი ხის ჩრდილში შეყუჟული, ლაპარაკში გართული სამი ქალი შენიშნა, მათთან მივიდა და თავაზიანად მიესალმა: — გამარჯობათ, ქალბატონებო!..

ქალებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და იჭვნულად შეათვალიერეს მეგი.

— გაგიმარჯოს! — როგორც იქნა, სალამზე პასუხი აღირსა ერთ-ერთმა.

— შემთხვევით აქ სიმპათიური ასაკოვანი ქალი ხომ არ შემოსულა?

— როდის? — დაინტერესდა ისევ ის ქალი.

— ასე, 5-6 წუთის წინ.

— 5 წუთის წინ?.. — შეთქმულივით გადახედა ქალმა დანარჩენებს. — რა ჰქვია?

— ვის?

— იმ ქალს?

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— აბა, ასე ჩვენც საკმაოდ სიმპათიურები ვართ... — გაელიმა ქალს და დანარჩენებს მიუბრუნდა: — თქვენ რას იტყვით, გოგოებო?..

— ვართ, ვართ!.. — დაეთანხმნენ ქალები და შეწყვეტილი საუბარი განაგრძეს...

მეგომ ლაქლაქში გართულ ქალებს ცოტა ხანს კიდევ უყურა და ნაცემი ბავშვივით მხრებში მოხრილმა დატოვა ეზო. მაგრამ ქუჩაში გასულმა, რამდენიმე ნაბიჯის გავლაც კი ვერ მოასწრო, რომ ვიღაცამ ზედ მის ფეხებთან დაამხურუჭა მანქანა. დამფრთხალმა მეგომ თავი ასწია და მანქანიდან ნახევრად გადმოსული დალი ხაჩიძე დაინახა.

— შენ რასხან გიპოვე, რაღა მომკლავს?! — მაშინვე აქაქანდა იგი. — საყვადმყოფოში მითხრეს, ერთი ფეხით გავასწროო და მას შემდეგ, შენს კვალს დავეძებ!.. ასე უცბად მაინც სად გაქრი, ან ახლა საიდან გაჩნდი?

— არსადაც არ გაემქრალვარ, — თავისდა გასაოცრად, უცბად მოეგო გონს მეგი. — უბრალოდ, აქ ერთი ჩემი შორეული ნათესავი ცხოვრობს და ვიფიქრე, ბარემ შევეუვლი-მეთქი...

— მერე?

— სახლში არ დამხვდა.

— ახლა სად მიღისარ?

— ჯერ არ ვიცი... — საათზე დაინხედა შეფიქრიანებულმა მეგომ. — ხუთზე ანდროს ცოლთან უნდა ვიყო, მაგრამ ჯერ...

— ხუთამდე დიდი დროა! — გააწყვეტინა დალიმ. — წამო, რა, მანამდე, კახასთან შევირბინოთ და მივუსამძიროთ...

იცი, ალბათ, რომ მარიკა დეიდა... — სათქმელი აღარ დაასრულა მან.

— ჰო, ვიცი... — ამოიოხრა მეგომ. — წუხელ კახას ველაპარაკე.

— ძალიან შემეცოდა...

— ვინ — მარიკა თუ კახა?

— ხომ გაგიგონია — ცოლვა ისაა, ვინც მიწას ამოეფარება? — მაგრამ კახაც ძალიან დათრგუნვილი და გაუბედურებული ჩანდა... ჰა, რა მოიფიქრე — წამოსვალ?

– ჰო, მაგრამ ვერ მხოლოდ ორი საათია... – ფეხი ათირია მეგიმ. – თანაც, დღეისთვის შეიძლება, პანაშვიდი საერთოდ არ ჰქონდეთ დანაშაული...

– პანაშვიდს დაეძებ?! – არ შეეპუა დალი. – ძლივს მე და შენ თავისუფალი დრო ერთად გამოგვიჩნდა!.. თანაც, ვერ ხედავ, რომ შოფერს ვაცდევინებ?! – იქვე მდგარი მანქანის მძღოლზე ანიშნა მან. – ხომ არ გგონია, ჩემი ლამაზი თვალებითვის იცდის? „მოჩიკი“ აქვს ჩართული... წამო, რა, გეხვეწები, მარტო მისვლა მაგრად „მიტყდება“. საწყალი მარიკა ხომ ისე მოკვდა, რომ ერთხელაც ვერ ვნახე...

– კარგი, წავედით... – როგორც იქნა, დაყბულდა მეგი. – ეტყობა, დღევანდელი დღე ჩემთვის ბოლომდე უცნაურ შესვენებებში ჩაივლის...

მეგის თანხმობით გახარებული დალი მანქანაში პირველი „შეტა“ და ცოტა ხანში, კახა სუთიძის სახლთან გაჩნდნენ. მეგი უხალისოდ აუყვია სადარბაზოს კიბეს.

– ხომ არ ნერვიულობ? – ჰკითხა მის უკან მომავალმა დალიმ.

– ალბათ, არც უმაგისობაა... – გამოტყდა მეგი.

– ნეტავ ერთი, შენ, ყველაფერი გულთან რომ მიგაქვს! – არხინად წარმოთქვა დალიმ. – მაგრამ რადგან გული ოხერი რამეა, როგორც კი მივუსამძიმრებთ, მამინვე გამოვბრუნდები!.. მეშინია, ისევ ცუდად არ ვახდები...

სუთიძეების ბინის ღია კართან მდგარი კახა მასავით შავპერანგიან ორ მამაკაცს რაღაცას ხმადაბლა უხსნიდა, მაგრამ მეგის და დალის დანახვაზე, საუბარი უცბად შეწყვიტა:

– მოხვედით?... – მაღლიერი მზერა შეაგება მან მეგის.

– აბა, რა უნდა გვექნა?! – ბოლო წამს, მეგის მოხერხებულად გადაუსწრო დალიმ და პირველმა გადაკოცნა კახა: – ვიზიარებ... ძალიან მეწყინა მარიკა დედის ამბავი...

– გმაღლობ, ჩემო დალი... – ამოიხსრა კახამ.

– მგონი, ეს ბიჭები შენი ბიძაშვილები უნდა იყვნენ, ხომ? – განზე გამდგარ მამაკაცებს ცნობისმოყვარედ გახედა დალიმ.

– ჰო, – უხალისოდ დაუდასტურა კახამ. – დედამისის ძმისშვილები არიან...

სანამ კახა სათქმელს დაასრულებდა, დალიმ მისი ორივე ბიძაშვილის გადაკოცნა მოასწრო.

– ხომ არ დაგავიწყდით, ბიჭებო? დალი ვარ, კახას სტუდენტობის მეგობარი...

– აა!.. – თითქმის ერთხმად წამოიძახეს შემცბარმა მამაკაცებმა და ისე-

თი თვალებით გახედეს კახას, თითქოს მისგან შველას ელოდნენ.

– ვიზიარებ... – ხელი შორიდან გაუწოდა კახას მეგიმ, მაგრამ თავად კახამ ის უცბად თავისკენ მიიზიდა და გადაკოცნა.

მეგი წამით სახეზე წამოჭარხლდა, მაგრამ თავს მალევე მოერია და პასუხად, კახას ლოყაზე ცივად ეამბორა.

– გმაღლობ, საყვარელო... – მეგის ხელი ხელში ცოტა ხანს კიდევ შეაჩერა კახამ...

დალიმ და მეგიმ სწრაფად შემოუარეს გარშემო მიცვალებულს და კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე, ოთახის ბოლოში ჩამოსხდნენ. წამლისა და რომელიღაც ყვავილის მკვეთრი სუნი ერთმანეთში იყო არეული. მეგიმ გულმოდგინედ მოავლო ოთახს თვალი და ერთ-ერთ კუთხეში მდგარ უზარმაზარ ბროლის ლარნაკში ჩაწყობილი ოლეანდრის ტოტები დაინახა.

– ნეტავ, ამათი აქ მოტანა რომელს სულელს მოუვიდა თავში?... – უკმაყოფილოდ გადაუჩურჩულა მან დალის.

– რის მოტანა? – ვერ გაუგო დალიმ.

– ოლეანდრების, – ოთახის კუთხისკენ ანიშნა მეგიმ. – ბებიჩემმა ეს ყვავილი ეზოდანაც კი მოამოხრა – თავის ტკივილი იცისო...

– რას მეუბნები?! – კინაღამ მამინვე ფეხზე წამოხტა დალი. – წამო, რა, დროზე გავიდეთ აქედან, თორემ, თავის ტკივილი მე რომ ვიცი, ისეთი უნდა!.. ერთი თუ ამივარდა, სანამ თავისით არ გამოვიღის, არანაირი წამალი არ მშველის.

დალი და მეგი ფეხაკრეფით გამოვიდნენ ოთახიდან. ზღურბლთან ისევ კახა დანვდათ.

– უკვე მიღიხართ? – დანანებით ჰკითხა მან.

– ჰო... – უპასუხა დალიმ. – ხომ იცი, საქმეები...

– ვიცი... – ამოიხსრა კახამ და შემდეგ დაუმატა: – ხვალ და ზევ ოფიციალური პანაშვიდება. თუ მოახერხებთ, მოდიეთ!..

– რას ჰქვია, თუ მოვახერხებთ?! – თეატრალურად შეიცხადა დალიმ. – აუცილებლად მოვალთ! ხომ, მეგი?

– ჰო... ალბათ... – დაბნეულად ჩაილაპარაკა მეგიმ და პირველი დაუყვია კიბეს. დალიც მამინვე მას მიჰყვა.

– მეგი! – დაუძახა უცბად კახამ. – ერთი წუთით, რა. რაღაც უნდა გითხრა.

– დაბლა დაგელოდები, – შეთქმულივით წასწურწულა დალიმ მეგის და მკვირცხლად დაეშვა კიბეზე.

მეგიმ კი, რამდენიმე საფეხური უხალისოდ აიარა და კვლავ კახას პირისპირ აღმოჩნდა.

– გისმენ.

– დაპირება ხომ არ დაგავიწყდა? – ჰკითხა კახამ.

– რა დაპირება?

– წუხელ ხომ მითხარი, ბავშვს გაჩვენებო?!

– აა... მაგას გულისხმობ? – თითქოს აღრე ვერ მიხვდა, ისე შეიცხადა. – მე კიდევ მეგონა...

– პირდაპირ მითხარი, მაჩვენებ თუ არა? – მოთმინების ძაფი უცბად გაუწყდა კახას.

– ვერ მეც არ მინახავს და შენ როგორ უნდა გაჩვენო?... – გაჯიუტდა იგი.

– როგორ?... – გაოცდა კახა. – მართლა არ გინახავს?

– შენ წარმოიდგინე, არა!

– კი, მაგრამ ამდენ ხანს აბა, რას აკეთებდი?..

– ბუხებს ვითვლიდი!.. – ხმაში გაღიზიანება დაეტყო მეგის.

– კარგი, ჰო!.. – მამინვე უკან დაიხია კახამ. – შენებურად არ ავარდე!.. ის მაინც მითხარი, ბიჭია თუ გოგო?

– შენ რომელი უფრო გაწყობს?..

– მეგი, ძალიან გთხოვ...

– ბიჭია!.. – ვიქტორ გააწყვეტიდა მეგიმ. – სახელად მიმიკო ჰქვია. კიდევ რა გაინტერესებს?

– სად არის და როდის უნდა ნახო?

– ვერ არ ვიცი.

– რა არ იცი?... სად არის თუ როდის უნდა ნახო?

– არც ერთი და არც მეორე... – კბილებში ბრაზიანად გამოცრა მეგიმ. – კიდევ დიდხანს გააგრძელებ ჩემს დაკითხვას?... ხომ არ დაგავიწყდა, რომ?..

– ანდრო თუ ნახე? – საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა კახამ.

– კი, ვნახე... – გამოძვლილად შეხედა კახას მეგიმ.

– როგორ არის?

– არის, რა... ჭრილობას იშუშებს...

– გითხრა, ვინ დაჭრა?

– არა. ყველა ჩემს მტერს მე თვითონ მოვუვლიო...

– მაინც არ იშლის, ხომ, ბიჭი კუნთების თამაშ?... – ბოლმიანად ჩაიბურტყუნა კახამ.

– არ მესმის, შენ რა გაელეგებს? – გამოძვლილად აათვალიერ-ჩაათვალიერა კახა მეგიმ. – კუნთები მისია და როცა უნდა, მამინ ათამაშებს.

– ახლა სად მიდიხარ? – საუბრის გამწვავება აღარ ისურვა კახამ.

– ანდროს ცოლის სანახავად. – თვალი თვალში გაუყარა მას მეგიმ. – ხომ არაფერს დამაბარებდი?..

– ანდროს ცოლთან მე რა უნდა დავაბარო?... – თავი შორს დაჭირა კახამ.

— ანდროს ცოლთან კი არა — შენს პირველ სიყვარულთან დამაბარე!..

— არ გინდა, რა... — მავკერებელი თვალებით შეხედა მეგის კახამ. — ახლა მაინც არ გინდა!.. თანაც, ხომ იცი, რომ ეგ ყველაფერი წარსულში დარჩა...

— ივიწყებ წარსულს, კარგავ მომავალს... მგონი, ეს სიბრძნე ერთხელ უკვე შეგახსენე და რად მამეორებინებ?..

— კახა! — უცბად ხმადაბლა გამოსძახა კახას ერთ-ერთმა ბიძაშვილმა. — მამაშენმა გაიღვიძა და რა ვქნათ?

— ახლავე მოვალ! — უკანმოუხედავად უპასუხა მას კახამ.

— მამაშენს რაღა სჭირს? — დაინტერესდა მეგი.

— რაც წუხელ სჭირდა... — ამოიოხრა კახამ. — ცოლის სიკვდილს ვერაფრით ეგუება... დღეს დილით თავის მოკვლას აპირებდა! პურის საჭურელი დანა ძლივს გავაგდებინეთ ხელიდან... მერე ექიმმა კიდევ ერთი დამამშვიდებელი გაუკეთა. მართალი გითხრა, უკვე აღარ ვიცი, რომელ კედელს ვახალო თავი: მკვდარი დედა ვიტყვი თუ ჭკუას გადამცდარი მამა?!

სწორედ იმწუთას, კახას ბიძაშვილი მიუახლოვდა, მხარზე ფრთხილად შეეხო და თავისკენ მიაბრუნა:

— ე, ბიჭო, გაგიჟდა კაცი, კახა მჩვენეთო!..

— მოვდივარ-მეთქი!.. — შეუღრინა მას კახამ. — რა ქვეყანა შეყარეთ?! — შემდეგ ისევ მეგის მიუბრუნდა: — ამდამ დაგირეკავ და იცოდე, ტელეფონი არ გათიშო!

— როცა გინდა, მაშინ დამირეკე... — კიბეზე სწრაფად დაეშვა მეგი.

— რას ლაპარაკობდით ამდენ ხანს? — ეცა მას ლოდინით გაღიზიანებული დალი. — მაინცდამაინც ახლა გაგისკდათ სიყვარულის ბუშტი?!

— ახია შენზე! — იქით შეუტია მეგიმ. — რას მობობდი?! კახასთან მართლ რომ არ მიგეტოვებინე, ახლა ორივენი ჩვენ-ჩვენს საქმეებზე ვიქნებოდით წასულნი...

— მე ვიკითხო, თორემ, შენ რა გენაღვლება?! — აწუწუნდა დალი. — ჯერ მხოლოდ ხუთის ხუთი წუთია. ლანასთან მისვლას ათჯერ მოასწრებ. მე კი, ომხერელი ცოცხლად შექვამს!..

— შენს შეჭმას ომხერელს ის ურჩევნია, მარიკას პანაშვიდზე თვითონაც მობრძანდეს!.. ტყუილად ხომ არ გახდნენ ეგ და კახა გადასკვნილი ძმაკაცები?!

— ეგ რა კარგი რამე მითხარი!.. — უცბად გახალისდა დალი. — ოფისში მივალ თუ არა, შალიკოს ვაღს იქით დავადებ: კახას დედა რომ მოუკვდა, მე უნდა გაგებინებდე-მეთქი?!

— გგონია, არ ეცოდინება?

— შენც მართალი ხარ... — უცბადვე ჩაქრა დალი. — ომხერელი ყოველთვის ყველაზე ადრე იგებს ყველაფერს... მართლა! — გაახსენდა მას უცბად. — აქამდე შენ კი რატომღა არ შეხვდი ამ დამბალს? აი, მაგას ექნება სათქმელი, თუ ექნება!..

— ევვიც არ მეპარება! — დაეთანხმა მეგი. — მაგრამ სანამ შეხვდები, მინდა, მის წინააღმდეგ რაც შეიძლება მეტი სამხელი მოვაგროვო, თორემ, შენც ხომ იცი, რა გაქნილი გაიძვარა და რა ადვილად შეუძლია, ხელიდან დამისხლტეს!

— შენი საქმისა, რა თქმა უნდა, შენ იცი! — მხრები აიჩეჩა დალიმ. — მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ ყოველი ახალი დღე ომხერელს ახალი მამადალობის გაკეთების საშუალებას აძლევს... აი, თუნდაც გუშინ, იცი, რა უქნია?..

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?.. — საათზე უხალისოდ დაიხედა მეგიმ. — თანაც, მგონი, უკვე ლანასთანაც მაგვიანდება. — დასძინა მან შემდეგ.

— მაშინ, მოდი, მანქანას გააჩერებ და ჯერ შენ მიგიყვან, — შესთავაზა დალიმ. — თან, გზაში ომხერელის ოინებზეც მოგიყვები... რა ვქნა, გავაჩერო? — კიდევ ერთხელ ჩაეკითხა ის მეგის.

— ჰო, — დაეთანხმა მეგი, — ოღონდ, ერთი პირობით: ფულს მე გადავიხდი!

— კი, გენაცვალე!.. რაზეა ბაზარი?.. — წაუძველებიკა დალიმ და მათკენ მიმავალ მანქანას ხელი ენერგიულად დაუქნია...

დალიმ მძღოლს ლანა სვანიძის მისამართი დაუსახელა და როგორც კი მანქანა დაიძრა, მაშინვე აქაქანდა:

— ისე, ლანაქასთან მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ...

— გაგიჟდი?! — გააწყვეტინა მეგიმ. — გინდა, ყველაფერი წყალში ჩამიყარო?!

— რა თქმა უნდა, არ მინდა!.. გულით რომ შემეხვეწო, იმ დამპალ დედაკაცთან მაშინაც კი არ წამოგყვები...

— ლანას ლანძღვას თავი დაანებე და ომხერელის ამბავი მითხარი, თორემ, საცაა, მივალთ...

— ჰო! შალიკო ომხერელს რაც შეეხება... — ეშმაკურად მოწკურა დალიმ თვალები. — როგორც სანდო წყარომ მაწუწა, გუშინ გვიან საღამოს, როცა ოფისში დაცვის ბიჭებისა და შემთხვევით შემორჩენილი რამდენიმე თანამშრომლის გარდა, არავინ იყო, ბატონმა ომხერელმა სამსახურად გაგვლენიან პარლამენტარს უმასპინძლა...

— მერე? — სასწრაფოდ ყურები ცქციტა მეგიმ.

— მერე ის, ჩემო ლამაზო, რომ როგორც ბოროტი ენები ამბობენ, იმ სამიდან ერთი,

პარლამენტში ნარკოზიბნესს ლობიერებს, ორი კი — ნავთობის ჩრდილოვან ბიზნესს, მა-აშ!..

— და შენ ამას ახლა მეუბნები?! — აღშფოთდა მეგი. — მართალი გითხრა, დღევანდელ გაწამაწიაში ეს ამბავი კინადამ საერთოდ დამავიწყდა. — აღიარა დალიმ. — თანაც, ასეთ სერობებს ხომ ომხერელი საკმაოდ ხშირად აწყობს!..

— კარგი! — გააწყვეტინა მეგიმ. — ომხერელის საქციელს შენ ერთი-ორი დღე კიდევ დააკვირდი და მერე მე ვიცი!..

— კარგი იქნება, თუ შალიკოსთან სალაპარაკოდ ჩვენთან ოფისში მოხვალ და მეც დამასწრებ...

— ჰო, მაგრამ რომ მკითხოს, დალის დასწრება რაღაში გჭირდებაო, რა ვუთხრა?

— ჯერ ერთი, დარწმუნებული ვარ, რომ არ გკითხავს! — დაიძვინკა დალიმ მეგი. — მაგრამ თუ მაინცდამაინც თავი გაიგიჟა, შეგიძლია უთხრა, რომ ყველა იმ დოკუმენტის ნახვა გსურს, რომელიც ფირმაში ანდროს დაპატიმრებამდე გაფორმდა. ის დოკუმენტები კი, მე მაქვს სეიფში ჩაკეტილი... და შალიკოსაც, უნდა თუ არა, ჩემი დაძახება მაინც მოუწევს... ჩემი თანდასწრებით კი, დამერწმუნე, ბევრს ვეღარ „იბლატავებს“...

ამასობაში, მანქანა ლანა სუთიძის სახლის სადარბაზოს მიუახლოვდა. დალიმ მძღოლს მანქანა გააჩერებინა და ჩამუქებულმინიან ფანჯარაში ქურდულად გაიხედა:

— აქ არის, მესამე სართულზე...

— კარგი, წავედი!.. — მძღოლს ფული გადაუხადა მეგიმ და მანქანის კარი გამოაღო.

— მართლა!.. — შეაჩერა ის დალიმ. — მიშიკო თუ სახლში დაგხვდა, გადაეცი — დალი დეიღამ სულით და გულით მოგიკითხა-თქო!..

— არ დამხვდება. ლანამ მითხრა, ხუთიდან ექვსამდე აუზხეაო...

— ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, დღეს გამონაკლისი იყოს და...

— ე, გოგო, გადამიშვი, რა, ამ ოხერი მანქანიდან! — გაღიზიანდა მეგი.

— კარგი, კარგი, მიბრძანდი! — როგორც იქნა, დამშვიდდა დალი. — მაგრამ თავს გაუფრთხილდი, თორემ, ხომ იცი, რომ ნერვული უჯრედები აღარ აღდგება?!

მეგი მანქანიდან სწრაფად გადავიდა და კარი გამეტებით მიაჯახუნა. მძღოლმაც მანქანა ადგილიდან უმაღლ მოწყვეტა, მაგრამ დალიმ მეგისთვის ხელის დაქნევა მაინც მოასწრო...

როგორც კი მეგი სადარბაზოს გაუსწორდა, ზამბარანი კარი ჭრიალით გაიღო და მხარზე სპორტულჩანთაგადაკიდებუ-



ლი ათიოდე წლის ბიჭი გამოვიდა. მეგის უმალ გულმა რეჩხი უყო. ბიჭმა კი ის ერთი შეათვალიერა და არხეინად გაუყვა ქუჩას...

ლანა სუთიძემ დაბარებულივით სწრაფად გაულო მეგის კარი:

— რა იყო?... ახლა რაღა დაგრჩა?... — კარის გაღებისთანავე იკითხა მან, მაგრამ როცა ზღურბლთან მდგარი უცნობი ქალი დაინახა, სწრაფადვე გაჩუმდა.

— გამარჯობა... — დაიწყო მეგიმ — მე...

— ვიცი!... უფრო სწორად — მივხვდი, ვინც ხართ... — გააწყვეტინა ლანამ და თან, საათზე დახედა. — თუმცა, ასე ადრე არ გელოდით...

— მაპატიეთ, მაგრამ დრო ზუსტად ვერ გამოვთვალე...

— არა უშავს. მობრძანდით! — დაამშვიდა მეგი ლანამ. — უბრალოდ, წედან ჩემი ბიჭი გავისტუმრე „ბასეინზე“ და ვიფიქრე, რაღაც დაავიწყდა და ისევ მობრუნდა-მეთქი... იცით, როგორი უყურადღებო მყავს?... გუშინწინ, საერთოდაც, „პლაგკები“ დარჩა და შუა გზიდან ბურტყუნ-ბურტყუნით მობრუნდა... მეცინება, რომ ვამბობ, მაგრამ მგონი, შეყვარებული უნდა იყოს... რაღას უდგახართ?... შემოდით!... — კიდევ ერთხელ შეიპატიჟა მან სტუმარი.

მეგიმ როგორც იქნა, ზღურბლს გადააბიჯა და იქვე შედგა:

— თქვენნი შეილი, საბრტულჩანთიანი ბიჭი ხომ არ იყო, სადარბაზოსთან რომ შემხვდა? — ძლივსდა ამოთქვა მან და ისეთი მავედრებელი თვალებით შეხედა ლანას, რომ ამ უკანასკნელს სახეზე აშკარა გაცოცხება გამოეხატა, თუმცა მაინც არაფერი შეიმჩნია:

— კი, ის იქნებოდა!... — სასტუმრო ოთახში შეუძღვა ის სტუმარს. — ხომ კარგი ბიჭი მყავს?..

— დაიხ... — მაშინვე დაეთანხმა მეგი. — ნამდვილად კარგი ბავშვია...

— თქვენ რომ ასეთი შეილი გყავდეთ,

მიატოვებდით? — მოულოდნელად ჰკითხა ლანამ.

— არა, რას ამბობთ?! — შეიცხადა მეგი და გული ყელში კიდევ ერთხელ მიეხვინა.

— აი, ჩემმა ქმარმა კი მიგვატოვა!... — რაღაცნაირად, ნიშნის მოგებით თქვა ლანამ და თან, სავარძელზე მიანიშნა მეგის: — დაბრძანდით, მე ახლავე მოვალ...

ლანა ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა, მეგი კი სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და თავი ხელეში ჩარგო: „ღმერთო! ჩემი შეილი! ჩემი ბიჭი წინ შემხვდა!... მე კი...“

— ცუდად ხომ არ ხართ? — ჩაესმა უცბად მეგის ლანას შემოთოტებული ხმა და თავი სასწრაფოდ ასწია.

— ჰო. დღიდანვე ვერ ვიყავი კარგად... ახლაც გული რაღაც უცნაურად ამიფრიალდა...

— რამე საუფლო საშუალება ხომ არ მოგიტანოთ? — დაფაცურდა ლანა.

— არა... ნუ შეწუხდებით...

— რა შეწუხება?! ამ ბოლო დროს, დედაჩემსაც ძალიან აწუხებს გული და სახლი ნაირ-ნაირი წამლით გვაქვს სავსე... — არ არის საჭირო, ჩემი მაქვს, — სასწრაფოდ გახსნა ხელჩანთა მეგიმ და ვალიდოლი ამოიღო.

— რამე სერიოზული გჭირთ თუ?... — მეგის პირდაპირ, სავარძელში ჩაჯდა შეფიქრანებული ლანა.

— არა... უბრალოდ, ამ დღეებში ბევრი სანერვიულო შემხვდა...

— ჰო-ო... — მაშინვე თანაგრძნობით შეხედა ლანამ სტუმარს. — ვერ არის კარგი საქმე... ისე, ნერვიულობაში ალბათ, პროფესიაც გიწყობთ ხელს, არა?

— ალბათ...

— მწვანე ჩაი ხომ არ მოგიდულოთ? სხვათა შორის, ნერვებს ძალიან ამშვიდებს, — შესთავაზა ლანამ მეგის. — ისე, თქვენთვის ყავა და შოკოლადი მქონდა გამზადებული, მაგრამ ახლა...

— არაფერი არ არის საჭირო! — უარის ნიშნად, ხელი რამდენჯერმე გააქნია მეგიმ. — მოდით, საქმეს მივხედოთ, კარგი?..

— კი, ბატონო! — დაეთანხმა ლანა. — გისმენთ. მითხართ, რა გაინტერესებთ?

— ბევრი რამ... თუნდაც ის, თუ რამდენად სანდო კაცია თქვენი მეუღლის ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი?

— შალიკო?... — სახეზე დამცინავმა

დომილმა გადაურბინა ლანას. — გააჩნია, სანდოობაში ვინ რას გულისხმობს... მე პირადად ვთვლი, რომ ნებისმიერი ადამიანი მხოლოდ მანამ არის სანდო, სანამ ეს მის ინტერესებში შედის, მერე კი...

— კარგი, მაშინ ასე დავსვათ კითხვა: ანდროს ერთგულება თუ შედის შალვა ოშხერელის ინტერესებში?

— ადრე, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლება, ახლა კი, რა გითხრათ?... ახლა ხომ ანდრო ციხეშია, მისი ბიზნესი კი — მთლიანად შალვას ხელში. იცით, ოშხერელისთვის ეს რამხელა საცდურია?!

— თქვენთვის?... — გააწყვეტინა უცბად მეგია.

— რა — ჩემთვის?... — დაიბნა ლანა.

— თქვენთვის არ არის ეს მდგომარეობა საცდური?... თქვენ და ანდრო სვანით ხომ ოფიციალურად დღესაც ცოლქმარი ხართ და ამდენად, მისი ბიზნესიც...

— ა-ა-... — გააწყვეტინა ლანამ. — მეც არ გამიკვირდა, რას მეკითხებოდით!... გეთანხმებით... ამაზე მეც ძალიან ბევრს ვფიქრობ და თუ ანდრო ციხეში დიდხანს დატოვებს, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მისი ბიზნესი საბოლოოდ, შალვა ოშხერელის კი არა, ჩემს ხელში აღმოჩნდეს.

სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ამაში საჩოთიროს ვერაფერს ვხედავ. ბოლოს და ბოლოს, ანდროს და მე საერთო შვილი გვეზრდება და მამის ქონებაც სწორედ მას უნდა დარჩეს. არ მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით... — უპასუხა შეფიქრანებული მეგი. — მაგრამ იმაზე კი არ ვიფიქრებ, რომ თქვენს შვილს მამამისი შემდეგაც დასჭირდება?... ბატონი ანდრო კი, ციხეში ქურდებმა კინაღამ მოკლეს...

— დამშვიდდით!... — გააწყვეტინა ლანამ. — მოკვლა გეგმაში არ ჰქონდათ, თორემ, მე და თქვენ ანდროზე ახლა მხოლოდ წარსულ დროში ვილაპარაკებდით... თუმცა, პირადად მე, კარგა ხანია, ასე ვლაპარაკობ: ჩემი ყოფილი ქმარი, ჩემი ყოფილი საყვარელი-მეთქი... ისე, უნდა ვაღიარო, რომ როგორც საყვარელი, ანდრო მართლაც შეუღარებელი იყო...

— მოდით, ისევ ოშხერელს დავუბრუნდეთ! — უხერხულად შეიმშუშნა მეგი.

— კი, ბატონო! — თვალები ეშმაკურად მოწყურა ლანამ. — იცით, რომ ანდროს დაჭრა ქურდებს შალვამ შეუკვთა?

— პირველად მესმის... მაგრამ თუ ასეა, მაშინ თქვენ რატომღა აგრძელებთ მასთან მეგობრობას?

— მეგობრობაში მაინც რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ თქვენი ქმრის თანამშრომლებმა რამდენჯერმე, ოშხერელის კაბინეტიდან მასთან ერთად ხელკავით გამოუსული გნახეს.

— სულ ეგ არის?.. — სავარძელში არხენად გადაწვა ლანა. — კიდევ ბევრჯერ მნახავნ. იმიტომ, რომ შალვა ომხერელი ის კაცი არ არის, ვისაც ამკარა ომს მოუგებ, მას მხოლოდ მისივე მეთოდებით უნდა ებრძოლო და სკამიც სულ ღიმილ-ღიმილით გამოცალაო...

— მაგრამ სანამ თქვენ ომხერელს უღიმიო, ხომ შეიძლება, მან ბატონი ანდრო ციხეში მართლა მოაკვლევინოს ვინმეს?!

— რა თქმა უნდა, შეიძლება... — წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა ლანამ. — მაგრამ ეს რომ არ მოხდეს, ამაზე მე კი არა, თქვენ და ციხის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოთ... რამდენადაც ვიცი, პირადად თქვენ, ანდროს დაცვაში საკმაოდ სოლიდურ თანხას ვიხდიან...

— ჰო, მაგრამ თქვენ ხომ ანდროს ცოლი ხართ და...

— ყოფილი ცოლი! — გააწყვეტინა ლანამ.

— თუნდაც ასე იყოს!.. მაინც არ გეჩვენებათ, რომ?..

— რას გეტყვით, იცით, ჩემო კარგო?.. — ისევ გააწყვეტინა ლანამ. — მე კარგა ხანია, რაც არაფერი მეჩვენება და მიწაზეც საკმაოდ მყარად ვდგავარ!.. მართალია, არც იმდენად ბოროტი ვარ, რომ ანდროს სიკვდილი მართლა ვისურვო, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, პირველ რიგში, შვილი და შემდეგ საკუთარი თავი მაინც ხომ უნდა გადავირჩინო?!.

— მართლა!.. — შეწუხდა უცბად მეგი. — არ გეჩვენებათ, რომ მიშიკოს ცოლათი შეაგვიანდა?

— ხომ გითხარით, რომ უკვე აღარაფერი მეჩვენება-მეთქი?.. — მშვიდად უპასუხა ლანამ. — თუმცა არა, მეონი, ვიტყუები!.. იმიტომ, რომ უკვე მთორედ მომეჩვენა, რომ ჩემს შვილს რაღაც ძალიან უცნაურად თბილად და შინაურულად იხსენიებთ... ისე, თითქოს...

— ნამდვილად მოგეჩვენათ, — გააწყვეტინა მეგიმ. — უბრალოდ, უცბად გამახსენდა, რომ მაინც ბავშვია და ყურადღება სჭირდება...

— შემიძლია დაგამშვიდოთ. რა-რა და ჩემს შვილს ყურადღება ნამდვილად არ აკლია, — გამოძცდელად შეათვალღერა ლანამ მეგი. — აი, ახლაც, — საათზე დაიხედა მან შემდეგ, — დღეაჩემი უკვე მიაკითხავდა, გზად ერთ ადგილას შეივლიან და შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდებიან. კიდევ გაინტერესებთ რამე?..

— მეტი არაფერი... — ძლივს ამოიღულულა საბოლოოდ საქციელწამხდარმა მეგიმ...

გაგრძელება იქნება



მშენიერი იმაბელა ერთი წლის ელევგასთან ერთად

**იტალიური ნეორეალისტური კინოს ფუძემდებლის, კინოკლასიკოსად აღიარებული რეჟისორის რობერტო როსელინისა და მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავის, ინგრიდ ბერგმანის ქალიშვილს, იმაბელა როსელინის, მთელი ცხოვრების მანძილზე ტანჯავდა სახელგანთქმული მშობლების შვილის კომპლექსი. სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლისას ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ გოგონა უცილობლად დედის გზას აირჩევდა და მსახიობი გახდებოდა, მაგრამ ყველას გასაოცრად იმაბელა სხვა გზას დაადგა — თუმცა, საბოლოოდ ის მაინც მსახიობი გახდა და საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრა თანამედროვე კინემატოგრაფში.**

# სიყვარულში უიღბლო მშენიერი იმაბელა

როცა ცამეტი წლის ასაკში იმაბელა სკოლიოზით დაავადდა, ექიმების მოთხოვნით, გოგონა იძულებული გახდა, თაბაშირის კორსეტი ეტარებინა. მშობლები მოზარდი შვილის გამხნევენას ყველანაირად ცდილობდნენ, რათა მას საკუთარი თავის რწმენა არ დაეკარგა: გამოდმებით იმას უმეორებდნენ, რომ ის მალე გამოჯანმრთელდებოდა, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი გოგონა გახდებოდა და „ყველას უჩვენებდა სეირს!“ იმაბელა მართლაც გამოჯანმრთელდა, დამშვენდა და სრულწლოვანების ასაკს მიღწეულმა ყველას გასაკვირად, სამსახიობო კარიერის ნაცვლად, სოციოლოგიის შესწავლას მოჰკიდა ხელი. შემდეგ ყურნალისტად და თარჯიმნად მუშაობდა, მაგრამ განუყოფელი ინგრიდ ბერგმანის გავლენას ვერსად გაექცა და 25 წლის ასაკში საკუთარი ძალები კინოშიც მოსინჯა. მან დედასთან ერთად ითამაშა ფილმში — „დროის ფაქტორი“.

როსელინის ქალიშვილის სამსახიობო დებიუტი კრიტიკამ საკმაოდ ცივად შეაფასა, მაგრამ მისი უდავო სილამაზისადმი გულგრილი არც მაყურებელი დარჩენილა და არც კინოკრიტიკოსები. გარკვეული ხნის მანძილზე იმაბელა ფოტომოდელად მუშაობდა. იმ ასაკში, როცა მოდელთა უმრავლესობა სამოდელაწეო ასპარეზს ტოვებს ხოლმე, იმაბელამ კომპანია „ლანკომესთან“ ხელშეკრულება გააფორმა და მთელი 14 წლის მანძილზე ამ კოსმეტიკური ფირმის სახეს წარმოადგენდა, რითიც ყველას დაუმტკიცა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ბიზნესში დაამკვიდრებულ ასაკობრივ ცენსს სულაც არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორსაც მას ანიჭებდნენ. უცხო თვალით დანახული მისი პირადი ცხოვრება, საინტერესოდ საკითხავი

რომანივით აღიქმებოდა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ასე მარტივად როდი გახლდათ. გავიხსენოთ თუნდაც მისი ქორწინება კინორეჟისორ მარტინ სკორსეზესთან: ქმრის მანიაკალურმა ეჭვიანობამ იზაბელას ცხოვრება ვოჯოხეთად უქცია. ის ოთხი წლის მანძილზე ითმენდა მარტინის გამოხდომებს, ბოლოს ყველაფერი ყელში ამოუვიდა და ადარც სასიყვარულო ავანტიურაზე დაიხია უკან... როცა იზაბელა ქმარს გამოუტყდა, რომ სხვისგან იყო ორსულად, ცოლს გაყრაზე დასთანხმებოდა. ნაკლებად ცნობილ მანეკენ ჯონათან ვიდემანთან ქორწინებამ დაახლოებით ერთ წელს გასტანა. თავად იზაბელა ამ ხანმოკლე კავშირის ერთადერთ გამართლებად, პატარა ელეტრას დაბადებას მიიჩნევს.

მიხაილ ბარიშნიკოვთან რომანისას მშვენიერმა მოდელმა საკუთარ ტყავზე გამოცადა ის ვოჯოხეთური ეჭვიანობის გრძობა, რასაც სკორსეზე მასთან ქორწინებისას განიცდიდა. უთვალავი სატელეფონო ზარი, ბარიშნიკოვის თავყანისმცემელ ქალთა ბრბო, რომელიც მათი სახლის ფანჯრებთან ათენ-ალამებდა, მასში დაუძღვევლ ეჭვიანობას იწვევდა. ბალეტის ბრწყინვალე მოცეკვავესთან მისი კავშირის დასტურად დარჩა ფილმი „თეთრი ღამეები“ (1985), სადაც ისინი ერთად თამაშობდნენ.

იზაბელასთვის რეჟისორ დევიდ ლინჩთან ქორწინებაში გატარებული რამდენიმე წელიწადი, საოცრად მიმზიდველი და უცნაურობებით აღსავსე აღმოჩნდა. დევიდის მოულოდნელი წასვლა, რომლის დროსაც მან ასეთი ფრაზით მიმართა მეუღლეს: „წარმოიდგინე, რომ მოკვდი!“ – იზაბელასთვის სერიოზული დარტყმა გახლდათ (დევიდ ლინჩმა 1988 და 1988 წლებში იზაბელა გადაიღო ფილმებში – „ცისფერი ხავერდი“ და „ზელი და მე“).

**იზაბელა როსელინისა და მიხაილ ბარიშნიკოვის რომანი მსურვალე, მაგრამ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა...**



**შვილებთან, ელეგრასა და რობერტოსთან ერთად (2003)**

„უკვლავ სატრფოს“ (1994) გადასაღებ მოედანზე იზაბელა ბედმა გერი ოლდმენს შეახვედრა. ეგრანზე შექმნილ დემონურ გმირებთან, ვარსკვლავს არაფერი ჰქონდა საერთო ცხოვრებაში. ის საოცარი მოკრძალებითა და მოწიწებით ექცეოდა იზაბელას: უკითხავდა ლექსებს და მინდვრის ყვავილებს უძღვნიდა. ოლდმენს ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ნაკლი აღმოაჩნდა – ეს გახლდათ ალკოჰოლიზმი. იზაბელამ მას კლინიკაში სამკურნალოდ დაწოლა ურჩია. მისი გულისთვის გერი ყველაფერზე თანახმა იყო, გარდა... ერთგულებისა. კლინიკიდან ოლდმენი ახალ სატრფოსთან ერთად გამოვიდა. მსოფლიოს ერთ-ერთ უღამაზეს ქალბატონს (ჟურნალ People-ის გამოკითხვის შედეგების მიხედვით) ფატალურად არ უმართლებდა მამაკაცებთან ურთიერთობაში.

როგორც ამბობენ, იმ დღიდან მოყოლებული, იზაბელამ მთელი თავისი სითბო და სიყვარული მხოლოდ შვილებზე (ქალიშვილი ელეტრას გარდა, მას ჰყავს ნაშვილები ვაჟიშვილი – რობერტო) გადაიტანა და კიდევ – ოთხვესა არსებებზე, რომლებიც საკმაოდ ლაღად გრძობენ თავს მის მდიდრულად მოწყობილ ნოუ-ორკულ ბინაში. „შემოქმედებისა და თავისუფლების გარდა, მე არაფერი მჭირდება“, – ირწმუნება იზაბელა და შესაძლოა, სულაც არ აზვიადებს, რადგან რასაც ხელს ჰკიდებს, ყველაფერი შესანიშნავად გამოსდის: მან შექმნა საკუთარი სუნამო „მანიფესტო“,



საკუთარი კოსმეტიკური ხაზი; რეჟისორებს არასოდეს დავეცივებით მსახიობი იზაბელა როსელინი და დღემდე დიდი სიამოვნებით იწვევენ სხვადასხვა ჟანრის ფილმებში სათამაშოდ (კომედია – „მას სიკვდილი უხდება“, ეპოსი – „ოღისეა“, ისტორიული დრამა – „ნაბოლენი“). თუმცა, ბოლო ათი წლის მანძილზე, იზაბელა როსელინი დიდ კინოსთან შედარებით, უპირატესობას სატელევიზიო ფილმებში მონაწილეობას ანიჭებს, რადგან მიაჩნია, რომ ორმოცდაათ წელს გადაცილებულ მსახიობს ამგვარი ფილმები უფრო შეეფერება. მას დედისგან შემკვდრებით გამოჰყვა სიმტკიცე, მამისგან კი – სიცოცხლის ხალისი და მოუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები უკვე კარგა ხანია აღარ არიან ამქვეყნად, იზაბელას დღემდე ჩაესმის მათი ხმა: „შენ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ხარ და ყველას უწვენებ სერის!“

**დევიდ ლინჩთან ერთად ფილმში „გელი და მე“**



# გვინეტ პელოტი პაპარაცემის წინააღმდეგ

ლონდონში საცხოვრებლად გადასულმა ამერიკელმა მსახიობმა გვინეტ პელოტი ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თამამად განაცხადა, რომ აბეზარ ბრიტანელ პაპარაცებს აუცილებლად ურჩევლებს სასამართლოში, რადგან მსახიობის თქმით, ისინი მოსვენებას არ აძლევენ არც გვინეტს, არც მის ქმარს და არც მათ პატარა გოგონას. „ლონდონში ისინი გამუდმებით თან დაგვყვებიან, მაშინაც კი, როცა მანქანით ვმოძრაობთ. აუცილებლად ვუჩივლებ სასამართლოში და დავამტკიცებ, რომ ისინი ჩვენ საფრთხეში გვაგდებენ. მართლაც საშინელებაა, ვიღაც მუდამ კუდში გდევდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი სიცოცხლის გარდა, შეილის სიცოცხლეზეც ხარ პასუხისმგებელი“.

პელოტი უარს ამბობს იმის შესახებ, რომ მის მეუღლეს, მომღერალ კრის მარტინს, ამ სი-



ტყვის სრული მნიშვნელობით, მკერდით უხდება პაპარაცებისგან ოჯახის და სახლის დაცვა. „მხოლოდ ის მინდა, პაპარაცებმა თავი დაგვანებონ და ნორმალური ცხოვრების საშუალება მოგვცენ. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ სასამართლო პროცესის მოგებას. ერთი მხრივ, თითქოს სასიამოვნოა, როცა ჟურნალისტები შენი ცხოვრების დეტალებით ინტერესდებიან, ე.ი. ეს ყველაფერი ხალხსაც აინტერესებს, მაგრამ ხანდახან მათი ინტერესი ყოველგვარ ზღვარს სცილდება და პირად ცხოვრებასა და ინტიმურ საკითხებშიც კი იჭრება“, – დასძენს აღშფოთებული პელოტი.

# ქიზელ მიუნდსენი სინდისის ძენჯნამ შაქრისა



ცხოველთა ყველაზე ღიდი მეგობარი მსოფლიოში – ამგვარად წარმოადგინა თავი ბრაზილიელმა სუპერმოდელმა ჟიზელ ბუნდსენმა ჟურნალისთვის – Vanity Fair – მიცემულ ინტერვიუში. საქმე ის გახლავთ, რომ 2 წლის წინ, ის ბეწვეულის კომპანიის – Black-Glami – რეკლამირებაზე დათანხმდა,

ახლა კი, როგორც ჩანს, ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების შემოტევებს ვერ გაუძლო. როგორც ამ ცოტა ხნის წინ მისმა პრესმდივანმა განაცხადა, ჟიზელს არასოდეს უტარებია ნატურალური ბეწვეულისგან დამზადებული სამოსი, ის ჭკუას კარგავს ცხოველებისთვის და თავად 4 ძალი და 2 ცხენი ჰყავს. „ჩემი მამინდელი გადაწყვეტილება შეცდომა იყო, – თქვა სუპერმოდელმა. – არასდროს მცმია ბეწვეული და მთელი ცხოვრების მანძილზე, ცხოველებისთვის მზრუნველობა არ მომიკლია“, – დასძინა ჟიზელ ბუნდსენმა.

# ნათმი კემპელს მაუშვი დნდა!

ცნობილი სუპერმოდელი ნათმი კემპელი გამოტყდა, რომ სულ უფრო ხშირად ფიქრობს ბავშვის გაჩენაზე. ამას წინათ, მოდელმა განაცხადა, რომ შეილის ყოლა ნებისმიერი ქალისთვის აუცილებელია, რადგან ბავშვის გარეშე მის ცხოვრებას თითქოს რაღაც აკლია. ამ „აღმოჩენის“ მიუხედავად, ძნელი სათქმელია, როდის გააჩენს მოდელი შეილს, რადგან ნათმის „პატარა“ პრობლემა აქვს – მას ბავშვის მამის კანდიდატურა ჯერაც არ შეურჩევია. პლანეტის ერთ-ერთ ულამაზეს ქალს მამაკაცის შეფასების იმდენად მაღალი კრიტერიუმით აქვს შემუშავებული, რომ ფლავიო ბრიატორე, რობერტ დე ნირო და ზოაკინ კორტესი მას „არ აკმაყოფილებს“. მიუხედავად ამისა, ნათმი მაინც იმედოვნებს არის განწობილი: „ვფიქრობ, უნდა ვიჩქარო. მალე ისეთი დრო დადგება, რომ მშვიდი ცხოვრება მომესურება, ამ დროისთვის კი, შეილი უკვე გაჩენილი უნდა მყავდეს“, – აცხადებს მოდელი.



# ჯი ლო ჯადიქის მთმსახურებით სატგემლთმს

მას შემდეგ, რაც ჯენიფერ ლოპესმა თავისი გუნდიდან დაითხოვა მრავალ ვარსკვლავთან ნამუშევარი და საკმაოდ ცნობილი ვიზაჟისტი სკოტ ბარნსი, განაწყენებულმა ბარნსმა წინის დაწერა გადაწყვიტა და ვარსკვლავის მავნე ჩვევების შესახებ ჟურნალისტებსაც მოუთხრო. ამაზე გაცეცხლებულმა ჯეი ლომ ვიზაჟისტის გაგდება არ იკმარა: დაემუქრა, რომ მის კარიერას საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს და რეპუტაციასაც შეუბღალავდა. მაკი-აჟის ოსტატი, ვარსკვლავის მუქარას სულაც არ შეუშინებია და თავად დაემუქრა ჯეი ლოს, თავის წინაშე მისი ცხოვრების ფარული დეტალების გამოქვეყნებით.



ამის შემდეგ კი, არ დაახანა და ჟურნალისტებს უამბო, თუ როგორ იძახებდა ჯენიფერი ჯადოქარს იმისთვის, რომ თავისი სახლის აურა გაეწმინდა და მსახიობის მტრები დაეწყველა. „პირველად ჯენიფერმა ჯადოქრის მომსახურებით მაშინ ისარგებლა, როცა მსახიობ ბენ აფლეკს დაშორდა. მას შემდეგ, ეს გრძნეული მისი სახლის მუდმივი სტუმარი გახდა“, – ამბობს ვიზაჟისტი.



### აქტილ ლაჟინი ჯუბისწიქისთვის იმზადება

როგორც დასავლეთის პრესა წერს, საშემოდგომო ქორწინებათა ეპიდემია, რომელმაც ბევრი მომღერალი მოიცვა, კანადელ ავრილ ლავინსაც შეეხო. ცოტა ხნის წინ მან გამოაცხადა, რომ როკმუსიკოს ლერიკ უიბლიზე დაინიშნა. როგორც მომღერალმა დასძინა, მონაკალმა მეუღლემ მას ოფიციალურად სთხოვა ხელი, როცა ისინი კალიფორნიაში მორიგ უიკენდს ატარებდნენ. იქიდან დაბრუნებისთანავე, საპატარძლომ ნათესავებ-

ბი და მეგობრები იმისთვის შემოიბრინა, რათა მათთვის საქორწინო ბეჭედი ეჩვენებინა. „აქამდე არასდროს მინახავს ავრილი ესოდენ ბედნიერი, – აღნიშნა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა. – ავრილი მეტისმეტად აღელვებული გახლდათ!.. ქორწილის თარიღი წვეილს ჯერ არ შეუჩრჩევია, მაგრამ ვფიქრობ, ეს მაინც გაისად მოხდება.“

### გამიშულდება თუ ატა უქანგე მატლიგ ცუტინი?

შარშან მიღებულმა „ოსკარმა“ კინოვარსკვლავს საშუალება მისცა, თავად გადაწყვიტოს, გამოჩნდეს თუ არა ეკრანზე შიშვლად. თავის ბოლო ინტერვიუში მან აღიარა, რომ ამ ამბავმა ძალზე გაახარა. როგორც მსახიობმა თქვა, აქამდე, ის იბულებული იყო, რეჟისორის პირველი მოთხოვნისთანავე გაეხადა სამოსი, ახლა კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. თუმცა, მის მიერ ნათქვამი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შარლიზი საერთოდ აღარ გამოჩნდება ეკრანზე პიკანტურ სცენებში – უბრალოდ ამერიიდან, ეს მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული და კიდევ – პროდიუსერთა პროფესიონალიზმსა და უნარზე, დაარწმუნონ ვარსკვლავი, რომ შიშვლად გადალება ამა თუ იმ ფილმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.



### თტლანდით მღუმი ძალუმში საკუთად პტპულატმას წაქმაცემული ჯინთუაქიქით სსნის

27 წლის ბრიტანელი მსახიობი დარწმუნებულია, რომ გოგონებისთვის, მათ შორის სილამაზით განთქმული მსახიობი ქალებისთვის მიმზიდველი მას შემდეგ გახდა, რაც წარმატებული კინოკარიერა გაიკეთა. მაგრამ მას მიაჩნია, რომ „გულთამპყრობლის გეგმა“ შესრულებული აქვს და ამიტომაცაა, რომ უკვე 2 წელია, თავისი შეყვარებულის – ამერიკელი მსახიობის კეიტ ბოსუორტის ერთგული რჩება. „როცა 9 წლის ვიყავი, ერთი მეგობარი გოგონა მყავდა, უფრო სწორად – სხვა ბიჭებთან ერთად გასწრებაზე დავბოდი და ვინც გაიმარჯვებდა, ერთი დღის განმავლობაში მისი მეგობარი ხდებოდა. მაშინ იმაზე ვოცნებობდი, რომ ვყოფილიყავი სუპერმენი, რომელიც ყველას თავზე გადაუფრენდა და ფინიშამდე პირველი მივიდოდა. მერე ვიპარე – სუპერმენი ხომ სინამდვილეში, მსახიობია!.. – და გადავწყვიტე: ეს სწორედ საჩემო საქმეა-მეთქი. გამოდიხ, რომ მსახიობი, ქალების გამო გამოვიდე...“ – დასძინს ორლანდო ბლუმი, რომელიც ბოსუორტთან ურთიერთობაზე ამბობს: „გადალებასა და გადალებას შორის, ვკვეთ ატლანტიკას იმისთვის, რომ მთელი დღე კეიტთან ერთად გავატარო. საოცარი რამაა, როცა ვიდაც ძალიან გიყვარს და არ შეგიძლია, მასზე არ იფიქრო. მე მგონი, თვით სიყვარულზე ვარ შეყვარებული“.



### „ნიკოლ ჯიდმანი ბტბსაა!“

სკანდალური სახელით ცნობილი მუსიკოსის ოზი ოზბორნის მეუღლემ, არცთუ ახალგაზრდა და შეიძლება ითქვას, შეუხედავმა შერონ ოზბორნმა, რამდენიმე დღის წინ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თანამედროვეობის უმშვენიერეს მსახიობად აღიარებული 37 წლის ნიკოლ კიდმანი. შერონ ოზბორნი ერთ-ერთი არხის დღის გადაცემაში მონაწილეობდა. წამყვანმა მას ნიკოლ კიდმანის შესახებ ჰკითხა აზრი და დაინტერესდა, ხომ არაფერი იცოდა ბოლო ხანებში ნიკოლზე გავრცელებული ჭორების შესახებ, რომლის თანახმადაც, მსახიობს ძვლის უცნობი დაავადება აღმოაჩნდა და ამის გამო კარგავს წონას. ამის პასუხად კი შერონ ოზბორნმა განაცხადა: „არავითარი დაავადება, ნიკოლს მხოლოდ კარგი სენდვიჩები სჭირდება, ერთი კარგად უნდა გამოძღეს და მორჩა! ნამდვილი ძროხაა, დგას და თავისი სიგამხდრით თავს იწონებს“. მეორე დღეს ყველა მოუთმენლად ელოდა, რა პასუხს გასცემდა ნიკოლ კიდმანი ამ შეურაცხყოფას, მაგრამ მსახიობმა მორცხვად განაცხადა: „ტყუილად მივრცელებენ ჭორებს, ყოველთვის გამხდარი ვიყავი, რაც არ უნდა ბევრი ვჭამო, წონაში მაინც არ ვიმატებ, ჩემი წონა დიდი ხანია, არ შეცვლილა“.



ოქტომბრის შუა რიცხვებში ესპანეთის ცნობილ საკურორტო კუნძულ მალიორკაზე სტარტს აიღებს მსოფლიოს XXXVI საჭადრაკო ოლიმპიადა. პლანეტის 140-მდე ქვეყნის დიდოსტატებთან ერთად ტურნირის მთავარი პრიზებისათვის საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებიც იბრძოლებენ. ჩვენი გულშემატკივრების იმედები ტრადიციულად, ქალთა ნაკრებთანაა დაკავშირებული, თუმცა დიდოსტატი ვაჟებიც საპრიზო სამეულზე ფიქრობენ.

როგორ ემზადებიან ქართველი მოჭადრაკეები მომავალი ტურნირისათვის, ვინ დაიცავს ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას? ამ და სხვა კითხვებზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი კახი ჩიბოშვიდი გვიპასუხებს.

## ოლიმპიადა და მთავრდა, ოლიმპიადა იწყება... მოიკოვებს თუ არა საქართველოს ნაკრები ნონა გაფრინდაშვილის სახელობის პრიზს გოგი შრანგიშვილი

— მას შემდეგ, რაც ქართველი დიდოსტატები სხვადასხვა რანგის ტურნირში დამოუკიდებლად ასპარეზობენ, საქართველოს ქალთა ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა საჭადრაკო ოლიმპიადაში. გარდა ამისა, ჩვენმა მანდილოსნებმა თითოჯერ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვეს, მაგრამ ყველა ამ წარმატებას უფროსმა თაობამ მიადწია: ნონა გაფრინდაშვილმა, მათა ჩიბურდანიძემ, ნანა იოსელიანმა, ქეთევან არახამიამ, ნინო გურიელამ... მართლაც, ჩინებული თაობა იყო. 90-იან წლებში ჩვენს გუნდს პრაქტიკულად მატჩი არ წაუგია. რამდენიმე ათეული შეხვედრიდან მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით რუსეთის ნაკრებთან, ჩინელებს კი — ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადების უცვლელ ჩემპიონებს — ყოველთვის ვუგებდით. მიუხედავად ამისა, ქალთა ნაკრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ვეტერანებიდან მხოლოდ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მათა ჩიბურდანიძე ითამაშებს, დანარჩენები კი — მათა ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე და ლელა ჯავახიშვილი პირველად იასპარეზებენ, ქვეყნის მთავარ გუნდში. 2 წლის წინ, ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე სლოვენიაში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ზედ ფინიშზე გაუშვა ხელიდან ტურნირის მთავარი პრიზი — ვერა მეჩნიკის სახელობის გარდამავალი თასი. დასკვნით 4 ტურში ჩვენმა დიდოსტატებმა 12-დან ვერც ერთი პარტია ვერ მოიგეს და თუკი ფინიშამდე ჩინელ მოჭადრაკეებს 2,5 ქულით უსწრებდნენ, საბოლოოდ 2 ქულით ჩამორჩნენ აზიელებს და საპრიზო სამეულშიც ვერ მოხვდნენ.

— ბევრი სპეციალისტი მაშინ ასაკს აბრალებდა ამ მარცხს.



ჭურაბ ამშიაფარაშვილი ყოველთვის პირველ დაფაზე თამაშობდა

საქართველოს ნაკრების გაახალგაზრდავებაც ამან ხომ არ განაპირობა?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი გუნდის მაშინდელი შემადგენლობა: ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია და ხურციძე „საჭადრაკო ასაკიდან“ გამოსულები იყვნენ, თუმცა ამ ფაქტორსაც თავისი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი სპორტი გაახალგაზრდავდა და მათ შორის ეს სახეობაც. საჭადრაკო ოლიმპიადა — საკმაოდ სოლიდური მართონია: მეტოქეები 14 ტურს თამაშობენ, თითოეული პარტია კი, რამდენიმე საათი გრძელდება. ასეთი გრძელი დისტანცია, ბუნებრივია, დიდ ენერჯიას მოითხოვს. მაგრამ ჩვენ ასაკობრივი ცენზი არ დაგვიწესებია. თითოეული კანდიდატი ინდივიდუალური რეიტინგისა და ბოლო პერიოდის შედეგების მიხედვით შევარჩიეთ. სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ჩვენი ოლიმპიადებისათვის ძირითადი შესარჩევი ტურნირი იყო, ოჯახური პირობების გამო ვერ

მიიღო მონაწილეობა ქეთევან არახამიამ და ამიტომ იგი ვერც მოხვდა გუნდში, ხოლო რაც შეეხება ჩვენს კიდევ ერთ წამყვან დიდოსტატს, ნანა იოსელიანს — როგორც ჩანს, იგი თავს ანებებს დიდ ჭადრაკს და უარი გვითხრა ნაკრებში თამაშზე. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული შემადგენლობა დღეისათვის საუკეთესო საქართველოში და იმედოვნებდა, რომ ჩვენი დიდოსტატები უმაღლესი ხარისხის ჯილდოებისათვის იბრძოლებენ. ჩვენი მთავარი კონკურენტები ჩინეთისა და რუსეთის გუნდები იქნებიან. თუმცა სხვა ქვეყნის დიდოსტატებიც სერიოზულ მეტოქეობას გაგვიწევენ. საერთოდ, ქალთა ჭადრაკის დონე დღეისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. თამაში პრაქტიკულად ბევრ ქვეყანაში ისწავლეს. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წამყვანი დიდოსტატები ახლა სხვადასხვა ფედერაციის დროშით ასპარეზობენ. ამდენად, ჩემპიონობის პრეტენზია რამდენიმე გუნდს ექნება.

— საქართველოში ბოლო ოთხ ათეული წლის განმავლობაში ქალთა ჭადრაკი დომინირებდა. მათ მიერ მიღწეული სოლიდური შედეგების ფონზე, ერთგვარად ჩრდილში იმყოფებოდნენ დიდოსტატი ვაჟები, მაგრამ ბოლო პერიოდში მათაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს: ზურაბ აზმაიფარაშვილმა შარშან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა კი, ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან პაექრობაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ამჯერად საპრიზო სამეულისათვის ხომ არ აპირებთ ბრძოლას?

— სხვათა შორის, ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საპრიზო სამეულს ძალზე მიეუახლოვდით და რომ არა დასანანი მარცხი დასკვნითი ტურის მატჩში, ბრინჯაოს მედლებსაც დავისაკუთრებდით. მაშინ პირველად გავაკეთეთ აქცენტი ახალგაზრდებზე და თუ შედეგების მიხედვით ვიმჯდებოდით, დებიუტანტებს პრინციპში, ურიგოდ არ უთამაშიათ. ახლაც საქართველოს ნაკრებში ახალგაზრდა დიდოსტატები ითამაშებენ: ყაჭვიშვილი, ჯობავა, გელაშვილი, გაგუნაშვილი და იზორია. ვეტერანებიდან ერთადერთი აზმაიფარაშვილი ითამაშებს. ზურაბი ჩვენი გუნდის უცვლელი ლიდერია. იგი ყოველთვის პირველ დაფაზე თამაშობდა და ჩვენი ნაკრების წარმატებებშიც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ მას შეჰქონდა. იმე-

დია, მას მხარში ამოუდგებიან ახალგაზრდა მოჭადრაკეებიც და ღირსეულ შედეგს მივაღწევთ.

— ნლების განმავლობაში ქვეყნის მთავარ გუნდში წარმატებით თამაშობდნენ ჩვენი ნამყვანი დიდოსტატები — სტურუა და გიორგაძე. ამასთან, 40-45 წლის მოჭადრაკეზე ვერ იტყვი — ხანდაზმულიაო. ისინი რატომ ვერ მოხვდნენ ოლიმპიურ ნაკრებში?

— ზურაბ სტურუას საქართველოს ჩემპიონატში არ უთამაშია, გუნდის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი კი სწორედ ეს ტურნირი იყო. რაც შეეხება გიორგი გიორგაძეს, იგი ახლა ქუთაისის მერია და სულ სხვა სფეროში მოღვაწეობს. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ჭადრაკს ივიწყებს: იმერეთის ჭადრაკის ფედერაციას ხელმძღვანელობს და ყველანაირად ეხმარება ახალგაზრდა პერსპექტიულ ოსტატებს. ამ დღეებში კი, კერძოდ 25-26 სექტემბერს, მისი თაოსნობით ქუთაისში საინტერესო ორდღიანი ტურნირი მოეწყობა, სადაც მიწვეულია ყველა ჩვენი ცნობილი დიდოსტატი. ტურნირში ითამაშებენ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრებიც და ვფიქრობ, მათთვის ეს ასპარეზობა ძალზე სასარგებლო იქნება, საჭადრაკო ოლიმპიადის წინ.

— საჭადრაკო ოლიმპიადა — გუნდური ასპარეზობაა. ქალთა შორის პაექრობა 3 დაფაზე მიმდინარეობს, ხოლო ვაჟები — 4 პარტიაში გაარკვევენ ურთიერთობას. ამასთანავე, ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მომდევნო ტურში სულ უფრო ძლიერ მეტოქეს ხვდები. ასეთი ფორმულით მიმდინარე შეჯიბრებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის ლიდერს. საინტერესოა, როგორ ემზადებიან მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ჩვენი პირველი ნომრები — მაია ჩიბურდანიძე და ზურაბ აზმაიფარაშვილი?

**1998 წლიდან, საჭადრაკო ოლიმპიადებზე თამაშდება კიდევ ერთი საპატიო პრიზი — ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის თაოსნობით დაწესდა**



— ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ბოლოს, რუსეთში საკმაოდ სოლიდურ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და წარმატებითაც. სხვათა შორის, ამ ტურნირში რუსეთის ოლიმპიური ნაკრების ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა და მაიამ მეორე ადგილი დაიკავა. კარგ სპორტულ ფორმაშია ზურაბ აზმაიფარაშვილიც. შეგახსენებთ, რომ მაიაც და ზურაბიც ყოველთვის პირველ დაფებზე თამაშობდნენ და შესაბამისად, მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან უხდებოდათ პაექრობა. ისინი, როგორც წესი, სტაბილურად ასპარეზობდნენ და იმედი გვაქვს, ამჯერადაც ღირსეული ლიდერები იქნებიან. დღეისათვის ჩვენი ოლიმპიური ნაკრები გუნდები მწვრთნელებთან ლაშა ჯანაჯიასთან და ზვირა სუპატაშვილთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე ლიკანში იმყოფებიან, სადაც ყველა პირობა აქვთ მომავალი ოლიმპიადისათვის მოსამზადებლად.

— ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი ათლეტების გამარჯვებებს საქართველოს ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ნაკრები გუნდების წარმატებებიც მოჰყვა. ჩვენს გულშემატიკვრებს



ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე დღეს კარგ ფორმაშია...

მივიწყებულნი გრძნობაც გაახსენდათ, როდესაც სპორტის ბევრ სახეობაში პირველობას ვიყავით მიჩვეულნი. ჭადრაკის თავყვანისმცემლებიც ალბათ ძველი დიდების დაბრუნებას ელიან...  
— სპორტში პროგნოზების გაკე-

თება ერთობ რთული საქმეა, თუმცა იმედი, რა თქმა უნდა, გვაქვს. ქალთა ნაკრებზე უკვე მოგახსენეთ, ჩვენს გუნდს საკმაოდ რეალური შანსი აქვს, ვერა მეჩნიკის სახელობის გარდამავალი თასი დაიბრუნოს. რაც შეეხება ვაჟთა გუნდს — აქ უძლიერესთა ხუთეულში მოხვედრა, ვფიქრობ, სოლიდურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ არც საპრიზო სამეულზე ვიტყვით უარს. საერთოდ, სპორტში წინასწარი დაპირებები არარეალურია. გაიხსენეთ იგივე ათენის ოლიმპიური თამაშები, სადაც საკმაოდ მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ჩემპიონი მარცხდებოდა და პირიქით — მანამდე უცნობი ათლეტი იმარჯვებდა. ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ — სპორტის უმრავლეს სახეობაში ოლიმპიური თამაშები მთავარ ასპარეზობადაა მიჩნეული. ჩვენთან ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირად საჭადრაკო ოლიმპიადაა აღიარებული და ჩვენი დიდოსტატებიც ბოლომდე იბრძოლებენ ღირსეული შედეგების მისაღწევად, თუმცა სპორტში იღბალიც გჭირდება კაცს. თუ ფორტუნამ არ გვიღალატა, ვფიქრობ, გულშემატიკვრებს არ გავაწილებთ.

— ნელან ვერა მეჩნიკის სახელობის გარდამავალი თასი ახსენეთ, რომელიც ქალთა გუნდებს შორის გამარჯვებულ ნაკრებს გადაეცემა. 1998 წლიდან, საჭადრაკო ოლიმპიადებზე თამაშდება კიდევ ერთი საპატიო პრიზი — ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის თაოსნობით დაწესდა. სამჯერ გათამაშდა ეს საპატიო პრიზი და სამწუხაროდ, ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ჩვენმა დიდოსტატებმა ქალბატონი ნონას თასის საქართველოში ჩამოტანა. ახლა რა შანსები გვაქვს?

— ქალბატონი ნონას სახელობის თასის მოპოვება მართლაც, ჩვენი ოცნებაა, მაგრამ მისი დაუფლება საკმაოდ რთულია. საჭადრაკო ოლიმპიადებზე ეს პრიზი გადაეცემა იმ ნაკრებს, რომელიც ქალთა და ვაჟთა გუნდების საუკეთესო ჯამურ შედეგს უჩვენებს. შეგახსენებთ — მანდილოსნები სამ დაფაზე ასპარეზობენ, ხოლო ვაჟები — ოთხზე. ამდენად, აქ წარმატების შანსი იმ ნაკრებს აქვს, რომელსაც ყველაზე ძლიერი ვაჟთა გუნდი ჰყავს. რუსეთის დიდოსტატ ვაჟთა გუნდი დღეს საუკეთესოა მსოფლიოში, მასთან პაექრობა რთული იქნება. თუმცა, ოლიმპიადებზე ყველაფერი ხდება. სტარტზე ყველა იმედინადაა, ოპტიმიზმი არც ჩვენ გვაკლია. ასე რომ, ვნახოთ...



ყველა თაობა თავისი განუმეორებელი შთაბეჭდილებებითა და მოგონებებით ცხოვრობს. ამა თუ იმ თაობის სამყარო მხოლოდ მის წარმომადგენელთათვის საცნობი და გასაგები სურათებითა და ემოციებით საზრდოობს და შეიძლება, სრულიად გაუგებარი იყოს სხვა თაობის „შვილებისთვის“...

რამაზ ჩხიკვაძე იმ ასაკშია, როცა ადამიანს წარსულის გახსენება შეეწინა. მას გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს. როგორც თავად ამბობს, ყველაზე დიდი სიამოვნებით ბავშვობის წლებს იგონებს.

# გყრბასყრი დედა - „...ქ გასტყდათ ჩემი ჩირველი როლი“ - სრასყეფთა გყუთასმბე -

ლელა ჭანმოტაძე

— ...ჩვენ სულ სხვა ინტერესები გვქონდა, ვიდრე ახლანდელებს. არ ვფიქრობდით იმაზე, სად წავსულიყავით სამუშაოდ, რომ მეტი ჯამაგირი გვქონოდა. რაც გვიყვარდა და გვიტაცებდა, იმას ვაკეთებდით. მე მსახიობობა ბავშვობიდანვე მინდოდა. კონსერვატორიაში მიმბარეს მშობლებმა, მაგრამ ვერ ვისწავლე. სცენაზე ვოცნებობდი. პიონერთა სასახლეში შევედი, დრამ-წრეში. მერე თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ჩემი თაობის ბევრი ყმაწვილი ოცნებობდა მსახიობობაზე. ბუნებრივია, იყვნენ ისეთები, ვისაც მათემატიკოსობა უნდოდა. პიონერთა სასახლეში შესანიშნავი წრეები იყო. რეზო თაბუკაშვილი, მელიორ სტურუა, ლანა ლოლობერიძე, დევი სტურუა — ყველანი იქ დადიოდნენ. დუდუკის წრეზეც კი დავდიოდი, რაც მერე, „ბებერ მეზურნეებში“ გადაღებისას, ძალიან გამომაღდა — მე თვითონ ვუკრავდი... მაშინ ყველა, სპორტით და თეატრით იყო დაინტერესებული. ჩვენს დროს პოლიტიკაზე ბევრს ვერ ილაპარაკებდი: ბევრი რომ გელაპარაკა, სხვა „წრეში“ — „კლუტკიან წრეში“ მოგათავსებდნენ... ჩვენი საზრდო იყო ჩვენი თეატრები. რუსთაველზე ვხვდებოდით ერთმანეთს და პლენხანოვზე. ეს ორი პროსპექტი გამოირჩეოდა ხალხის სიმრავლით. ვლაპარაკობდით იმაზე, თუ სად უკეთესი სპექტაკლი იყო, სად ჯობდა წასვლა, რომელი ბალერონი ან მომღერალი ჩამოდიოდა... მაშინ სკოლიდან დაგყავდით მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრებში, ეს სავალდებულო იყო. ახლა ბავშვები ისეთ კონცერტებზე დადიან და ტელევიზიით ისეთ ეროტიკულ სპექტაკლებს და ფილმებს ნახულობენ, რაც დაუშვებელია. ველარ

არკვევენ, რა არის ცუდი და რა — კარგი... მაშინ ახალგაზრდობას სწორ მიმართულებას აძლევდნენ. წარმოდგენაც არ გვქონდა ნარკოტიკებზე, რაც მსოფლიოს ნამდვილ უბედურებად დაატყდა თავს... თბილისში უამრავი ჰოსპიტალი იყო. მათი რიცხვი ალბათ, ასს აჭარბებდა. ვიცოდით, რომ მძიმედ დაჭრილებს, საშინელ ტკივილებს რომ განიცდიდნენ, მორფს უკეთებდნენ, რაც ტკივილს უფერულებდა... თამბაქოს მოწვევას ჩვენც ადრიდანვე ჩუმ-ჩუმად ვიწყებდით. ამით ნამდვილად ვცოდავდით და თითქოს ვამტკიცებდით, რომ უკვე დიდები ვიყავით.

— რომელ უბანში ცხოვრობდით?  
— მთაწმინდაზე ვცხოვრობდი, ოპერის პირდაპირ, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც დღე და ღამე, ბავშვების ომბახანი შეძახილები ისმოდა. ბავშვობის მოგონებისას ძველი ბიჭები მახსენდებიან. ყველა უბანში იყო თითო ქურდი... ქურდებთან დაკავშირებით ერთი საინტერესო შემთხვევა მახსენდება. ერთ დღეს, ჩვენი უბნელი ძველი ბიჭები სხვა უბნელებს ზარს ეთამაშებოდნენ. მათ მილიცია წამოაღდა თავს, მაგრამ ბიჭებმა მოასწრეს და ფული წყლის გაუქმებულ მილში შეტენეს. იქვე ბავშვები ფეხბურთის ვთამაშობდით. ეს ყველაფერი დავინახეთ. მოგვიანებით მივედი, ფული გამოვიღე და უბეში ჩავიტენე... მერე დღეს, ძველი ბიჭები იმ ადგილას ისევ შეიკრბნენ. მე ფული მიფუტანე. ყველას გაუკვირდა. გაუხარდათ. თავში ხელიც წამომარტყეს და — ყოჩაღო! — მითხრეს... ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა თანატოლმა კამათელი მოიტანა. კენჭები მოვაგროვეთ. ვინც უფრო მეტს გააგრობდა, კენჭს მიიღებდა; კენჭები ფულის მაგივრად გამოვიყენეთ. ძველი ბიჭები მოგვიასლოდნენ. — რას აკეთებთ?

— გვკითხეს. — კამათელს ვაგორებთ-თქო, — ამაყად გამოვუცხადე. მასსოვს, ერთ-ერთმა მათგანმა როგორ მომაჭირა სახეზე კამათლები, სახე სულ დამიწითლა და დამიზილა კამათლებით: ეს როგორ გაბედეთო?! იცოდნენ, რომ ზარის თამაში კარგი საქმე არ იყო და უნდოდათ, რომ მიმღევრები არ გამოსჩნოდნენ.

— ალბათ, ჩხუბსაც ხშირად შესწრებინართ და თავადაც მონაწილეობდით, არა?

— დანით დაჭრა ძალიან იშვიათი რამ იყო. ვინმეს თუ დაჭრიდნენ, ამას მთელი ქალაქი ივებდა. მასსოვს, ერთი ძველი ბიჭი ხუდადოვის ტყეში დაჭრეს. ამის შესახებ მთელი თბილისი ლაპარაკობდა. იარაღი არ ჰქონდა ხალხს. თუ ვინმეს დაუხანგული, გაფუჭებული თოფი ჰქონდა, ღიდ რამედ მიგვანდა, ჩუმად ენახულობდით და სათუთად ვეპყრობოდით. ქურდობა ხდებოდა, მაგრამ ახლა რომ ქურდობენ, ასეთი რამ მაშინ წარმოუდგენელი გახლდათ. ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანი რომ მოეტაცებინათ, ეს ხომ წარმოუდგენელი იყო! ცოლის მოყვანის მიზნით გოგოსაც არ იტაცებდნენ. მაშინ ასეთი ანეკდოტი დადიოდა: ერთმა ეტლში ჩასვა გოგო და მოიტაცა; გოგომ საშინელი ყვირილი მორთო; აქეთ-იქით „ვენოკები“ დაუდეს — აქაოდა, მიცვალეხულს მოვასვენებთ და ჭირისუფალი კივისო...  
— ყველაზე ლამაზი გოგო ვინ იყო, თუ გახსოვთ?

— ყველაზე ლამაზი გოგო ის გახლდათ, ვინც ჩვენ მოგვწონდა... მაშინ გოგოსთან ღლაბუცი და მისვლა-მოსვლა არ იყო. ბიჭები ვიტყოდით ხოლმე: ეს ჩემი

გოგოა, ეს – იმისი, ეს – ამისი... ზოგჯერ გოგო არც გვიცნობდა და უკვე ჩვენად მიგვაჩნდა. სხვანაირი დრო იყო. თბილისი საოცრად თბილი და სუფთა ქალაქი გახლდათ. დაახლოებით 60 წლის წინანდელ თბილისში კინტოები დადიოდნენ. რა არ იყიდებოდა?... საშლელები, ფანქრები, „სამოვარნი სახარი“ დაჰქონდა კაცს ხის დაფით... მთავარი ტრანსპორტი ვირი იყო. კახეთიდან იქაურ გლეხს მამაჩემთან ღვირი ვირით ჩამოჰქონდა. კამეჩის მაწონს დაატარებდნენ. ქილას გადმოაბრუნებდნენ და ზემოდან ურტყამდნენ: ნახეთ, როგორი კენჭივით მაწონიაო!... მთაწმინდაზე ისეთი ბავშვობა მაქვს გატარებული, ერთი რომ ვერ აღვწერ. მთავარი გართობა, მთიდან სირბილით დაშვება, „ყაჩაღობანას“ თამაში და ფუნთუკულორზე ასვლა იყო. ის დროც მასხოვს, როცა ონკანები არ არსებობდა. ჩვენი სახლის ქვემოთ „ვადაპრაგოლი“ იყო. ქვიტკირის შენობაში მოდიოდა წყალი დიდი „ტრუბით“. იქ მიდიოდნენ თულუნჩები ხის კასრებით. ოღანეზა ერქვა კაცს, რომელიც „ვადაპრაგოლს“ აკონტროლებდა. მას დაუძახებდნენ: ოღანეზ, ოღანეზ, მოუშე წყალიო. აავსებდნენ კასრებს და დაატარებდნენ აქეთ-იქით... აი, ასე ვცხოვრობდით... წლების შემდეგ, ტელევიზორის დამკვიდრებას თითო-ეულის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პატარა შავ-თეთრი ტელევიზორის ცქერა ძალიან გვიხაროდა. ტელევიზიაც მოგვწონდა. არაჩვეულებრივ ფილმებს უჩვენებდნენ. მაგალითად, „ჭრიჭინას“. კომედიას, სოუჟეტის საინტერესო აქვს. მოკრძალებული სიყვარულია ნაჩვენები. ახლა ბავშვი უყურებს ფილმებს, რომელთა დასაწყისშივე, 4-5 კაცი კვდება; ქალი აუცილებლად უნდა გატიტვლდეს... საშინელებაა, როცა უყურებ, ქალი და კაცი როგორ კოცნიან და „დეჭკავენ“ ერთმანეთს. სულ ვფიქრობ ხოლმე – რას ვიზამ, ასეთი როლი რომ მიმოცენ-მეთქი?... ვერ ვითამაშებ, რადგან ამის გაკეთება, ჩემი აზრით, სირცხვილია. ახლა გიორგი შენგელაია იღებს ფილმს – „მიდის მატარებელი“. კომედიას, რომელშიც თაღლითის როლს ვასრულებ. ჩემი გმირი ორ ქალთან ერთად მოგზაურობს. კარგი სცენარია, მაგრამ ცოტა ვბილწისიტყვაობთ, რაც მეუხერხულება. სცენაზეც არ მომწონს, როცა ცუდ სიტყვებს ამბობენ. თეატრმა ხომ ადამიანი უნდა აღზარდოს!... არადა, ახალგაზრდა რეჟისორები ხშირად მიმართავენ ბილწისიტყვაობას. ეს საზიზღრობაა და უნდა მოისპოს. განა, შექსპირის დროს არ იგინებოდნენ?! განა მას არ ჰქონდა უნარი, გულიწამრები ფრაზები დაეწერა?!

— რა ხდებოდა თქვენს ახალგაზრდობაში, რომელიმე უცხოური

**დასის ჩამოსვლის ან უბრალოდ, პრემიერის დროს?**

— ყველას გვინდოდა სპექტაკლზე მოხვედრა. ამიტომ ბილეთების შოვნა ჭირდა. რას არ ვაკეთებდით, თეატრის ბილეთი რომ შეგვეძინა!.. ზოგჯერ ცალბილეთებსაც ვეჭვავდით. სიჩქარეში კონტროლიორი ვერ აჩნევდა, ბილეთი რომ ცალბილეთი იყო. ასეთი რამ ხშირად, სტადიონზე შესვლისას ხდებოდა. სპორტივ განსაკუთრებულად ვიყავით გატაცებული. იცით, რა ამბავი იყო ქუჩებში? ზოგან „დევა უდარას“ თამაშობდნენ, ზოგან – ლახტს, ფეხბურთს ან „ჩილკა ჯოსს“. მთელი დღე ჟივილ-ხივილი ისმოდა. ომის დროს ბურთი არ გვექონდა. ფეხბურთს „ვათილი“ აგურით ვთამაშობდით. ფეხები სულ დაგლეჯილი და დაწითლებული გვექონდა. ის აზარტი და ენერჯია სადღაც გაქრა. არადა, სილუზჭირე მაშინ უფრო იგრძნობოდა. ტალახივით პურს ვჭამდით...

**— რა იყო ყველაზე მიმიე? რისი განსვენება გზარავთ?**


— საშინელება გახლდათ რეპრესიები. ბავშვებმა ვიცოდით – „ჩორნი ვორონი“ რომ დაიდგებოდა, ე.ი. ვინმეს დასაჭერად მიდიოდნენ. უკან მივდევდით და ჩუმად კუყურებდით, ვის სახლთან გაჩერდებოდა. ბევრი ადამიანის დაჭერა მასხოვს. მაღლობა ღმერთს, რომ ჩემი ოჯახიდან არავინ დაუპატიმრებიათ. ერთხელ თეატრალური სცენა გავითამაშე. მამაჩემი კონსერვატორიაში სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. ერთ დღეს, შინ მოსვლა დაავიანდა. დღეაჩემმა მიიხრა: ჩადი, ნახე, რატომ იგვიანებსო. იქვე ახლოს ვცხოვრობდით. გავიქეცი, ვნახე. მამამ ჩამწურჩულა – სხდომა მაქვს და მალე მოვალო. დედასთან დამწუხრებული სახით მივბრუნდი და ვიცრუე: მანქანა იღვა, მამა „ჩორნი ვორონში“ ჩასვეს; რომ დამინახა, მიიხრა: გაუგებრობაა, დედას უთხარი, რომ მალე გამომიშვებენო... დედას გული წაუვიდა. მთელი სამეზობლო შეიკრია... ამის გამო საშინლად დავისაჯე. ორი დღე და დამე სახლში ვერ შევდიოდი. მეზობლებთან მეძინა... ეს გახლდათ ჩემი პირველი როლი – ტრაგედია გავითამაშე...

როცა თეატრში ვიწყებდი მუშაობას, ვერც ვიფიქრებდი, თუ მსახიობობა ასეთი რთული საქმე იქნებოდა... მაშინ ჩემი თაობის ადამიანები შეგვარებულები ვიყავით უფროსი თაობის მსახიობებზე. მათ გვერდით თამაში ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო. თუმცა, თეატრში უმცროს და უფროს თაობას შორის გაუგებრობა და ურთიერთგაღიზიანება მაინც წარმოიშვა. მიხეილ თუმანიშვილის ვჯგუფი – ე.წ. შეიდაკაცა – ძალიან ძლიერი ვჯგუფი იყო. გვეგონა, რომ ძველი არტისტები ისე აღარ თამაშობდნენ, როგორც ჩვენ. ეს ჩვენი შეცდომა იყო. ისინი

ხელს არავის უშლიდნენ. პირიქით, ჩვენ მამაშვილურად გვეპყრობოდნენ და კარგადაც თამაშობდნენ სცენაზე...

**— როგორი იყო ახალგაზრდობის დამოკიდებულება რწმენასთან? ეკლესიურები თუ იყავით?**

— მე ყოველთვის ეკლესიური გახლდით. სოფელში ეკლესიის ეზოში ვცხოვრობდით. სულ ვხედავდი, როგორ ლოცულობდა ხალხი. თანაც, ჩემი ბებია ღრმად მორწმუნე ქალი გახლდათ. მისი და, მონაზონი იყო, ძმა კი, რომანოზ პეტრი-აშვილი – ეპისკოპოსი. ბაბუაჩემი, მამაჩემის მამა, ისტორიკოსი იყო, თან ქაშვე-თის ეკლესიის ლოტბარიც გახლდათ. ცხადია, ოჯახიდან სარწმუნოებრივი სიმტ-



მამის რუსთაველზე ვხვდებოდი ერთმანეთს...

კიცე გამოძვებოდა. აღდგომას, კვერცხსაც ვღებავდით და ვლოცულობდით კიდეც... ჩემს ბავშვობაში, უკვე აღარ ხდებოდა ეკლესიების დარბევა და ზარების ჩამოგდება. ქაშვეთში, სიონში, სვეტიცხოველში წირვა ტარდებოდა. ეკლესიაში შესვლა პარტიული მუშაკებისთვის დაუშვებელი იყო. ვჯრისწერა არ მახსენდება, მაგრამ ნათლობები მასხოვს.

**— თქვენი ნათლია ვინ იყო?**

— დაბადებისთანავე მომნათლეს, 1928 წელს. ჩემი ნათლიები იყვნენ: სამხატვრო აკადემიის პროფესორი სესიაშვილი და კონსერვატორიის პროფესორი ასლანიშვილი. ყველა წესის დაცვით მომნათლეს. ემბაზში ნათლიებმა ფურცელზე დაწერილი სახელები ჩაყარეს. მთავარმა ნათლიამ ერთი ფურცელი ამოიღო, იქ „რამაზი“ ეწერა. ამიტომაც დამარქვეს ეს სახელი, რომელიც მაშინ თითქმის არავის არ ერქვა. ბავშვი რომ ვიყავი, სულ ვფიქრობდი – ნეტავ, სირცხვილი ხომ არ არის, რამაზი რომ მქვია-მეთქი?..

სოფო, ეკა და ნათია

მშვენიერ და მზიარულ „ენის“ გოგონებს დასვენებაც მზიარული უყვართ. აქტიური გართობის მოყვარული მეგობრების საზაფხულო თავგადასავლები კურორტებთანაა საყვარელი გოგონები, საზაფხულო რომანებისგან თავს იკავებენ და დასასვენებლად წასვლას თითქმის ყოველთვის ერთად გეგმავენ, თუმცა გამონაკლისიც ხშირად ხდება... ინტერვიუ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის — სოფო მასხულიას გარეშე წარმოართა, რადგან ის ისევ ისვენებს, ამჯერად — მცხეთაში.

# სანთლები - თბობა, თეფხე - ცხრუკნები და სხსლსოდ ჩაბბერალი ლიუი კურიოზად ქცეული დუდეგრობა

## ლიკა ქაჩია

— **წელს სად ისვენებდით?**  
**მამა:**  
 — მე და სოფო ბათუმში ვისვენებდით, ნათია — ქობულეთში, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვაკითხავდით.  
**ნათია:**  
 — შარშან კი მე და ეკა მანგლისში ვიყავით, მერე ზღვაზე წავიდით...  
 — **ბავშვობაში სად ისვენებდით?**  
**მამა:**  
 — როგორც მახსოვს ზღვაზე...  
**ნათია:**  
 — მანგლისში, ლიკანში. ისე, ჯერ მთაში მივყავდით ხოლმე, მერე — ზღვაზე.  
 — **სად უფრო კარგად ისვენებთ — ზღვაზე თუ მთაში?**  
 — ზღვა უფრო კარგია...  
**მამა:**  
 — გეთანხმები, თუმცა ცურვა არ ვიცი. ისე თუ მეგობრებთან ერთად ხარ, ყველგან კარგად გაერთობი.  
 — **ზღვაზე ისვენებდით, მაგრამ ვერ იტყვი, რომ კარგად გაირიჟღერა...**  
**ნათია:**  
 — უკვე გაღაგვივიდა...  
**მამა:**  
 — 12 დღე ვიყავი ბათუმში და გასარუჯად სულ საძვერ წავიდით...  
**ნათია:**  
 — მზე რომ გამოანათებდა, მთელი ქობულეთი სისარულისგან ცეკვავდა.  
 — **საზაფხულო რომანები არ გქონათ?**  
**მამა:**  
 — მე არა.  
**ნათია:**  
 — მე მქონდა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელი, რომ მოსაყოლადაც არ ღირს.  
 — **საზაფხულო კურორტებს ვერ გაიხსენებთ?**  
**მამა:**  
 — ბათუმში ვისვენებდი, ცურვა არ ვიცი და ვილაც ბიჭი გადამეკიდა — უნდა გასწავლო! 2 დღე დამდეგა; ძლივს მოვი-

ცილე. საღამოს ზღვაში არ შევედი — ციოდა. ბოთლში ზღვის წყალი ჩავასხი და მარტო ფეხებზე ვისხამდი („ზაგარის“ მისაღებად). თურმე ამ ყველაფერს ჟურნალისტი აფიქსირებდა — მოვიდა და დამიწყო გამოკითხვა: რა უნდოდა იმ ბიჭს, რას გელაპარაკებოდაო?... ცოტა ხანში კი სტატია გამოაქვეყნა — სათაურით: „რას სთავაზობს უცხო მამაკაცი ეკა გაბიტაშვილს“? იქვე ეწერა, რომ ფეხზე ბოთლიდან ვისხამდი წყალს. ჩემივე დაუდეგრობამ სირცხვილი მაჭამა — ზღვაზე ვიყავი და თავს ბოთლში დაგროვილი წყლით ვივრდილებდი...  
 — **ლაშქრობაზე სიარული თუ გიყვართ?**  
**ნათია:**  
 — ერთხელ, მანგლისში წაველით „არსენას გამოქვაბულში“...  
**მამა:**  
 — ...ნათია ვერ ავიდა კლდეზე, მე კი იმდენად მაინტერესებდა, რომ სხვების დახმარებით ძლივს ავბობლდი, მაგრამ მერე ველარ ჩამოვდიოდი — სულ წივილ-კივილით ჩამომიყვანეს... მაინც გახარებული მოვდიოდი — გამოქვაბულში სურათები გადავიღეთ. თან, 2 წლის ბავშვი გვახლდა. ხელში ავიყვანე, ნათიას ფოტოაპარატი მივაჩქე — სურათის გადაღება ვთხოვე. მოვეშაადეთ

და უცებ მისი ხმა მესმის: „უი, ჩავარდა!“ ფოტოაპარატი წყალში ჩაუვარდა. კინაღამ გავეიჟდი, ლამის დავახრჩვე. სურათების გულისთვის ძლივს ავბობლ-ჩამოვობლდი, ფეხები დავიხეთქე და რა გამოვიდა?..  
 — **ტანსაცმელს სად ყიდულობთ ხოლმე და რას ნიშნავს თქვენთვის მალაზიაში სიარული?**  
 — ხან სად და ხან — სად. ძირითადად მალაზიაში...  
**ნათია:**  
 — ერთი პერიოდი, მალაზია „პოლიუმში“ დავდიოდი. ისე, ძველმანების მალაზიაშიც შევდივარ...  
**მამა:**  
 — აი, ამას დაწერს და მერე ნუ იტყვი — რატომო?...  
**ნათია:**  
 — მერე რა? პინკი სულ „დონძებში“ იზმანება...  
**მამა:**  
 — პინკიო — ეს ნახე რა!.. (იციინა).  
 — **საზღვარგარეთ თუ დაგისვენათ?**  
**ნათია:**  
 — ერთად ვიყავით ანტალიაში და კვიპროსზე.  
**მამა:**  
 — კურორტი გამახსენდა. კვიპროსზე, ნათია ფეხებით ჩახტა აუზში, ღია საცურაო კოსტუმში ეცვა და ზედა გასძვრა... თვითონ ვერ მიხვდა, ამაყად ამოვიდა წყლიდან...  
**ნათია:**  
 — აუზიდან ამოვედი თუ არა, სუთი კაცი ერთად მეტაკა ყვირილით — ვერ მივხვდი, რა უნდოდათ.  
**მამა:**  
 — იქ თითქმის სულ უცხოები იყვნენ, რომლებიც ულიფოდ დადიოდნენ, მაგრამ ჩვენთვის ეს მაინც ცოტა ისეთი მომენტია იყო...  
**ნათია:**  
 — რომ გავიგე, სირცხვილისგან წყლიდან არ ამოვდიოდი.  
 — **ანტალიაშიც სამინ იყავით?**  
**მამა:**  
 — ანტალიაში ბევრნი წავიდით. ჩვენი



ეკა გაბიტაშვილი (მარცხნივ) სოფო მასხულიასთან ერთად

ნომერი პირველ სართულზე იყო. ირგვლივ მწვანე ბაღი იყო გაშენებული. ერთხელ დისკოთეკაზე წავედი. ოთახში შუქი ანთებული და კარი ღია დავგრჩა. ნომერი მწერებით სავსე დავგვხვდი. ყველაზე მეტად ობობების მეშინია. ოთახში მე, თიკა ფაცაცა და ერთი გოგო ვიყავით. საბანი გადავწიე, ბალიშზე უზარმაზარი, შავფეხებიანი და ბუსუსებიანი ობობა იჯდა. შიშისგან კივილი მოვრთე, შოკში ჩავვარდი, სასტუმროში დავბოდი, ყველა კარზე ვაკაკუნებდი - მიშველეთ-მეთქი!..

**როგორ დამთავრდა ეს ამბავი?**

— აღარ მახსოვს, მაგრამ ფაცაცა უნდა გენახათ - თავზე უზარმაზარი პირსახოცი შემოიხვია, დეზოდორანტი აიღო და გაიძახოდა: ამ საძაგლებს ჯერ გავაბრუნებ, მერე კი დავხოცავო. მთელი დამე მათ დასდევდა, მაგრამ რა ქნა, არ ვიცი...

**საზღვარგარეთ ეგზოტიკური კერძები თუ გაგისინჯავთ?**

— როგორ არა? ერთხელ თევზის თვალები ვჭამე ისე, რომ არ ვიცოდი, რა იყო. კეცზე შემწვარი ლოკოკინები ძალიან მომეწონა.

**ნათია:**

— ლობიო მიყვარს ძალიან, რესტორანში რაღაც საჭმელი ვნახე, „ვიღზე“ ლობიო იყო. მანამდე, 2 კვირის განმავლობაში შემწვარ ტარაქებს და რაღაც საძაგლებს გვთავაზობდნენ. ამიტომ სინარულისგან კინაღამ ვაგვიყლი. მათლაფით გადმოვიღე „ლობიო“, დავვკეიქი და სიამოვნებით მივირთვი. ჩაკებედი თუ არა „ლობიოს“ მარცვალს, რაღაც ტკაცატკუცი მესმოდა, მაგრამ ამას ყურადღებას ვინ აქცევდა? ამ დროს, ჩემს მაგიდასთან ერთი ქართველი მოვიდა. აღმოჩნდა, რომ საყვარელი კერძის მაგივრად, ტარაქების, ობობებისა და ჭიებისაგან დამზადებული საჭმელი მიჭამია, რომ გავიგე, რაც ვჭამე, ჩემი დამემართა...

**რომელ ქვეყანაში ისურვებდით დასვენებას?**

— სადმე კუნძულზე...

**მაბ:**

— მაგალითად, სარდინიაზე.

**საქართველოს რომელი კუთხე არ გინახავთ?**

**ნათია:**

— სვანეთი. ძალიან მინდა იქაური კომპიების ნახვა.

**ყველაზე მეტად რომელი კუთხე მოგწონთ?**

— ძალიან მოგვეწონა რაჭა. შემოდგომაზე ვიყავით და იქაურობა ძალიან ლამაზი იყო.

**მაბ:**

— სამზარეულოს რაც შეეხება - მეგრულ სამზარეულოზე ვაგვიყლი.

**ნათია:**

— რაჭაში კი, ლობიანები მოგვეწონა.

**სამზარეულოში საქმიანობა გეხერხება?**

**მაბ:**

— რომ ვითხრა, კერძებს ვამზადებ-მეთქი, ტყუილი იქნება. სამაგიეროდ, ჭამა მიყვარს. თუ დღეაჩემი არაა, რაღაცას მივახერხებ...

**ნათია:**

— როცა ყველაფერი მზად გხვდება, კერძების მომზადების სურვილიც არ გიჩნდება.

**ჭამა გიყვართ, მაგრამ სულ ფორმაში ხართ. წონას დიეტით აკონტროლებთ?**

— ვჭამთ, მაგრამ დიეტაზე არ ვართ. მე საერთოდ არ ვსუქლები.

**მაბ:**

— იშვიათად ვიმატებ, მაგრამ თუ ვიგრძენი, რომ მოვიმატე, მაშინ ერთ დღეს როგორმე შშიერი გადავავორებ. ისე, დღე-ში 4-5-ჯერ ვჭამთ ხოლმე. ერთი პერიოდი, ძალიან გავხედი. რაღაც კონკურსისთვის ვემზადებოდი და ცოტა უნდა მომემატა წონაში. ვჭამდი - არ მერგებოდა. ვიტამინების მიღება დავიწყე და გავსივდი. კინაღამ ვაგვიყლი...

**რას იშინავს თქვენთვის კარგი დასვენება?**

— ჩემთვის კარგი დასვენება არის, როცა მეგობრებთან ერთად კარგად ვერთობი. სიმართლე გითხრა, სრულ სიმშვიდეს, ხმაურიანი დასვენება მირჩევნია.

**კურორტზე თაყვანისმცემლები არ განუხებდნენ?**

— სიმართლე გითხრა, არ ვაწუხებდნენ. მოდიოდნენ, გვესაუბრებოდნენ, თავიანთ დადებით აზრებს გამოთქვამდნენ და მიდიოდნენ. მაგრამ ზოგმა იცის: ერთხელ თუ დაელაპარაკე, მერე აღარ შეგეშვება. საბედნიეროდ, ეგეთები არ შეგვხვდრიან.

**ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა გთხოვდნენ, გამეღრათ?**

— არა, მაგრამ სურათების გადაღებამ დავგტანჯა...

**საყვარელი კერძის მაგივრად, გარაკნების, ობობებისა და ჭიებისაგან დამზადებული საჭმელი მიჭამია... (ნათია ნებიერიძე ეკა გაბიგაშვილთან ერთად)**



**ნათია:**

— და ავტოგრაფებმაც!  
— შეყვარებული არ გყავთ?

**მაბ:**

— ამჟამად არა.

**ნათია:**

— ეგეთ „პონტში“, რა...  
— რა „პონტში“?  
— შეყვარებული არა, მაგრამ მომწონს...  
— ეკა, ყოველთვის შუაში რატომ დგახარ?

— პატარა ვარ და იმიტომ. სხვათა შორის - ასაკითაც და გოგოები „მივლიან“.

**თქვენ შორის რომელია ყველაზე ნიჭიერი მომღერალი?**

— მე, რა თქმა უნდა, (იცინის).

**ნათია:**

— მართალია. ყველაზე ნიჭიერი ჩვენ შორის ეკაა. მე მუსიკალური შვიდწლედ დავამთავრე, სოფომაც. ეკა კონსერვატორიაში სწავლობს.

**მაბ:**

— ნათია და სოფოც ნიჭიერები არიან. ნათია ჩვენთან ახალი მოსული იყო, როცა მოსკოვისკენ „ექაჩებოდნენ“. საკითხი დავუსვით: გადაწყვიტე - ან ჩვენ, ან მოსკოვი-თქო...

**ნათია:**

— იმის მერე, ორი აგური მიჭირავს ხელში...

**მეგობრებს ვერ უღალატე? მაბ:**

— მაშინ მეგობრები არ ვიყავით.

**ნათია:**

— უფრო სწორად, მაშინ „სეთი“ ზენიტში იყო და მეც...

**რა სიახლეს უნდა ველოდოთ თქვენგან? მაბ:**

— ერთი სიმღერა მოგეწონს, რომლის ტექსტი უცნობს ეკუთვნის. იმელია, მალე კლიპსაც გადავიღებთ და სიზარმაცე სამივეს ერთად ვაგვივიღებ...



დელფინარიუმში - 2001 წლის 30 ივნისი (ეკა და ნათია)

ბათუმში ჩასვლისთანავე, ასლან აბაშიძის ორეული მომხდობა თვალში. კინალამ დაემუნჯედი — კოსტუმში გამონყობილი, ილღიაში საქაღალდედამორჩილი „ბაბუ“ სადღაც მიიჩქაროდა. გაოცებულმა ბათუმელებს ეს ამბავი რომ ვუთხარო, სიცილით მომიტყევე: ეგ ქალების მოყვარული კაცია, აქამდე ძირითადად, ამით გამოირჩეოდა, დღეს კი... სანამ ასლანი ბათუმში იყო, მის ორეულს ყურადღებას ნაკლებად აქცევდნენ. ბათუმში ერთ საინტერესო ამბავს დღესაც იხსენებენ: თურმე, თენგიზ კიტოვანი ასლან აბაშიძესთან შესვედროს შემდეგ, სანაპიროზე ღია კაფეში ყავის დასალევად შესულა და... გვერდით მაგიდასთან „ასლანისთვის“ მოუყვარავს თვალი, რომელიც სატრფიალო ამბებ-ის მოყოლით „ბირჟავიკებს“ ახალისებდა. გაოცებული კაცი.

აბაშიძის გაქცევის შემდეგ, სულნიკო ძნობაში ცდილობს, „ბაბუს“ როლი მორიგოს და სხვადასხვა ძალოვანი სამსახურის ოფიცებთან საათობით ელოდება ჩინოსნებთან შესვედრას, რათა დაპატიმრებულებს დაეხმაროს... მასთან საუბროს შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბატონ სულიკოს ხშირად, თავი მართლაც ოდესღაც ყოვლისშემძლე ასლანად წარმოუდგენია.

# „ბაბუ“ კვლავს გათუმის ქუჩებში დადის ასლან აბაშიძის ეპოქიური ორეული

ეკა ლომიძე

— ამ მსგავსების გამო ყველა „ბაბუს“ მეძახის. ამ დღეებში, ჩემს დას ვეწვიე. მის ეზოში დამსვენებლებს მოეყარათ თავი; რომ დამინახეს, აყვირდნენ — შეხეთ, ასლანი დაბრუნებულაო!.. როცა მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ, უამრავი სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ.

— რომ მონდომოთ, ამით ალბათ, ბიზნესსაც გააკეთებთ...

— გარეგნობით სპეკულაციას ვერ დაეწივებ, ჩემთან სურათის გადაღებაში კაცს ფულს როგორ მოვთხოვ?!

— როგორც ვიცი, თქვენ და ასლან აბაშიძე ერთსა და იმავე წელს დაბადებულხართ. რაღა დაგიმალოთ და, ეს ამბავი უამრავ ეჭვს ბადებს. ტყუპისცალები ხომ არ ხართ?

— ეგ თქვენი ეჭვი უსაფუძვლოა. ჩვენ მხოლოდ გარეგნულად ვგავართ ერთმან-

ეთს და კიდევ — ორივე, ძირძველი ბათუმელები ვართ. 6 ფაცხა რომ მდგარა ბათუმში და 3 ურემი რომ დაჭრილობდა, ჩემი წინაპრები ჯერ კიდევ მაშინ დასახლებულან აქ.

— რა პროფესია გაქვთ?

— სამხედრო სასწავლებელი დაგამთავრე კალინინგრადში. მაგდანშიც ვმსახურობდი. „ლაგერში“ უფროსად ვმუშაობდი. როგორც სამხედრო პირმა, მოხეტიალე ცხოვრების გამო, ცოლი ვერ შევირთე.

— აბა, ბათუმში რატომ ამბობენ თქვენზე, 4 ცოლი ჰყავსო?

— (ეცინება) ეი. თქვენი „რაზვედკა“ მუშაობს. ოფიციალური ცოლი არა მყავს.

— ამბობენ, აბაშიძემ იცოდა თქვენ შესახებ...

— პირისპირ არასოდეს შევეხვედრივარ, თუმცა ჩემი პიროვნებით დაინტერესდა და მისმა უშიშროების სამსახურებმა დამიბარეს, გამაფრთხილეს, რამე არ დაშავო. უშიშროებაში მკითხეს — ასლანი შენი ძმა ხომ არ არისო? ვუჩვენე პასპორტი და ვიკითხე — აბაშიძე და ძნელაძე შეიძლება ძმები იყვნენ-მეთქი?... თქვენსავით, იმათაც დაეჭვებულებმა აიჩიქეს მხრები.

— როგორ ფიქრობთ — ასლან აბაშიძის ორეული რომ ხართ, ანტი-ომაც ხომ არ სარგებლობთ ხალხს მზოდან განსაკუთრებული ყურადღებით?

— აბაშიძესთან მსგავსება თავის როლს ასრულებს. ბათუმის ბაზარში არეულობა რომ იყო, პროლეტის საყილად შევიარე. იქ ამბავი ატყდა... ბაბუ, ბაბუ! — აყვირდა ხალხი. მომიწოდებდნენ — გავციქვ, ვეიმეთაურე და ჩვენც გამოგყვებითო. მერე პოლიციელები მოვიდნენ და იქაურობას მომშორეს. ვერ გავიგე, რას მერჩოდნენ. როგორც ჩანს, მაგათ ასლანში შეგეშალე — ისე, როგორც ეს პროკურატურაში მოხდა. იქ რაღაც დანაშაულისთვის ბიჭები დაუპატიმრებიათ, მათმა მეგობრებმა მოხოვეს — დაელაპარაკე იმ ხალხს, იქნებ, გამოუშვანო. მეც წავედი პროკურატურაში, მაგრამ უკან გამომაბუნებულეს, მითხრეს: შენ რა, მართლა „ბაბუ“ ხომ არ გგონია თავიო?!

— როგორ აპირებდით იმ ბიჭების შევლას? ადვოკატი ხომ არ ხართ?! თუ მართლა „ბაბუდ“ წარმოიდგინეთ თავი?

— რა შუაშია „ბაბუ“?... ანა, უფლება არა მაქვს, მოქალაქეს გამოვესარჩლო? ავერ, ნახეთ, ჩამოვა „ბაბუ“ და მიხედავს მაგენს (ბათუმში სხვებიც ბევრს ლაპარაკობენ „ბაბუს“ შესახებ ჩამოსვლის შესახებ; საგარეულოდ, მას სექტემბრის ბოლოსთვის ელოან. — ავტ.).

— მოგწონდათ აბაშიძის რეჟიმი?

— არც ერთი პოლიტიკური რეჟიმი არ მომწონს, თუმცა, მიმა სააკაშვილს მგონი, არა უშავს რა... გიორგი ბარამიძეს შევხვდი პირისპირ, ერთი კი დამაქცერდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მომაქცია. თან, როგორც ჩანს, გაბრაზებულ იყო იმის გამო, რომ ხალხი ჩემს დანახვაზე „ბაბუ, ბაბუს“ იძახდა. რა ქნას ხალხმა? უყვარს „ბაბუ“.

— როგორ ფიქრობთ — აბაშიძის ჩამოხველება საქართველოში?

— რატომაც არა?! ეს ხომ მისი სამშობლოა. სამშობლოს წართმევის უფლება კი, არავის აქვს. დღეს ტყუილად გაიძახიან — რომ ჩამოვიდეს, სააკაშვილი დააპატიმრებსო. არ დააპატიმრებს. აი, ნახეთ, როგორ ძმაკაცურად შეხვდებიან ერთმანეთს. ორივე ქართველია, გასაყოფი რა აქვთ?!

— თქვენზე ამბობენ — სანაპიროს „ბირჟებზე“ პოლიტიკურ აგიტაციას ეწევაო...

— ჩემზე ბევრ რამეს ამბობენ, ისევე, როგორც ასლანზე, მაგრამ ყველაფერი კი არ უნდა დაიჯეროთ.

„ბაბუს“ ორეულთან საუბარს აქ ვასრულებ. ინტერვიუს მსვლელობაში გამჩნევილი — ხშირად მართლაც, „ბაბუს“ როლში შედიოდა; ამ დროს ან ძალიან მშრალად მასუხობდა, ან ძლემარდ მიმხერდა, როგორც ეს ასლან აბაშიძეს სჩვევია...



...ჩემი პიროვნებით დაინტერესდა და მისმა უშიშროების სამსახურებმა დამიბარეს



ავერ, ნახეთ, ჩამოვა „ბაბუ“ და მიხედავს მაგენს

ბევრის მომსწრე და მნახველი ქალბატონი თინა-თინა საღარაძე მოვლენებით მდიდარი ბიოგრაფიის პატრონა. იგი 82 წლისაა, თითქმის მთელმა XX საუკუნემ ჩაიარა მის თვალწინ და მოსაყოლიც უამრავი აქვს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზაქარია ფალიაშვილი საკუთარი თვალთ უნახავს, მის პედაგოგთან, დიდი კომპოზიტორის ძმასთან ბატონ ლევანთან მისული? ან ის, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას, თამარის კავატინას შესრულებისთვის (დემო-ტრი არაყიშვილის ოპერაში — „თქმულება შოთა რუსთაველზე“) მისმა ლექტორმა, დიდმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ ყვავილების უზარმაზარი კალათა რომ მიართვა უნივერსიტეტის სცენაზე გამართული კონცერტის დროს? ან ის, რომ დიდი ჯანო ბაგრატიონი ასწავლიდა ცეკვას, ლადო გუდიაშვილი და ავთო ვარაზი კი მისი ოჯახის უახლოესი მეგობრები და ხშირი სტუმრები იყვნენ. თუმცა ქალბატონი თინათინისთვის ყველაზე მთავარი 20 წლის შემდეგ დაბრუნებული სიყვარულია.



# 20-წლიანი ინტერვიუთ ერთ კაცზე ორჯერ გათხოვილი ქალბატონი

## თამარ კაპანაძე

— არაჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე, შვილიყო (დედიკო, შვილიკო, ბებიკო, ძამიკო ქალბატონი თინას მეტყველების დამახასიათებელი ნიშანია — მას არც ერთხელ არ უზმარია აღნიშნული სიტყვები ჩვეულებრივი ფორმით. — ავტ.). ვენაცვალე, რა კარგი მშობლები და და-ძმები მყავდნენ, ნეტავ, იცოდეთ! ჩემი ძამიკო და დედიკო მთელი სიცოცხლე იყვნენ ერთმანეთზე შეყვარებულნი, იშვიათად შეეხვედრია მათნიარა შეხმატკბილებული წყვილი. ჯერ ქუთაისის, მერე კი — მთელი თბილისის ინტელიგენცია მეგობრობდა მათთან, პატივს სცემდნენ, აფასებდნენ. აბა, რა მაფიქრებინებდა, იმას გაგებდავდი, ქმარს გავყვებოდი და შვილთან ერთად უკან მივბრუნდებოდი?.. მაგრამ ფაქტია — ეს მაინც მოხდა. ძალიან ამაყი ვიყავი და მცირედი წყენაც ვერ ავიტანე. თუმცა მერე, წლებმა მეც და ჩემი მეუღლეც დაგვარწმუნა, რომ ეს შეცდომა იყო და როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, 20 წლის შემდეგ, თავიდან დავიწყეთ ყველაფერი.

— ვიდრე მთავარ თემას შევეხებოდე, მინდა, ჯერ თქვენი ოჯახის შესახებ უამბოთ მითხვევდეს. აკი ბრძანეთ — შესანიშნავ ოჯახში გავიზარდეო. მაინც ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

— ჩემი ძამიკო, ერთ-ერთი პირველი ფოტოხელოვანი, ნიკოლოზ (კოლია) საღარაძე გახლდათ, რომელმაც ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში, მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ათეუ-

ლობით ფოტოსტატი აღზარდა და ჩაყენა ერის სამსახურში, რადგან მიაჩნდა, რომ ყოველი დაფიქსირებული წამი ერის, ქვეყნის ისტორიაა, რომლითაც თაობებმა უნდა ისაზრდონ. ძამიკო ძალზე კოლორიტული გარეგნობისა და ხმის პატრონი გახლდათ და არაჩვეულებრივად კითხულობდა ქართული პოეზიის მარგალიტებს. ჩემი ტანწერწერტა დედიკო, ლიზა ცაგარელი საოცრად სათნო და მშვიდი ქალი იყო. არ მახსოვს, ოდესმე აემძლე ბინოს ხმა. სულ მიკვირდა, სხვა დელებისგან განსხვავებით, ყველაფერზე რომ ეჩხუბებოდნენ თავიანთ შვილებს, როგორ ახერხებდა თავის შეკავებას მაშინაც კი, როცა რამეს დავამაკვებდი. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ შინაგანი კულტურა შევლოდა, ასეთი ყოფილიყო.

— იმ დროს ფოტოხელოვნება ახალი ხილი იქნებოდა. სად ისწავლა მამამ ეს საქმე?

— ძამიკოს ნახევარდა, უფრო სწორად — ბაბუაჩემის მეორე ცოლის ქალიშვილი, ულამაზესი ნინიკო ჩირაძე გათხოვილი იყო საქართველოში ფოტოხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებელზე ალექსანდრ მინაილოვზე, რომელმაც მამას სულ პატარაობიდან, 9-10 წლის ასაკიდან შეასწავლა და შეაყვარა ეს საქმე. როცა მამიდაჩემი მესამე შვილის მშობიარობას გადაჰყვა, უმშვენიერესი მეუღლის დამკარგავმა მიხაილოვმა მუშაობის ხალისიც დაკარგა და მთელი თავისი აპარატურა, როგორც მისი საქმიანობის გამგრძელებელს, მამაჩემს დაუტოვა. მამაჩემმა

მერე ყველაფერში ორმაგი გადაიხადა, რომ ობლებს არაფერი მოჰკლებოდათ. სხვანაირი კაცი იყო, ღირსეული, ჰოდა, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ეგ კი არა, განკულაკების დროს, როცა შეძლებული ოჯახების მთელი სიმდიდრე საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა და მიხაილოვის ოჯახის რიგიც დადგა, ყოველი ნივთი შეფასებულზე უფრო ძვირად შეიძინა ძამიკომ, რომ ბავშვებს გაცილებით მეტი ღირებულება ჰქონდათ. გარდა ამისა, მამამ მიხაილოვის გერბი და წარწერა — „Фото Михайлова“ უცვლელად დატოვა უკვე თავის მიერ გადაღებულ ფოტოებზეც და ამით მისი სახელის უკვდავყოფას შეუწყო ხელი. მახსოვს, როგორი გატაცებით უღებდა ფოტოებს ცნობილ მსახიობებს, მერე ამრავლებდა. ანტრაქტის დროს, თავის შევირდებს ქანდარებიდან დარბაზში აყრევინებდა და ამით მაყურებელს უდიდეს სიხარულს ანიჭებდა: ისინი საყვარელი მსახიობების ან სპექტაკლებიდან სცენების ფოტოების მფლობელები ხდებოდნენ, იმ დროს კი ეს ნამდვილი ფუფუნება იყო... ძამიკოს იმდენად უყვარდა თავისი საქმე, სულ ეშინოდა, რამე არ დაჰკარგვოდა, არ გაჰფანტოდა და სულ ვკითხოვდა, ჩემსას ნურაფერს შეეხებოდა. მხოლოდ მერე, როცა თავისი არქივი სახელმწიფოს გადასცა საჩუქრად, ამოისუნთქა, ჩათვალა, რომ იგი მზრუნველ ხელს ჩააბარა. ჩემს ოჯახშიც ბევრი მამისეული ფოტო ინახება. ყველა მათგანი მიყვარს და ისე ვესაუბრები, თითქოს მამას ვეხებოდე.

— და-ძმებზეც გვითხარით რამე...



**ნიკოლოზ საღარაძე და ლიბა ცაგარელი შვილებთან – ლევან, არჩილ, თინა და ნორა საღარაძეებთან ერთად**

ლევან საღარაძის ქუჩა უწოდეს და ესეც ძალიან მახარებს. რაც შეეხება ჩემს მეორე ძამიკოს, ცნობილ ექიმ-პედიატრ აჩიკო საღარაძეს, თითქოს ბუღის ირონიით – აქაოდა, გეყო საქართველოში ცხოვრების ბედნიერებაო, – როცა ავად გახდა, თავისმა ვაჟიშვილმა უკრაინაში, ქალაქ ლუგანსკში წაიყვანა სამკურნალოდ (თავად იქ ცხოვრობს); სამწუხაროდ, აჩიკო იქ გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. აბა, საოცარი არ არის? ლევანი სულ

– ჩემი დაიკო ნორიკო (იგივე ნინიკო) ლამაზი, ფუფუყულა, ხეულოთმანი გოგო, რომელსაც მუსიკას ერთხანს რუსეთიდან ჩამოსული პიანისტი ასწავლიდა (რომელიც ჩარკვიანის ცოლი გახლდათ), შემდეგ კი – ლევან ფალიაშვილი, ჭრიჭინასავით სულ მღეროდა და ცეკვავდა. სახელმწიფო გამოცდების წინ გარდაეცვალა თავისი უსაყვარლესი მასწავლებელი, ნაკაშიძის ქალი და იმის შემდეგ ინსტრუმენტს კარგა ხანს ახლოს ვეღარ გაეკარა. ამიტომ, კონსერვატორიაზე ფიქრს თავი დაანება და უკუიდა ბერიძის (ცნობილი მეცნიერი, აწ გარდაცვლილი აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მამა. – ავტ.) რჩევით, რომელთანაც მამა ჯერ კიდევ ხონიდან მეგობრობდა და უნივერსიტეტში შემთხვევით შეხვედრია, უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩააბარა. ნორიკომ სულ ერთი წელიწადია, რაც დამტოვა. ჩემი ძმები უფრო ადრე გარდაიცვალნენ. ძალიან მიჭირს მათ გარეშე, როცა ჩემი უფროსი ძამიკო, ლევანი, 17 წლის ასაკში უცხოეთში წავიდა და იქ დამკვიდრდა, ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ მაშინ გაენადგურდით პირველად. მერე, როცა კონტაქტები აღდგა და ფარულად შეგვატყობინა, რომ ცოცხალი იყო და კარგადაც მოეწყო, ცოტა ამოვისუნთქეთ. თუმცა მონატრების გრძნობას არასოდეს მივუტოვებდით. ბოლოს სირიაში დამკვიდრდა, საინჟინრო განათლება მიიღო, საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი კაცი გახდა, „ვეფხისტყაოსანის“ ათარგმნინა არაბულ ენაზე და ამით საქართველოსადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოხატა; შვილებს ქართული სახელები დაარქვა და ანდერძიც დატოვა – ჩემს მიწაზე დამკრძალეთო. ის, რაც მთელი ცხოვრება ენატრებოდა – მშობლიური ქართული მიწა, ქართული მზე და მთვარე, – ახლა საშუალოდ აქვს და ეს ცოტათი მამშვიდებს. სხვათა შორის, ქუჩას, სადაც ჩვენ ქუთაისში ვცხოვრობდით,

წასული იყო, სულ მენატრებოდა და ახლა აქა მყავს, არჩილი სულ აქ მყავდა, ახლა კი უცხო მიწაში განისვენებს და ამის გამო საშინლად ვწუხვარ...

**— მოგვიყვით, სად გაიცანით პირველად თქვენი მომავალი მეუღლე?**

– ჩვენი ოჯახი ქუთაისიდან თბილისში საცხოვრებლად მოგვიანებით გადავიდა და ზემელზე დამკვიდრდა. მე უფრო ადრე, მესამე კლასში ვიყავი, როცა დეიდაჩემმა აქ გადმომიყვანა სასწავლებლად. სამწუხაროდ, შვილები დაეღუპა და ჩემით ეცადა სიცარიელის შევსებას. ზელიმხანი ჩემი თანაკლასელი აღმოჩნდა. იგი პატარაობიდანვე ძალზე ლამაზი, დინჯი, სერიოზული ბიჭი გახლდათ. მე პატრა, ახტაჯანა, მოუხვეწარი გოგო ვიყავი. ერთხელ კიბის მოაჯირზე სრიალ-სრიალით დავეშვი და ძალიან კარგ, ახალ-გაზრდა კაცს დავეჯახე. ბოდიში მოვუხადე. მომეფერა, – სამასწავლებლო მიმასწავლო – მიხოვა. გავეყვევი. გზაში, საუბრისას აღმოჩნდა, რომ ზელიმხანის მამა იყო. ვიდრე იგი კლასის დამრიგებელს ესაუბრებოდა, მასწავლებელმა ჟურნალიდან ზელიმხანის ნიშნების ამოწერა მიხოვა. ვიქმნა და სულ ფრიალები ამოვუწერე, რითიც მამამისი ძალიან გავახარე, ზელიმხანს კი, სამალარიოდ ჩურჩხელების მოტანა დავავალე; ვიცოდი, კასური ჩურჩხელები ჰქონდათ, ისედაც სშირად მიმასპინძლებოდა.

**— თქვენდამი სიყვარულს ამით გამოხატავდა?**

– შესაძლოა, ასეც იყო, აბა, ისე, ვინ ვის რას გაუბედავდა მაშინ?.. თავი მაინც გაყიდა და აი, როგორ: მე ძალიან კარგად ვკითხულობდი და, როგორც დეკლამატორი, სულ სცენაზე ვიდექი. ერთი გენახათ, როგორ ვკითხულობდი ნესტანის წერილს, ან როგორი თინათინი ვიყავი, ან როგორი „დედა“, ილიას „ქართველის დედაში“!.. დიდებული ლიტ-

ერატორი იყო ჩვენი ქართულის მასწავლებელი მარიამ დოჭვირი და თითქმის ყველა ნაწარმოები გადავიტანეთ სცენაზე. როცა მე-8 კლასში „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირება მოხდა, მე თინათინი, ზელიმხანი – ზანგი მოსამსახურე, ხოლო ავთანდილი, ჩვენზე უფროსი მიტო მაჭავარიანი გახლდათ. უნდა გენახათ, როგორ ქვემიდან უბღვერდა მიტო-ავთანდილს და რა აღტაცებული შეჭყურებდა ქართულ კაბაში გამოწყობილ ჩემს თინათინს! მაშინ მივხვდი, რომ ჩემს გულშიც ხშიანობდა რაღაც, თუმცა ამას ჯერ სიყვარული არ ერქვა – ეს უფრო სიხარული იყო, დიდი, უზომო სიხარული იმის გამო, რომ გამორჩეული ბიჭის ყურადღების ღირსი გახვდი.

**— გამორჩეული დღე, რომელიც სკოლის პერიოდიდან გახსოვთ...**

– ზელიმხანის ოჯახში მთელი კლასი მიგვიწვიეს ახალ წელს. საერთოდ რა აღარ გამოძლიოდა ხელიდან – ჰოდა, ავიღე ერთი მოზრდილი მანდარინი, გადავვსენი, ისე შემოვჭვირი, რომ კალათის ფორმა მივეცი, შიგ მცირე-მცირე ულუფებად გიზინაყი, ჩურჩხელა, კანფეტები ჩავაწყვე და სუფრის თამადას, ზელიმხანის მამას მივართვი. ძალიან მოეწონა და ჩემთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა... მერე, როცა მათი რძალი გახვდი, მითხრა: მაშინვე ვთქვი გულში – ეს გოგო ჩემი რძალი უნდა გახდეს-მეთქიო!.. თუმცა მანამდე, დიდი ტრავმულია მოხდა: მეცხრე კლასში ვიყავით, როცა ზელიმხანი ტრამპის ქვეშ მოყვა და ცალი ფეხი დაკარგა. როცა მის სანახავად ისევ მთელი კლასი მივედით, ვგრძნობდი, თუ როგორ გულდაწყვეტილები მიმზერდნენ ზელიმხანის მშობლები, რომლებიც თურმე იმაზე ფიქრობდნენ, რომ მათ ხეიბარ შვილს აღარ გავეცებოდი ცოლად...



**თინა საღარაძე ნამოწაფარ ნაირა გლუნბიძესთან ერთად**

— მაგრამ მათი შიში არ გამართლდა...

— დიას, ჩვენ ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, ამისთვის ყურადღების მიქცევა აზრადაც არ მომსვლია. თან „ფეხს“ მოსკოვში იკეთებდა და თუმცა შარვალში ეტყობოდა, რომ ხის ფეხი ჰქონდა, ყვარჯენი არ სჭირდებოდა და ესეც კარგი იყო. ზელიძის მშობლებს შორის ასაკობრივი სხვაობა 19 წელი იყო და ჩემი მეუღლის გარდა მეტი შვილი აღარ გაუჩნდათ. მერე ჩვენც ერთი შვილი გვყავდა, როცა 20-წლიანი ინტერვალის შემდეგ ისევ შევუღლდით, მაშინ 53 წლისანები ვიყავით, ჩემს დედამთილს კიდევ ჰქონდა იმედი — ეგებ, გაგიჩნდეთ შვილიო. თუმცა, ამის კომპენსაცია ზელიძისნამა მთრე მეუღლესთან შეძლო: მასთან 4 შვილი გაუჩნდა.

— რატომ გაიყარეთ? აკი, ძლიერი სიყვარული გქონდათ ერთმანეთის მიმართ?

— დიდ სიყვარულს დიდი ეჭვიანობაც ახლავს თან. თავიდან ყველაფერი ახარებდა და ჩემი სასცენო კოსტიუმებისთვის ესკიზებს თავად ხატავდა. მერე და მერე ამის ინტერესი დაკარგა და მივხვდი, რომ ჩემი სცენაზე დგომა აღიზიანებდა. ამ დროს, მე მის გამო ვეჭვიანობდი: ძალიან ლამაზი ბიჭი იყო და როცა ვინმე ჩემი სახლის წინ გაივიდა და ფანჯარაში ან აივანზე მდგომ ზელიძისნას ფარულად თუ ამკარად ამოხედავდა, გული მისკვებოდა. ის ამის გამო იცინოდა, მე კი ვგრძობდი, რომ ხანმოკლე რომანები ჰქონდა ხოლმე... მაშინ ავტომანქანა იშვიათობა იყო. მის ერთ მეგობარს ჰყავდა. გამოუვლიდა, წავიდოდნენ სადმე და ერთობოდნენ. ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა და ისე, რომ ერთმანეთისთვის ხმაძალალო სიტყვაც არ გვითქვამს, ჩემს მშობლებთან გადავბარგდი. ბევრჯერ ეცადა, შევერიგებინე, მაგრამ სიამაყემ ამაში ხელი შემიშალა. დღემდე ვნანობ ჩემს საქციელს. ქალმა არაფრის გამო არ უნდა დაანგრის ოჯახი, თუკი მთლად გაუსაძლისი მდგომარეობაში არ არის. თუმცა, ჩემი შვილიც დღემდე ყველაფერია ჩემთვის, მეუღლე ყველაზე საიმედო საყრდენია ქალისთვის და ეს ბედნიერება, არაფრის გამო არ უნდა მოიკლოს ქალმა. ამაში ძალიან მალე დავრწმუნდი, თუმცა არც მშობლები მაკლებდნენ რაიმეს და არც დედამთილ-მამამთილი.

— რომელიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი გაისხენეთ იმ პერიოდიდან, როცა გაყრილხები იყავით...

— 1958 წელს საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე მე, როგორც მუსიკოსი, ისე ვიყავი მიწვეული, ზელიძისანი — როგორც მხატვარი.

კარგად ხატავდა, ბევრი მისი ნახატია დაცული საქართველოს, სიღნაღისა და თელავის სახელმწიფო მუზეუმებში. ორი ნამუშევარი აქაც მაქვს, შინ. ამ „ავტობიორტრეტს“ ყოველ დილით ვესალმები,



ძალიან ლამაზი ბიჭი იყო და როცა ვინმე ჩემი სახლის წინ გაივიდა და ფანჯარაში ან აივანზე მდგომ ზელიძისნას ფარულად თუ ამკარად ამოხედავდა, გული მისკვებოდა (ზელიძისანი გოგოლაშვილი)

ვესაუბრები... ზელიძისნამ საჩუქრები მივიღა და სადგურზე გამომაცლა. ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გაყრის შემდეგ წამით არ შეწყვეტილა, უბრალოდ, ამის იქით არ წასულა, რადგან მის ახალ ოჯახში კიდევ და კიდევ ჩნდებოდნენ ბავშვები და შერიგებაზე ფიქრი უბრალოდ, არ შეიძლებოდა. მე ხომ უკვე ვიცოდი, თუ რა საშინელება გაყრილი ოჯახი, შვილები მშობლების გამო არ უნდა დაისაჯონ. მით უფრო, რომ მისი შვილები გულწრფელად შემეყარდნენ. მასხოვს, ერთხელ შემთხვევით ცირკში შევხვდი ერთმანეთს. მე ამირანი მყავდა, მას — ნათია, უმცროსი ქალიშვილი. არაფრით არ გაჰყვა მამამისს, მე გამომევიდა ის პატარა ცაგუნია და უარი როგორ მეთქვა?..

— მაინც შეროგდით. რამ განაპირობა თქვენი მთლიანად შეუღლება?

— მიუხედავად იმისა, რომ 4 შვილი ჰყავდა, ცოლ-ქმარი მაინც გაიყარა... ერთ დღეს ჩემი დეიდაშვილის ერთ გვაზავას ვაჟი, საშა მირეკავს, — ძია ზელიძისანი ყოფილა ძალიან ცუდად და ეგებ წახვიდეო. გული როგორ არ გამისკდა, ახლაც მიკვირს. არ მეგონა, თუ ცოცხალს მივუსწრებდი. კარი ნინიკომ გამიღო, ძალიან გაუხარდა — ნეტავ, იცოდეთ, როგორ გაუხარდება მამას თქვენი მოსვლაო! — მითხრა და ოთახში შემიძღვა.

მიუხედავად იმისა, რომ თავზე ექიმი ადგა, ერთი გამოხედა, თვალეში წამიერად გაუკრთა სიხარული, ხელით მანიშნა, საწოლზე ჩამომიჯექით და ისევ დაკარგავთ. საშინელი კრიზი ჰქონდა. ექიმმა ყველაფერი იღონა, რომ გადაერჩინა... როცა მოიხედა, წამოვვდი. მთელი ღამე არ მიძინია, მივხვდი, რომ ერთმანეთი გვჭირდებოდა და თუმცა ამირანი უკვე დაქორწინებული იყო, ზელიძისანი მიერ კიდევ ერთხელ გამოთქმულ თხოვნაზე, შევრიგებოდი, უარი ვეღარ ვუთხარი და მასთან გადავბარგდი.

— ბედნიერი წლები დაგობრუნდათ?

— რასაკვირველია. ახალი შეუღლებული წყვილივით, ბედნიერები, ხელისხელჩაკიდებულები დავეხტებოდით ქუჩებში, ვისხენებდით ათას რამეს და ვიცინოდით, ვიცინოდით დაუსრულებლივ... კიდევ 15 წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად, ყოველი დღე უზომოდ ბედნიერი მქონდა და როცა გარდაიცვალა, რაღაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ჩაწყდა ჩემში. ვცხოვრობ ახლა მოგონებაში და ვესათუები მის სურათს, რომელსაც ოთახის ყველა კუთხიდან და საძინებლიდანაც ვხედავ და ისევ დაუსრულებლად ვესაუბრები ათას წვრილმანსა თუ მსხვილმანზე. ისიც მისმენს ყურადღებით, პასუხსაც მაძლევს და მეც იმის შესაბამისად ვიქცევი. რა ჯენა, თავს უნდა გავაძლებინო, შვილსა და შვილიშვილებს ცოტა ხანს კიდევ ვჭირდები, მინდა ჩემი დარდი არ აწუხებდეთ და ამისთვის ვცდილობ, ძლიერად, კარგად ვიყო. ღმერთი მოწყალეა, მესმარება.

— ერთი შვილი გყავთ, ისიც მოსკოვში. რატომ არ მიდისართ მასთან?

— ვიყავი. 5 წელიწადი ვიცხოვრე იქ, სპექტაკლებზე დავდიოდი, კონცერტებზეც. ერთ ესპანელ მომღერალსაც მოვუსმინე, კონკურსებზეც მიწვევდნენ, ღია გაკვეთილებსაც ვესწრებოდი კონსერვატორიაში. რძალიც კარგი მყავს, ხელოვნებათმცოდნე ვარგარა ნეკრასოვა, ორი არაწვეულებრივი შვილიშვილიც, მაგრამ მაინც გამიჭირდა ქართული ყოფის, ქართული გარემოს გარეშე. აქ მიჩვევნი. ჩემი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანას მიჩვევნი და ამას მხოლოდ ლამაზი სიტყვებისათვის არ ვამბობ. მინდა, დარჩენილი წლები მხოლოდ ქართული ჰაერით ვსუნთქავდე და ამაში მეონი, არაფერია უცნაური და მოულოდნელი. აქ ბევრი ახლობელი და გულშემატკივარი მყავს. მირეკავენ, მოდიან, სულს მითბობენ, წარსულის ლამაზ დღეებს მახსენებენ. აღამიანს კი, მეტი რა უნდა?.. ოღონდ სიყვარული იგრძნოს, გულთაღი დამოკიდებულება და ცხოვრებაც და ტკივილიც უადვილდება...

# კვირის (27 საქაფიბარი - 3 ოაფიბარი)

## პირი - 21/III-20/IV

**ქალი:** ამ კვირას, ყურადღება გაამახვილეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. მოიწესრიგეთ კვების რეჟიმი, ივარჯიშეთ - თქვენ ეს ნამდვილად გჭირდებათ. კარგი იქნება, თუ სიღამაზის საღონშიც შეივლით.

**მამაკაცი:** ეცადეთ, მაქსიმალურად გამოავლინოთ მთელი თქვენი ცოდნა და პროფესიონალიზმი. ეს ხელმძღვანელებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება და შედეგსაც მალე მიიღებთ.

## პერი - 21/IV-21/V

**ქალი:** კარგად დააკვირდით იმ აღამიანის ქცევას, რომელიც სიყვარულს გეფიცებათ. შეგიძლიათ უპასუხოთ კითხვას - რა უნდა მას თქვენგან?.. გირჩევთ, ნუ იქნებით ზედმეტად მიმდობი და გულუბრყვილო.

**მამაკაცი:** დინჯად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და რეალურად შეაფასეთ მოვლენები. ზშირად, აღამიანებს სასურველი, სინამდვილედ ეჩვენებათ. კარგად დაფიქრდით, სანამ ფულის გასესხებას გადაწყვეტთ.

## პირი - 22/V-21/VI

**ქალი:** საუკეთესო დროა წარსულის შეცდომების გასაანალიზებლად. განვიღო დღეებზე გული ნუ დაგწყდებათ. ცხოვრება გრძელდება და მრავალ სასიამოვნო სიურპრიზსაც გიმზადებთ.

**მამაკაცი:** თქვენ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩინენ, მაგრამ ამის გამო თავს ნუ დაკარგავთ. ეცადეთ, მზრუნველობა გამოიჩინოთ უპირველესად მით მიმართ, ვისაც თქვენი ბედი ნამდვილად აღელებს.

## პირი - 22/VI-22/VII

**ქალი:** აუცილებელი არ არის, ყველას გადაუშალოთ გული. თქვენი ახალი გატაცების შესახებ ღიად ლაპარაკს არ გირჩევთ. ამ კვირას გაცნობილ მამაკაცთან ურთიერთობის ხანგრძლივობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს შეგიძლიათ ენაზე კბილის დაჭერა.

**მამაკაცი:** ამ დღეებში მიღებულმა, ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ შეიძლება, უსიამოვნო სიტუაციაში გაგხვიოთ, განსაკუთრებით, თუ ეს გადაწყვეტილება თქვენს საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

# ასპროლოგიური პროგნოზი

## ლირი - 23/VII-23/VIII

**ქალი:** გირჩევთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის წევრებს და მათი რჩევებიც გაითვალისწინოთ. ამ კვირას, ბევრი სასიხარულო ამბის შეტყობა მოგიწევთ. სიყვარულში გიმართლებთ.

**მამაკაცი:** ფრთხილად იყავით - შეიძლება, ინტრიგაში გაგხვიონ. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ სამსახურებრივ მოვალეობებს. ემოციურად საკმაოდ დატვირთული კვირა გელით, ამიტომ ეცადეთ, გააკონტროლოთ ემოციები.

## ქალი - 24/VIII-23/IX

**ქალი:** ამ კვირაში მოსალოდნელ ცვლილებებს საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამთ - არადა, ეს ცვლილებები თქვენთვის სასიკეთო იქნება.

**მამაკაცი:** ნუ ინერვიულებთ ისეთ რამეზე, რისი შეცვლაც თქვენს ძალებს აღემატება. საყვარელ აღამიანთან ურთიერთობისას, მოერიდეთ ისეთ თემებზე საუბარს, რომელიც წინასწარ იცით, რომ კონფლიქტამდე მიეყვანთ.

## სანირი - 24/IX-23/X

**ქალი:** პარტნიორთა მოხიბვლის ყველა შანსი გაქვთ. ცხოვრებისეული რიტმის შეცვლასთან ერთად, სასიყვარულო თავგადასავლის დიდი სურვილიც გაგიჩნდებათ. ამ კვირაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფვით და მიზანსაც მიაღწევთ.

**მამაკაცი:** გადახედავთ წარსულს და გაგიჩნდებათ სურვილი, დაემშვიდობოთ მას. შეიშუშავთ ახალი გეგმები და იაქტიურეთ, რათა შეცვალოთ ცხოვრების სტილი.

## ღირსიპალი - 24/X-22/XI

**ქალი:** თუ დაოჯახებული ხართ, მეუღლესთან თქვენს ურთიერთობაში რაღაც შეიცვლება. ეს განსაკუთრებით მანდილოსნებს ეხება. ჯობს, პრობლემაზე გულახდილად ესაუბროთ პარტნიორს.

**მამაკაცი:** საუკეთესო დროა სამსახურის გამოსაცვლელად. გამოიჩინეთ ყურადღება ახლობლების მიმართ - მათ თქვენი სითბო ამ კვირაში განსაკუთრებით სჭირდებათ. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

## მევიღონანი - 23/XI-21/XII

**ქალი:** ამ კვირაში, ბევრი ცვლილება გელით. მთელი თქვენი გამჭრიახობა და პასუხისმგებლობის გრძობა უნდა გამოავლინოთ. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ.

**მამაკაცი:** ნუ გაგიტაცებთ ფულის ხარჯვა, თორემ სულ მალე, ვალბეში ჩაფლული აღმოჩნდებით. პარასკევს საინტერესო საქმიან წინადადებას მიიღებთ.

## თხის რქა - 22/XII-20/I

**ქალი:** ამ კვირას, მძიმე შრომა მოგიწევთ, მაგრამ თქვენი გარჯა უშედეგოდ არ ჩაივლის. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედი იქონიეთ. თუ კარგად მოიქცევით, პარასკევს დასაჩუქრლებით.

**მამაკაცი:** უარი თქვით მსუბუქ ფლირტზე და ბობოქარ ვნებებსაც ნუ აჰყვებით. ეცადეთ, სერიოზული და საქმიანი მამაკაცის იმიჯი შეინარჩუნოთ. ამ კვირას, მანდილოსნებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს მახეში თქვენი გაბმა, ამიტომ ფრთხილად იყავით!

## პირი - 21/I-19/II

**ქალი:** მიზნისკენ მოთმინებით სვლა გმართებთ. აჩქარებით შეიძლება, უხერხულ სიტუაციაში ჩაიგდოთ თავი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მიზანი, ხელმძღვანელის მოხიბვლაა.

**მამაკაცი:** რა არის, ბოლოს და ბოლოს? არ მოგებზრდათ მხარ-თემოზე წოლა? აბა, წამოზტით და დატრიალდით! ამ კვირას, შეიძლება, ყველაზე ღამაზი სიზმარი აგიხდეთ. ასე რომ - გამოფხიზლდით!

## თეზეი - 20/II-20/III

**ქალი:** ბევრი საკითხი უთქვენოდაც, თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. შეგიძლიათ დაისვენოთ, კვირის ბოლოს კი, მეგობრებთან ერთად დრო სასიამოვნო გარემოში გაატაროთ.

**მამაკაცი:** სამსახურსა და სასიყვარულო ურთიერთობებშიც წარმატება გელით. ნუ დაკარგავთ კონტროლს საკუთარ თავზე, მაშინაც კი, როდესაც ძალზე კარგად იგრძნობთ თავს.

	გერბო-მცოდნეობა	სამაგი-ეროს გადახდა	ნ	ონემი გამო-მცხვარი პური	ი	ნ	ი	ინგლი-სური არაყი				
	ე	ა	უ	რ	ზ	ი	ა	საკრე-ბულო მეჩეთი				
	ი	ზ	ა	ა	ა	ი	ა	იტალიელი პოლიტ. მოღვაწე და მწერალი				
	ზ	ა	ა	ა	ჩეხური ავტო-მობილი	ზ	ი	ა				
	ა	ვულკა-ნური მასა	ა	ა	კ	ზ	ზ	ა	შსამიანი გველი			
რექ-ტორის მოადგილე	ა	სახელ-მწიფო აფრიკაში	ა	ი	ლილი კაშკაშა მეტეორი	ა	ა	ა				
ი	ა	ე	ა	ი	სამდი-ნარი გემის კაპიტანი	ტკბილი კარტო-ფილი	ა	პაპა	დროებითი საცხოვრებ. სახელ-სწავლის შეფარდება ნაგებობა			
ც	ზ	ს	ა	კრემიანი ნამცხ-ვარი	ი	ტ	ე	ტ	ი	ა	ა	
ი	ა	ე	ზ	ა	ქალაქი საქარ-თველოში	ა	ა	ა	ა	ა	ა	
ფ	ა	თავისუ-ფალი ფორმის ნარკვევი	სოხბის ბარტყი	ა	ი	ა	ა	ა	ა	ა	ა	
მტკიცე პირობა	ა	ა	ა	ი	ოპერის სიტყვი-ერი ტექსტი	ი	ა	არაძვი-რფასი სამკაუ-ლები	ა	ი	ა	კაკლის დასაბერ-ტყე ფოთი
მტაცე-ბელი ფრინვე-ლი	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
წვრთნა, ვარჯიში	ა	ა	ა	ა	არვის გასაზა-ვებელი გაზიანი სასმელი	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
მუზეუმი მაღ-რიდში	ი	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ოპტი-კური ხელ-საწყო	თმის საღებავი	ი	ა	ა	ა	ა	ა	თევზ-საჭერი გემი	ა	ა	ა	ა
ა	ი	ა	ა	ა	ა	ა	ა	მღინარე ევროპაში	ა	ა	ა	ა
ი	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ხის ალვარი	ა	ა	ა	ა

23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.



# გაგონიერი აზროვნების მოსახერხებელი გაგონათმშენებელი

## შედარება

ანშტაინის სთხოვეს, ორი-ოდე სიტყვით აესხნა ფარდობითობის თეორია. მან უპასუხა:  
– საქმე ძალზე მარტივადაა. აი, ნახეთ – თმის ერთი ღერი თავზე ხომ ნამდვილად ცოტაა, არა?

– დიახ, რასაკვირველია!  
– ახლა წარმოიდგინეთ იგივე, წვნიანის თევშში... ხომ ნამდვილად ბევრია?..

## მუსიკამ თავი დააკარგინა

გამოჩენილი საოპერო მომღერალი ენრიკო კარუზო საკმაოდ გონებაშანთხილი და ენაკვიმატი კაცი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, იტალიის ერთ პატარა ქალაქში სცენაზე გამოსვლისას, მან დიდი მარცხი განიცადა – პუბლიკა მის სიმღერას სტვენითა და ფეხების ბაკუნით ეგებებოდა, ბოლოს კი, ვიღაცამ დარბაზიდან სცენაზე კომბოსტოს თავი ისროლა. კარუზო არც ამან დააბნია: მან სიმღერა შეწყვიტა და გაოცებული სახით წარმოთქვა:  
– ოჰო! ჩემმა სიმღერამ ვიღაცას უკვე თავიც დააკარგინა!..

## აინშტაინი და მემკვიდრეობა

წვეულებაზე ალბერტ აინშტაინის ერთი ახალგაზრდა ქალი გადაგვიდა, ბოლოს, მასთან ინტიმური კავშირაც კი შესთავაზა და დასძინა:  
– ხომ წარმოგიდგენიათ, რა შესანიშნავი ბავშვი გვეყოლება?.. თქვენსავით ჭკვიანი და ჩემსავით ლამაზი!..  
– ჰო, – უპასუხა მეცნიერმა, – მართლაც, შესანიშნავი იქნება... მაგრამ, ვაიდა, პირიქით მოხდეს?!

## სახვალიოდ გადაღებული მომავლის მუსიკა

პარიზში ყოფნისას რიჰარდ ვაგნერი ერთ-ერთ გამოძვეულ ელს ეწვია და უთხრა:  
– მუსიე, მე გამოჩენილი კომპოზიტორი ვარ, მომავლის მუსიკას ვწერ. მსურს, დაგლოთ პატივი და მოგცეთ უფლება, გამოსცეთ ჩემი ნაწარმოებების ნოტების კრებული.  
– მომავლის მუსიკას? – გაოცდა გამოძვეული. – შემთხვევით ვაგნერი ხომ არ ხარ?  
– დიახ, – ამაყად მიუგო კომპოზიტორმა. გამომცემელმა კი მშვიდად უპასუხა:  
– სამწუხაროდ, მომავლის მუსიკა ჩემი საქმე არაა. მოგიწევთ, ამ საკითზე ჩემს შვილიშვილს მიმართოთ...

# ანეკდოტები

\*\*\*

კახელს ცოლი შესჩივის:

– კაცო... რამე მოუხერხე ამ ბაღ-ღსა... აღარაფერს აღარ მიჯერებს.  
– მოდი აქა, ვოლო... – დაუძახა მიხომ შეიღს. – რატო არ უჯერებს, შე მუტრუკო, ღელიშენსა?! ვითამ რა, ჩემზე მაგარი ხარ?..

\*\*\*

სვანი ძაღლს წვრთნის. გადააგლო ჯოხი:

– მიდი, მომიტანე!..  
ძაღლმა მიუტანა. სვანმა ისევ ისროლა ჯოხი:  
– მიდი, მომიტანე!  
ძაღლმა ისევ მიუტანა. ისევ გადააგლო. ისევ მიუტანა. ისევ გადააგლო:  
– მიდი, მომიტანე.  
...და ასე გაგრძელდა მოელი ღღის განმავლობაში.  
ძაღლი ღღის ბოლოს:  
– მაიზერ, მეყო, რააა... უკვე ვისწავლე.



\*\*\*

რატკველი პატიმრის განცხადება: „მიმშოლობას ვაცხადებ, ქვე სანამ არ მაჭმევენ!“

\*\*\*

ქვრივი ქალი მეორედ გათხოვდება მეგრელზე. დილით საუზმეს გაამზადებს,

მაგრამ კოჩია პირს არაფერს აკარებს:

– ჩემს ოჯახში წესია ასეთი, გნაცვალი: სანამ სეჟი არ გვექნება, საუზმეს ვერ გავეკარები.  
დათანხმდა ქალი. მოვიდა სადილის დრო. ქმარმა:  
– ჯერ სეჟი, გნაცვალი, მერე სადილი. ჩემს ოჯახში ასეა მიღებული, ხომ იცი უკვე?!  
ვასშამუც იგივე წესი გაიხსენეს და გაგრძელდა ასე ერთი თვე. ერთი თვის შემდეგ, ქალი ნათესავებმა მოინახულეს. შეეკითხნენ:

– როგორი კაცია ახალი ქმარი?  
ქალი ეუბნება:  
– ცხონებული ნოდარისნაირი განათლებული არ არის, მაგრამ კარგი ტრადიციების ოჯახის შვილია კოჩია...



\*\*\*

ცირკის მასხარამ დარბაზიდან ბავშვი იხმო:  
– შეგიძლია, ბიჭუნა, ამ ქალბატონებს და ბატონებს დაუმტკიცო, რომ პირველად მხედავ?  
– „კანენჩა“, მამიჯან!

\*\*\*

მიხო მაროსთან ერთად ფიგურულ სრიალს უყურებს.

– ეს ქალი მამცა ეხლა „პრაიზვოლნი“ პრაგრამაში!.. – ინატრა მიხომ.  
– ფუი, ქაა... მეზი კი დაგეცეს!.. „აბეზატელნიში“ ხო მაგარი ხარ, აი!.. და ახლა „პრაიზვოლნი“ მამინდომე... – ჩაიხითხითა მარომ.

\*\*\*

საუბარი ქუთაისში, საფინანსოზე:  
– გეიგე, ბუჯო? გუმნ შალიკვის 90 წლის ბაბუსისთვის 15 წელი მიუსჯია მოსამართლეს!  
– მაგას, ბიძია... მიუსჯია კი არა, სადღეგრძელო უთქვამს...

\*\*\*

– ძვირფასო, ნახე შენი პერანგი როგორ გათეთრდა... მე ის „ტაიდში“ გავრეცხე.  
– მართალია, მაგრამ... მე ის ზოლებიანი უფრო მომწონდა.



\*\*\*

მიხო და მარო ექიმ-კარდიოლოგის ოთახიდან გამოდნ და მარო ეუბნება მიხოს:  
– ჰაა, მიხა, ხედავ? ჩვენ რომ ტაქიკარდია გვევონა, თურმე ორგანში ყოფილა...

# სართ თუ არა მელომანი?

1. მიიჩნევთ თუ არა ჯაზს მუსიკის ერთ-ერთ სწრაფწარმავალ მიმდინარეობად?

2. შეგიძლია თუ არა ხუთი სხვადასხვა სიმებიანი საკრავის ჩამოთვლა?

3. შეგიძლიათ თუ არა ორკესტრის მიერ შესრულებული მელოდის მოსმენისას სხვა ინსტრუმენტების ფერადობისაგან გამოარჩიოთ ვალტორნის ფერადობა?

4. „მძიმე როკის“ სტილის მუსიკის მოსმენისას ივსებით თუ არა ენერგიით?

5. შეგიძლიათ თუ არა მუსიკის თანხლებით დაძინება?

6. მიიჩნევთ თუ არა ოპერეტას დღეისათვის უიმედოდ მოძველებულ ჟანრად?

7. სიმფონიური მუსიკის მოსმენისას ყოველგვარი ამქვეყნიური სატიკვარი ხომ არ გავიწყდებათ ხოლმე?

8. თავისუფალ დროს, რომელი მომღერლის მოსმენა განიჭებთ უფრო დიდ სიამოვნებას?

- ა) მადონას;
- ბ) მაიკლ ჯექსონის;
- გ) ელტონ ჯონის;
- დ) ლუჩანო პავაროტის.

9. ვთქვათ, შემოგთავაზეს ქართული ხალხური სიმღერების: „მრავალჟამიერის“ ან „აჭარული საცეკვაოს“ მოსმენა, პირველ სიმღერას ხომ არ ამჯობინებდით მეორეს?

10. ვთქვათ, წვეულებაზე ყოფნისას თქვენი უსაყვარლესი მელო-

იშვიათია ადამიანი, ხელოვნების ეს დარგი რომ არ უყვარდეს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ზოგი სათანადოდ ერკვევა მუსიკაში, ზოგი პროფესიონალია, ზოგი კი, მხოლოდ მოყვარულის სტატუსით კმაყოფილდება. მელომანი კი, როგორც მუსიკის ჭეშმარიტი დამფასებელი, ცდილობს, მთელი თავისი თავისუფალი დრო ხელოვნების ამ დარგს მიუძღვნას. დრო კი, მას არცთუ ისე ბევრი აქვს, ამიტომ თავის არჩევანში ის ზედმიწევნით კატეგორიულია. მას ხომ არა აქვს იმის დრო, რომ ცუდი ან უბრალოდ კარგი მუსიკა მოისმინოს. რა უნდა ქნას, მუსიკის ჟანრების რაოდენობა ხომ დღითი დღე იზრდება? მაგრამ ჭეშმარიტ მელომანს ეს სულაც არ აშინებს, მას ხომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ამორჩევა შეუძლია.

გულწრფელად უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს და მიიღებთ პასუხს შეკითხვაზე, თავად თქვენ ხართ თუ არა მელომანი?



დია გაისმა. იცეკვებთ თუ არა ამ მელოდიაზე?

11. კლასიკურ მუსიკაში არსებობს თუ არა კონცერტი ფორტეპიანოსა და საყვირისთვის?

12. შეგიძლიათ თუ არა პირველი ექვსი ტაქტის მოსმენის შემდეგ გამოიცნოთ მელოდია, რომელსაც მხოლოდ მეორედ ისმენთ და რომლის პირველად მოსმენისას განსაკუთრებულად მოიხიბლეთ ამ ჰანგით?

**დააჯამით ძულაზი:**  
 თითო ქულა დაინერე ყოველი დადებითი პასუხისათვის შემდეგ შეკითხვებში: 2, 3, 6, 7, 8 „ა“ და „ბ“, 9, 11, 12; ასევე თითო ქულა დაინერე ყოველი უარყოფითი პასუხისათვის შემდეგ შეკითხვებში: 1, 4, 5, 10. 2 ქულა დაინერე დადებითი პასუხისათვის 8„გ“ და 3 ქულა — 8„დ“.

## ტესტის შედეგები

**8 ქულაზე მეტი:** თქვენ მუსიკის ჭეშმარიტი დამფასებელი ბრძანდებით და ე.ი. მელომანიც ხართ. მუსიკა თქვენთვის ის ფენომენია, რომელიც ცხოვრების უმძიმეს წუთებს გამსუბუქებთ, დადებით ემოციებს კი, კიდევ უფრო მეტად გიმძაფრებთ. სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, თქვენ არა მარტო გსიამოვნებთ მუსიკის ჰანგები, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ის აუცილებელიცაა თქვენთვის. მუსიკა გენმარებათ მუშაობის, დასვენებისა და ფიქრის დროს. მუსიკის გარეშე თქვენ სიცოცხლეს კი ვერ წარმოგიდგენიათ. მიგანიათ, რომ ამ სფეროში საკმაოდ კარგად ერკვევით და თქვენდა სასიხარულოდ უნდა გაითხრათ, რომ ეს მართლაც ასეა.

**4-8 ქულა:** თქვენ გიყვართ მუსიკა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტესწილად უპირატესობას სასიამოვნო მელოდებს ანიჭებთ. სერიოზულ მუსიკას თქვენ მხოლოდ სათანადო განწყობილებისას უსმენთ. თქვენ არ ხართ მელომანი. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკის მოსმენისას მელოდიაზე მეტ ყურადღებას თქვენ მის შემსრულებელს აქცევთ.

**4 ქულაზე ნაკლები:** მას, რაც თქვენ მოგწონთ და გიყვართ, თავის დროზე იოჰან შტრაუსმა „მუსიკა ფესვისათვის“ უწოდა. თუმცა გიორჩევთ, გულს ნუ გაიტყნთ, ეს მუსიკა ხომ თქვენ ისევე გენმარებათ გართობასა და დასვენებაში, როგორც სხვებს უფრო სერიოზული მუსიკა.

### სექსუალური დაუკმაყოფილებლობაში მამაკაცის სიგახეის მონევა დაიწყო

ჩინეთის ზოოპარკის თანამშრომლები სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: ძალიან საყვარელი და ერთ დროს სანიმუშო ქცევით გამოჩენილი შიმპანზე – სახელად ფეილი, ნამდვილ აფთრად გადაიქცა. როგორც ზოოპარკის დირექტორი ლიუ ბინგი ამბობს, ამგვარი ცვლილების მიზეზი მისი სექსუალური დაუკმაყოფილებლობაა. ფეილი სიგარეტს სიგარეტზე ეწევა და მნახველებს პირდაპირ სახეში აფურთხებს. „ის უკვე დიდი ხანია ისეთ ხვადს ეძებს, რომელიც მის სექსუალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს“, – განაცხადა ლიუ ბინგმა. ხვადი, რომელიც ზოოპარკში მასთან ერთ-



თად ცხოვრობს, ამ ამბავში „ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს“, ამიტომ ფეილიმ მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ანალოგიურად მოექცა თავნება მამიუნის სხვა „პრეტენდენტებსაც“.

ზოოპარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ცხოველი საოცარ გაბედულებას და მოხერხებულობას იჩენს, როცა მნახველებს სიგარეტს ჯიბიდან აცლის. „შიმპანზეს ნამწვავებს ესვრიან. ის კი, ვითომც არაფერი – აგროვებს და მაღიანად აბოლებს“, – ამბობს ნანახით შოკირებული ათი წლის ბიჭი.

### მატყუარა – ხვინვის წინააღმდეგ



გერმანელმა მეცნიერებმა ხვინვის საწინააღმდეგო ახალ მეთოდს მიაგნეს: მათ უფროსებისთვის სპეციალური მატყუარა საწოვარა გამოიგონეს, რომლის მეშვეობითაც, ადამიანს შეეძლება თავადაც მშვიდად დაიძინოს და პარტნიორიც მოასვენოს.

ქალაქ გეტინგენის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, საწოვარა ყლავის პროცესის მაგვარ პრინციპს ემყარება. წოვის დროს ენა არ მოძრაობს, თან ადამიანს პირის გაღება არ შეუძლია და შესაბამისად, აღარც ის გამაღიზიანებელი ხმა გაისმის, რომელსაც ხვინვას უწოდებენ. როგორც უნივერსიტეტის პროფესორმა უილფრედ ენჯილსკმა განაცხადა, ამ მეთოდის დახმარებით მათ ათიდან შვიდი პაციენტის განკურნება შეძლო.

მკურნალობის შედეგით განსაკუთრებით კმაყოფილები ყოფილი „მხვინვაების“ პარტნიორები დარჩნენ და მეცნიერთა ჯგუფს მხურვალე მადლობა გადაუხადეს.

### ინციდენტი თვითმფრინავში

ამერიკული კომპანია Northwest Airlines-ის თვითმფრინავი, რომელიც ქალაქ მინეაპოლისიდან ანკორიჯამდე (ალასკის შტატის ცენტრი) რეისს ასრულებდა, იბუღე-



ბული გახდა, კანადაში, ქალაქ ვინიპეგში დაშვებულიყო. ამის მიზეზი ერთ-ერთი ნასვამი მგზავრი იყო – რომელმაც ბორტზე დებოში მოაწყო.

58 წლის მაიკლ ჰიუზერი აფრენიდან ცოტა ხნის შემდეგ გვერდზე მჯდომ ქალბატონთან პოლიტიკურ კამათში ჩაება. კამათის მიზეზად მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები იქცა: როგორც გაირკვა, ჰიუზერი დემოკრატიული კანდიდატის ჯონ კერის მომხრე ყოფილა, ქალბატონი კი – მისი ოპონენტის, ჯორჯ ბუშისა. კამათი თანდათანობით ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. როგორც ქალი ამბობს, ნასვამი ჰიუზერი მას უხამსად მოექცა და ხელითაც კი შეეხო. ბორტგამცილებლები, რომელთაც ქალმა საშველად უხმო, ნასვამი მგზავრის დაშვიდებას შეეცადნენ, მაგრამ ჰიუზერი უფრო გაავდა და ერთ-ერთ მათგანს კონიაკით სავსე სირჩაც კი გადაავლო თავზე. ჰიუზერი თვითმფრინავის შეიარაღებულმა მარშლებმა გააკავეს, რომლებიც ნებისმიერ ამერიკულ რეისს დაჰყვებიან.




თვითმფრინავის ეკიპაჟმა ინციდენტი, როგორც საგანგებო სიტუაცია, ისე შეაფასა და უახლოეს აეროპორტში დაშვება მოითხოვა. ვინიპეგში ჰიუზერი დააპატიმრეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავდებით გაუშვეს. თუმცა ავიაკომპანიამ, საწვავის ხარჯის ასანაზღაურებლად, შეიძლება მისგან 10 ათასი ამერიკული დოლარი მოითხოვოს.

### ჯოჯ ბუში სადომაზოხისკუხ თამაშში მონაწილეობს

ქვედა თეთრეულის მწარმოებელმა ცნობილმა ბრიტანულმა კომპანიამ Agent Provocateur-მა 10-წლიანი იუბილეს აღსანიშნავად, საკუთარ საიტზე მოათავსა ოთხწუთიანი სარეკლამო რგოლი, რომელშიც გადაღებული ადამიანი, საოცრად ჰგავს ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. ვიდეორგოლში, სახელწოდებით She's lost control, ამერიკის „პრეზიდენტი“, დაუნდობელ „ქალბატონთან“ ერთად (რომელიც Agent Provocateur-ის პროდუქციას უწევს რეკლამას), სადომაზოხისკურ თამაშში მონაწილეობს. მოქმედება თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის მსგავს ოთახში ხდება. ვიდეორგოლის ფინალურ ნაწილში კიდევ ერთი მამაკაცი გამოჩნდება, რომელიც მთლიანად შავ მონასხამშია გახვეული, სახეზე ძაღლის ნიღაბი აქვს აფარებული და ოთახში ხოხვა-ხოხვით შემოდის. როცა „ქალბატონი“ მამაკაცს ნიღაბს ჩამოსხნის, აღმოჩნდება, რომ ის ინგლისის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის ორეულია.



# ფოტოკუჩიოზები



ბ 208730

№19(79) 16.IX-29.IX 2004

ოჯახის

# მკურნატი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

რა შეუძლია  
მოუსვენარ  
ბურთს?

ბავშვთა  
თიანარი

სლოკინი

რა იწვევს  
მამაკაცთა  
უნაყოფოებას

მთავარი თემა:  
ნივთიერებათა  
ცვლის  
დარღვევა

ვიზიტი  
ფარმაკოლოგთან:  
„ნაბლის დირაბულება  
ჟოველთვის როდი  
განსაზღვრავს მის ხარისხს“

ღვინით  
გურნალობა

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის